


ISSN 1512-0597

# ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი



№ 7

2001

**ძ ი ე ბ ა ნ ი**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი**

**№ 7**

**D Z I E B A N I**

**The Journal  
of the Centre for Archaeological Studies  
Georgian Academy of Sciences**

**Tbilisi**

**2001**

**თბილისი**

63.4 (2Γ)  
902/904 (479.22)  
ძ531

მთავარი რედაქტორი: **ოთარ ლორთქიფანიძე**  
Editor-in-Chief: **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: **ვ. ლიჩელი, ირ. ჯალაღანია, გ. კვირკველია,**  
**ვ. ჯაფარიძე, გ. ნარიმანიშვილი,**  
**გ. მინდიაშვილი, ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე**

Editorial council: **V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirvelia,**  
**V. Japaridze, G. Narimanishvili, G. Mindiashvili,**  
**A. Chqonia, D. Bakradze**

სარედაქციო კოლეგია: **დ. კაჭარავა, გ. კვირკველია,**  
**გ. ნარიმანიშვილი, ნ. მიწიშვილი,**  
**მ. კვაჭაძე**

Editors of the Volume: **D. Kacharava, G. Kvirvelia,**  
**G. Narimanishvili, N. Mitsishvili,**  
**M. Kvachadze**

# შინაარსი Contest

## ს ტ ა ტ ი ე ბ ი Articles

ლ. ნებიერიძე. სიონის ნამოსახლარი – აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი .....	5
<b>L. Nebieridze.</b> Sioni Settlement - A Site of the Late Neolithic Culture of Eastern Georgia (Summary)	<b>10</b>
ჯ. აფაქიძე. კოლხური კულტურის საწარმო-ნამოსახლარების დათარიღებისათვის .....	14
<b>J. Apakidze.</b> Toward Dating the Settlement-Factories of Colchian Culture (Summary) .....	<b>23</b>
გ. კვირკველია. პოპლიტური ფარები კოლხეთში .....	32
<b>G. Kvirvelia.</b> Hoplite Shields in Colchis (Summary) .....	<b>38</b>
გ. ცქიტიშვილი <sup>†</sup> . მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან .....	41
<b>G. Tskitishvili.</b> Richly Furnished Burial at Tsikhiagora Necropolis (Summary) .....	<b>44</b>
ზ. მახარაძე, გ. ნარიმანიშვილი. ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში .....	47
<b>Z. Makharadze, G. Narimanashvili.</b> Tsikhiagora in the Achaemenid Period (Summary) .....	<b>54</b>
ქ. ჯავახიშვილი. გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები. I. გემა უფლისციხიდან .....	64
<b>K. Javakhishvili.</b> Gems Bearing Representations of Scenes from Specimens of Ancient Monumental Art. I. A Gem from Uplistsikhe (Summary) .....	<b>66</b>
მ. ხალვაში. ვიწროცელიანი ამფორები გონიო-აფსაროსიდან .....	68
<b>M. Khalvashi.</b> Narrow-Necked Amphorae from Gonio-Apsaros (Summary) .....	<b>72</b>
ვ. ჩიხლაძე. წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტი) ძველ საქართველოში .....	74
<b>V. Chikhladze.</b> The Cymbals (Musical Instruments) in Ancient Georgia (Summary) .....	<b>77</b>
დ. მინდორაშვილი. გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. II .....	81
<b>D. Mindorashvili.</b> Archaeological Material from Dariali Pass (Necropolis of Gveleti) (Summary) .....	<b>85</b>
ს. ხარაბაძე. მასალები „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუკისათვის .....	91
<b>S. Kharabadze.</b> Archaeological Map of Vani Region (Summary) .....	<b>97</b>

## ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს ის ტ ო რ ი ა History of Archaeology

მ. მუმლაძე. ბიბლიოგრაფია საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე („დროებისა“ და „ივერიის“ პუბლიკაციების მიხედვით) .....	99
ლ. მიქელაძე. ისტორიულ სიძველეთა დაცვა და ქართველი მეცენატები .....	104

## ქ რ ო ნ ი კ ა Chronicle

ი. ჯალაღანია, ხ. ჯორბენაძე, ა. ჭყონია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2000 წელს .....	107
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკა 2000 წელს .....	117
შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა .....	118
<b>A b b r e v i a t i o n s</b> .....	<b>118</b>

## ლამარა ნებიერიძე

### სიონის ნამოსახლარი – აღმოსავლეთ საქართველოს გვიანწოდებული კმპლი

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში აღმოჩნდა მანამდე უცნობი, მეტად თავისებური, ადრესამიწათმოქმედო კულტურის უადრესი ნამოსახლარი, რომელმაც დღემდე ვერ დაიკავა თავისი კუთვნილი ქრონოლოგიური ადგილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებს შორის.

ნამოსახლარი აღმოჩნდა მარნეულის რაიონის ს. სიონში, მდ. შულავერის მარცხენა მხარეს ადგილ „ფარეხებზე“, დაბა შულავერის სამხრეთ-დასავლეთით შვიდიოდე კილომეტრის მანძილზე, მთის გავაკებულ ფერდობზე (ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლეზე). აქ პატარა ღელის, ხუდისწყლის მარცხენა ნაპირზე, შემთხვევით ნაპოვნი გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნის გათხრისას მიკვლეული იყო ძლიერ დაზიანებული ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი [1].

კულტურული ფენა მდებარეობდა მიწის თანამედროვე დონის ქვევით და არ გამოირჩეოდა მიწის ზედაპირზე. მისი სისქე ზოგ შემთხვევაში 1 მ უდრიდა. ფენა შეიცავდა ერთ ან ორ სამშენებლო ჰორიზონტს [1, გვ. 12]. გათხრებისას მოხერხდა რამდენიმე ნაგებობის, შესაძლოა, ნახევრად მიწურების ნაშთების გამოვლენა, რომლებსაც 1 მ სიგანის ქვის მშრალი წყობის მორკალული საძირკვლები ჰქონდა [1, გვ. 10].

მონაპოვრის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. I), რომელთაგან არ მოხერხდა არც ერთი ნაკეთობის აღდგენა. მაგრამ ცალკეული ნაწილების მიხედვით დადგინდა, რომ მათში სჭარბობდა დაბალყელიანი, ოდნავ პირგადაშლილი და გამობერილკორპუსიანი ჭურჭლები, რომელთა ყელი თანდათანობით მხრებზე გადადიოდა. კარგად გამოძვარ კეცში შეიმჩნევა ქვიშის, დანაყილი ობსიდიანის, ქარსისა და იშვიათად ბზის მინარეგები. სჭარბობს კერამიკა მოყავისფრო-მოვარდისფრო ზედაპირით, თუმცა გვხვდება აგრეთვე ფრაგმენტები მურა-მოწაბლისფრო და შავიც. იშვიათადაა აგურისფრად გამოძვარი ნატეხები. ნაკეთობათა ზედაპირი ხშირად კარგადაა მოგლუვებული-ნაპრიალები, ზოგჯერ კი თხელი წერნაქითაც დაფარული. ძირები უმეტესად ბრტყელია, დაბალქუსლიანი ან ძირიდან კედლებზე ბლაგვკუთხა გადასვლით. კედლები უორნამენტოა. არის მხოლოდ თითო შემთხვევა რელიეფური, ნუშისებურშეკრილიანი და წრეებით დაჭრული ნიმუშებისა. კერამიკის გარკვეული ნაწილის ზედაპირზე, ზოგჯერ შიდაპირზეც გვხვდება სველ თიხაზე უსისტემოდ დატანილი ზოლები (შესაძლოა ნაფოტითაცაა დატანილი), რომლებიც მოგლუვების შედეგად

თითქმის აღარ შეიმჩნევა, ზოგჯერ კი დაუმუშავებლადაცაა დატოვებული [1, გვ. 15].

ჭურჭლის ბაკოები უმეტესად მომრგვალებულია, თუმცა იშვიათად არის სწორი და გათხლებულ-შევიწროებულიც. სიონის კერამიკისათვის მეტად დამახასიათებელია ბაკოს შემკობა-დაჭდევა ირიბი, ზოგჯერ სწორი, ვიწრო და არაღრმა ჭდეებით, ზოგჯერ კი – ფართო, შედარებით ღრმა და განიერი ფოსოებით. აღსანიშნავია აგრეთვე დაკლანძვილი ბაკოები. ზოგჯერ ტეხილხაზიანი პირის შიგნით ღრმულებია. მათი ნაწილი თითებითაა გამოყვანილი (ტაბ. I). ბაკოების ერთ ნაწილზე წვეტიანი იარაღით გამოსახულია ირიბი ან ხაზიან-წერტილიანი ორნამენტი. ნაკეთობათა კეცი ხშირად ორფენოვანია – ზედა მოვარდისფრო, შიდა კი მოშავო, არის სამფენოვანიც – გარეთა და შიდაპირი მოწითალო, შუაში კი მოშავო. იშვიათია ერთფრად, თანაბრად გამოძვარი ნატეხები. კედლების სისქე საშუალოდ 0,8-1 სმ უდრის [1, გვ. 15-16].

სიონის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრია საკმაოდ მრავალფეროვანია (ტაბ. III). ნედლეულად ძირითადად ობსიდიანია გამოყენებული (94%), დანარჩენი 6%-კი სხვადასხვა ქანებია (კაჟი, არგილიტი, ბაზალტი, ქალცედონი). მასალის საერთო რაოდენობაში ჭარბობს წარმოების ნარჩენები. იარაღების უმრავლესობა ლამელებზეა ნაკეთები, თუმცა გვხვდება აგრეთვე ანატაკცებსა და ანამტკრეკებზე ჩამოყალიბებულიც. ბევრია საფხეკები, საჭრისები, სათლელისებური იარაღები, დანისებური ლამელები – თავირბი და თავსწორრეტუშიანი, აგრეთვე ამოდარული, გვერდებზე გამოყენების კვალით და მთლიანი ან ნაწილობრივი რეტუშით. ლამელათა ნაწილის ზურგი დამუშავებულია მცოცავი წნევითი რეტუშით. ნამგლის ოთხიოდე ჩასართიდან ყურადღებას იქცევს ერთი ნიმუში, რომელსაც გამთხრელი „მომუთეფეს“ ტიპისად მიიჩნევენ [1, გვ. 18-26] (ტაბ. III<sub>30</sub>).

ქვის იარაღებიდან ცნობილია ბაზალტის უხეში საჩხეხი იარაღი და რამდენიმე ცილინდრული და დისკოს ფორმის სახეები. ნამოსახლარზე ნაპოვნი არ ყოფილა ხელსაფქვაკები, შურდულის ქვები და რქის იარაღები. ძვლის იარაღები წარმოდგენილია ლულოვანი ძვლები-საგან დამზადებული 4 სადგისით და მსხვილფეხა საქონლის ძვლისაგან ნაკეთები სახოკით. აღსანიშნავია მანამდე უცნობი, ნიჟარის სადაფის ოთხკუთხა, ბოლოებმომრგვალებული საკიდები შუაში ნახვრეტით [1, გვ. 26].

სიონის კომპლექსის დახასიათების დასასრულს საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნამოსახლარის გათხრისას აღმოჩენილი იყო მრავალი

ვალრიცხოვანი სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული მიკროლითები (ტრაპეციები, სეგმენტები, მალალი, ზურგათილი სწორკუთხედები), რომლებიც გამთხრელებმა აღმოჩენისთანავე გვიჩვენეს, როგორც თავისებური და მოულოდნელი. მაგრამ, სამწუხაროდ და ძეგლის თარიღის საზიანოდ, ეს მასალა გაურკვეველი მიზეზის გამო პუბლიკაციაში არ არის შეტანილი. ამიტომ სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა ნაკლები კომპლექსი, მისი მკაფიო, დამათარიღებელი კომპონენტების გარეშე, რის შედეგადაც მოხდა ძეგლის შედარებით გაახალგაზრდავება.

სიონის ნამოსახლარი მისი გამთხრელისა და ძეგლის პუბლიკაციის ავტორის თ. კილურაძის მიერ შულავერ-შომუთეფეს კულტურის III და უფრო მოგვიანო საფეხურების თანადროულად არის მიჩნეული. იგი მას ძვ.წ. V ათასწ. ბოლოთი და IV ათასწ. პირველი ნახევრით ათარიღებს [1, გვ. 28].

ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს ვარაუდი, რომ „შესაძლოა აღმოსავლეთ საქართველოში იყო დასავლეთ ამიერკავკასიის მსგავსი ნეოლითური კულტურა (მასში ლოკალურობას არ გამოვრიცხავთ), რის გამოც, მის საფუძველზე წარმოშობილი ენეოლითური კულტურა დიდ სიახლოვეს იჩენს დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითთან“ [2, გვ. 168; 7, გვ. 15]. ვვარაუდობდით აღმოსავლეთ საქართველოში ნეოლითის სტადიალური ნიშნების მქონე „ოდიშის ტიპის“ კერამიკიანი და მიკროლითებიანი ძეგლების მოსალოდნელ აღმოჩენას. ამის საფუძველს გვაძლევდა ამ რეგიონის მკაფიო მიკროლითური ტექნიკის მქონე მეზოლითური ძეგლები. ვარაუდი გამართლდა. სიონის ნამოსახლარის სახით აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი, რომელიც სტადიალური ნიშნებით დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური კულტურის ადეკვატურია.

სიონის ნამოსახლარის კერამიკულ კომპლექსს არ ახასიათებს აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითისათვის დამახასიათებელი ელემენტები, კერძოდ: ტაფისებრი და გობისებრი ნაკეთობები, ყელზე შემოვლებული გამჭოლი ნასვრეტებით, „ბიბილოსებრიანი“ ჭურჭლები, პირზე ან ყელზე შვერილები და ყურები. აღნიშნული ელემენტების არარსებობაც ამ ძეგლის ადრეულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

სიონის ნამოსახლარის კერამიკული მასალისა და ქვის ინდუსტრიის დახასიათება ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენს ხელთაა აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, მანამდე უცნობი, მეტად თავისებური ჯერჯერობით ყველაზე ადრეული კერამიკიანი ძეგლი, რომელსაც, როგორც სწორად იყო შენიშნული მკვლევარების მიერ, მჭიდრო კავშირი აქვს დასავლეთ საქართველოს ნეოლითთან [1, გვ. 16; 5, გვ. 339-340].

ქვემოთ გამოწვლილვით გვინდა განვიხილოთ სიონის ნამოსახლარის მიმართება დასავლეთ საქართველოს ნეოლითთან, რათა უფრო გარ-

კვეული წარმოგვინა შეგვექმნას ამ ძეგლის რაობაზე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას დღემდე არ მიუღია სწორი შეფასება.

პირველ ყოვლისა გვინდა შევეხოთ სიონის ნამოსახლარის ტოპოგრაფიას. თ. კილურაძის მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ იგი მდებარეობს შულავერის ჯგუფის ძეგლების ზონაში, შეიძლება ითქვას, ერთ მიკრორაიონში, იგი განსხვავდება მათგან თავისი მდებარეობით და დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების მსგავსად მდებარეობს მთისწინა ზოლში – მთის გავაკებულ ფერდობზე, ზღვის დონიდან ოდნავ უფრო მაღლა, ვიდრე შულავერის ჯგუფის ძეგლები და არ გამოირჩევა მიწის ზედაპირზე, მაშინ როდესაც შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლები მდებარეობენ ველზე ხელოვნური ბორცვების სახით [1, გვ. 27]. ერთ მიკრორაიონში ძეგლების ასეთი განსხვავებული ტოპოგრაფია მისი განსხვავებული კულტურის მატარებლობის მაჩვენებელი უნდა იყოს. შულავერის წრის ძეგლებისაგან სიონის ნამოსახლარს განასხვავებს აგრეთვე საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი. პირველზე ალიზის წრიულ-გუმბათიანი მცირე ზომის შენობებია დადასტურებული, მეორეზე კი ქვის საძირკვლებზე დაფუძნებული დიდი ზომის ნახევრად მიწურები. ესეც აშკარა განმასხვავებელი ნიშანია სიონის ნამოსახლარისა შულავერის კულტურისაგან [1, გვ. 27].

სიონის ნამოსახლარს, დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების მსგავსად, არ ახასიათებს სქელი კულტურული ფენები, მაშინ როდესაც შულავერის კულტურის ნამოსახლარები სქელი ფენებით ხასიათდება.

დიდ მსგავსებას, შეიძლება ითქვას, იდენტურობასაც იჩენს სიონის ნამოსახლარის ძირითადი კერამიკა დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ თიხის ჭურჭელთან (ანასეული II, ოდიში, გურიანთა) [2, ტაბ. XVIII-XXII; ტაბ. XXXV-XXXVI; ტაბ. XLI]. სიონის პირდაჭდეული და ტალღისებურბაკიანი ნაკეთობების პირის ნაწილები თავისი ვარიაციებით, საოცარ მსგავსებას იჩენენ დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კერამიკის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანთან – პირდაჭდეულ და ტალღისებურპირიან ფრაგმენტებთან. ამას ყველაზე უკეთ ილუსტრაციები ასახავენ (ტაბ. I-II). აღსანიშნავია აგრეთვე სიონის კერამიკაში დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური თიხის ნაკეთობების მსგავსი არაორგანული მინარევები. სიონის ჭურჭლის ძირების უმეტესობა (ორის გარდა) ოდიშისა და ანასეული II-ის მსგავსად ბრტყელიძირაა, კედლებზე ქუსლიანი გადასვლით, ზოგჯერ კი ბლაგვკუთხა გადასვლით. სიონის ნამოსახლარის კერამიკა ახლოსაა დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ თიხის ნაწარმთან გამოწვით, სტრუქტურით და ნაწილობრივ ფორმებით. კიდევ უფრო დიდ სიახლოვეს იჩენს სიონის ქვის ინდუსტრია დასავ-

ლეთის გვიანნეოლითურ ქვის კომპლექსებთან. ორივე რეგიონში იარაღების უმეტესობა ლამელებზე მზადდებოდა. სიონში, ოდიშისა და ანასეული II-ის მსგავსად, ცნობილია სერიები თავირბ და თავსწორრეტუშიანი და აგრეთვე თავ და გვერდამოდარული ლამელებისა. გაცივებას იწვევს საჭრისების სიმრავლე სიონის ნამოსახლარზე, რაც დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ქვის ინდუსტრიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამ თავისებურებებით დასავლეთ საქართველოს ნეოლითი განსხვავდება მეზობელი (ჩრდილოეთი და სამხრეთი) რეგიონების სინქრონული ძეგლებისაგან. ორივეგან საჭრისები ძირითადად ლამელებზე მზადდებოდა. იდენტურია თვით საჭრისთა ტიპებიც (კუთხის, ირიბი, სწორი, თავრეტუშიანი). ახლო ანალოგებს პოულობს ოვალურპირიანი კიდურა საფხეკთა ჯგუფები. სიონის კომპლექსში საგანგებოაა გამოყოფილი ერთი მიკროლითური თავბოლოგადამტვრეული ბლაგვზურგა ლამელა (ტაბ. III<sub>3</sub>). ამ იარაღების ანალოგები გვხვდება დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ნეოლითურ კოლექციაში (ანასეული I, II, ოდიში, კისტრიკი) [2, ტაბ. IV; 6, ტაბ. VII, ტაბ. XLII]. ეს იარაღი ტიპურია გვიანი ზედაპალეოლით-მეზოლითისთვის და, როგორც დასავლეთ საქართველოს ნეოლითში, ისე სიონის ნამოსახლარზე წარმოდგენილია გადმონაშთის სახით. „ნისკარტიანი“ იარაღი, რომელსაც თ. კიდურაძე „მეტად თავისებურს“ უწოდებს, გვხვდება დასავლეთ საქართველოს როგორც ადრენეოლითური, ისე გვიანნეოლითური ძეგლების ქვის კომპლექსებში (ანასეული I, II, ოდიში, კისტრიკი) [2, ტაბ. IV].

ხელსაფქვაკვების არარსებობა სიონში უნდა აიხსნას ამ პერიოდში მათი საერთო სიმცირით. აღნიშნული სახის იარაღების ფართო გავრცელება მოგვიანებით იწყება. ანასეულ I და II-ში ხელსაფქვაკვები არ არის, თუმცა ამ ძეგლების ტრასოლოგიური შესწავლის შედეგად დადასტურებულია სამკელი დანების ჩასართები [6]. ანასეულისაგან განსხვავებით ოდიშისა და გურიანთაში კი იყო თითო-ორი ხელსაფქვაკვის ქვა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ განვითარების ამ საფეხურზე, მიუხედავად მწარმოებლური მეურნეობის უკვე ჩასახვისა, ჯერ კიდევ არ იყო ამ იარაღების სიჭარბე და არც ერთდროულად ჩნდებოდნენ ისინი.

სიონის ქვის ინდუსტრიის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისას ყურადღებას იქცევს ამ მასალის სიახლოვე საქართველოს მეზოლითური და ნეოლითური კულტურის ქვის ნაწარმთან. მაშინ როდესაც შულავერ-შემუთეფეს ნამოსახლარები არ ავლენენ პირდაპირ კავშირს ამ კულტურის ძეგლებთან. სიონის ქვის მასალის კავშირი გვიანნეოლითთან უფრო მკაფიოდ გამოჩნდებოდა, რომ კოლექციის პუბლიკაციიდან არ გამოთიშულიყო ის გეომეტრიული მიკრო-

ლითები, რომლებიც აღმოჩენილი იყო სიონის ნამოსახლარის გათხრისას.

ამრიგად, სიონის ნამოსახლარის კომპლექსს დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითთან აახლოვებს არა მარტო კერამიკის ორნამენტი, როგორც ფიქრობს პუბლიკაციის ავტორი [1, გვ. 27], არამედ ქვის ინდუსტრიაც. სიონის ნამოსახლარის ძირითადი კომპლექსის (მასში არის მოგვიანო ელემენტებიც) ქვის ინდუსტრია და კერამიკა თავისი სტადიალური ნიშნებით ნეოლითის ჩარჩოში თავსდება. ამ დასკვნას ვერცვლის თუნდაც მისი მთავარი და დამახასიათებელი კომპონენტების – გეომეტრიული მიკროლითების სრული უგულვებლყოფა. მათ გარეშეც იგი ფინალური გვიანნეოლითური ეტაპის ძეგლია.

სიონის ნამოსახლარის დათარიღების საკითხი მის გამთხრელს რთულად მიაჩნია, თუმცა როგორც თვითონ ამ შემთხვევაში მართებულად აღნიშნავს, ფორმალურ-ტიპოლოგიური ნიშნებით ეს ნამოსახლარი გვიანნეოლითს უნდა ეკუთვნოდეს. მისი ეს დასკვნა სავსებით სწორია, ამით რომ მთავრდებოდეს. მაგრამ იგი რატომღაც ხელოვნურად ართულებს ამ საკითხს და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექციაში არსებულ ერთადერთ, „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართს, რომელზეც დაყრდნობითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვლის, რომ სიონის ნამოსახლარი შულავერ-შომუთეფეს კულტურის III და უფრო მოგვიანო საფეხურების თანადროულია, მაშინ, როდესაც ისეთი დამათარიღებელი ელემენტები, როგორცაა გეომეტრიული მიკროლითები მხედველობაში არ არის მიღებული. ერთადერთ ჩასართზე ისეთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა, როგორც თარიღია, მართებულად არ მიგვაჩნია. მითუმეტეს, რომ მის პოვნას ამ ძეგლში სხვა ანგარიშგასაწევი მიზეზებიც ახლავს; კერძოდ, თ. კიდურაძე თავის ნაშრომში გარკვევით აღნიშნავს: „ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენა მთელ გათხრილ ფართობზე იყო გავრცელებული. სამწუხაროდ, ეს ფენა ძლიერაა დაზიანებული მოგვიანო ხანის სამარხებით – გათხრილ ფართობზე მდებარეობდა შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანის 10 სამარხი. ამას ემატება ფეოდალური ხანის აქტიური მოქმედების კვალი და სულ უკანასკნელ ხანებში ამ ტერიტორიაზე ფარეხებისა და სალორეების მშენებლობა და ამასთანავე ხუდისწყლის დამანგრეველი მოქმედება“ [1, გვ. 11].

მარტო ეს მონაცემებიც საკმარისია, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ძეგლის დათარიღებისას იმ ერთ ნამგლის ჩასართზე დაყრდნობა. სტრატეგრაფიული სურათის ნათლად წარმოსადგენად ჩვენ გვაქვს აგრეთვე ძეგლის გამთხრელის სხვა მონაცემებიც, კერძოდ: იმ ნაგებობის დიდი ნაწილი, რომელშიც აღმოჩენილი იყო ხსენებული ნამგლის ჩასართი, ერთი სექტორის გარდა მთლიანად გადარეცხილი იყო მდინარის მი-

ერ. დასავლეთის კედელი საერთოდ მოხსნილი იყო. ამ ნაგებობაში იატაკის დონე დაფიქსირებულია 1,50 მ სიღრმეზე, სადაც შესასვლელის ღიობი იყო შერჩენილი. ნაგებობის ცენტრში კი 1,9 მ სიღრმეზე გამოჩენილა წრიული ორმო, რომლის ძირი 2,30 მ სიღრმემდე ჩადიოდა. მასში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის თავის ქალა და ფრაგმენტირებული ჭურჭლის ნახევარი. ორმო ქვებით იყო ამოვსებული. ორმოს თარიღის შესახებ ნაშრომში არაფერია ნათქვამი. ამავე ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი, რომლის ძირი 1,9 მ სიღრმეზე მდებარეობდა, ე.ი. ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის დონის საკმაოდ ქვემოთ. აღნიშნულ ვითარებაში სრულიად შესაძლებელი იყო გვიანდელი ნივთი, რომელზედაც დათარიღებისას გაკეთდა აქცენტი, ადრეულ ფენაში მოხვედრილიყო.

თ. კალურაძე აღნიშნავს, რომ „ფარეხებზე“ ძნელი სამუშაო გრუნტია – ნიადაგი ღორღნარევი და ბრეჭიისებურ მონოლითურ მასადაა შეკრული [1, გვ. 9]. საერთოდ ცნობილია და მისი მაგალითებიც გვაქვს, რომ გაბრეჭიებული ფენის თხრა ხშირად იწვევდა მასალის ადრეკას.

საყურადღებოა, რომ სიონის კოლექციაში აღნიშნული ნამგლის ჩასართის გარდა კიდევ ოთხი ჩასართია საკმაოდ მარტივი ფორმის, სრულიად განსხვავებული „შომუთეფეს ტიპისაგან“ (ერთი მათგანი ჩამოყალიბებულია არგილიტის ლამელზე, მეორე არგილიტის დაუმუშავებელ და ურეტუშო ანატაკცზე, მესამე – კაჟის კაჭრისკანიან ე.ი. გაუთლელ ანატაკცზე და მეოთხე – კაჟის ლამელზე). არც ერთი მათგანი „შომუთეფეს ტიპისა“ არ არის. ტაბულაზე მოცემულია მხოლოდ პირველი ჩასართი (ტაბ. III<sub>30</sub>), დანარჩენი კი რატომღაც არ არის ილუსტრირებული. როგორც ვხედავთ, ნამგლის ჩასართების სტანდარტული ფორმა ჯერ არ არის შემუშავებული, რაც ამ ძეგლის სხვა ნიშნებთან ერთად ადრეულობის მაჩვენებელია. სიონის ნამოსახლარისთვის ტიპური რომ ყოფილიყო ეს ჩასართი, მაშინ დანარჩენებიც ამ ფორმის იქნებოდა. ამ იარაღებში ჩანს ფორმათა ძიება, რადგან მათ დიდი ხნის ტრადიცია არ გააჩნია. სამკელი დანების ჩასართები პირველად ნეოლითში ჩნდება. ეს ფაქტიც კარგად მეტყველებს, რომ „შომუთეფეს ტიპის“ ნამგლის ჩასართი კოლექციაში უცხო სხეულია.

ამრიგად, მოტანილი მონაცემებიდან აშკარაა, რომ ამ ნაგებობაში უძრავ ფენაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა. შომუთეფეს ნამგლის ჩასართთან ერთად თავისუფლად შეიძლება მოხვედრილიყო ამ ფენაში ნაფოტითა თუ სავარცხლისებური ნივთით დატანილი „უსისტემო ზოლებიანი“ კერამიკული ფრაგმენტები.

ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, დათარიღებისას ორიენტაცია აღებულიყო ნეოლითის იმ სტადიალურ ნიშნებზე, რომლებიც მკაფიოდ ჩანს კერამიკასა და ქვის ინდუსტრიაში.

სიონის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკის ერთი ჯგუფის – თხელკედლიანი, მოყვითალო-მოვარდისფრო, წერნაქიანი, ზედაპირ და შიდაპირ კარგად ნაპრიალები, უორნამენტო, პირმოყრილი ქილების ფრაგმენტების შესახებ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ისინი ახლოს დგანან იმირის გორის ზედა ფენებისა და ხრამის დიდი გორის ანალოგიურ ნაწარმთან და შესაძლოა შულავერ-შომუთეფეს კულტურის რომელიმე უგვიანესი ნასახლარიდან იყოს მოხვედრილი [1, გვ. 28]. რა თქმა უნდა, ეს საკვებით შესაძლებელი იყო, თუ გავითვალისწინებთ ძეგლზე არსებულ სტრატეგრაფიულ ვითარებას, მაგრამ ავტორს ისინი ძეგლის გვიანდელობის მაჩვენებლად მიაჩნია. საერთოდ კი ამ კერამიკის შესახებ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი ცნობილი ე.წ. იმპორტული კერამიკაა, რომელსაც ფართო გავრცელება აქვს, როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში. დაწყებული სამხრეთ საქართველოს ყანობილის (აბასთუმანი) ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარიდან, იგი გვხვდება წოფში, წოფის წრისა და დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ნამოსახლარებზე. ასევე იგი გვხვდება შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებში. გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ჯერ კარგად არ არის დადგენილი. არც ისაა გამოირიცხული, რომ სიონის ნამოსახლარზე ამ კერამიკის პოვნა მისი შემოტანის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს გვიჩვენებდეს.

ფაქტობრივი მასალა ცხადყოფს, რომ სიონის ნამოსახლარის ტერიტორია გვიანეოლითის ხანიდან მოყოლებული ენეოლითის ეპოქის სხვადასხვა და უფრო გვიანდელ საფეხურებზე განსხვავებული კულტურების მოქმედების ასპარეზი ყოფილა. ამიტომ სიონის ძირითადი კომპლექსის დათარიღებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მოგვიანო, კომპლექსისათვის ატიპურ ნივთს, არამედ საკმაოდ მკაფიოდ და რელიეფურად კერამიკაში და ქვის ინდუსტრიაში წარმოდგენილ გვიანი ნეოლითის მთელ რიგ სტადიალურ ნიშნებს.

ჭურჭლის პირის დაჭდევა და ბაკოს ტეხილ-ხაზოვნება სხვა კულტურებშიც ნეოლითური ეპოქის მახასიათებლად ითვლება. ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიის ზეგანზე (ზღვის დონიდან 855 მ) მდებარე ნასახლარის – დემირჩი ჰუიუკის ქვედა პორიზონტის ალიზის კედლებში ჩატანებული წინარე პერიოდის პირდაჭდეული და ტალღისებურპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები მისი გამთხრელის მ. კორფმანის მიერ ნეოლითურადაა მიჩნეული [9].

აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითის შემდგომი პერიოდის ძეგლებში ისინი ისევე არსებობენ გადმონაშთის სახით, როგორც ამას ადგილი აქვს დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ძეგლებში.

საქართველოს ნეოლითური ძეგლებისა და სიონის ნამოსახლარის კომპლექსების ურთი-



ერთშედეგად საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიონის ნამოსახლარის სახით გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს ფინალური გვიანნეოლითური ხანის ძეგლი, რომელსაც ძირითადად იგივე სტადიალური ნიშნები ახასიათებს, რაც დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითოს. ამ ნამოსახლარების კერამიკისა და ქვის ინდუსტრიების დიდი მსგავსება შეიძლება აიხსნას მხოლოდ კულტურული და ქრონოლოგიური სიახლოვით.

სიონის ნამოსახლარის დამახასიათებელი ნიშნები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე მიკრორაიონის შულავერის წრის ძეგლების მახასიათებლებისაგან, ამასთანავე მათი დიდი სიახლოვე დასავლეთ საქართველოს ნეოლითთან და სიონის ტიპის ენეოლითურ ძეგლებთან საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ აღმოსავლეთ საქართველოში შულავერის კულტურისაგან განსხვავებული ნეოლითური კულტურის არსებობა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს სიონის ტიპის ენეოლითური ხანის ძეგლებს არაგვის ხეობასა [3] და იორ-ალაზნის ველზე [4], მათში მყარადაა შემონახული გვიანნეოლითური ტრადიციები (პირდაჭდეული და ტალღისებურბაკოიანი ნაკეთობები), რომლებმაც სხვადასხვა ინტენსივობით შემოინახეს თავი ენეოლითის ეპოქაში და მკაფიოდ გვიჩვენებენ მათ შორის მემკვიდრეობითობას. რაც უფრო მეტადაა ენეოლითური ძეგლი ქრონოლოგიურად დაშორებული გვიანი ნეოლითის საფეხურს, მით უფრო კლებულობს ნეოლითთან კავშირის მაჩვენებელი ნიშნები. ზოგჯერ გვაქვს ამ ნიშნების ტრანსფორმაციაც. ამ ძეგლებში კარგად ჩანს ეპოქისათვის დამახასიათებელი ელემენტების გაჩენა. როგორც აღვნიშნეთ, ჩნდება მანამდე უცნობი კერამიკული ფორმები – ტაფისებური და გობისებური ნაკეთობები, მათზე ჰორიზონტალურად გარს შემოვლებული გამჭოლი ნასვრეტები, ჩნდება „ბიბილოსებურბაკოიანი“ ჭურჭელი, ყურების იმიტაციები – შვერილები პირთან ან მის ქვემოთ ყელზე. ამ კულტურის მოგვიანო ეტაპის ძეგლებში ჩნდება ოვალურხვრელიანი ყურები. ეს ახალი ელემენტები გვხვდება, როგორც ამიერ-ისე იმიერკავკასიურ და აღმოსავლეთ ანატოლიის ენეოლითურ კერამიკაზე.

სამეცნიერო არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომლის ძეგლსაც სიონის ნამოსახლარი წარმოადგენს, გავრცელდა დასავლეთ საქართველოდან, რომლის ერთი ნაწილი მოეფინა შიდა ქართლს, დანარჩენი კი განივრცო აღმოსავლეთისაკენ – ქვემო ქართლისაკენ და მიადწია ალაზნის ველს. ამის საბუთად მიჩნეულია სიონის ტიპის ძეგლების სიახლოვე რიონ-ყვირილას აუზის მღვიმეთა ნამოსახლარებთან [5, გვ. 349].

მეორე მოსაზრების თანახმად კი, მტკვარარეზის კულტურის მატარებელ ტომთა გამო-

ჩენამდე აღმოსავლეთ ამიერკავკასია დასახლებული იყო დასავლურ ქართული ტომების მიერ [8, გვ. 25].

ჩვენი აზრით, დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში განფენილი იყო ერთიანი, ადგილობრივ მეზოლითთან გენეტიკურ კავშირში მყოფი გვიანნეოლითური კულტურა. სიონის წრის ენეოლითური ნამოსახლარები (არაგვის ხეობა, ალაზნის ველი) წარმოადგენენ სიონის კულტურის შემდგომ განვითარებას და გენეტიკურად უკავშირდებიან მას. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი სიონის გვიანნეოლითის ფინალური ეტაპის ნამოსახლარისა და მასთან მემკვიდრეობით კავშირში მყოფი სიონის ტიპის ენეოლითური მოსახლეობა უნდა მივიჩნიოთ არა დასავლეთ საქართველოდან ინფილტრირებულ ტომებად, არამედ დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში მოსახლე წინაქართველურ თუ ქართველურ ტომებად, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთკონტაქტები ჰქონდა მეზობელ კულტურებთან, რისი ნაკვალევი ჩანს კიდევ ამ კომპლექსებში. სიონის ტიპის ენეოლითური ძეგლების სიახლოვე მკაფიოდ ჩანს დასავლეთ საქართველოს მღვიმურ ენეოლითთან.

სიონის ნამოსახლარის მჭიდრო კავშირი დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ ძეგლებთან თითქოს ასაბუთებს ბ-ნ ო. ჯაფარიძის ვარაუდს, რომ ნეოლითის მანძილზე დასავლეთი და ცენტრალური ამიერკავკასია კულტურულად ერთიანი იყო, რომ ამ პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე იყო ენობრივი და ეთნიკური ერთობა [5, გვ. 385-386]. მართებულად გვეჩვენება მისივე მოსაზრება, რომ იგი სიონის ტიპის ძეგლებში განიხილავს არაგვის ხეობის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებს, რადგან ისინი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ სიონის, იორ-ალაზნისა და დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ნამოსახლარების მასალებთან [5, გვ. 348].

სიონის ტიპის ენეოლითური ძეგლების დეტალური შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი გარკვევს ამ ძეგლების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას ენეოლითის ზოგად ქრონოლოგიურ ჩარჩოში. სადღეისოდ უკვე იხაზება ამ კულტურის ლოკალური ვარიანტები – არაგვის ხეობისა და იორ-ალაზნის აუზის ძეგლების სახით. რაც შეეხება წოფის ნამოსახლარს, სადღეისოდ ცნობილი მასალების მიხედვით იგი სიონის ტიპის ენეოლითური ძეგლების ქრონოლოგიურ ჯაჭვში მოგვიანო რგოლად გვევლინება.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში ენეოლითის ხანაში სადღეისოდ ეჭვსგარეშე ფიქსირდება ორი ენეოლითური კულტურა: 1. შულავერ-შომუთეფესი და 2. სიონის ტიპის ძეგლების კულტურა, რომლის ეპონიმური ძეგლია სიონის ნამოსახლარი და მასთან მემკვიდრეობით კავშირში მყოფი შიდა ქართლისა (არაგვის ხეობა) და კახეთის (იორ-ალაზნის აუზი) ენეოლითური კულტურის სხვადასხვა ეტაპის ძეგლები.

შესაძლოა გამართლდეს თ. კილურადის ვარაუდი მტკვარ-არეზული კერამიკის საწყისების სიონის ტიპის ძეგლებში მიკვლევის შესახებ [1, გვ. 28]. ამას შემდგომი კვლევა და ახალი მასალები გამოაჩენს.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შესაძლოა დაისვას კითხვა: აქამდე რატომ ვერ მივაკვლიეთ სიონისმაგვარ ძეგლებს? ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოში ნეოლითური ძეგლების ტოპოგრაფიის უცოდინარობა. როგორც ცნობილია, სიონის ნამოსახლარი საკმაოდ დიდ სიღრმეზე შემთხვევით აღმოჩნდა შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხების გათხრისას. ამასთანავე ნეოლითური ნამოსახლარები ამგვარ ტოპოგრაფიაში არავის უძებნია, მითუმეტეს, რომ ისინი მიწის ზედაპირზე არაფრით გამოირჩევა.

ნაშრომის დასასრულს საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მიკროლითებთან დაკავშირებულ ფაქტზე ჩვენ მაშინვე მოვახდინეთ რეაგირება, მაგრამ დაბეჭდვისაგან თავი შევიკავეთ იმ იმედით, რომ შეცდომა გასწორდებოდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, სიონის ნამოსახლარის არასწორმა თარიღმა არქეოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ მოიკიდა ფეხი და, რაც მთავარია, მასთან კულტურულად და ქრონოლოგიურად ახლო მდგომი ძეგლების თარიღზეც მოახდინა გავლენა. ამის გამო აუცილებლად მივიჩნით წინამდებარე სტატიის დაბეჭდვა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ სიონის ნამოსახლარის შემდგომი, თუნდაც საკონტროლო შესწავლა გამოავლენს სიონის სრულყოფილ კომპლექსს და ახალი ფაქტობრივი მასალებით გამაგრებს მის რეალურ თარიღს.

## L. Nebieridze

### SIONI SETTLEMENT - A SITE OF THE LATE NEOLITHIC CULTURE OF EASTERN GEORGIA

(Summary)

More than two decades have passed since a much damaged cultural layer of the Early Husbandry Culture settlement had been discovered during the excavations of the Late Bronze necropolis and burial of the Middle Bronze Age at the place Parekhebi of the village of Sioni (Marneuli district) in Eastern Georgia.

The monument was attributed to the third and the latest stage of the Shulaveri-Shomutepe Culture, i. e. it was dated to the end of the 5<sup>th</sup> – first half of the 4<sup>th</sup> millennia B.C.

The main archaeological complex comprised pottery similar to the “Odishi-type” earthenware belonging to the Late Neolithic Western Georgian Culture, and stone tools revealing close affinities with the cited culture. The principal elements of the stone industry are numerous microliths in geometric shapes - trapezia, segments and high trapezia with a chipped back.

Unfortunately, for unknown reasons, these objects were not published along with the main complex. The recording of the imperfect archaeological monument in the special references, has caused erroneous dating of the whole complex, as well as the other monuments akin to the later, both, chronologically and culturally. As a result, the Sioni complex was defined as a monument of a comparably later period. On the grounds of additional relative-typological analysis, with involvement of the missing elements, new dating is suggested and consequently, the cited archaeological monument is attributed to the final stage of the Late Bronze Age Culture of Eastern Georgia.

## ლიტერატურა

1. მენაბდე მ., კილურაძე თ. სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1981.
2. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1967.
3. ჩიქოვანი გ. შიდა ქართლი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი. თბ., 1999.
4. Варашвили В. В. Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тб., 1992.
5. Джапаридзе О. М. На заре этно-культурной истории Кавказа. Тб., 1989.
7. Небиеридзе Л. Д. Неолит Западного Закавказья. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1967.
8. Цвинария И. В. Культура племен энеолита и ранней бронзы Абхазии. Автореферат канд. диссертации. Тб., 1982.
9. Korfmann M. Demircihüyük. Die Ergebnisse der Ausgrabungen 1975-1978, B. I. Rhein, 1983.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – სიონის ნამოსახლარის კერამიკა.

ტაბ. II – დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური კერამიკა: 1-9. ანასეული II, 10-15. ოდიში, 16-19. გურიანთა


ტაბ. III – სიონის ნამოსახლარის ქვის მასალა.


## Description of the plates


Pl. I. – Pottery from Sioni settlement.

Pl. II. – Late Bronze Age pottery from Western Georgia: 1-9. Anaseuli; 10-15. Odishi; 16-19 Gurianta.

Pl. III. – Stone inventory from Sioni settlement.







კოლხური კულტურის საწარმო-ნამოსახლარების დათარიღებისათვის

საწარმო-ნამოსახლარები, რომელთა ძირითადი თავისებურება ინტენსიური და მრავალდარგიანი ხელოსნური წარმოებაა, კოლხეთში პირველად ძვ.წ. XI საუკუნეში იწყებენ გამოჩენას და ძვ. VI საუკუნის დასაწყისამდე განავრცობენ არსებობას. ხელოსნობის სხვადასხვა დარგები აქ ორიენტირებულია არა მარტო შიდა მოხმარების, არამედ გარეთ გასატანი და, შესაბამისად, გასაცვლელ-გასაყიდი საქონლის წარმოებაზე [45, გვ. 232]. თავიანთი მასშტაბებითა და ხელოსნური წარმოების მრავალპროფილიანობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ოჩხომურისა და „ნაწიქვილარის“ საწარმო-ნამოსახლარები. ამ სტატიაში მოკლედ სწორედ ამ ორ ძეგლს წარმოვადგენთ და განვიხილავთ მათი დათარიღების საკითხს. შევნიშნავთ, რომ ორივე საწარმო-ნამოსახლარი გაშლილი, ღია ტიპის ძეგლებია და მდინარეების სიახლოვეს არიან განლაგებული. მათ ერთ ჰექტარზე ოდნავ მეტი ფართობი უკავიათ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> აღრეკინისა (ძვ.წ. XII-IX სს.) და რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.) კოლხეთის დაბლობსა და მთისწინეთში არსებული ნამოსახლარების დიდი ნაწილი წარმოადგენს დაბური ტიპის მსხვილ, კომპაქტურ დასახლებებს. ამგვარი დასახლებების საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ ფიჩორის ნამოსახლარ ბორცვთა კომპლექსი, ნამჭედური III და მის გარშემო, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში I კმ-ის რადიუსში განფენილი თანადროული ნამოსახლარები და ნამარნუს ნამოსახლარ ბორცვთა კომპლექსი. ეს დასახლებები გარკვეული აზრით, საწარმო-ნამოსახლარებადც უნდა მივიჩნიოთ, რადგანდაც მათზე, სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზეც კი, შესაძლებელია მეტალურგიული და სახელოსნო უბნების ცალკე გამოყოფა. ფიჩორის ძვ.წ. IX-III სს. დასახლებების მასშტაბურობა, ბორცვების ტოპოგრაფია და მათი ხელოვნური არხებით გამაგრება უნდა მიუთითებდეს აქ ურბანისტული ტიპის დასახლებაზე, რომელსაც მაღალგანვითარებული კერამიკული და ლითონდამამუშავებელი წარმოება და დაწინაურებული მიწათმოქმედება ახასიათებდა [5, გვ. 4; 37, გვ. 46]. ხელოსნური წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა № 4 ბორცვის მეორე დონე, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბრინჯაოს მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები და ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთები [39, გვ. 46]. გარდა დიდი დასახლებებისა მეტალურგიული წარმოების ნაშთები მიკვლეულია აღრეკინის ხანის შედარებით პატარა ნამოსახლარებზეც. ასეთთა რიგს განეკუთვნებიან, მაგალითად, ჭალადიდის საბაჟოს მეორე უბანი ცენტრალურ კოლხეთში [14, გვ. 37] და კისტრიკის ნამოსახლარის ზედა ფენა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში

ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარი მდებარეობს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ოჩხომურში, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა ტერასაზე, მდ. ხობისა და ოჩხომურის შესართავიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით. ეს ტერასა მდინარის ნაპირიდან დაახლოებით 100 მეტრითაა დაშორებული. მისი სიმაღლე მდინარის დონესთან შედარებით 30 მეტრია, ზღვის დონიდან კი – 110 მეტრი. ტერასის ზედაპირი, რომელზედაც ნამოსახლარია განლაგებული, სწორ, ვაკე ადგილს წარმოადგენს.

1983 წლის მაისში სოფელ ოჩხომურის მცხოვრებმა დარიკო ხორავამ მდ. ოჩხომურის ზემოთ ხსენებულ მარჯვენა ტერასაზე შემთხვევით იპოვა გვიანბრინჯაო-აღრეკინის ხანის კოლხურ ბრინჯაოს ნაკეთობათა განძი. განძის ზედა დონე მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 0,7 მ სიღრმეზე. განძის ამოთხრისას დ. ხორავამ დაადგინა, რომ განძი ჩაფულული ყოფილა 1,2 მ სიღრმემდე.<sup>2</sup> იყო თუ არა

[43, გვ. 38-46, 56-72, ტაბ. II-XXV]. ჭალადიდის საბაჟოს მეორე უბანზე ჯერჯერობით გამოვლენილია სახელოსნო ინვენტარის ორი ნიმუში: მეტალურგიული ქურის თიხის საბერველი მილის ფრაგმენტი [14, ტაბ. X, ფ. 63-181] და მოყვითალო ფერის ქვისაგან დამზადებული ცულის ყალიბი [14, ტაბ. X, ფ. 63-182]. კისტრიკის ნამოსახლარის ზედა ფენაში მეოთხე და მეხუთე ნაგებობების შიგნით თითო-თითო სახელოსნო ფართობია დადასტურებული [43, ტაბ. VII-VIII]. მეხუთე ნაგებობაში დადასტურებული სახელოსნო ფართობი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ქვის იარაღების დასამზადებლად [43, გვ. 43]. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთ ჩამოთვლილ ნამოსახლარზე არ გვხვდება მძივეების საწარმო-სახელოსნობები. ამ მხრივ ოჩხომურისა და ნაწიქვილარის საწარმო-ნამოსახლარები კოლხეთში ჯერჯერობით უნიკალური ძეგლებია. საფიქრებელია, რომ ამგვარი პროდუქციის საწარმოები კოლხეთში სხვა ადგილებშიც არსებობდნენ. ამაზე უნდა მიუთითებდეს, მაგალითად, მძივის სახენ-საპრიალებელი ქვის, ქალცედონისა და სარდიონის ანამტრევ-ანატ-კეცების აღმოჩენა ნოქალაქევის ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში [35, გვ. 47]. მომავალი კვლევა-ძიება ამ საკითხში მეტ სიცხადეს შეიტანს. ამჯერად კი, ამ ინფორმაციისათვის დიდ მადლობას მოვასხენებთ ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლებს დ. ლომიჭაშვილსა და ბ. ლორთქიფანიძეს.

<sup>2</sup> იმის შესახებ, თუ რა სიღრმეზე იყო განძი მოთავსებული, დ. ხორავამ ერთმანეთისაგან განსხვავებული მონაცემები მოგვცაწოდა [შდრ.: 4, გვ. 63; 35, გვ. 84]. დაწვრილებითი გამოკვლევის შედეგად საბოლოოდ დადგინდა ზემოთ მითითებული სიღრმეები.

განძი რაიმე ჭურჭელში დაცული, გაურკვეველია. განძის აღმოჩენის ადგილზე ყვარა სხვადასხვა ჭურჭლების ნატეხები. საინტერესოა, რომ განძი ფენებად ყოფილა ჩალაგებული: სულ ზევით ცულები ყოფილა მოთავსებული, ქვემოთ შუბისპირები, შემდეგ თოხები, მათ ქვემოთ სეგმენტისებრი იარაღები და სულ ბოლოს ზოდები. განძის დიდი ნაწილი ამჟამად ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული (კოლექც. 1-141), ხუთი ნივთი ინახება ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ოჩხომურის რვაწლიან სკოლაში, ერთი სეგმენტისებრი იარაღი – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ოჩხ. 69-84).

განძის აღმოჩენის ადგილზე 1984 წელს გათხრები დაიწყო ზემოთ ხსენებული მუზეუმის ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ე. გოგაძე, რაზმის უფროსი – ჯ. აფაქიძე, მასალების დამუშავება – ც. დავლიანიძე). არქეოლოგიური სამუშაოები გაგრძელდა 1988 წლამდე. მთლიანობაში გათხრილია დაახლოებით 500 მ<sup>2</sup>. ძეგლზე დადებული იქნა 5 დიდი თხრილი და 25 შურფი, რის შედეგადაც გაირკვა მისი ხასიათი და დადგინდა სტრატეგრაფია. საწარმო-ნამოსახლარი ერთფენიანი ძეგლია. მოშავო-მოყავისფრო კულტურული ფენის სისქე 0,5-0,55 მეტრია. დაახლოებით 0,85-0,90 მ სიღრმეზე იწყება ყვითელი თიხნარი გრუნტი. შევნიშნავთ, რომ ძეგლის სპეციფიკა მოითხოვდა ძალზე ფრთხილ და ნელი ტემპით გათხრებს, რადგანაც მასზე ხელოსნობის სხვა დარგებთან ერთად ასევე დადასტურდა ფერადი ქვის მძივების საწარმო-სახელოსნობებიც.

გათხრების შედეგად აღმოჩენილია დიდი რაოდენობის მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. საწარმო-ნამოსახლარის კულტურული ფენა გადატვირთულია ბათქაშით, ნახშირით, ქვის სხვადასხვა ხელსაწყო იარაღებით, მძივების დასამზადებელი მინერალური მასალის (ქალცედონი, აქატი, იასპი, კვარცი) კაჭრებითა და ნატეხებით, დიდი რაოდენობის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებით, კაჟის ანამტკრევებითა და ანატკეცებით. კულტურული ფენა ასევე შეიცავდა ბრინჯაოს მდნობელის განძს (1983 წლის აღმოჩენა), ბრინჯაოს ზოდებს, ნაღვენთებსა და წიდეებს, რკინის გუნდებს, ნაღვენთებსა და წიდეებს. როგორც ჩანს, საწარმო-ნამოსახლარზე მჯდარი მოსახლეობა მისდევდა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიულ წარმოებას. აქვე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღებიც: ქვის ხელსაფქვაკები, გრდემლები, სანაყები, კაჟის ნამგლის ჩასართები და სხვ.

ცალკეა აღსანიშნავი ნამოსახლარზე დადასტურებული ნახევრადმკვირფასი ქვების მძივების საწარმო-სახელოსნობები. გათხრებმა გვიჩვენეს, რომ ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარზე ამზა-

დებდნენ სარდიონის, იასპის, გიშრისა და კერამიკული მასის მძივებს და სავარაუდოდ ასევე აქატისა და მინის მძივებს. მძივებს უპირატესად მომრგვალო-მობრტყელო ფორმა აქვთ. კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი სამძივე მინერალური მასალა ანუ დამუშავებული ქვები, ასევე მძივების ნახევარფაბრიკატები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში *in situ* აღმოჩნდა. ამას გარდა აღმოჩნდა მძივების დასამუშავებელი სპეციალური იარაღ-ხელსაწყოები, კერძოდ, მძივების სახეხ-საპრიალებელი ღარიანი ქვები, მძივების ჩასამაგრებელი სპეციალური ჩაღრმავებების მქონე ქვები, მძივების სახვრეტი ბრინჯაოს წვეტიანი და წვრილი ნივთები. გახვრეტის დროს ბევრი მძივი ტყდებოდა ან იბზარებოდა. ამიტომაცაა რომ ზოგიერთი მძივი ბოლომდე არ არის გახვრეტილი და დამუშავებული. სადღეისოდ ოჩხომურში აღმოჩენილია სარდიონის ცხრა მზა მძივი და სამი ნახევარფაბრიკატი, იასპის ანამტკრევე-ანატკეცები და სამძივედ გამზადებული ცალები, ასევე ბირთვისებრი გიშრის მძივები, რომლებიც ადგილობრივად დამზადებული. აქვეა მოპოვებული მონაცრისფრო-მოთეთრო კაჟისებრი მინერალისაგან დამზადებული სამძივე ნახევარფაბრიკატები, ასევე მინის ათი მძივი და მინის ერთი ანთროპომორფული საკიდი. 1985 წელს ე. გოგაძესა და გეოლოგ-მინერალოგ თ. ძეგლიაშვილთან ერთად მოვახდინეთ მდ. ოჩხომურისა და მისი შენაკადების დიჭყეს, ჭოლაწყარისა და ბუმეს სანაპიროების დაზვერვა. ყველა მათგანი რეცხავს კვარციტ, აქატიტ, ქალცედონითა და იასპით მდიდარ კონგლომერატებს [12, გვ. 87, 92-94].

გათხრების პროცესში ჩვენ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ № 1 და № 2 თხრილებში ბრინჯაოსა და რკინის სადნობი სახელოსნოები უნდა ყოფილიყვნენ გამართული. ამაზე მიუთითებენ № 1 არეალში აღმოჩენილი ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთებისა და ზოდების განძი, თიხის საქშენი მილები, რკინის წიდეები და № 2 თხრილში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ზოდები, წიდეები და ნაღვენთები. ამ უკანასკნელში აღმოჩენილი ერთად შეჯგუფებული ქვები, რომლებსაც ეტყობათ ძლიერი ცეცხლის კვალი, განლაგების მიხედვით, ჩვენი აზრით, სადნობი ქურის ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ.

თხრილებსა და შურფებში რაიმე ნაგებობის თუ ნაგებობების ნაშთები არ დადასტურებულა. სამაგიეროდ აქ დიდი რაოდენობით იჩინა თავი გადამწვარი ბათქაშების ნატეხებმა, რომელთაგან ზოგიერთზე ხის ძელებისა და წნულების ანაბეჭდები იყო შერჩენილი. ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ ხის ნაგებობები უნდა ყოფილიყო გამართული, თუმცა გათხრების პროცესში რაიმე ნაგებობის კონსტრუქციისა და ფოსოების არსებობა არ დადასტურებულა. არ

არის გამორიცხული, რომ № 2 თხრილში აღმოჩენილი ბათქაშის ნატეხებითა და ხის ნახშირით გაჯერებული ქვის გროვა, რომლის სიგრძე 4,5 მეტრია, ხოლო სიგანე 3 მ, შესაძლოა რომელიღაც ნაგებობის ნაშთს წარმოადგენდეს.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზემოთ ხსენებული განძი მოთავსებული იყო რომელიმე ნაგებობის ან სახლის იატაკის (?) ქვეშ. საკუთრივ განძის აღმოჩენის ადგილზე დიდი თხრილი იქნა დადებული (თხრილი № 1) და ეს ადგილი საფუძვლიანად გაითხარა. განძი მდებარეობდა № 1 თხრილის FF 23 კვადრატში, 0,7-1,2 მ სიღრმეზე.

განძი შედგება ბრინჯაოს 147 ნივთისაგან: I ტიპის ცხრა კოლხური ცული<sup>3</sup> (ტაბ. I<sub>1-5</sub>), I ტიპის ორი ბრტყელი ცულის ფრაგმენტი,<sup>4</sup> V ტიპის თორმეტი თოხი,<sup>5</sup> ორი ნამგალი,<sup>6</sup> სამი შუბისპირი,<sup>7</sup> მათგან ერთი ძალიან ფრაგმენტირებულია და 69 სეგმენტისებური იარაღი,<sup>8</sup> რომელთაგან 10 ისეა დაზიანებული, რომ მათი ტიპოლოგიური განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. განძში ასევე შედის სხვადასხვა ფორმისა და ზომის 50 ზოლი.

ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის მსგავსი კერამიკა ცნობილია კოლხური კულტურის სხვა

ნამოსახლარებიდანაც: ნამჭედურის ბორცვის III და ნაწილობრივ IV ფენა [55, ტაბ. 24-35, 39<sub>1, 8,14,17</sub>, 40-47, 49<sub>6-7,9-10</sub>, 50<sub>1</sub>, 51<sub>3-7</sub>, 53<sub>2,9</sub>; 70, ნახ. 8-10, 11B<sub>5-7</sub>, 11C<sub>1-2,8,9</sub>], პეტრა-ციხისძირის ნამოსახლარის მეოთხე ფენა [9, გვ. 121, 152; 30, გვ. 32], ნოხვამუს ზედა ფენა [50, გვ. 193-219, ნახ. 48<sub>1-87</sub>], ნოსირის ბორცვის IV ფენა და ტეხურისპირა ნამოსახლარის ქვედა ფენა [8, გვ. 66, ტაბ. 45; 44, გვ. 44-45, ნახ. 2<sub>1-12</sub>], ფიჩორის ცენტრალური დიხა-გუძუბას II ფენა<sup>9</sup> [33, გვ. 93, ტაბ. 1<sub>25-73</sub>, 19<sub>1-19</sub>, 20<sub>1-5,8-12</sub>; 38, ტაბ. 30,II], ტამიშის ნამოსახლარის ზედა ფენა [43, გვ. 73-104, ნახ. XXVI-XXXVII], კისტრიკი [43, გვ. 56-72, ნახ. XIV-XXV], დაბლაგომის ნამოსახლარ ნაციხვარის შუა ფენა [50, გვ. 121-127, ნახ. 31<sub>1-17,20,30</sub>, ტაბ. 36 და 40<sub>13-22</sub>] და დაბლაგომის ნამოსახლარ ნასაყდრევის IV ფენა [6, გვ. 72-78, ტაბ. 51-61]. უკანასკნელ ხანებში (1998) მ. ბარამიძემ წარმოადგინა გამოკვლევა, რომელშიაც მან ფიჩორის ცენტრალური დიხა-გუძუბას II ფენის, ფიჩორი IV, V, VIII, აბაჟუს ქვედა ფენების, წარჩეს, სოხუმის მთის, ვერეშჩაგინის ბორცვის, აბედათის დიხა-გუძუბას შემოგარენის, საგვიჩიოს მე-2 ბორცვის, ციხისძირის, ნასაყდრევის პირველი ფენის, პალურის ჟირსუკის III, ნოხვამუს ზედა ფენის, ნამჭედურის III და ნოსირის ტეხურისპირა ნამოსახლარის კერამიკული ჯგუფები ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით დაათარილა [5, გვ. 27].

ჩამოთვლილი ნამოსახლარებიდან C<sup>14</sup> თარიღები არსებობენ ფიჩორის ცენტრალური დიხა-გუძუბას II ფენიდან, ნამჭედურის ბორცვის II და III ფენებიდან და პეტრა-ციხისძირის ნამოსახლარის მეოთხე ფენიდან. კალიბრირებული თარიღების თანახმად, ფიჩორის ცენტრალური დიხა-გუძუბას II ფენა დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით, შესაბამისად ძვ.წ. XI-X ან ძვ.წ. XII-IX საუკუნეებით<sup>10</sup> [5, გვ. 4; 28, გვ. 17-18; 33, გვ. 93], ნამჭედური III დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით [55, გვ. 14-15; 70, გვ. 201], ნამჭედური IV – ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულით [33, გვ.

<sup>3</sup> ადრე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში [4, გვ. 63, ტაბ. 1,7; 35, გვ. 31, ტაბ. 26] ჩვენ ვწერდით, რომ განძში რვა კოლხური ცული შედიოდა. ხელახალი ანალიზის დროს ცხადი გახდა, რომ ცულის პირი და ზედა ნაწილი, რომლებიც ადრე ერთი ცულის ნაწილებად იყო მიჩნეული, ორი სხვადასხვა ცულის ნაწილებს წარმოადგენენ. რაკი ეს ფრაგმენტები განეკუთვნებიან არა ერთ, რამედ ორ სხვადასხვა ცულს, შეასაბამისად ცულების რაოდენობაც ერთი ერთეულით გაიზარდა. ცულების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის ვიყენებთ ლ. სახაროვას მიერ 1998 წელს შემუშავებულ კლასიფიკაციას [21, გვ. 34-42, ტაბ. IV].

<sup>4</sup> ლ. ქორიძის კლასიფიკაცია [25, გვ. 5-28].

<sup>5</sup> ლ. ძიძიგურის კლასიფიკაცია [29, გვ. 68-74, ტაბ. 9; 30, გვ. 230, ტაბ. XLII].

<sup>6</sup> ნამგლები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი და ამიტომ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია დღემდე არ არის შემუშავებული. ლ. ძიძიგური განასხვავებს მხოლოდ ერთი ტიპის ნამგლებს. ისინი წელში მოხრილი, მომრგვალებული არიან და ერთი ან ორი სამანჭვლე ნახვრეტი აქვთ [29, გვ. 99-101; 30, 249].

<sup>7</sup> ლ. სახაროვას კლასიფიკაცია [20, გვ. 82-94].

<sup>8</sup> 69 სეგმენტისებრი იარაღიდან 1 ცალი განეკუთვნება I ტიპს (ტაბ. I<sub>11</sub>), 12 ცალი – II ტიპს (ტაბ. I<sub>12-14</sub>), 20 ცალი – III ტიპს (ტაბ. I<sub>15-16</sub>). დაზიანებულ და ნაკლულ ერთეულებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ კიდევ 2 ეგზემპლარი განეკუთვნება I ტიპს, 16 – II ტიპს, ხოლო 8 – III ტიპს. დარჩენილი 10 „სეგმენტის“ ნატეხების ტიპოლოგიური განსაზღვრა შეუძლებელია. გამოყენებულია ლ. ქორიძის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია [24, გვ. 91-95].

<sup>9</sup> ლ. ჯიბლადის აზრით, ფიჩორის ცენტრალური ბორცვის II ფენა დაახლოებით თანადროულია ტამიშის ნამოსახლარის ქვედა ფენის, ნოსირის ბორცვის IV ფენის, ნოხვამუს ზედა და შუა ფენების, საელიაოს კურზიას ზედა ფენის, თავილონის წიფურას ბორცვის III ფენის, ნამარნუს IV ფენისა და ნამჭედურის III და IV ფენებისა [33, გვ. 93].

<sup>10</sup> მ. ბარამიძე ამ ფენას ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით საუკუნეებით ათარიღებს [5, გვ. 4], ხოლო თ. ჩიგოშვილი – ძვ.წ. X-IX საუკუნეებით [28, გვ. 17].



24] და პეტრა-ციხისძირის ნამოსახლარის მეოთხე ფენა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით [23, გვ. 29; 55, გვ. 14-15; 56, გვ. 214; 70, გვ. 201].

რელატიური ქრონოლოგიის საფუძველზე ე. გოგაძემ ნოსირის ზურგას IV ფენა ძვ.წ. X-IX საუკუნეებით ან ძვ.წ. XI საუკუნის ბოლოდან ძვ.წ. IX საუკუნის ბოლომდე დაათარილა [8, გვ. 66, 94, ტაბ. 45; 44, ნახ. 2<sub>1-2</sub>]. ბ. კუჭტინმა დაბლაგომის ნაციხვარის შუა ფენა ზოგადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით დაათარილა [50, გვ. 141]. ტამიშის ზედა ფენასა და კისტრიკის ნამოსახლარს ა. გაბელია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს აკუთვნებს [43, გვ. 123]. თ. ჩიგოშვილმა თავის ბოლოდროინდელ გამოკვლევაში ტამიშის ნამოსახლარი ძვ.წ. X-IX საუკუნეებით დაათარილა [28, გვ. 17]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტამიშის ქვედა ჰორიზონტი განეკუთვნება ძვ.წ. X, ხოლო ზედა – ძვ.წ. IX საუკუნეებს. შესაბამისად, კისტრიკის ნამოსახლარის ზედა ფენა ძვ.წ. IX საუკუნით დათარიღდება და ერთი საუკუნით დაძველდება.

ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის მსგავსი მასალების შემცველი სხვა ნამოსახლარების თარიღები შედარებითი ქრონოლოგიის საფუძველზე დათარიღებული არიან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სხვადასხვა მონაკვეთით. მაგალითად, დაბლაგომის ნამოსახლარ ნასაყდრევის ზედა ფენა დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით [6, გვ. 78]. ნოხვამუს ზედა ფენას ლ. ჯიბლაძე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს [33, გვ. 9]. დათარიღების შედარებითი მეთოდით მიღებული ამგვარი გვიანი თარიღები, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. უახლესი გამოკვლევებისა [5; 28] და C<sup>14</sup> თარიღების საფუძველზე ასეთი გვიანი თარიღები უნდა გადამოწმდეს. ნამოსახლარებისათვის მიღებული C<sup>14</sup> თარიღებისა და რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების არქეომაგნიტური გამოკვლევის საფუძველზე სხენებული ნამოსახლარები ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით უნდა დათარიღდნენ. საგულისხმოა, რომ ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის მსგავსი კერამიკა ასევე ცნობილია კოლხეთის რკინისადნობი სახელოსნოებიდან: „ჭოლა II“ (ძვ.წ. X-IX სს.) [61, გვ. 170-175, ნახ. 61], „ცეცხლაური I“ (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) [61, გვ. 80-85, ნახ. 13, 14; 63, გვ. 145] და „ცეცხლაური II“ (ძვ.წ. IX სს.) [61, გვ. 85-88, ნახ. 16-17]. ამ ქურა-სახელოსნოების თარიღები მიღებულია არქეომაგნიტური გამოკვლევების საფუძველზე. ქურა-სახელოსნო „ნაგომარი I,1“ (ძვ.წ. X-IX სს.) ასევე შეიცავს ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის მსგავს კერამიკას. მისი თარიღი მიღე-

ბულია დათარიღების C<sup>14</sup> მეთოდით [61, გვ. 156-158, ნახ. 55].

ამრიგად, კერამიკული მასალა ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარს ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს, კერძოდ, ძვ.წ. XI-IX საუკუნეებით. ამგვარი დათარიღება, ზემოთ მითითებული C<sup>14</sup> თარიღების საფუძველზე, პრინციპში მისაღები უნდა იყოს.<sup>11</sup>

საკუთრივ დასავლეთ საქართველოს გარდა პარალელები თვალსაჩინოა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, შიდა ქართლის თანადროულ ნამოსახლარებთანაც. ასეთია, მაგალითად, კასპის რაიონში, სოფ. ხოვლეს მახლობლად მდებარე ნამოსახლარი ხოვლეგორა. დ. მუსხელიშვილმა ამ ნამოსახლარზე ორი დიდი კულტურული ფენის არსებობა დაადასტურა [16, გვ. 63]. ქვედა ფენაში ხუთი სამშენებლო ჰორიზონტი (ხოვლე VII-IV) გამოვლინდა, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. XV-VII საუკუნეებითა დათარიღებული. კერამიკა უპირატესად შავი და ნაცრისფერია. ჩვენი დაკვირვებით, ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს ხოვლეს V და IV ჰორიზონტებთან.<sup>12</sup> V ჰორიზონტი დათარიღებულია ძვ.წ.

<sup>11</sup> ადრერკინისა და განვითარებული რკინის ხანის კოლხური კერამიკის ეტაპობრივი განვითარების მკაფიო სურათი დღემდე არ არის შემუშავებული. ამ თვალსაზრისით პირველი ძალზე საყურადღებო სამუშაოები სტრატეგრაფიული დაკვირვებების, C<sup>14</sup> თარიღების, მასალების ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური ანალიზისა და ორნამენტაციული მოტივების განვითარების საფუძველზე ჩატარებულია მ. ბარამიძის ნაშრომში [5, გვ. 22-30]. მ. ბარამიძის სქემის თანახმად, ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარი უნდა მოექცეს ადრერკინის ხანის (ძვ.წ. X-VIII სს.) ეტაპში [5, გვ. 27]. ამგვარი დათარიღება ახლოსაა ჩვენს დათარიღებასთან. განსხვავება ისაა, რომ ამ ეტაპს ჩვენ ძვ.წ. XI-IX საუკუნეებით ვათარიღებთ. შესაბამისად, ჩვენ ვერ გავიზარებთ ადრერკინის ხანის ძვ.წ. VIII საუკუნით დათარიღებას, რადგანაც იგი განვითარებული ანუ რკინის ფართო ათვისების ხანის პირველ ეტაპად მიგვაჩნია.

<sup>12</sup> ხოვლეს მაგალითიც თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ ძვ.წ. II ეტაპის კერამიკის გამოჩენა კოლხეთში იწყება არა ძვ.წ. VIII საუკუნეში [13, ტაბ. XXIV], ან ძვ.წ. X საუკუნეში [5, 26], არამედ გაცილებით ადრე, კერძოდ, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში – დაახლოებით ძვ.წ. XII საუკუნის დასაწყისიდან მაინც. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კოლხური ბრინჯაო უკვე ძვ.წ. XIII საუკუნის დამდეგიდან იწყებს შიდა ქართლის დასავლეთ რაიონებში გავრცელებას და ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ის ფართოდაა გავრცელებული როგორც შიდა ქართლის აღმოსავლეთ, ისე ჩრდილო, მთიან ნაწილშიც [18, გვ. 32, 34]. ამდენად, კოლხური კულტურის გავლენა შიდა ქართლში განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული

XII-X [16, გვ. 81, ტაბ. 35-39], ხოლო IV პორიზონტი ძვ.წ. IX-VII საუკუნეებით [16, გვ. 81, ტაბ. 40-49].

რა მიმართებაშია ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის I არეალში აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი კერამიკულ მასალასთან? უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკული მასალისა და განძის თარიღები პრინციპში ერთმანეთის სინქრონულია.

ბრინჯაოს I ტიპის კოლხური ცულები ძვ.წ. XI საუკუნის შემდეგ აღარ იწარმოება [21, გვ. 34-40, ტაბ. 4; 24, გვ. 60-63]. აქედან გამომდინარე არ შეიძლება განძის ცულები ძვ.წ. XI საუკუნეზე გვიან დაემზადებინათ, უფრო მეტიც, შესაძლოა ისინი უფრო ადრეც კი იყვნენ დამზადებული. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნებში I ტიპის ცულების აღმო-

ბრინჯაოს ინვენტარში, მაგრამ აქ კარგად შეიმჩნევა კოლხური იერის კერამიკაც, განსაკუთრებით შიდა ქართლის დასავლეთ რაიონებში [18, გვ. 34]. თუკი ძვ.წ. II ეტაპის იერის კერამიკა ხოვლეს ბორცვზე უკვე ძვ.წ. XII საუკუნიდან დასტურდება, შეასაბამისად, იგი კოლხეთის ცენტრალურ ნაწილებში ამ პერიოდზე უფრო გვიან არ უნდა იწყებდეს არსებობას. ასე რომ, ძვ.წ. II ეტაპის კერამიკის დასაწყისის დასაძველებლად სადღეისოდ უკვე მრავალი არგუმენტი არსებობს. მომავალი კვლევა-ძიება ამ საკითხში უფრო მეტ სინათლეს შეიტანს, მაგრამ დღეს მაინც ცხადია, რომ ძვ.წ. II ეტაპის კერამიკის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ორი საუკუნით მაინც უნდა იქნეს სიღრმეში გადატანილი. ამასთან, მომავალში მასალების დეტალური ანალიზის საფუძველზე (სტრატოგრაფია, ტიპოლოგია, პარალელები, C<sup>14</sup> თარიღები) უნდა მოხდეს ერთმანეთისაგან უფრო მკაფიო გამოიჯენა ადრერკინის (ძვ.წ. XII-IX სს.), რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) და ადრეანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-ძვ.წ. IV სს.) კერამიკული ჯგუფებისა. ცალკე უნდა გამოიყოს ის ერთნაირი მასალა, რომელიც სამივე ეპოქის მანძილზე არსებობენ და ცალკე – ისინი, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ ხანისათვის, ან მხოლოდ გარკვეული ხანის ქვეპერიოდისათვისაა დამახასიათებელი. სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე, მაგალითად, კერ ხერხდება იმ შერეული კომპლექსების შემცველი ფენების ცალკე ქვეპერიოდად გამოყოფა, რომლებიც კოლხეთის რიგ ძეგლებზე წინ უსწრებენ ადრეანტიკური ხანის ფენებს. ე. ი. ესაა ის ფენები, რომლებიც წინარე და ადრეანტიკური ხანის ფენებს შორის ექცევიან. პრობლემის გადაწყვეტელობის მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ ამგვარი ფენები კოლხეთში დროის მცირე მონაკვეთზე არსებობდნენ და ამიტომაც ჭირს მათი ცალკე საფეხურად გამოყოფა [5, გვ. 27]. შევნიშნავთ, რომ საკუთრივ ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის შესწავლის თვალსაზრისით სადღეისოდ ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევა, რომელიც ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკის სრულ პუბლიკაციას, სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ანალიზსა და ქრონოლოგიურ ინტერპრეტაციას ეძღვნება [11].

ჩენა პრინციპში ასეთ მოსაზრებას უნდა ეწინააღმდეგებოდეს [15, ტაბ. 10<sub>23</sub>]. მაგრამ ოჩხომურის ცულები გაცილებით უფრო არქაულად გამოიყურებიან, ვიდრე ურეკის სამაროვნის მე-3 კოლექტიური სამარხის ცულები. ჩვენი აზრით, თვით ურეკის სამაროვნის გვიანი დათარიღება (ძვ.წ. VII-VI სს) გადასინჯვას საჭიროებს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა<sup>13</sup>.

ოჩხომურის განძის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასში შემავალ მასრაგახსნილ ვიწრო სამკუთხედისებრ პირიან შუბისპირს (ტაბ. I<sub>19</sub>). ამგვარი შუბისპირები საქართველოში არაერთხელ იქნა აღმოჩენილი კარგად დათარიღებულ კომპლექსებში. ანალოგიური შუბისპირები აღმოჩენილია ბეშთაშენის № 4, 11, 13 და 20 სამარხებსა [49, ტაბ. 44, 47, 49-50] და ჩაგულოვის კომპლექსში [1, გვ. 307-309, ტაბ. 2]. ამგვარ შუბისპირს შეიცავდა ასევე სამთავროს სამაროვნის ქვედა სართულის № 583 სამარხი [49, ნახ. 76]. ბ. კუფტინი ბეშთაშენის № 4, 11, 13 და 20 სამარხებს ათარიღებს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანით. ის აღნიშნავს, რომ ამ სამარხების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება [49, გვ. 65, 70]. ოჩხომურის შუბისპირი განსაკუთრებით ემსგავსება ბეშთაშენის № 11 სამარხის შუბისპირს. საგულისხმოა, რომ ამ სამარხში აღმოჩენილია I ტიპის ერთი კოლხური ცული [49, გვ. 69; 69, ტაბ. 22<sub>3</sub>], რომელიც ასევე ანალოგიურია ოჩხომურის განძის ამ ტიპის ცულისა. ჩაგუ-

<sup>13</sup> მ. ბარამიძის თანახმად [5, გვ. 42], სტრატოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მუხურჩისა და ნიგეზიანის სამაროვნებისა და ასევე პალურის სამაროვნების ინდივიდუალური სამარხების არსებობის დასაწყისი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში უნდა იქნეს გადატანილი. რ. პაპუაშვილმა [17, გვ. 2] ნიგეზიანის, ურეკის, ერგეტა I-IV და დღვაბას სამაროვნებზე გამოყოფილი კომპლექსები, რომლებიც რკინის ინვენტარს არ შეიცავენ და კერამიკული მასალითაც სხვა სამარხებისაგან განსხვავდებიან. მათ მოჰყვება კომპლექსები, რომლებიც რკინის ინვენტარს მცირე რაოდენობით შეიცავენ, ბოლოს კი ცალკეა გამოყოფილი ის კომპლექსები, რომლებიც რკინას დიდი რაოდენობით შეიცავენ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მან ხუთი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოყოფი: 1 ჯგუფში გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები იქნა გამოყოფილი, მე-2-4 ჯგუფში შედიან ადრეული რკინის ხანის სამაროვნები, ხოლო მე-5 ჯგუფში – განვითარებული რკინის ხანის სამარხები. კოლხეთის სხვა სამაროვნებისათვის ამგვარი ქრონოლოგია ჯერ არ არის შემუშავებული. როგორც ჩანს, კოლხეთის სამაროვნები უფრო დიდხანს არსებობდნენ, ვიდრე ეს დღესაა მიღებული. ახალი დაკვირვებების შედეგად, ალბათ, არ უნდა გამოირიცხოს ისიც, რომ სადღეისოდ ცნობილი კოლხეთის ზოგიერთი სამაროვნის არსებობის დასაწყისმა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულში გადაინაცვლოს.

ლოვის კომპლექსის შუბისპირს ოჩხომურის შუბისპირთან შედარებით უფრო მასიური პირი და მკვეთრად გამოყოფილი ქედი აქვს და უფრო არქაულადაც გამოიყურება. რ. აბრამიშვილი ჩაგულუვის კომპლექსს ძვ.წ. XIV საუკუნით ათარილებს [1, გვ. 314]. საკუთრივ კოლხეთში ოჩხომურის ანალოგიური შუბისპირი აღმოჩენილია ნაოხვამუს ბორცვის ზედა ფენაში [50, ნახ. 42 და 48]. ჩვენი აზრით, ნაოხვამუს შუბისპირი ძვ.წ. XI-X საუკუნეებზე უფრო ახალგაზრდა არ უნდა იყოს.<sup>14</sup> ოჩხომურის შუბისპირს პარალელები კავკასიის სხვა კომპლექსებშიაც ეძებნება. ეს პარალელები უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში იჩენენ თავს [20, გვ. 87]. ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოში ანალოგიური შუბისპირები შედის ლუხვანოს განძსა [22, გვ. 27, ტაბ. 12<sub>3</sub>] და ბრილის სამარხებში [7, გვ. 57, ტაბ. 10<sub>10-11</sub>], აღმოსავლეთ საქართველოში – ქვასათალისა [46, გვ. 24, ნახ. 2<sub>6-7</sub>] და კასპის [36, გვ. 48, ნახ. 4<sub>6</sub>] სამარხებში. გარკვეული მსგავსება შეინიშნება ასევე თრიალეთის № 15 ყორღანის შუბისპირთან [47, გვ. 20, 89, ტაბ. 77<sub>670</sub>; 49, ტაბ. 106]. საყურადღებოა ასევე ერთი შუბისპირი მოტეხილი მასრით ჩვენთვის სოფ. პერვომაისკოეს (=გალაშკის) ერთ-ერთი სამარხიდან, რომელიც მხოლოდ ბოლოში (ქვედა მხარეს) მომრგვალებული პირით განსხვავდება ჩვენი შუბისპირისაგან [48, გვ. 90, ნახ. 25<sub>3</sub>].

ოჩხომურის განძის მეორე შუბისპირი, რომელსაც ასევე გახსნილი მასრა აქვს (ტაბ. I<sub>8</sub>), სხვა ტიპს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში მასრა პირზე გადადის. ასეთი შუბისპირები ცნობილია გვიანბრინჯაოს ხანის კომპლექსებიდან. მაგალითად, ბ. ტეხოვი თლის სამაროვანის იმ სა-

<sup>14</sup> როგორც უკვე აღნიშნული იყო, ლ. ჯიბლაძე ნაოხვამუს ბორცვის ზედა ფენას ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარილებს [33, გვ. 95]. ჩვენი აზრით, კი იგი გაცილებით ადრეული ხანით უნდა დათარიღდეს. ამ ფენაში აღმოჩენილი შუბისპირები, ისრისპირები, საკინძები, ქვის იარაღები და კერამიკული მასალა გარკვევით მიგვიბრუნებენ იმაზე, რომ ამგვარი ნივთები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კომპლექსებში არ გვხვდებიან. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუკი ჩვენ ბ. კუფტინისეულ დათარიღებას მივიღებთ, რომელმაც ნაოხვამუს ზედა ფენა „კოლხურ-ყოლანურ ეპოქას“ მიაკუთვნა [50, გვ. 114, 152, 198, 237]. ვ. თოლორდავა იზიარებს ამგვარ დათარიღებას [6, გვ. 79]. თ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ ნაოხვამუს ზედა ფენის მასალა აბსოლუტურად იდენტურია ნამჭედურის III და IV ფენების კერამიკული მასალისა [55, გვ. 36]. შესაბამისად ის ნაოხვამუს ზედა ფენას ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარილებს. ნამჭედურის ბორცვის ხსენებული ფენებიდან მიღებული C<sup>14</sup> თარიღები ამგვარ დათარიღებას მხარს უჭერენ.

მარხებს, სადაც ამგვარი შუბისპირებია აღმოჩენილი ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით ათარილებს [59, გვ. 78-80, ნახ. 65; 60, ტაბ. 67, 92<sub>2</sub>].

ნაოხვამუს ზედა ფენაში აღმოჩენილ მასრიან ისრისპირებს, ბ. კუფტინის თანახმად, პარალელები შვეიცარიაში, საფრანგეთსა და პარმას მახლობლად მდებარე ტერამარის მონაპოვართან ეძებნება. ამგვარი ისრისპირები პარმასთან ვილინოს ქამანჩისებურ ფიბულასთან ერთად იქნა აღმოჩენილი. კუფტინმა ეს მონაპოვარი მიკენური ეპოქის დასასრულს მიაკუთვნა [50, გვ. 179]. თ. მიქელაძემ [54, გვ. 35] გ. ზეფლუნდის ნაშრომის საფუძველზე [72, გვ. 103, ტაბ. 55<sub>9</sub>] ამგვარი ისრისპირები გვიანბრინჯაოს დასასრულითა და ადრეკინის ხანის დასაწყისით დაათარიღა. უახლეს სპეციალურ ლიტერატურაში მასრიანი ისრისპირები ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა დათარიღებული [65, ნახ. 25<sub>120</sub>; 67, ნახ. 237<sub>125</sub>; 71, ნახ. 152<sub>2</sub>]. იტალიაში (რომის, მოდენის, რეჯიო ემილიის, პარმის და ბოლონიის მუზეუმები) მასალების ორიგინალში შესწავლამ დაადასტურა ეს შეხედულება.<sup>15</sup> ნაოხვამუს მსგავსი ისრისპირები ცნობილია ასევე საბერძნეთის კუნძულების გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან [64, გვ. 114, ნახ. 29<sub>771-772</sub>, 64]. აღსანიშნავია, რომ ერთი ამგვარი ისრისპირი აღმოჩენილია კუნძულ ევანო ენგელიანოს (ფილოსი) სასახლის მე-60 ნაგებობის დაზიანებულ ფენაში და თარიღდება SH III C:I პერიოდით [64, გვ. 114, ტაბ. 64; 66, გვ. 240, ნახ. 292]. ერთი ამგვარი ისრისპირი ცნობილია კუნძულ კრეტადან, კერძოდ, მალიას სასახლის აღმოსავლეთ ნაწილში დადებული შურფიდან და, როგორც ჩანს, MM I პერიოდით თარიღდება<sup>16</sup> [64, გვ. 114-115, ტაბ. 29<sub>772</sub>]. საერთოდ კი ისე ჩანს, რომ მასრიანი ისრისპირები ტერამარების კულტურაში, ეგეოსსა და კავკასიაში მაინც ძალზე იშვითად იჩენენ თავს. შესაძლოა ამგვარი ისრისპირები, ისევე როგორც მშვილდისებ-

<sup>15</sup> ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდისა და პროფ. ბერნჰარდ ჰენზელის (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი) ხელშეწყობით 1999 წლის ზაფხულში მომეცა შესაძლებლობა, რომ იტალიის ზემოთ დასახელებულ მუზეუმებში ადგილზე შემესწავლა პოს მიდამოებში გათხრილი ტერამარების კერამიკული და ლითონის მასალა. ამ დიდი ხელშეწყობისათვის გულითად მადლობას ვუხდით პროფ. ჰენზელსა და ჰუმბოლდტის ფონდს.

<sup>16</sup> დათარიღება MM I პერიოდით არ არის საბოლოოდ დადგენილი. მსგავსება მალიასა და „ნესტორის სასახლე“ ისრისპირებს შორის ფორმალურია. საკითხი ამგვარი ისრისპირები MM I ფაზაზე არსებობის შესახებ ამ ნაშრომის განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

რი საკინძები,<sup>17</sup> სავაჭრო ურთიერთობის შედეგად კოლხურ-ყობანური კულტურის წრეში ხვდებოდნენ და ადგილს იმკვიდრებდნენ.

ზემოთ მოტანილი პარალელები თვალნათლივ მიუთითებენ იმაზე, რომ ნაოხვამუს ზედა ფენას მასრიანი ისრისპირები ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით ანუ ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით ათარილებენ. რადგანაც ბრინჯაოს მასრიანი ისრისპირები და შუბისპირი ნაოხვამუს ზედა ფენას ასე ათარილებენ, მაშინ ოჩხომურის განძი, სადაც ამგვარი შუბისპირი შედის, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულით უნდა დათარიღდეს.

ოჩხომურის განძში შემაჯავალ ნივთებს პირდაპირი პარალელები ეძებნებათ კოლხეთის ძვ.წ. XII-XI საუკუნეების განძებთან. მხედველობაშია ვაკიჯვრის [19, გვ. 26, ტაბ. 17; 24, გვ. 20, ნახ. 12<sub>2</sub>, ტაბ. 8<sub>1</sub>], შრომის [19, გვ. 31-32, ტაბ. 25A; 24, გვ. 20, ნახ. 12<sub>1</sub>, ტაბ. 35<sub>2</sub>], საზაზკალეს (ართვინის) [19, გვ. 34, ტაბ. 3; 24, გვ. 20 ნახ. 10], ზენითის (1926 წელს აღმოჩენილი განძი) [19, გვ. 20-22, ტაბ. 14A; 24, გვ. 22, ნახ. 14], ციხისძირ-სამების [19, გვ. 15-16, ტაბ. 9; 24, გვ. 23, ტაბ. 12], ოფშკვითის

<sup>17</sup> კავკასიაში აღმოჩენილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ფიბულები კოლხურ-ყობანურ კულტურას ეკუთვნიან. ფიქრობენ, რომ სუბმიკენურ ეპოქაში მშვილდისებური საკინძები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საბერძნეთიდან და იტალიიდან უნდა გავრცელებულიყვნენ [69, გვ. 99 და შემდ.] და აქ ლოკალური, აღმოსავლური ვარიანტი უნდა შეექმნათ [41, გვ. 32]. ი. ვორონოვის მოსაზრება, რომ მშვილდისებრი საკინძები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თითქოსდა პირველად ძვ.წ. VIII საუკუნეში იწყებენ გავრცელებას [42, გვ. 6], უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად არ დასტურდება. ამგვარი ფიბულები, როგორც ამას გ. კოსაკი სამართლიანად შენიშნავს, მიუთითებენ გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულზე და შესაბამისად მონიშნავენ გვიანბრინჯაოს დასასრულს [69, გვ. 97]. აქედან გამომდინარე, ეს ფიბულები კავკასიაში უკვე ძვ.წ. XII-XI საუკუნეებში უნდა ყოფილიყვნენ გავრცელებული. ბ. ტეზოვს კი სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს. მის თანახმად თლისა და ყობანის სამაროვნების ფიბულები ცენტრალურ კავკასიური წარმოშობისაა [59, 146 და შემდ.]. ეს მოსაზრება ძირითადად ემყარება იმას, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ამგვარი ფიბულები ძალზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მაგრამ ეს არგუმენტი დამაჯერებელი არ არის. ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის შემდეგ, როგორცაა ტროას დაცემა (ტროა VIIა), სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებს სხვადასხვა ხასიათის კავშირები ჰქონოდათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ კავშირებს შემოჰქონდათ კოლხურ-ყობანურ სამყაროში რკალისებრი ფიბულები და თანაც მათი პირველი გამოჩენისთანავე, ე. ი. უკვე ძვ.წ. XII-XI საუკუნეებში.

[24, გვ. 23, ნახ. 15-16], გალის (1982 წელს აღმოჩენილი განძი) [2, გვ. 42-47, ტაბ. 1] და სხვა განძები; ასევე – ძვ.წ. XI-X საუკუნეების თხმორის [24, გვ. 32, ტაბ. 17; 26], ლეკუმზარასა [3, გვ. 653-656, ნახ. 1] და სხვა განძები. აქ არ არის მიზანშეწონილი ოჩხომურისა და ზემოთ ჩამოთვლილი განძების ცალკეულ ნივთებს შორის არსებული პარალელების დეტალური აღწერა.

კერამიკისა და ლითონის ნივთების გარდა ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვის მასალას. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საწარმო-ნამოსახლარზე მოპოვებული ე. წ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის ქვის თოხები (ტაბ. III<sub>3-4</sub>). ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი თოხები გავრცელებულია ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში [32, გვ. 177]. დასავლეთ საქართველოში თოხები ცნობილია ადრებრინჯაოს ხანის გუანდრას [62, გვ. 14], ოჩაშირისა [57, ტაბ. 1; 3] და მაჭარის [40, გვ. 123], შუაბრინჯაოს ხანის ნოსირის ზურგას II ფენიდან [8, ტაბ. 46<sub>208</sub>] და სხვ. მათი გავრცელების უკიდურესი საზღვარი ჯერჯერობით თეთრამიწის ნამოსახლარია ქუთაისთან [32, გვ. 177]. ვ. ბუჯანიას თანახმად, ქვის თოხისებრი იარაღები გვიანბრინჯაოს ხანამდე განაგრძობდნენ არსებობას [40, გვ. 125]. ოჩხომურის აღმოჩენა გვამლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ „სოჭი-ადლერის“ ტიპის ქვის თოხები კოლხეთში გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაშიც განაგრძობდნენ არსებობას.<sup>18</sup> ამას გარდა, ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარზე აღმოჩენილი კაჟისა (ტაბ. III<sub>5</sub>) და ობსიდიანის (ტაბ. III<sub>6</sub>) ნუკლეუსები ასევე ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულზე უფრო ახალგაზრდა თარიღს მხარს არ უჭერენ. ამგვარი ნუკლეუსები, სადღეისოდ არსებული მონაცემებით, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში არ გვხვდებიან. შესაბამისად, ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარს ყველაზე გვიან თავისი არსებობა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში უნდა შეეწყვიტა.

<sup>18</sup> ადრეული საფეხურების, კერძოდ, ნეოლით, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხების ტიპოლოგიური შესწავლის ცდა მოცემულია ლ. ძიძიგურის უახლეს ნაშრომში [30, გვ. 115; 146 ტაბ. VII; XVII]. ცხადია, მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე ქვის თოხებს ტიპოლოგიური ცვლილებები უნდა განეცადა. ამ მხრივ მათი შესწავლა ცალკე საკითხია. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ლ. სოლოვიოვის თანახმად, გაგრის სამხრეთით განსხვავებული ტიპის ქვის თოხები გვხვდება [58, გვ. 138]. ისიც არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რომ „სოჭი ადლერის“ ტიპის თოხების გარდა აქ გავრცელებულია სხვა ტიპის, კერძოდ, „სოხუმის“ ტიპის თოხებიც.

როგორც ჩანს, ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარი ძვ.წ. XI საუკუნეში იწყებს არსებობას. ძვ.წ. IX საუკუნის შუახანებში ან ყველაზე გვიან ძვ.წ. IX საუკუნის ბოლოს საწარმო-ნამოსახლარს გამანადგურებელი ხანძრის შედეგად არსებობა უნდა შეეწყვიტა. C<sup>14</sup> თარიღების არარსებობის გამო უფრო ზუსტი დათარიღება შეუძლებელია. თუმცა ამ დათარიღებას მაინც აქვს აბსულუტურობის პრეტენზია, თუკი გავიხსენებთ მის დასათარიღებლად გამოყენებულ ყველა იმ მონაცემს, რომლებიც ზემოთაა მოტანილი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ განძის ცალკეული ნივთები სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დამზადებული. თუ კოლხური ცულებისა და შუბისპირებისათვის ასეთი თარიღი შეიძლება ძვ.წ. XII-XI საუკუნეები იყოს, სეგმენტისებრი იარაღების, ნამგლების, ბრტყელი ცულებისა და თოხებისათვის ამგვარ თარიღად შეიძლება ძვ.წ. X საუკუნეც დაგვესახელებინა. უმრავლესი ნივთი განძში დაზიანებული სახითაა შესული და მისი დაფლვა როგორც მდნობელის, ან როგორც ღმერთებისადმი შეწირული განძისა [68, გვ. 13], ძვ.წ. IX საუკუნის ბოლოს უნდა მომხდარიყო.

ამრიგად, ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარი ძვ.წ. XI-IX საუკუნეებით თარიღდება.<sup>19</sup> განძის დაფლვა ძვ.წ. IX საუკუნეში უნდა მომხდარიყო. ნამოსახლარისა და განძის დათარიღება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში თითქმის არ მოდის.

ნაწისქვილარის საწარმო-ნამოსახლარი მდებარეობს მარტვილის (ყოფ. გეგეჭკორის) რაიონის სოფ. მუხურჩაში, მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირზე, ადგილ ნაწისქვილარზე. იგი მდინარის თანამედროვე სანაპიროდან 40-50 მეტრითაა დაშორებული.

ნაწისქვილარი 1982-1988 წლებში ითხრებოდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ე. გოგაძე). ნაწისქვილარს ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. სადღეისოდ მასზე გავლებლია ექვსი დიდი თხრილი და 31 შურფი. ძველი ერთფენიანია. ძლიერი ცეცხლის ნაკვალევია, მოშავო-მონაცრისფრო კულტურული ფენის სისქე 0,5-0,6 მ შორის მერყეობს. კულტურული ფენა უშუალოდ კორდოვან ფენას მოსდევს. კულტურული ფენის ქვეშ კი მდებარეობს

<sup>19</sup> თავდაპირველად, გათხრების პირველი წლის მონაცემების საფუძველზე საწარმო-ნამოსახლარს ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით ვათარიღებდით [4, გვ. 65]. მოგვიანებით ჩვენ კიდევ ერთი თარიღი მივიღეთ – ძვ.წ. (VIII-VI სს.) [35, გვ. 88]. ახალი არქეოლოგიური გათხრები, C<sup>14</sup> თარიღები, ახლო და შორეული პარალელები სხვა ნამოსახლარებიდან, ამ სტატიაში წარმოდგენილ ძველ დათარიღებას უჭერენ მხარს.

გრუნტი, რომელიც მოყვითალო თიხნარისა და მდინარისეული რიყის წვრილი ქვებისაგან შედგება. გათხრების დაწყების წინ ძველი კარგად იყო დაცული, რადგანაც ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარისაგან განსხვავებით მას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ შეხებია.

ნაწისქვილარზე, ისევე როგორც ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარზე, რაიმე ნაგებობა ან მისი ნაშთი არ შემორჩენილა. როგორც ჩანს, აქაც ხის ნაგებობები უნდა მდგარიყვნენ. ამაზე მიუთითებენ აქ აღმოჩენილი დიდი რაოდენობის ბათქაშის ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთზე ხის წნულის ანაბეჭდებია შერჩენილი.

ნაწისქვილარის საწარმო-ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ძალზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამძივე მინერალების – ქალცედონის, აქატის, იასპის და გიშრისებური მინერალების – ნამტვრევები, ქვები და კაჭრები. აქვე მრავლად იჩენს თავს სააბრაზივე მასალაც – კვარცი. ასევე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამძივე ნამზადები და ნახევარფაბრიკატები, მძივების დასამზადებელი იარაღები (სატეხი ქვები, მძივების სახეხ-საპრიალებელი ქვები, კონგლომერატული წარმოშობის თეთრი ქვები). ნაწისქვილარზე დღემდე მოპოვებულია სარდიონის მძივების 50 ცალი ნახევარფაბრიკატი. აღმოჩენილია ასევე სარდიონის, აქატის, იასპის, მინის, პასტის, გიშრისა და კაჟისებური ჯიშის მძივები. აქვეა გიშრის ნატეხები, ცხოველების (ცხვრების) თიხის ორი მინიატურული ქანდაკება და თიხის ორი გაურკვეველი ქანდაკების ფრაგმენტი. ყველაზე მრავალრიცხოვანი მაინც კერამიკული ჭურჭლების ფრაგმენტებია. კაჟის წარმოების არსებობაზე მიუთითებენ აქ აღმოჩენილი კაჟის ნამგლის ჩასართები, ისრისპირები და მათი ნამზადები (ტაბ. V<sub>8-18</sub>).

ნაწისქვილარის საწარმო-ნამოსახლარის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძველზე აღმოჩენილ ზოგიერთ ნივთს. პირველ რიგში ესაა ქვევრებისა და დერგების (?) ნატეხები, რომელთა ზედაპირზე დატანილია სხვადასხვა მიმართულების წვრილი და ფართო ხაზები თუ ზოლები (ტაბ. V<sub>7</sub>). აქვეა ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი, რომლის პირის გვირგვინის გარეთა გვერდი ღრმა ირიბი ღარებითაა შემკული (ტაბ. IV<sub>8</sub>). ამგვარად შემკული ჭურჭლები კოლხეთში პირველად წინარეანტიკური ხანის მიწურულს ჩნდებიან, ხოლო ადრეანტიკური ხანის დასაწყისიდან კი უკვე ფართოდ არიან გავრცელებული. მაგალითად, ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. VI-IV საუკუნეების ფენებში [11, გვ. 14 და შემდ.], სიმაგრის სამძივე ფენაში (ძვ.წ. VI საუკუნის შუახანები – ძვ.წ. V სს.) [14, გვ. 55] და სხვ. ყურადღებას იქცევს ასევე ყურმილიანი ღოქის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. IV<sub>26</sub>). ამგვარი ღო-

ქების გამოჩენა კოლხეთში სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე, სპეციალისტების აზრით, ძვ.წ. VII საუკუნეზე ადრე არ უნდა ხდებოდა [15, გვ. 23]. როგორც ჩანს, ყურმილიანი დოქები უფრო ფართო გავრცელებას ძვ.წ. VII საუკუნის მიწურულში და განსაკუთრებით ძვ.წ. VI საუკუნეში აღწევენ.

ნაწისქვილარზე აღმოჩენილი ამფორების ძირები (ტაბ. V<sub>4-6</sub>) არ უნდა წარმოადგენდნენ ბერძნული ამფორების მიბაძვით დამზადებული კოლხური ამფორების ძირებს, რადგანაც კოლხეთში ადგილობრივი ამფორების წარმოება მხოლოდ ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებიდან იწყება [53, გვ. 269]. ამდენად, მათი კოლხეთის შიდა რაიონებში გამოჩენა აქ ბერძნული დასახლებების გაჩენის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ.<sup>20</sup> შესაძლოა, რომ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირთაგან გამომდინარე, ბერძნულ ამფორებს კოლხეთში ბერძნული დასახლებების გაჩენამდე იცნობდნენ. საკითხის ამდაგვარად ახსნა მოგვცემდა შესაძლებლობას ნაწისქვილარის ზედა საზღვარი ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისზე ან შუახანებზე მეტად სიღრმეში არ გადაგვეტანა.

ნაწისქვილარის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა უფრო რთულია. თუმცა კერამიკული მასალა აქაც გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მთლიანობაში ის კერამიკული მასალა, რაც ნაწისქვილარზე გვხვდება (ტაბ. IV<sub>1-25</sub>), კოლხეთში არსებობს ძვ.წ. XI საუკუნიდან ძვ.წ. VI საუკუნის ჩათვლით. ხოლო ზოგიერთი მათგანი თვით ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებამდეც კი განაგრძობს არსებობას. მაგრამ ამ თითქოსდა

ერთგვაროვან კერამიკაში შესაძლებელია სხვადასხვა საფეხურების გამოყოფა. მ. ბარამიდის სქემის მიხედვით, ნაწისქვილარის საწარმონამოსახლარის კერამიკული ნაწარმის უდიდესი ნაწილი წინარეანტიკურ ხანას (ძვ.წ. VIII-VII სს.) უნდა განეკუთვნოს [5, გვ. 27]. მაგრამ რადგანაც აქ ძვ.წ. VI საუკუნის მასალებიც იჩენენ თავს, ამ ძეგლის ბოლო ეტაპი მაინც ე.წ. „შერეული“ მასალების შემცველ ეტაპად უნდა განისაზღვროს. დღევანდელი მონაცემების შუქზე ვერ ხერხდება დროის ამ მონაკვეთის ცალკე საფეხურად გამოყოფა [5, გვ. 27]. ამიტომაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იძულებული ვართ კოლხური ქვევრების ნატეხების, ბერძნული ამფორების ძირებისა და ყურმილიანი დოქების ყურის ფრაგმენტის მოშველიებით ნაწისქვილარის ზედა ზღვარი ძვ.წ. VI საუკუნის შუახანებამდე მივიყვანოთ.

ნაწისქვილარის კერამიკა, რომელსაც ჩვენ წინარეანტიკურ ხანას ვაკუთვნებთ, უპირატესად თხელკედლიანია და იშვიათი გამონაკლისის გარდა ჩარხზეა დამზადებული. გვინდა შევნიშნოთ, რომ შედარებით სქელკედლიანი (0,5-1,0 სმ) ჭურჭლებიც მაინცაღამაინც იშვიათობას არ წარმოადგენენ. ერთ სანტიმეტრზე უფრო სქელკედლიანი ჭურჭლები კი იშვიათად იჩენენ თავს. დიდი ზომის ჭურჭლებს (დერგები) პირი ბაკოსებურად აქვთ გადმოკეცილი (ტაბ. IV<sub>1-2</sub>). ყველას მაინც ყელდაღარული ქოთნები (ტაბ. IV<sub>4-6</sub>) და ხელაღები (ტაბ. IV<sub>11</sub>) სჭარბობენ. ხელაღებს უპირატესად სხვადასხვა სახით გაფორმებული ზომორფული ყურები ამკობთ (ტაბ. IV<sub>11,18,21-23</sub>). იშვიათობას არ წარმოადგენენ ე.წ. მუხლისებრი ანუ ფრინველისმკერდისებრი (ტაბ. IV<sub>19-20</sub>) და ლენტური ყურები (ტაბ. IV<sub>17</sub>), ასევე სხვადასხვა სახის სახელურები (ტაბ. IV<sub>24-25</sub>).

შესაძლოა ნაწისქვილარზე აღმოჩენილი ზოგიერთი ჭურჭელი წინარეანტიკურ ხანაზე უფრო ადრეულ იერს ატარებდეს. ეს პირველ რიგში ეხება ჭურჭლებს, რომლებსაც პირის გვირგვინზე ფრჩხილისებრი ნაჭდევი და „ზონარისებრი“ გრეხილები აქვთ დატანილი (ტაბ. IV<sub>7,10</sub>). იგივე შეიძლება გვეფიქრა რელიეფურსარტყლიან ფრაგმენტებზე (ტაბ. IV<sub>1,12-13</sub>) და სხვ. მაგრამ ძეგლის დათარიღებისას ამოსავალი მოგვიანო მასალაა. ამიტომაც სადღეისოდ დათარიღება ძვ.წ. VIII-ძვ.წ. VI საუკუნის შუახანები მისაღები უნდა იყოს. საგულისხმოა ისიც, რომ ნაწისქვილარზე თავს არ იჩენს ისეთი კერამიკა, რაც დაბეჯითებით უფრო ადრეულ თარიღზე მეტყველებდეს.<sup>21</sup>

<sup>20</sup> სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში ბერძნული დასახლებები პირველად ძვ.წ. VI საუკუნის შუახანებში იჩენენ თავს [10, გვ. 123; 52, გვ. 123]. ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქური ტიპის დასახლებაში ბერძნების უბანი პირველად ძვ.წ. VI საუკუნის შუახანებში ჩნდება [52, გვ. 122-123]. რაც შეეხება ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთს, ამგავრი დასახლებები აქ პირველად ძვ.წ. VI მიწურულსა და V საუკუნის დასაწყისში უნდა ჩნდებოდნენ [13, გვ. 104; 52, გვ. 136]. დიოსკურიაში აღმოჩენილი უადრესი ბერძნული მასალა ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულითა და ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისით თარიღდება [52, გვ. 136], ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი – დათარიღებულია ძვ.წ. VI საუკუნის მესამე მეოთხედით [11, გვ. 8]. ამრიგად, უძველესი ბერძნული ნივთები აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარში [10, გვ. 109, 135], სიმაგრის ნამოსახლარსა [14, გვ. 70] და ვანის ნაქალაქარზე [11, გვ. 8]. ბერძნული დასახლებების გაჩენის და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირთაგან გამომდინარე, უნდა უკავშირდებოდეს ის, რომ ძვ.წ. VI საუკუნის შუახანებიდან ბერძნული კერამიკული ნაწარმი კოლხეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდიოდა [51, გვ. 105].

<sup>21</sup> ოჩხომურისა და ნაწისქვილარის საწარმო ნამოსახლარების დათარიღებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, თუ რა ძნელია კოლხეთის ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის კერამიკული მასალის ეტაპობრივად ზუსტი გამოიჯვნა.

ძვ.წ. XII-XI საუკუნეებიდან კოლხეთში ხელოსნური წარმოება არნახულ მასშტაბებს აღწევს, ადგილი აქვს ახალი ხელოსნური დარგების გაჩენას. სწორედ ძვ.წ. XII-VII საუკუნეებში კოლხეთში არსებობდნენ მსხვილი დაბური ტიპის კომპაქტური დასახლებები, რომლებიც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ [27, გვ. 32], შესაბამისად ისინი უკვე პროტოქალაქურ დასახლებებად გვევლინებიან [27, გვ. 32]. სწორედ ამგვარი ტიპის დასახლებებს წარმოადგენდნენ ოჩხომურისა და ნაწისქვილარის საწარმო-ნამოსახლარები, რომლებიც ორივე ერთად აღებული მთლიანობაში, მოიცავენ პერიოდს ძვ.წ. XI საუკუნიდან ძვ.წ. VI საუკუნემდე. აქედან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოჩხომური უფრო ადრეული (ძვ.წ. XI-IX სს.), ხოლო ნაწისქვილარი უფრო მოგვიანო (ძვ.წ. VIII ს. – ძვ.წ. VI ს. შუახანები) ძეგლია.

**J. Apakidze**

## TOWARD DATING THE SETTLEMENT-FACTORIES OF COLCHIAN CULTURE

(Summary)

The settlement-factories Ochkhomuri and Natsiskvilari represent unique sites of Colchian culture since they are the only hitherto known sites revealing the remains of artisan workshops manufacturing beads of semi-precious stones: cornelian, jasper, jet, white, grey and black flint. The production of glass beads is also suggested. On the basis of exploratory geological-mineralogical investigations, the existence of a common source of raw materials has been identified. The river Ochkhomuri and its tributaries Dichke, Choghatskari and Bume wash out conglomerates rich in minerals of quartz, agate, chalcedony and jasper. Large quantities of stones and tumours of these minerals are found on the banks of these rivers. Obviously, the population of Ochkhomuri and later, Natsiskvilari settlements, gathered the raw material needed for manufacturing beads on the banks of the cited rivers.

Besides bead manufacturing, the inhabitants of the above settlements were occupied in metallurgy and husbandry, production of stone and flint tools

and weapons. The existence of bronze and iron metallurgy is evidenced at the Ochkhomuri settlement-factory, while study of Natsiskvilari reveals only traces of iron metallurgy. The cited fact, along with other data prompts the suggestion that Natsiskvilari is of a later date. Manufacturing of beads in both settlement-factories was organized both for local consumption and with the aim of exporting them to the markets for barter and sale.

On the grounds of the archaeological material and C<sup>14</sup> dates, provided by other sites of the Colchian culture, with close and remote analogies, the author dates the Ochkhomuri settlement-factory to the 11<sup>th</sup>-9<sup>th</sup> cent. B.C. and considers Natsiskvilari as a site of the 8<sup>th</sup>- first half of the 6<sup>th</sup> cent. B.C.

### ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმ, XXII-B, 1961, გვ. 291-382.
2. აფაქიძე ჯ. გალის განძი. – ძმ, 66, 1984, გვ. 42-47.
3. აფაქიძე ჯ. ლეკუმხარას განძი. – სსმ, 117, 1985, გვ. 653-656.
4. აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან. – ძმ, 70, 1985, გვ. 60-68.
5. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.
6. თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973-1974 წლებში. – ვანი, III, თბ., 1977, გვ. 71-80.
7. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.
8. გოგაძე ე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.
9. ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. – სდსმ, IV, 1974, გვ. 154-170.
10. კახიძე ა. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბ., 1971.
11. ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კერამიკა ვანის ნაქალაქარიდან (ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია). – ვანი, V, თბ., 1981.

სამომავლოდ კომპლექსური კვლევა-ძიება (C<sup>14</sup> თარიღები, სტატიგრაფიული და ტიპოლოგიური მონაცემები, ორნამენტაცია, პარალელები) მთელი კოლხეთის მასშტაბით უნდა წარმართოს, რათა ამ საკითხში მეტი სიცხადე იქნეს შეტანილი.

12. **მგელიაშვილი თ.** საქართველოს გეოარქეოლოგია. თბ., 1991.

13. **მიქელაძე თ.** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ.წ. II-I ათასწლეულები). თბ., 1974.

14. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე (მასალები ძველი ფაზისის ისტორიისათვის). თბ., 1978.

15. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები). თბ., 1985.

16. **მუსხელიშვილი დ.** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.

17. **პაპუაშვილი რ.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.

18. **რამიშვილი ა.** შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.

19. **რამიშვილი ა.** კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974.

20. **სახაროვა ლ.** უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის (ბრინჯაოს შუბისპირები). – მაცნე, 3, 1973, გვ. 82-94.

21. **სახაროვა ლ.** კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ. – ძიებანი, 1, 1998, გვ. 34-42.

22. **სახაროვა ლ.** ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ., 1976.

23. **ქავთარაძე გ.** საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981.

24. **ქორიძე დ.** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965.

25. **ქორიძე დ.** საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის. – სსმპ, XXVIII-B, 1969, გვ. 5-27.

26. **ღამბაშიძე თ.** თხმორის განძი. თბ., 1963.

27. **ჩავლეიშვილი ი.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

28. **ჩიგოშვილი თ.** ენგურ-კოდორის აუზის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა

კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

29. **ძიბიგური ლ.** ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა. თბ., 1994.

30. **ძიბიგური ლ.** ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა. თბ., 2000.

31. **ხახუტაიშვილი დ.** მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში (1972 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები). – სდსმ, 9, 1980, გვ. 3-38.

32. **ჯაფარიძე თ.** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბ., 1976.

33. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბ., 1997.

34. **Апакидзе А. М., Бурчуладзе А. А.** Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. Тб., 1987.

35. **Апакидзе Д. Б.** Центральная Колхида в эпоху поздней бронзы – раннего железа. Тб., 1991.

36. **Барамидзе М. В.** Каспский могильник. – МАГК, 4, 1965, с. 31–66.

37. **Барамидзе М. В., Чигოшвили Т. Э., Пхакадзе Г. Г., Джибладзе Л. В., Махарაძე Э. Э., Шеразадашвили Б. И., Датунашвили Т. И., Хвистани Р. Г.** Работы археологической экспедиции Абхазии. – ПАИ, 1984–1985 (1987), с. 42–47.

38. **Барамидзе М. В., Чигოшвили Т. Э., Пхакадзе Г. Г., Джибладзе Л. В., Шеразадашвили Б. И., Хвистани Р. Г., Долидзе Н. Г.** Археологические исследования в Гальском районе Абхазской АССР. – ПАИ, 1986 (1991), с. 18–22.

39. **Барамидзе М. В., Чигოшвили Т. Э., Джибладзе Л. В., Шеразадашвили Б. И., Хвистани Р. Г.** Археологические исследования в Гальском районе. – ПАИ, 1987 (1995), с. 43–47.

40. **Бжания В. В.** Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии. – СА, № 1, 1966, с. 113–126.

41. **Воронов Ю. Н.** Кавказские дуговидные фибулы раннежелезной эпохи. – КСИА, 176, 1983, с. 29–33.

42. **Воронов Ю. Н.** Восточное Причерноморье в железном веке (Вопросы хронологии и интерпретации памятников VIII в. до н.э. – VIII в. н.э.). Автореферат докт. дисс., М., 1984.

43. **Габелия А. Н.** Поселения колхидской культуры (На материалах Абхазии). Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1984.



**44. Гогодзе Э. М.** К вопросу о хронологии памятников колхидской культуры. – ВГМГ, XXXVII–В, 1984, с. 28–54.

**45. Гогодзе Э. М.** Новые памятники по истории колхидской культуры. – Местные этно–политические объединения Причерноморья в VI–IV вв. до н.э. Материалы IV Все-союзного симпозиума по древней истории Причерноморья (Цхалтубо–Вани 1985). Тб., 1987, с. 231–234.

**46. Джапаридзе О. М.** Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго–Осетии. – КСИА, 60, 1955, с. 23–30.

**47. Жоржикашвили Л. Г., Гогодзе Э. М.** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.

**48. Крупнов Е. И.** Археологические работы в Кабарде и Грозненской области. – КСИА, XXXII, 1950, с. 85–100.

**49. Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети, I. Тб., 1941.

**50. Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950.

**51. Лордкипанидзе Г. А.** Колхида в VI–IV вв. до н.э. Тб., 1978.

**52. Лордкипанидзе О. Д.** Древняя Колхида. Миф и археология. Тб., 1979.

**53. Лордкипанидзе О. Д.** Наследие древней Грузии. Тб., 1989.

**54. Микеладзе Т. К.** К археологии Колхиды. Тб., 1990.

**55. Микеладзе Т. К., Хахутайшвили Д. А.** Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985.

**56. Семенцов А. А., Долуханов П. М., Романова Е. И.** Радиоуглеродные даты лаборатории ЛОИА (1968–1969 гг.). – СА, 3, 1972, с. 209–218.

**57. Соловьев Л. Н.** Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. – СМИА, I. Сухуми, 1939, с. 3–65.

**58. Соловьев Л. Н.** Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы, стоянки Воронцовской пещеры. – ТАИЯЛИ, XXIX, 1958, с. 133–184.

**59. Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI–X вв. до н.э. М., 1977.

**60. Техов Б. В.** Тлийский могильник, I. Тб., 1980.

**61. Хахутайшвили Д. А.** Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987.

**62. Цвинария И. И.** Поселение Гуандра (Новый памятник энеолита и ранней бронзы в Абхазии). Тб., 1978.

**63. Челидзе З. А.** Результаты археомагнитного исследования некоторых археологических объектов. – Вопросы древней истории. Кавказско–Ближневосточный сборник, 5. Тб., 1977, с. 142–145.

**64. Avila R. A. J.** Bronzene Lanzen- und Pfeilspitzen der griechischen Spdtbronzezeit. – PBF, V, 1, 1983.

**65. Bernabo Brea M.** Il limite sud-occidentale dell'area terramaricola e le facies culturali dell'Appennino emiliano occidentale nell'eta del bronzo media e recente. – Le Terramare. La piu antica civilita padana, a cura di M. Bernabo Brea, A. Cardarelli, M. Gremaschi. Milano, 1997, p. 433-440.

**66. Blegen C. W., Rawson M.** The Palace of Nestor at Pylos in western Mesenia, I. Cincinnati, 1966.

**67. Carancini G. L.** La produzione metallurgica delle terramare nel quadro dell'Italia proto-istorica. – Le Terramare. La piu antica civilita padana, a cura di M. Bernabo Brea, A. Cardarelli, M. Gremaschi. Milano, 1997, p. 379-404.

**68. Hänsel B.** Gaben an die Gotter – Schätze der Bronzezeit Europas – eine Einführung. – A. und B. Hänsel (Hersg.), Gaben an die Gotter. Schätze der Bronzezeit. Ausstellungskatalog. Berlin, 1997, S. 11-22.

**69. Kossack G.** Tli grab 85. Bemerkungen zum Beginn des skythenzeitlichen Formenkreis im Kaukasus. – Beitr. Allg. u. Vgl. Arch., 5, 1984, S. 89-186.

**70. Mikeladze T. K., Chachutaišvili D. A.** Namčeduri, ein bronze- bis eisenzeitlicher Siedlungshügel am Schwarzen Meer. – Beitr. Allg. u. Vgl. Arch., 6, 1985, S. 199-226.

**71. Mutti A.** Caratteristiche e problemi del popolamento terramaricolo in emilia occidentale. Bologna, 1993.

**72. Säflund G.** Le terramare delle provincie di Modena, Reggio Emilia, Parma, Piacenza. Lund, Leipzig, 1939.

### ტაბულების აღწერილობა

I – ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის გან-  
ძის ტიპოლოგიური ტაბულა: 1-5. ბრინჯაოს I  
ტიპის კოლხური ცულები; 6-10. ბრინჯაოს V  
ტიპის თოხები; 11. ბრინჯაოს I ტიპის სეგ-  
მენტისებრი იარაღი; 12-14. ბრინჯაოს II ტიპის  
სეგმენტისებრი იარაღები; 15-16. ბრინჯაოს III  
ტიპის სეგმენტისებრი იარაღები; 17. ბრინჯაოს  
I ტიპის შუბისპირის ფრაგმენტი; 18. ბრინჯაოს  
II (?) ტიპის შუბისპირის ფრაგმენტი; 19. ბრინ-  
ჯაოს I ტიპის შუბისპირი; 20-21. ბრინჯაოს I

ტიპის ბრტყელი ცულების ფრაგმენტები; 22-23. ნამგლები.

II – ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის კერამიკის ძირითადი ტიპები. 1-5. პითოსისებური (ქვევრისებური) ჭურჭლები; 6-7. დერგისებური ჭურჭლები; 8-9. ხელადები; 10-11. ქილები; 12. ჯამი; 13. ლენტისებურგანივკვეთიანი ყურები; 14-18. სხვადასხვა ტიპის ზომორფული ყურები; 19. სემენტისებურგანივკვეთიანი და მრგვალნახვრეტიანი ყური; 20. ფრინველისმკერდისებური, მრგვალნახვრეტიანი ყური; 21. ქვაბისებური ჭურჭლის სახელური.

III – ოჩხომურის საწარმო-ნამოსახლარის ქვის, კაჟისა და ობსიდიანის ნივთები, შერჩევით. 1-2. ხელსაფქვავეები; 3-4. „სოჭი-აღლურის“ ტიპის თოხები; 5. კაჟის ნუკლეუსი; 6. ობსიდიანის ნუკლეუსი; 7-8. კაჟის ფუძეამოღარული ისრისპირები; 9, 12. კაჟის ნამგლის ჩასართების ნახევარფაბრიკატები; 11. კაჟის ნამგლის ჩასართი.

IV – ნაწისქვილარის საწარმო-ნამოსახლარის კერამიკის ძირითადი ტიპები. 1-2, 7-10. პითოსისებური (ქვევრისებური) ჭურჭლები; 3-6 დერგისებური ჭურჭლები; 11 ხელადა; 12-14. პითოსისებური ჭურჭლების კედლების ფრაგმენტები; 15-16. კანელურებიანი ჭურჭლების კედლების ფრაგმენტები; 17. ლენტისებურგანივკვეთიანი ყური; 18, 21-23. ზომორფული ყურები; 19-20. მუხლისებური ყურები ოვალური და მრგვალი ნახვრეტებით; 24-25. ქვაბისებური ჭურჭლის სახელურები; 26 ყურმილიანი ღოქის სახელურის ფრაგმენტი.

V – ნაწისქვილარის საწარმო-ნამოსახლარის კერამიკის, კაჟისა და ობსიდიანის ნივთები, მასალა შერჩევით. 1-2. თეფშისებური ჭურჭლები; 3. ჯამი; 4-6. ამფორების ძირები; 7. ქვევრისა თუ დერგისებური ჭურჭლის ფრაგმენტი; 8. კაჟის ნამგლის ჩასართის ნამზადი; 9-10. კაჟის ისრისპირები; 11-18. კაჟის ნამგლის ჩასართები.

## Description of the plates

Pl. I - Typological diagram of the hoard of Ochkhomuri settlement-factory: 1-5. type I bronze Colchian axes; 6-10. type V bronze mattocks; 11. type I bronze segment-shaped tool; 12-14. type II bronze segment-shaped tools; 15-16. type III bronze segment-shaped tools; 17. fragment of type I bronze spearhead; 18. fragment of type II (?) bronze spearhead; 19. type I bronze spearhead; 20-21. type I flat bronze axes; 22-23. bronze sickles.


Pl. II - Principal types of pottery from Ochkhomuri. 1-5. pithos-shaped vessels; 6-7. pot-shaped vessels; 8-9. mugs; 10-11. jars; 12. basin, 13. band handle; 14-18. zoomorphic handles of

different types; 19. handle segment-shaped in section with a round hole; 20. handle shaped as a bird's breast with a round hole; 21. lug of a cauldron-like vessel.

Pl. III - Selected articles of stone, flint and obsidian. 1-2. stone grinders; 3-4. stone mattocks of "Sochi-Adler" type; 5. flint nucleus; 6. obsidian nucleus; 7-8. flint arrowheads; 9, 12. semi-finished sickle insets; 10-11. sickle insets.


Pl. IV - Principal types of pottery from Natsiskvilari. 1-2, 7-10. pithos-shaped vessels; 3-6. pot-shaped vessels; 11. mug; 12-14. fragments of walls of pithos-shaped vessels; 15-16. fragments of channelled pottery; 17. band handle; 18, 21-23. zoomorphic handles; 19-20. knee-shaped handles with round and oval holes; 24-25. lugs of the cauldron-like vessels; 26. fragment of a tube handle of jug.

Pl. V - Principal types of pottery and flint material from Natsiskvilari. 1-2. plate-shaped vessels; 3. basin; 4-6. amphorae toes; 7. fragment of a pithos-shaped or jar-like vessel; 8. semi-finished flint sickle inset; 9-10. flint spearheads; 11-18. flint sickle insets.




0 10 cm


ტაბ. II





0 10 cm



გახ. IV






## გურამ კვიციანი

### ჰოლიტიური ფარები კოლხეთში


აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ელინური კოლონიების დაფუძნებისა და მრავალფეროვანი ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების დამყარების შედეგად კოლხეთში სხვადასხვა კატეგორიის ნივთებთან ერთად აღწევს ბერძნული ტიპის შეიარაღების ნიმუშები, კერძოდ, ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებანი. ამჯერად შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ფარების ბრინჯაოს ფირფიტოვან დეტალებზე, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთშია აღმოჩენილი. ორივე ეს ფარი უკვე გამოქვეყნებული და ატრიბუტირებულია და ამდენად კარგა ხანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში, მაგრამ ბერძნული თავდაცვითი შეიარაღების კონტექსტში მათი დამოუკიდებელი შესწავლა ჯერჯერობით არავის უცდია.

პირველი ამ ფართაგან მომდინარეობს 1940 წელს მდ. ბესლეთისა და ძეგუთას წყალგამყოფ ქედზე მდებარე ალექსეევსკოეს ხეობის ზედა ნაწილში, ახულ-აბაში შემთხვევით აღმოჩენილი დანგრეული სამარხიდან, რომელიც შემდგომ შეისწავლა ლ. სოლოვიოვმა [13, გვ. 124-125; 4, გვ. 57; 5, გვ. 229, ნახ. 82; 6, გვ. 34-35, სურ. 26]. ორმოსამარხში, რომელშიც მიცვალებული იწვა ზურგზე გაშობილი, თავით დასავლეთისაკენ, სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ხის ფარის ნაშთები (დიამეტრი 80-90 სმ), რომლისაგან შემორჩა ბრინჯაოს გარსაკრავის ფრაგმენტები, მათ შორის გარეთა კიდის თხელი ფირფიტები, ორნამენტირებული რელიეფური წნულის ხუთი რიგით, წნულში ჩართული ბურცოებებით (ე.წ. „გაიოში“) და მრგვალი ცენტრალური ნაწილი (დიამეტრი 29 სმ), რომელსაც კიდებებზე შემოსდევს მოქლონების რიგი და ოთხი ბრტყელი კავი, როგორც ჩანს, გარეთა ბრინჯაოს რგოლთან დასამგრებლად (სურ. 1).



სურ. 1

მთლიანად სამარხეული კომპლექსი (ბრინჯაოს თასი, რკინის მახვილი, რკინის დანა, ორი შუბისპირი, შავლაკიანი „სამარილე“, შავლაკიანი ქუსლიანი ჯამი, შავლაკიანი კანთაროსის ძირი, ნაცრისფერკეციანი დოჭი, რკინის წალდი, სამი პასტის თვალები მძივი) აღრეელინისტური ხანით თარიღდება (ძვ.წ. IV ს. ბოლო).




სურ. 2

ზემოთ აღწერილის მსგავსი ფარები ფართოდაა ცნობილი ბერძნულ სამყაროში. ამთაგან უადრესი, არქაული ხანის ნიმუშები, აღმოჩენილია ოლიმპიაში (სურ. 2) [29, გვ. 163, ტაბ. LXII; Ol. Ber. I, გვ. 54, ნახ. 23; Ol. Ber. II, გვ. 70-75, სურ. 44-47, ტაბ. 26<sub>22</sub>; Ol. Ber. III, გვ. 870-83, ნახ. 81<sub>a-b</sub>; Ol. Ber. V, გვ. 44-45, სურ. 24, 25, 28, ტაბ. 27; დაწვრილებით ოლიმპიაში აღმოჩენილი ამგვარი ფარების შესახებ იხ. 20, გვ. 6-15, ტაბ. 4-9]. არქაული ხანითვე თარიღდება მსგავსი ნიმუშები, აღმოჩენილი ისთმიაზე [21, გვ. 35, ტაბ. 17a], დელფოში, სპარტაში [53, გვ. 247, ნახ. 5<sub>33</sub>], დოდონაში [23, გვ. 92, 234, ტაბ. 23, №№ 586-590], ლინდოსში [17, გვ. 191], ტრებენიშტეში – ბულგარეთი [28, გვ. 85, სურ. 100]. შეიძლება დასახელდეს აგრეთვე აღმოჩენების ორი პუნქტი სამხრეთ იტალიაში – ნიოკატარო, ტარენტუმის მახლობლად [35, გვ. 107, ტაბ. IV] და პერუჯა [36, ტაბ. XXV]. შედარებით მოგვიანოა ფარი, აღმოჩენილი ათენის აგორაზე [50, გვ. 347-348, ნახ. 11-12]. ამ უკანასკნელზე მოთავსებული წარწერის მიხედვით ჩანს, რომ ეს ნიმუში წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფარს, რომელიც ათენელებმა ნადავლის სახით ჩაიგდეს ხელში ძვ.წ. 425 წელს სფაქტერიასთან სპარტელებზე გამარჯვების შედეგად და შემდეგ გამოიფინა სტოა პოიკილეში ათენის აგორაზე, სადაც ზოგიერთი მათგანის




მონახულება გაცილებით უფრო გვიან ხანაში პავსანიაშვილმა შეძლო (Paus., I, 15, 4). დროით ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ეგზემპლარი აღმოჩნდა ოლინთოში, ე.წ. „კეთილი ბედის“ ვილის მახლობლად გათხრილი შენობის ნანგრევებში [45, გვ. 56, სურ. 8-9; 44, გვ. 443-446, სურ. 27]. ეს შენობა, როგორც მთლიანად ქალაქი, ძვ.წ. 348 წელს ფილიპე II მაკედონლის ალყისა და შემდგომი შტურმის შედეგად დაინგრა. ქრონოლოგიურად ჩვენს ნიმუშთან ყველაზე ახლოს სწორედ ეს უკანასკნელი ფარი დგას (სურ. 3).



სურ. 3

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფარის გარსაკრავი სოხუმის ჩრდილოეთით მდებარე წითელი შუქურას სამაროვნის № 7 სამარხიდან. გარსაკრავი დამზადებულია ბრინჯაოს 0,5-1,0 მმ სისქის სამფენიანი ფირფიტისაგან და გამოსახავს მფრინავ არწივს, თავით მარცხნივ (სურ. 4). ფრთები და კუდი გაშლილია, ფრთის მხრები წინ გამოტანილი, ცალი ფეხით ებჯინება მარჯვენა ფრთას. ფრთები სხეულთან ბრინჯაოს ღერაკე-




სურ. 4

ბითა დაკავშირებული. არწივის თვალები, „ქერცლისებრი“ ბუმბული კისერსა და მკერდის საწყის არეში, აგრეთვე ფრთების და კუდის გრძელი ბუმბული ჭედვითაა გამოყვანილი. ფრთები სამნაწილია. ბუმბული გამოსახულია ქვედა ორ ნაწილზე, ხოლო მხრების არე გლუვია. გარსაკრავს კიდეებზე გასდევს წყვილ-წყვილად და-

ტანილი ნახვრეტები ხის ან ტყავის საფუძველზე დასამაგრებლად. არწივის სიგრძე 54 სმ-ია, გაშლილი ფრთების სიფართოე – 60 სმ [14, გვ. 88-89, სურ. 29].


ძეგლის გამთხრელმა მ. ტრაპაშვილმა ეს არწივი ასურული წარმოშობის ბექთარის ფირფიტოვან ნაწილად მიიჩნია [14, გვ. 183]. ასევე ტყავისა თუ სელის ბექთარის ლითონურ ნაწილად მიიჩნია ეს ნივთი გ. ლორთქიფანიძემაც, თანაც იმ საფუძველზე, რომ მსგავსი ბექთარის ანალოგიები არ მოიპოვება ძველ აღმოსავლეთში, მან არ გამორიცხა მისი კოლხეთშივე დამზადების შესაძლებლობა [10, გვ. 48-49]. მათგან განსხვავებული და ამასთანავე სრულებით მართებული მოსაზრება ამ ნივთის ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ პირველად გამოთქვა ბ. პიოტროვსკიმ, რომელმაც ეს არწივი ფარის გარსაკრავად მიიჩნია, მაგრამ რატომღაც სკვითურ ნახელავად ჩათვალა [11, გვ. 245]. არსებითად ბ. პიოტროვსკის მოსაზრება გაიზიარეს ე. ჩერნენკომ [15, გვ. 111] და ი. ვორონოვმა [5, გვ. 225-227]. ეს უკანასკნელი თავდაპირველად ერთგვარად ყოყმანობდა ამ გარსაკრავის წარმომავლობის განსაზღვრისას და თანაბრად შესაძლებლად თვლიდა მის დაკავშირებას როგორც ევრაზიულ სტეპებთან (ე.ი. არსებითად იმავე სკვითურ კულტურასთან), ისე წინააზიურ სამყაროსთან, სადაც გავრცელებული იყო არწივებისა და გრიფონების გამოსახულებები ქერცლოვანი მკერდით და ფრთების ბუმბულების რამდენიმე რიგად გამოსახვის მანერით [5, გვ. 227]. მოგვიანებით ის მივიდა დასკვნამდე, რომ ფარი წარმოადგენს აღმოსავლურ-ბერძნული იმპორტის ნიმუშს და ის შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით [7, გვ. 338-339]. სამწუხაროდ ეს, ჩვენი აზრით, სავსებით მართებული მოსაზრება, ი. ვორონოვს ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე დარჩა.

სურ. 5



ამგვარი ფარზე გარსაკრავად გამოყენებული არწივების აღმოჩენათა რიცხვი არცთუ ისე დიდია. ყველაზე ახლოს ჩვენს არწივთან დგას 1938-1939 წლის ზამთარში ოლიმპიაში აღმოჩენილი არწივის ფრაგმენტული (აკლია ორივე ფრთა) გამოსახულება (სურ. 5), რომელიც იგივე ფუნქციონალური დანიშნულების ნივთს წარმოადგენდა

[Ol. Ber. III, გვ. 84-84, ტაბ. 27]. კიდევ ერთი საინტერესო ნიმუშია დადასტურებული კუნძულ სამოსზე, კერძოდ, არქაული ხანის სამლოცველოს ნანგრევებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი დისკო, ერთი არწივის, ხოლო მეორე გორგონეონის გამოსახულებით [22, გვ. 215, სურ. 29]. არწივის გამოსახვის მანერა ძლიერ წააგავს წითელი შუქურისას, მაგრამ მისგან განსხვავებით ფრთები ბუმბულის ხუთი რიგითაა გამოსახული, კუდი კი – ექვსით, ხოლო ქერცლი ფარავს, როგორც კისერს, ასევე მთელ სხეულს და ფრთების მხრის ნაწილებსაც (სურ. 6). ეს არწივი ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება.



სურ. 6

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში აღმოჩენილ ორივე ზემოთ დასახელებულ ნიმუშს ერთმანეთთან აერთიანებს ერთი რამ – ორივე წარმოადგენს ბერძენი მძიმედ შეიარაღებული მეომრის აბჯრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს – ჰოპლიტურ ანუ არგოსულ ფარს.



სურ. 7

მძიმედ აღჭურვილი ქვეითი მეომრის – ჰოპლიტის გაჩენამ და მასთან დაკავშირებული სამ-

ხედრო წყობის ცვლილებებმა, უდიდესი გავლენა იქონია შეიარაღებისა და სამხედრო ტაქტიკის განვითარებაზე მომდევნო სამი ასეული წლის განმავლობაში. ამ ტაქტიკისა და შეიარაღების ეფექტურობა განსაკუთრებით გამოჩნდა ბერძენ-სპარსელთა ომების პერიოდში [52, გვ. 49]. ჰოპლიტური წყობის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს გვიანი პროტოკორინთული სტილის (ძვ.წ. 640 წ.) ე.წ. ჩიგის ვაზაზე გამოსახული ბატალური სცენა, რომელზედაც მწყობრში – ფალანგაში – მებრძოლი მეომრები გამოსახულია სრულ ჰოპლიტურ ამუნიციაში (სურ. 7). ჰოპლიტური შეიარაღების სტანდარტულ შემადგენლობაში შედიოდა მუზარადი, ბექთარი, საწვივეები (სურ. 8).



სურ. 8

მაგრამ ჰოპლიტური აღჭურვილობის – პანოპლიის – ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც განსაზღვრა კიდევ თვით ჰოპლიტის – მძიმედ შეიარაღებული ბერძენი ქვეითის – სახელწოდება, ეს არის მრგვალი, გამობერილი, ბრტყელკიდეებიანი ფარი, ანუ ჰოპლონი (ἄσπίς), რომელიც დიამეტრში 90 სმ-ს აღწევდა. მას ჰქონდა ხის საფუძველი, რომელიც გარედან ზოგჯერ ბრინჯაოს მთლიანი გარსაკრავით იყო დაფარული. ამგვარ ფარებს კიდეებზე უმეტესწილად გასდევდა ბრინჯაოსავე კანტი. ეს კიდეები

ზოგჯერ სადაა, ან წერტილოვანი ორნამენტის რიგებით შევსებული, მაგრამ აბსოლუტურად ჭარბობს ორმაგი წნულის ორნამენტი, ანუ გიიოში. შიდა მხრიდან ფარზე განთავსებული იყო გრძელი ვიწრო ფირფიტა, რომლის შუაში მოთავსებული იყო მარყუჟი მკლავის გასაყრელად – ე.წ. πῦραξ, ხოლო კიდეზე დამაგრებული იყო სახელური – ἀντιλαβή – ტყავის წნული ან სადა სახელური, ხელის ჩასავლებად. ამგვარი სისტემა ფარის მტკიცე ფიქსაციის საშუალებას იძლეოდა, ადვილებდა მისი სიმძიმის დაძლევა და თან, საჭიროების შემთხვევაში, მეომარს ორივე ხელის ხმარება შეეძლო ისე, რომ ფარს ბრძოლისას არ კარგავდა (სურ. 9). სწორედ ანტილაბე წარმოადგენდა წმინდა ბერძნულ ინოვაციას სამხედრო აღჭურვილობის განვითარებაში. ამგვარ ფარებს წყაროებში ხშირად „არგოსულად“ მოიხსენიებენ [51, გვ. 63-64; 42, გვ. 53-54; 27, გვ. 49 შმდ.; 20].



სურ. 9

ამ ფარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მათ გარე ზედაპირზე სხვადასხვა გამოსახულებათა მოთავსება, რომლებიც გერბებისა თუ ემბლემების დანიშნულებას ასრულებდნენ. არქეოლოგიურად ამგვარი დანიშნულების სხვადასხვაგვარი ემბლემები დადასტურებულია ოლიმპიაში [52, გვ. 55].

ლიტერატურულ წყაროებში ემბლემები მოიხსენიება ჯერ კიდევ პომპოსთან: II, 5, 739-742 –

ქალღმერთ ათენას ფარი შემკული გორგონეონით; II, 11, 34-37 – აგამემნონის ფარი, ასევე გორგონეონით; II, 18, 478-608 – ჰეფესტოს მიერ დამზადებული აქილევის ფარი მრავალფეროვანი კომპოზიციებით.

არქაული პერიოდის ბერძნული შავფიგურული ტექნიკით მოხატული ვაზები გვაძლევენ ამგვარი ემბლემების მრავალრიცხოვან ვარიანტებს, მათ შორის არწივების გამოსახულებითაც. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშია ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოთი დათარიღებულ ერეტრიულ ვაზზე გამოსახული ფარი, რომლის შავი ფერით დაფარულ ცენტრში თეთრი საღებავით საკმაოდ პრიმიტიულად გადმოცემულია ფრინველის გამოსახულება [26, გვ. 168, შენიშვნა 1]. ამგვარივე გამოსახულებაა ერეტრიულ კრატერზე [18, გვ. 7, ნახ. 13a], თუმცა ამ ადრეულ ხანაში ემბლემების გამოსახვა მეტად იშვიათია. სამაგიეროდ ფარების შემკობა არწივის გამოსახულებით ხშირი ხდება მოგვიანო პერიოდის ბერძნულ, განსაკუთრებით კორინთულსა და ქალკიდურ შავფიგურულ მხატვრობაში. ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისის კორინთულ ვაზზე პოპლიტების ფარებს არწივისა და ხარის თავის გამოსახულებები ამშვენებს [33, გვ. 98, სურ. 51]. ძვ.წ. 575-550 წწ. დათარიღებულ ატიკურ შავფიგურულ ლეკანეზე, მეომრების ფარებზე მოთავსებულია ცხენის თავის, ადამიანის თავის, მუზარადის, თხისა და არწივის გამოსახულებები [33, გვ. 112, სურ. 56]. ძვ.წ. 530-525 წწ. ქალკიდურ ვაზზე გამოსახულ ანდრომაქესა და ჰექტორის გამოთხოვების სცენაში, უკანასკნელს ხელში არწივის გამოსახულებიანი ფარი უჭირავს (სურ. 10) [33, სურ. 75]. გვიან პროტოკორინ-



სურ. 10

თული სტილის (ძვ.წ. 650-640 წწ.) ერთ-ერთ ვაზზე გამოსახული მეომრების ფარებს ორ შემთხვევაში ლომის თავები ამკობს, ერთს – ხარის თავი, და ერთსაც – ფრთაგაშლილი არწივი [39, გვ. 95, ნახ. 29]. შეიძლება დავასახელოთ კიდევ რამდენიმე არწივის გამოსახულებიანი ქალკიდური ჭურჭელი [მაგ. 43, ტაბ. VII, XII,

XIII], მათ შორის პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული, ძვ.წ. 540 წლით დათარიღებული ამფორა, რომელზედაც გამოსახულია ჰერაკლესა და ჰერიონის ბრძოლა (სურ. 11) [24, სურ. 86].



სურ. 11

საინტერესოა, რომ ასეთივე ფრთაგაშლილი არწივით შემკული ფარი უჭირავს გერიონს კიდევ ერთ, ძვ.წ. VI ს-ის ბოლოთი დათარიღებულ ამფორაზე (ამ შემთხვევაში ჰერიონი უკვე განგმირულია – სურ. 12) [40, გვ. 81, სურ. 18].



სურ. 12

ამგვარი ფრინველები კორინთული, ქალკიდური და ატიკური ვაზების მოხატულობაში ხშირად გამოყენებულია დეკორატიული ელემენტების სახითაც, ხშირად მოთავსებულია მეომრების ფიგურებს შორის, ცხენებს ზემოთ ან ქვემოთ ცარიელი სივრცეების შესავსებად (შდრ. სურ. 10) [33, სურ. 36, 52, 53, 56, 61; 39, სურ. 34].

თავის დროზე ჯ. ჩეიზმა, ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე, ამგვარი გამოსახულებები, მათი დანიშნულების მიხედვით

დაჰყო ცხრა კატეგორიად [25, გვ. 20, 28]: 1. წმინდა დეკორატიული ხასიათის; 2. მოწინააღმდეგის დასაშინებლად გამიზნული; 3. კულტთან დაკავშირებული; 4. სახელმწიფოს ან ეროვნების აღმნიშვნელი; 5. ოჯახთან ან წინაპართან დაკავშირებული; 6. სტატუსის ან რანგის აღმნიშვნელი; 7. ინდივიდუალური თვისებების აღმნიშვნელი, 8. როგორც ბედისწერის სიმბოლო; 9. ინდივიდუალური კაპრიზის გამოხატულება. შესაძლებელია, რომ არწივის გამოსახულება მესამე კატეგორიის ნიმუშია და ფარებზე მისი მოთავსება ზევსის თაყვანისცემასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ა. სნოდგრასის აზრით, ამგვარი ემბლემები შუა საუკუნეების ჰერალდიკურ გამოსახულებებს უახლოვდება და მათი თავდაპირველი დანიშნულება იყო მეომრის იდენტიფიკაცია. თავდაპირველად, შესაძლებელია, თითოეულ ჰოპლიტს ინდივიდუალური ემბლემა გააჩნდა – უფრო ხშირად რაიმე ცხოველისა თუ ფრინველის სახით, მოგვიანებით, დემოკრატიის განვითარებასთან ერთად, მათ ცვლის საერთო საქალაქო ემბლემები [52, გვ. 55; ემბლემების შესახებ იხ. აგრეთვე 27, გვ. 54 შმდ.-].

3. ლორიმერს მიაჩნდა, რომ ეს გამოსახულებები ოდნავ უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე ჰოპლიტური ფარი და პირველად დაკავშირებული იყო ცენტრალურსახელსურიათი მრგვალი ფარების ერთ-ერთ სახეობასთან [34, გვ. 87]. მაგრამ გარკვეული არგუმენტაციის მოშველიებით ა. სნოდგრასი ასკვნის, რომ ფიგურული ემბლემები ყოველთვის ჰოპლიტურ ფარებთან ასოცირდება [51, გვ. 61-62; შდრ. აგრეთვე 19, გვ. 29]. უფრო ადრეულ ხანაში, შესაძლოა, ხმარებაში იყო წმინდა დეკორატიული ხასიათის გამოსახულებანი – სპირალები, ვარსკვლავები, კონცენტრული წრეები და ა.შ.

თუ დავუბრუნდებით ზემოთ აღნიშნული არწივების გამოსახულებებს, ყოველ მათგანს აერთიანებს გამოსახვის ერთი და იგივე სქემა – ფრინველი ფრთაგაშლილია, თავისუფალი ფრენის მდგომარეობაში, მხრები წინ გამოზიდულია, კუდი – გაშლილი. ქალკიდური ვაზების არწივები ცალი ფეხით მარცხენა ფრთას ეყრდნობიან. ყველა ჩვენთვის ცნობილ შემთხვევაში ფრთა სამხაწილად არის გამოსახული, ე.ი. მთლიანად ემთხვევა წითელი შუქურას არწივის ფრთის სქემას. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თუ წითელი შუქურას არწივს ბუმბული გამოსახული აქვს ორ რიგად, შავფიგურული არწივების ფრთების მხარი დაფარულია ღია ფერის ლაკით, შუა ნაწილი ცარიელია, ხოლო ბუმბულით გადმოცემულია მხოლოდ ქვედა რიგი. ამ უნივერსალური პრინციპიდან ერთ-ერთი იშვიათი გადახვევაა (სამოსურ არწივთან ერთად) დაახ-

ლოებით ძვ.წ. 490-იან წლებში მოჭრილ ოლიმპიის სტატერებზე გამოსახული არწივი, რომელიც ყველა დეტალით ძალიან ახლოსაა წითელი შუქურას არწივთან [44].

სხვადასხვა არსების ფრთებზე ბუმბულის ერთ რიგად გამოსახვა საერთო დამახასიათებელ თავისებურებად ჩანს კონტინენტური საბერძნეთისათვის. მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ლომისებრი და არწივისებრი გრიფონების ფრთები გვიანპროტოკორინთულ ვაზებზე [39, ნახ. 10<sub>2,4,5</sub>, 12<sub>1,29</sub>], გველისტანიანი ფრთებგაშლილი არსების ფიგურა გარდამავალი სტილის (ძვ.წ. 640-625 წწ.) კორინთულ ვაზზე [39, ნახ. 15<sub>4,5</sub>], შუაკორინთული სტილის (ძვ.წ. 600-575 წწ.) ფრთოსანი მამაკაცი [39, ნახ. 28<sub>10</sub>], ქალღმერთი ნიკე წითელფიგურულ ატიკურ ლეკითოსზე (≈ ძვ.წ. 470 წ.) [37, ტაბ. CLXVII, № 1/691], ფრთოსანი ფიგურა (ირიდა ?) წითელფიგურულ ატიკურ ლეკითოსზე (≈ ძვ.წ. 450 წ.) [37, ტაბ. CLXVII, № 1/692].

განსხვავებულ სურათს იძლევა ძველი ადმოსავლეთის ფრთოსანი ფიგურების გამოსახულებები. ჯერ ერთი, ფრთის საერთო მოხაზულობა განსხვავდება ბერძნულისაგან, მეორე – ბუმბული აქ ჩვეულებრივ, ორ, სამ და მეტ რიგად არის ხოლმე გადმოცემული. მხრის ნაწილი ან თავისუფალია ან ქერცლითაა დაფარული. ასე, მაგ., სფინქსის ფრთა კარხემიშის ერთ-ერთ გამოსახულებაზე (ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისი) ოთხნაწილიანია, ბუმბულის სამი რიგით [3, სურ. 6]. ასეთივე ფრთები აქვს ზივიეს ცნობილი პექტორალის ყველა ფრთოსან ფიგურას [31, გვ. 24-29, სურ. 10-25]. არწივისებრი გრიფონს ნინევიის ასურბანიპალის სასახლიდან ბუმბულების ორი რიგი გააჩნია [12, ნახ. 40]. პერსეპოლისის რელიეფებზე ხშირია ოთხწილადი ფრთები დაქერცლილი მხრებით და ბუმბულის სამი რიგით. ასევე სამ რიგად არის გადმოცემული კუდის ბუმბულიც [32, გვ. 112, ნახ. 43]. ფრთების ანალოგიური სქემა აქვთ იმავე პერსეპოლისის ლომისებრი გრიფონებს ფრიზზე, სადაც მათ მეფე ებრძვის [41, გვ. 147]. ბოლოს აუცილებლად უნდა აღინიშნოს აქემენიდური ეპოქის (ძვ.წ. V-IV სს.) არწივის გამოსახულება ჰამადანიდან [49, კატ. № 671, ტაბ. LXIII], რომელსაც პირდაპირი ანალოგიები ძველადმოსავლურ ხელოვნებაში არ ეძებნება (სურ. 13). ეს არწივი მოთავსებულია ვერცხლის თასის ფსკერზე და გამოსახავს ფრინველს ფრენის მომენტში, ფრთები გაშლილი აქვს, მხრები წინ წამოწეული, თავი მარცხნივ მობრუნებული, ცალი ფეხი ებჯინება მარცხენა ფრთას, ე.ი. ზედმიწევნით იმეორებს გაფრენილი არწივის ბერძნულ სქემას. მაგრამ ამავე დროს არწივის

სამწილადი ფრთების მხრის ნაწილი, ისევე, როგორც მთლიანად სხეული, ქერცლითაა დაფარული, ხოლო ბუმბული ორ რიგადაა გამოსახული. ასევე ორიგანია კუდის ბუმბულიც. გამოდის, რომ ერთი მხრივ, ჩვენ აქ გვაქვს გაფრენილი არწივის გამოსახვის ტიპიური ბერძნული სქემა, ხოლო მეორე მხრივ ფრთების, კუდისა და ტანის გაფორმება ადმოსავლური მოტივებითაა ნაკარნახევი, ე.ი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ამკარა მაგალითი ბერძნულ-ირანული მოტივების სინკრეტიზმისა.



სურ. 13

სამწუხაროდ, ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია ოლიმპიურ არწივზე, ვინაიდან მას ფრთები აკლია, მაგრამ თუ კუდის მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი ბუმბულის ერთრიგაანობა უფრო კონტინენტურ-ბერძნული სქემის არსებობას გვაპარაულებინებს.

თუ ჩვენ წითელი შუქურას არწივს მივუდგებით ამ პოზიციებიდან, ამკარა ხდება მისი პრინციპული მსგავსება სწორედ ჰამადანის თასზე გამოსახულ არწივთან (ბუმბული ორ რიგად, მკერდის ქერცლით დაფარვა და ა.შ.). გამოსახულებათა ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ სამოსური არწივიც. ბერძნული და ადმოსავლური მოტივების შეხამება ბერძნული წარმოშობის ნივთში (ამ შემთხვევაში ფარის გარსაკრავი-ემბლემა) შესაძლებელია მომხდარიყო რომელიმე ადმოსავლურ-იონიურ ცენტრში. ამავე დროს არ არის გამორიცხული მისი რომელიმე ჩრდილო შავიზღვისპირულ იონიურ სახელოსნო ცენტრში დამზადებაც. ამ ვარაუდის რეალობას მოწმობს ყუბანისპირეთში, ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სემიბრატნის მეორე ყორღანში აღმოჩენილი გორიტიის ვერცხლის გარსაკრავი ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებით [2,

ტაბ. 113] (არტამონოვმა ის სამკერდე ბალთად ჩათვალა), რომელიც საერთო ჰაბიტუსით და გაფორმების ელემენტებით მსგავსია ჰამადანის, სამოსისა და წითელი შუქურას არწივებისა (ქერცილი სხეულზე, ბუმბულების ორი რიგი). ამდენად, წითელი შუქურას არწივის კონკრეტული წარმომავლობის შესახებ ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, თუმცა აღმოსავლურ-იონიური სკოლის გავლენა თითქოს საკმაოდ გამოკვეთილად ისახება.

დაბოლოს, რაც შეეხება ქრონოლოგიას. ი. ვორონოვის მიერ შემოთავაზებული თარიღი ამ ნივთისათვის – ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი პრინციპულ უთანხმოებას არ იწვევს. ერთადერთი საეჭვოა თარიღის ესოდენ დიდი სიზუსტე. როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთადერთი პირდაპირი ანალოგია ოლიმპიიდან ზოგადად ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება. ასევე მეტად ზოგადი თარიღია შემოთავაზებული სამოსური არწივისთვისაც. რაც შეეხება მათ გამოსახულებებს შავფიგურულ ვაზებზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ისინი გამოსახულია უკვე პროტოკორინთული სტილის ვაზებზე (ძვ.წ. 650-640 წწ.) და არსებობას განაგრძობენ მთელი ძვ.წ. VI ს-ის განმავლობაში. სიზუსტე ქრონოლოგიის საკითხებში ვერც წითელი შუქურას № 7 სამარხის კომპლექსს შეაქვს, ვინაიდან მასში შემავალი სამიოდე ნივთი – ორი რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი და რკინის დანა – ამ საკითხის გადაწყვეტის არანაირ პერსპექტივას არ იძლევა.

უშუალოდ № 7 სამარხს ემიჯნებოდა ცხენის სამარხი (№ 8), რომლის ინვენტარის შემადგენლობაში აღმოჩნდა ბრინჯაოს სხმული ორწილადი ლაგამი და ბრინჯაოს ეუკანი ზედ ორთავიანი არწივის გამოსახულებით [14, გვ. 80, ტაბ. XXII<sub>2,5</sub>]. მაგრამ ამ ორივე ნივთს ასევე დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი გააჩნია. ყოველ შემთხვევაში მსგავსი ორწილადი ლაგამები გავრცელებულია ირანსა და წინა აზიაში დიდ ტერიტორიაზე [38, გვ. 213-214; 48, გვ. 100, ტაბ. 78<sub>2,4</sub>, 79<sub>7,9</sub>] და მათ ძირითადად ძვ.წ. VII-VI სს-ით ათარიღებენ [42, გვ. 116]. მაგრამ ამავე დროს ამგვარი ლაგამი აღმოჩენილია ითხვისის სამარხში ჰაიმონის ჯგუფის კილიკთან ერთად (ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი [1, ტაბ. II<sub>9</sub>]). ანალოგიური ლაგამი დადასტურდა აგრეთვე ათენის აგორაზეც, ე.წ. „სპარსულ ნაგავში“ [9, გვ. 61-62, სურ. 58a] და მისი იქ მოხვედრა სავსებით შესაძლებელია ქსერქსეს ძვ.წ. 480 წლის ლაშქრობას დაუკავშირდეს [შდრ. 1, გვ. 42-43]. ასევე ძვ.წ. V ს-ის დასაწყისით შეიძლება თარიღდებოდეს ანალოგიური ლაგამი ოლინთოდან, აღმოჩენილი სამხრეთი ბორცვის წინასპარსულ ფენაში (უშუალოდ ძვ.წ. 480 წ-ს წინა პერიოდი) [44, გვ. 487, 494, ტაბ. CLXIII]. ამდენად ამგვარი ლაგამების ზედა ქრონოლოგიუ-

რი საზღვარი შეიძლება ძვ.წ. V ს-ის შუახანებამდე გადაიწიოს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საერთოდ პირველი იმპორტული ბერძნული ნივთები, ძირითადად კერამიკა, წითელ შუქურასა და მის მეზობლად მდებარე გუადინუს სამაროვნებზე მხოლოდ ძვ.წ. V ს-ის შუახანებიდან ჩნდება [7, გვ. 319-320].

როგორც ვხედავთ, ზუსტი თარიღის შემოთავაზება წითელი შუქურას არწივისათვის ძნელია და გვიხდება შემოვიფარგლოთ მიახლოებითი ჩარჩოებით, რომლებიც მოიცავენ ძვ.წ. 600-450 წლებს.

## G. Kvirkvelia

### HOPLITE SHIELDS IN COLCHIS

(Summary)

In the article there is an attempt to re-interpret (in the context of ancient Greek protective arms development) finds well-known for a long time in the archaeological literature: remains of two hoplite shields discovered in north-western Colchis.

One of them was accidentally found on the hill of the Alexeev gorge in the burial of the end of 4<sup>th</sup> cent. B.C. Together with other finds there were details of bronze facing of the shield including fragment of the mount, ornamented with the five rows of relief ornament, so-called guilloche. The same type of shields is well known from excavations in Olympia, Isthmia, Delphoi, Sparta, Dodona, Lindos, Trebenishte (Bulgaria), Niokataro (near Tarent) and Perudja. The closest analogy with it comes from Olynthus and was found during excavations of the building destroyed by the troops of Phillip II in 345 B.C.

The other shield is represented by the representation of the eagle from burial № 7 of the Krasnyi Mayak cemetery. This representation by the analogies with finds both in Olympia and on the island of Samos as well as numerous representations in the Ancient Greek vase paintings is attributed as a shield-device. According to stylistic peculiarities this facing was produced in a workshop operated according to east-Ionian traditions probably even in the northern Black Sea area. Date of production is varied within 600-450 B.C.

## ლიტერატურა

1. გაგლობიძე ი. თხზვისის სამარხი. – სსმპ, XXV-B, 1968, გვ. 31-46.
2. Артамонов М. И. Сокровища скифских курганов. Ленинград, 1966.
3. Блэк В. Б. К вопросу об истоках скифо-сарматского зверинного стиля. – Скифо-сибирский зверинный стиль в искусстве народов Евразии, М., 1976.
4. Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.
5. Воронов Ю. Н. Вооружение древнеабхазских племен в VI-V вв. до н.э. – Скифский мир, Киев, 1975.
6. Воронов Ю. Н. Поселение античного времени в окрестностях Сухуми. – Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979.
7. Воронов Ю. Н. Местное население Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. – ДСПШВГК, Тб., 1981, с. 334-341.
8. Квирквелия Г. Т. Местное население в р-не Сухумской бухты в период греческой колонизации – ПГКСВП, Тб., 1979, с.317-321.
9. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. I. Тб., 1941.
10. Лордкипанидзе Г. А. Колхида в VI-II вв. до н.э. Тб., 1978.
11. Пиотровский Б. Б. Ванское царство. М., 1959.
12. Руденко С. И. Искусство Алтая и Передней Азии. М., 1961.
13. Соловьев Л. Н. Диоскурия-Севастопольс-Цхум (Труды Абхазского государственного музея, I). Сухуми, 1947.
14. Трапш М. М. Труды. Т. II. Сухуми, 1969.
15. Черненко Е. В. Скифский доспех. Киев, 1967.
16. Arias P.E., Hirmer M. Tausend Jahre griechische Vasenkunst. München, 1960.
17. Blinkenberg Chr. Lindos. B. I. Berlin, 1931.
18. Boardman J. Pottery from Eretria. – BSA, 47, 1952, pp. 1-48.
19. Boardman J. Early Euboean Pottery and History. – BSA, 52, 1957, pp. 1-29.
20. Bol P. C. Argivische Schilde (= Olimpische Forschungen, XVII. Deutsches Archäologisches Institut). Berlin, 1989.
21. Broneer O. Excavations at Isthmia, Third Campaign, 1955-1956. – Hesperia, 27, 1958, pp. 1-37.
22. Bushor E. Samos 1952-1957. – Neue deutsche Ausgrabungen in Mittelmeergebiet und im vorderen Orient. Berlin, 1959, S. 197-224.
23. Carapanos C. Dodone et ses ruines. I. Paris, 1878.
24. Charbonneaux J., Martin R., Villard M. Das archaische Griechenland. München, 1969.
25. Chase G. H. The Shield Devices of the Greeks in Art and Literature. Chicago, 1979 (Reprint of the 1902 edition, Cambridge, Mass.).
26. Cook J.-M. Protoattic Pottery. – BSA., 35, 1934, pp. 165-211.
27. Ducrey P. Guerre et guerriers dans la Grèce antique. Paris, 1985.
28. Filow B. Die archaische Nekropole von Trebenische am Ochrid-See. Berlin-Leipzig, 1927.
29. Furtwängler A. Die Bronzen und die übrigen kleineren Funde von Olympia (= Olympia, IV). Berlin, 1890.
30. Ghirshman R. Iran, Protoiranien, Meder, Achemeniden. München, 1964.
31. Godard A. Le trésor de Ziwiyé. Paris, 1950.
32. Godard A. L'art de l'Iran. Paris, 1962.
33. Greenhalgh P. A. L. Early Greek Warfare. Cambridge, 1973.
34. Lorimer H. L. Homer and Monuments. London, 1950.
35. Massow W., von. Die Kypseloslade. – AM, 41, 1916, S. 1-118.
36. Messerschmidt F. Inedita Etruriae. – Studi Etruschi, VI, 1932, p. 509-524.
37. Mingazini P. Catalogo dei vasi della collezione Augusto Castellani, II. Roma, 1971.
38. Muscarella O. S. Bronze and Iron Ancient Near Eastern Artifacts in the Metropolitan Museum of Art. New-York, 1988.
39. Payne H. Necrocorinthia. Oxford, 1931.
40. Pflüg H. Korinthische Helme. – Antike Helme. Mainz, 1988, S. 65-106.
41. Porada E. Iran ancien. Paris. 1963.
42. Potratz A. Die Pferdetransportwagen des alten Orient, Roma, 1966.
43. Proietti G. (Ed.). Il museo nazionale etrusco di villa Giulia. Roma, 1980.
44. Robinson D. M. Excavations at Olynthus, Part X. Baltimore, 1941.
45. Robinson D. M., Mylonas G. E. The Fourth Campaign at Olynthus. – AJA, 43, 1939, pp. 48-77.
46. Rumpf A. Chalkidische Vasen. Berlin, 1927.
47. Schefold K. Meisterwerke griechische Kunst. Berlin, 1960.

48. Schmidt E. F. Persepolis, Vol. II. Contents of Treasury and Other Discoveries. Chicago, 1957.

49. Sept mille ans d'art en Iran. Paris, 1962.

50. Shear T. Excavations in the Athenian Agora. The Campaign of 1936. – Hesperia, 6, 1937, pp. 333-381

51. Snodgrass A. M. Early Greek Armour and Weapons. Edinburgh, 1964.

52. Snodgrass A. M. Arms and Armour of the Greeks. London, 1967.

53. Woodward A. M., Hobling M. B. Excavations at Sparta. – BSA, 26, 1923-1924.

### სურათების აღწერილობა

სურ. 1 – ახულ-აბაა. ფარის ფრაგმენტები [6, სურ. 26].

სურ. 2 – ფარის ფრაგმენტები. ოლიმპია [29, ტაბ. LXII]

სურ. 3 – ფარის ფრაგმენტი ოლინთოდან [44, სურ. 27].

სურ. 4 – წითელი შუქურას ფარის გარსაკრავი [14, სურ. 29].

სურ. 5 – ფარის გარსაკრავი ოლიმპიიდან [Ol. Ber., III, ტაბ. 27, 1008-1009].

სურ. 6 – ფარის გარსაკრავი სამოსიდან [22, სურ. 29].

სურ. 7 – ბატალური სცენა გვიანპროტოკორინთულ ოლპაზე. ძვ.წ. 640 წ. [16, სურ. IV].

სურ. 8 – ჰობლიტი. ატიკური წითელფიგურული სტამნოსი. ძვ.წ. 450 წ. [27, სურ. 140].

სურ. 9 ჰობლიტური ფარის უკანა მხარის დეტალები ქალკიდურ შავფიგურულ ვაზაზე [43, სურ. 212].

სურ. 10 – ჰექტორისა და ანდრომაქეს გამოთხოვების სცენა. ქალკიდური კრატერი, ძვ.წ. 530/525 წწ. [33, სურ. 75].

სურ. 11 – ჰერაკლესა და ჰერიონის ბრძოლა. ქალკიდური შავფიგურული ამფორა, ძვ.წ. 540 წ. [24, სურ. 86].

სურ. 12 – ჰერაკლე კლავს ჰერიონს. ქალკიდური შავფიგურული ამფორა, ძვ.წ. 540 წ. [40, სურ. 18].

სურ. 13 – ჰამადანის თასი [49, ტაბ. LXII].

### Description of figures

Fig. 1 – Akhul-Abaa, fragments of the shield [1, fig. 26].

Fig. 2 – Fragment of the shield from Olympia [29, Pl. LXII].

Fig. 3 – Fragment of the shield from Olynthus [44, fig. 27].

Fig. 4 – Facing of the shield from Krasnij Mayak cemetery [14, fig. 29].

Fig. 5 – Facing of the shield from Olympia [Ol. Ber., III, Pl. 27, 1008-1009].

Fig. 6 – Facing of the shield from Samos [22, fig. 29].

Fig. 7 – So-called "Chigi vase", Late Protocorinthian style [16, fig. IV].

Fig. 8 – Hoplite. Attic red-figured vase [27, fig. 140].

Fig. 9 – back side of an hoplite shield on the black figured Chalcidian vase [43, fig. 212].

Fig. 10 – Hector and Andromache on Chalcidian krater of 530/525 B.C. [33, fig. 75].

Fig. 11 – Heracle and Herion on Chalcidian black figured amphora of 540 B.C. [24, fig. 86].

Fig. 12 – Heracle and Herion on Chalcidian black figured amphora of 540 B.C. [40, fig. 18].

Fig. 13 – phiale from Hamadan [49, pl. LXII].




## გიორგი ცქიტიშვილი †

### მდიდრული სამარხი ცინიაგორის სამაროვნშიან

შიდა ქართლში, კასპის რაიონში, თბილისიდან დასავლეთით 45 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. კავთისხევის ჩრდილოეთით, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე შესწავლილია მრავალფენიანი ძეგლი „ცინიაგორა“. ელინისტურ ხანაში ცინიაგორის ბორცვზე დიდი სატაძრო კომპლექსი იყო განლაგებული. ბორცვის აღმოსავლეთით ნასახლარი დადასტურდა, ხოლო ჩრდილოეთით ორი სამაროვანი: 250 მ დაშორებით – „დაჭრილები“, რომელზეც ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს – III ს-ის დასაწყისის ქვევრ-სამარხებია შესწავლილი. ბორცვიდან 100 მ დაშორებით განლაგებულია მეორე, უფრო დიდი სამაროვანი – „საყარაულო სერი“, რომელზეც ძვ.წ. III – ახ.წ. I სს. ორმოსამარხები, რომაული ხანის ქვევრსამარხები და ძვ.წ. I – ახ.წ. IV სს. ქვაყუთებია შესწავლილი.

1983 წელს „საყარაულო სერის“ სამაროვანზე გაითხარა ერთი მდიდრული ინვენტარიანი ორმოსამარხი (1,4 × 1,1 მ). ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, მაგრამ შეიმჩნეოდა, რომ მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, მოკუნტული, თავით აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა მრავალფეროვანი ინვენტარი:



სურ. 1

**1. დისკო.** ოქრო. d – 16,2 სმ. ფირფიტა დამზადებულია ერთი ფურცლისაგან ტვიფრით. კუწობობიანი ფირფიტა-დისკოს კიდეზე შემოუყვება სარტყელი, შემკული პალმეტებით, რომელთა შორის მოთავსებულია ვარდულები. დისკოს ზედაპირი, ორმაგი ცრუწნულის მეშვეობით, დაყოფილია სამ სარტყლად. გარე სარ-

ტყელში მოთავსებულია ექვსფურცლიანი ვარდულები. შემდეგი სარტყლის არე თავისუფალია. შიდა სარტყელი კოპებით არის შემკული. ყველა გამოსახულება რელიეფურია. დისკოს ცენტრში დარჩილია კანელურებიანი ჯამისებრი უმბონი, რომლის ფსკერსაც გარშემო შემოუყვება კოპების წრე. შიდა სივრცე გაყოფილია სამ წრედ, რომელიც შევსებულია ყვითელი მინანქრით (პასტით?). დისკოს უკანა მხარეს, ცენტრში, ორი ყუნწია დამაგრებული, ერთმანეთისაგან 1 სმ დაშორებით. ყუნწებში შემორჩენილი იყო 2 მმ სისქის გრებილი თოკი (სურ. 1, ტაბ. II<sub>14</sub>).

**2. ვარდული.** ოქრო (62 ც. მთელი და 19 ც. ფრაგმენტული). თხელ ფირფიტაზე ტვიფრით გამოყვანილია 6-7 ფურცლოვანი ვარდული. შუაგული და ფურცლები მცირედ ამოზნექილია. ვარდულები უყუნწოა.



სურ. 2


**3. ღილაკი.** ოქრო (27 ც.). ვერცხლი (5 ც.). მრგვალი, შუაგული ამოზნექილი, ტვიფრით გამოყვანილი. უკან მირჩილული ყუნწით. ვერცხლის ღილაკები შედარებით მოზრდილებია (სურ. 2).

**4. კილიტი.** ოქრო (84 ც. მთელი და 32 ც. ფრაგმენტული). გოფირებულ მილაკზე ყუნწის საშუალებით შეკიდულია თხელი, მრგვალი ფირფიტა.

**5. საყურე.** ოქრო (2 ც.). მრგვალგანიგაკეთიანი მავთულის სადა, პირგანსნილ რგოლზე ბრტყელი ყუნწით თავისუფლად ჩამოკიდებულია ოქროს მავთულის ბუდეში ჩასმული თეთრი მინერალის ბურთულა (სურ. 3<sub>2</sub>).

**6. მივიგსაკიდი.** ოქრო. ყუნწზე ჩამოკიდებული მავთულის ბუდეში ჩასმულია თეთრი მინერალის ბურთულა (სურ. 3<sub>5</sub>).

7. **საკიდი.** ოქრო. ცალმხრივ ამობურცული სარდიონი ჩასმულია ერთი ფურცლისაგან გამოჭრილ ოქროს რკალჯვარედინიან ბუდეში. რკალზე მავთულის ყუნწებია დარჩილული (სურ. 3<sub>4</sub>).



სურ. 3

8. **რგოლი** სასაფეთქლე. ვერცხლი (2 ც.). რკალზე პატარა მოოქრული ბურთულები შემოუყვება (ტაბ. I<sub>20</sub>).

9. **რგოლი.** ვერცხლი (2 ც.). მრგვალგანივკვეთიანი, რკალშეკრული (ტაბ. I<sub>28</sub>).

10. **ბეჭედი.** ვერცხლი. მრგვალგანივკვეთიანი რკალი მხრებისაკენ ოდნავ ფართოვდება და გადადის თითქმის მრგვალ ფარაკში (რკალი გატეხილია, გამოსახულება არ ჩანს) (ტაბ. I<sub>26</sub>).

11. **ბეჭედი.** ვერცხლი. რკალი ნაკეთებია ვიწრო, დაბრტყელებული ღეროსაგან, ზემოდან დარჩილული აქვს სპირალურად დახვეული მოგრძო „გვირგვინი“ (ტაბ. I<sub>27</sub>).

12. **ილარი.** ვერცხლი (ტაბ. I<sub>41</sub>).

13. **სამაჯური.** ბრინჯაო. სადა, ბოლოები ბურცობებითაა შემკული (ტაბ. I<sub>46</sub>).

14. **სამაჯური.** ბრინჯაო. რკალი და ბოლოები ოვალური ბურცობებითაა შემკული (ტაბ. I<sub>47</sub>).

15. **სამაჯური.** ბრინჯაო. ნაკლული. ბოლოები ჭდეებითაა დაფარული (ტაბ. I<sub>45</sub>).

16. **ღილი.** ბრინჯაო (ტაბ. II<sub>12</sub>).

17. **ზარაკი.** ოქრო. კონუსური ფორმის, ბრტყელი, ფართო ყუნწით, ყუნწის ძირში ორივე მხარეს სამ-სამი ცვარა აქვს. ზარაკის შერჩენილ ქვედა კიდეს შემოუყვება ცვარას ერთი

ზოლი, რომელსაც ერთ ადგილას 6 ცვარასაგან შედგენილი პირამიდა აზის (სურ. 3<sub>3</sub>)

18. **ზარაკი.** ბრინჯაო (2 ც.). კონუსური, გვერდები სამკუთხედებითაა დაფანჯრული, მრგვალი ყუნწით, რკინისენიანი (ტაბ. II<sub>5</sub>).

19. **ზარაკი.** ბრინჯაო (4 ც.). ნახევარსფერული, ზემოდან ორი ნახვრეტი აქვს, რომელშიც რგოლად შეკრული ბრინჯაოს მავთულია გაყრილი (ტაბ. II<sub>10</sub>).

20. **საკიდი.** ბრინჯაო. მთლიანად სხმული ცხვრის ფიგურა. აქვს სამკუთხა ფორმის დრუნჩი, დაგრეხილი რქები, ზურგზე – მრგვალი ყუნწი (ტაბ. I<sub>11</sub>).

21. **მიფი.** ვიშერი. ხარის ორმაგი პროტომის გამოსახულებით (ტაბ. I<sub>12</sub>).

22. **მიფი.** ოქრო (7 ც. მთელი და 12 ც. ფრაგმენტული). სადა, სფერული, შედგენილი ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვით (სურ. 3<sub>1</sub>).

23. **საბეჭდავი.** თეთრი ფერის პასტა. მრავალწახნაგა, ფუძეზე გამოსახული ბრძოლის სცენით (სურ. 4, ტაბ. I<sub>43</sub>).



სურ. 4

24. **საბეჭდავი.** მუქი ლურჯი ფერის მინა. მრავალწახნაგა, ფუძეზე გამოსახული ბრძოლის სცენით (სურ. 5, ტაბ. I<sub>44</sub>).



სურ. 5

**25. მძივები.** სარდონი. კვირისთავის ფორმის (ტაბ. I<sub>10</sub>); ბრტყელი, ოთხკუთხა, მოგრძო, შინდის ფორმის; ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული, ჩიტების გამოსახულებით (ტაბ. I<sub>13</sub>); თხელი ფირფიტისაგან დამზადებული, მოყავისფრო მძივსაკიდი, რომელსაც ორივე მხრიდან სიგრძივ დაუყვება თეთრი ზოლები (ტაბ. I<sub>42</sub>); სხვადასხვა ფორმის ნამზადები (ტაბ. I<sub>32,33,35</sub>).

**26. მძივები.** ქალცედონი. ცილინდრული, მონაცრისფრო (ტაბ. I<sub>31</sub>).

**27. მძივები.** მინა. ლურჯი, ინკრუსტირებული თეთრი „თვალებით“ (ტაბ. I<sub>18</sub>); მოშავო-მონაცრისფრო ზოლებით (ტაბ. I<sub>8</sub>); მწვანე, ზარაკის ფორმის, ყუნწიანი, ბრტყელი ფუძით (ტაბ. I<sub>17</sub>); „კასრისებრი“, მოყავისფრო, თეთრი ზოლებით; შინდის კურკის ფორმის, შემკული ტალღური ორნამენტით; მონაცრისფრო, ისრის ფორმის (ტაბ. I<sub>21</sub>); ლურჯი, ბიკონუსური; ყავისფერი, კონუსური ფორმის ზურგით (ტაბ. I<sub>30</sub>); თეთრი, დელფინის (?) ფორმის (ტაბ. I<sub>7</sub>).

**28. მძივები.** პასტა. მოგრძო, მილისებური, წითლად შეღებილი (ტაბ. I<sub>9</sub>); სფერული, სხვადასხვა ფერის (ტაბ. I<sub>40</sub>); თეთრი, მზის დისკოს გამოსახულებით (ტაბ. I<sub>15</sub>); იოტები სხვადასხვა ფერის.

**29. მძივები.** გიშერი (ტაბ. I<sub>14</sub>).

**30. მძივები.** კაჟი (ტაბ. I<sub>9</sub>).

**31. მძივები.** ძვალი. სამკუთხა ფორმის, შეღებილი წითლად (ტაბ. I<sub>1</sub>).

**32. ჩამჩა.** ვერცხლი. ოღნავ პირშესქელებული, ნახევარსფეროსებრი კოვზი უშუალოდ გადადის ვერტიკალურ, ოთხკუთხაგანიკვეთიან ტარში, რომელიც ფართო რგოლით მთავრდება. სიმაღლე – 17 სმ, პირის დმ – 4,5 სმ (სურ. 6; ტაბ. II<sub>3</sub>).

**33. ფიალა.** ვერცხლი. დამზადებული თხელფურცლოვანი ფირფიტისაგან, ტანზე შემოუყვება სარტყელი. სიმაღლე – 6 სმ, პირის დმ 9,5 სმ (სურ. 6; ტაბ. II<sub>1</sub>).



სურ. 6

**34. ხელადა.** თიხა, კარგად განლექილი, მოვარდისფროდ გამომწვარი. შეღებილია წითელი საღებავით (ტაბ. II<sub>4</sub>).

**35. ხელადა.** თიხა, განლექილი. გამომწვარია მონაცრისფროდ (ტაბ. II<sub>11</sub>).

**36. ლარნაკი.** თიხა, კარგად განლექილი. გამომწვარია მოვარდისფროდ, შეღებილია წითელი საღებავით (ტაბ. II<sub>2</sub>).

**37. ისრისპირი.** ბრინჯაო. სამფრთიანი, მრგვალმასრიანი. სიგრძე – 3 სმ (ტაბ. II<sub>8</sub>).

**38. შუბისპირი.** რკინა. ნაკლული, შემორჩენილია მასრა (ტაბ. II<sub>6</sub>).

**39. დანა.** რკინა. ოღნავ მოხრილი, სატარეზე შერჩენილია მანჭვლები (ტაბ. II<sub>13</sub>).

**40. რგოლი.** რკინა (ტაბ. II<sub>9</sub>).

**41. კაური** (ტაბ. I<sub>2,3</sub>).

**42. ეშვი.** ღორის, დამუშავებული (ტაბ. I<sub>4,5</sub>).

**43. ძვალი.** დამუშავებული (ტაბ. I<sub>6</sub>).<sup>22</sup>



სურ. 7

განხილული სამარხეული ინვენტარი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ (ახალგორი, ალგეთი, სამადლო, ვანი) მდიდრულ სამარხთა ინვენტართან, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტა-დისკო (სურ. 1; ტაბ. II<sub>14</sub>). საქართველოს ტერიტორიაზე, მსგავსი დისკო, ლიტერატურაში დღემდე ცნობილი იყო 1908 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ახალგორის განმიდან. კავთისხევის ცალი უახლოვდება ახალგორში აღმოჩენილ ოქროს დისკოს. ორივე შემკულია ნაპირებთან გარშემოვლებული

<sup>22</sup> ოქროსაგან დამზადებული ნივთები, ვერცხლის ჩამჩა და ფიალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. დანარჩენი მასალა – კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ზუსტად ერთნაირი ორნამენტით – პალმეტებით. მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაცაა. ახალგორის ფირფიტაზე შემკულობის ყოველი დეტალი გამოყვანილი ცალკე და შემდეგ არის მირჩილული ძირითად ფურცელზე. კავთისხევის ფირფიტა კი ერთი მთლიანი ტვიფრითაა ამოტვიფრული. ძვ.წ. V-IV სს. პირველი ნახევრის კომპლექსებში დატვიფრულგამოსახულებიანი ფირფიტები არ არის ცნობილი, მომდევნო ხანაში კი ფართოდ ვრცელდება. ამ დაკვირვების თანახმად, ჩვენი ფირფიტა-დისკო ახალგორულთან შედარებით უფრო გვიანდელად გამოიყურება (მსგავსი ფირფიტა, ოღონდ ვერცხლის, მოოქრული, d – 15 სმ (სურ. 7), შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა 1982 წელს კასპის რაიონის სოფ. სასირეთში).<sup>23</sup>

საყურადღებოა გიშრის მძივი (ტაბ. I<sub>12</sub>), ხარის პროტომის გამოსახულებით, მსგავსი ციხიაგორის ტაძარში აღმოჩენილი კაპიტელისა.

სამარხი ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

### G. Tskitishvili

#### RICHLY FURNISHED BURIAL AT TSIKHIAGORA NECROPOLIS

(Summary)

The multilayered site of Tsikhiagora, situated on the right bank of the river Mtkvari 45 km westward of Tbilisi, near the village of Kavtiskhevi, Kaspi district, has revealed a large temple complex belonging to the Hellenistic period. A richly furnished pit-burial (1,4x1,1 m) was excavated at its necropolis – Saqaraulo Seri in 1983. A badly preserved skeleton was found. The corpse lay on the left side in crouched position, facing east. The burial is dated to the 3<sup>rd</sup> cent. B.C.

#### ტაბულებისა და სურათების აღწერილობა

სურ. 1 – ოქროს დისკო.

სურ. 2 – ოქროსა და ვერცხლის ღილაკები.

სურ. 3 – 1. ოქროს მძივები; 2. საყურეები; 3. ზარაკი; 4-5. მძივსაკიდები.

სურ. 4 – თეთრი ფერის პასტის საბეჭდავი.

სურ. 5 – ლურჯი ფერის მინის საბეჭდავი.

სურ. 6 – 1. ვერცხლის ფიალა; 2. ვერცხლის ჩამჩა.

სურ. 7 – ვერცხლის მოოქრული დისკო (შემთხვევითი მონაპოვარი, სასირეთი).

ტაბ. I – 1. მძივები ძვლის, წითლად შეღებილი; 2-3. კაური; 4-6. ძვალი დამუშავებული; 7, 8, 17, 18, 21. მინის მძივები; 9. კაჟი; 11. ბრინჯაოს საკიდი; 12. გიშრის საკიდი; 10, 13, 14, 42. სარდონის მძივები; 15, 16, 19, 40. პასტის მძივები; 20, 28. ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები; 26, 27. ვერცხლის ბეჭდები; 22-25, 29-39. მძივები, სხვადასხვა მინერალის; 41. ვერცხლის ილარი; 43-44. მინის საბეჭდავები; 45-47. ბრინჯაოს სამაჯურები.

ჯაოს საკიდი; 12. გიშრის საკიდი; 10, 13, 14, 42. სარდონის მძივები; 15, 16, 19, 40. პასტის მძივები; 20, 28. ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები; 26, 27. ვერცხლის ბეჭდები; 22-25, 29-39. მძივები, სხვადასხვა მინერალის; 41. ვერცხლის ილარი; 43-44. მინის საბეჭდავები; 45-47. ბრინჯაოს სამაჯურები.

ტაბ. II – 1. ვერცხლის ფიალა; 2. თიხის ლარნაკი; 3. ვერცხლის ჩამჩა; 4, 11. თიხის ხელალები; 5, 10, 12. ბრინჯაოს ზარაკები და ღილაკები; 8. ბრინჯაოს ისრისპირი; 6, 9, 13. რკინის ნივთები; 14. ოქროს დისკო.

#### Description of the plates and figures

Fig. 1 - Gold disk.

Fig. 2 - Gold and silver buttons.

Fig. 3 - 1. Golden beads; 2. earrings; 3. bell; 4-5. pendants.

Fig. 4 - Seal made of white paste.

Fig. 5 - Seal made of blue glass.


Fig. 6 - 1. Silver phiale; 2. silver ladle.

Fig. 7 - Silver disk, gilt. (accidental find from Sasireti).


Pl. I - 1. Red painted bone beads; 2-3. cauri; 4-6. treated bone; 7, 8, 17, 18, 21. glass beads; 9. flint; 11. bronze pendant; 12. jet pendant; 10, 13, 14, 42. cornelian beads; 15, 16, 19, 40. paste beads; 20, 28. silver temple rings; 26, 27. silver finger-rings; 22-25, 29-39. beads made of various minerals; 41. silver ear-spoon; 43-44. glass seals; 45-47. bronze bracelets.

Pl. II - 1. Silver phiale; 2. clay vase; 3. silver ladle; 4, 11. clay jugs; 5, 10, 12. bronze bells and buttons; 8. bronze spearhead; 6, 9, 13. iron articles; 14. golden disk.

<sup>23</sup> ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.



Պատ. II



ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში

არქეოლოგიური ძეგლი „ციხიაგორა“ მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, თბილისიდან დასავლეთით 45 კმ-ზე, კასპის რაიონში, სოფ. კავთისხევის ჩრდილოეთით. იგი წარმოადგენს ბორცვს, რომლის სიმაღლე 12 მ-ია, თხემის ფართობი 0,5 ჰა. კულტურული ფენების სიმძლავრე 6 მ-ს აღემატება.

ძეგლის შესწავლა დაიწყო 1971 წელს, კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით. გათხრისას გორაზე დადასტურდა სამი კულტურული ფენა – ადრებრინჯაოსი, გვიანბრინჯაოსი და ანტიკური ხანის [37, გვ. 87-93].

ციხიაგორის ყველაზე მნიშვნელოვან ფენად ანტიკური ხანის ფენაა მიჩნეული. მისი სიმძლავრე 4 მ-ს აღწევს. ამ ფენას ეკუთვნის ელინისტური ხანის უნიკალური სატაძრო კომპლექსი, რომელიც გ. ცქიტიშვილის აზრით, ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით-ძვ.წ. III ს-ის შუა ხანებით, ხოლო ჩვენი აზრით ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით-ძვ.წ. II ს-ის შუახანებით თარიღდება.<sup>24</sup> სატაძრო კომპლექსი გორის თითქმის

მთელ თხემს იკავებს (ტაბ. I). მასში შედის თვით ტაძარი და მასთან დაკავშირებული ნაგებობები: მარანი, ბელელი, წისქვილი, „სატრაპეზო“, სათონე და სხვ. კომპლექსი შემოზღუდულია გალავნით [24, გვ. 169-171; 41, გვ. 83-98; 11, გვ. 57-66].<sup>25</sup>

ტაძრის კომპლექსში შემავალი „სატრაპეზოს“ ტერიტორიაზე ელინისტური ფენის VIII დონის ქვეშ აღმოჩნდა აქემენიდური ხანის ფენა [38, გვ. 87-88, ტაბ. 79<sub>1</sub>, 82<sub>1</sub>]. ამ ფენის ქვეშ აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნასახლარი [38, გვ. 87-88, ტაბ. 79<sub>2</sub>, 82<sub>2</sub>]. გვიანბრინჯაოს ხანის ფენის ქვეშ გაითხარა შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [5; 38, გვ. 87-88, ტაბ. 80, 81], რომლებიც გამართული იყო ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე [10].

შედეგად მივიღეთ ციხიაგორის კულტურული ფენების და ღონეების შემდეგი თანმიმდევრობა:

I ფენა – ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, 2 ღონე A და B 5 სამშენებლო ჰორიზონტით. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარი;

II ფენა – შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახევარი;

III ფენა – გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნასახლარი – 2 ღონე;

IV ფენა – აქემენიდური ხანის. ძვ.წ. VI ს-ის მიწურული-IV სს.;

V ფენა – ელინისტური ხანის, 8 სამშენებლო ღონე. ძვ.წ. III-I სს.

აქემენიდური ფენა თავიდან ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში, ბელლის წინა ფართობზე გამოვლინდა, სადაც დადასტურდა დიდი შენობის საძირკვლის ნაშთები [24, გვ. 169]. ფენა ძალიან დაზიანებული იყო, თუმცა შესაძლებელი გახდა სამი სამშენებლო დონის გამოყოფა.

1986-88 წწ. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, XXVI სექტორში (კვ. 90-92, 115-116) აღმოჩნდა მოზრდილი ბრტყელი რიყის ქვებით შედგენილი ქვაფენილი, 4,5 მ სიგანის, 9 მ სიგრძის, W-O ხაზის მიმართულებით, აღმოსავლეთით გაუთხრელ ფართობში შემავალი (ტაბ.

<sup>24</sup> ციხიაგორის ელინისტური ფენა 8 სამშენებლო ღონეს მოიცავს. აქედან III-VIII ღონეები სატაძრო კომპლექსის არსებობის პერიოდს მიეკუთვნება. სატაძრო კომპლექსის ფუნქციონირების ბოლო ეტაპი III ღონეს უკავშირდება. ამ დონის ნგრევის პერიოდი ემთხვევა ქართლში შავად გამოძვარი, „სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკის გავრცელების ხანას (ასეთი ჭურჭელი III ღონეზეც გამოჩნდა), რომელიც ძვ.წ. II ს-ის დასაწყისითა და ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრითა განსაზღვრული [34, გვ. 59]. ამ სახის კერამიკის თარიღი სამადლოს, ნასტაკისის, დელოფლის მინდვრის, უფლისციხის და ციხიაგორას სტრატეგრაფიული მონაცემების და შესაბამის ფენებში მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგადაა მიღებული [29, გვ. 85; 34, გვ. 63]. ასეთი კერამიკა დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ციხიაგორას I და II ღონეებში, რომლებიც უშუალოდ ადევს III ღონეს. ამდენად, ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის დანგრევა „სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკის გავრცელების შუა პერიოდში, ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებში უნდა ვივარაუდოთ. ტაძრის ფუნქციონირების ბოლო ეტაპის თანადროული სატრაპეზოს ქვეშ კიდევ ხუთი სამშენებლო ჰორიზონტი (IV-VIII ღონეები) გაითხარა, რომლებიც ისევ ტაძართანაა დაკავშირებული. IV-V ღონეებში მცირე რაოდენობით კიდევ გვხვდება „სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკა, ხოლო VI-VIII ღონეები „სამადლოს სტილის“ მოხატული კერამიკითა წარმოდგენილი, რომელიც სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტურ ფენაში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკის [29, გვ. 43-47, ტაბ. IX] მიხედვით ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისით თარიღდება [34, გვ. 60, 83; 35, გვ. 3; 20, გვ. 2]. ციხიაგორის

სატაძრო კომპლექსის აგების თარიღს, სწორედ, „სამადლოს სტილის“ მოხატული კერამიკა ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით განსაზღვრავს.

<sup>25</sup> 1986-89 წწ. სტატიის ერთ-ერთი ავტორი მუშაობდა ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, XXVI სექტორში (ციხიაგორა მიმდებარე ტერიტორიით, დაყოფილია სექტორებად 100 × 100 მ-ზე, სექტორები დაყოფილია კვადრატებად 4 × 4 მ-ზე), სადაც 300 მ<sup>2</sup> ფართობზე ყველა ფენა იქნა შესწავლილი და თხრილი გრუნტის ღონემდე დაყვანილი.

III). ელინისტური ფენისაგან ქვაფენილი გამოყოფილი იყო 30-50 სმ სისქის შავი მიწის შრით. ქვაფენილში (კვ. 90) იყო ჩაღრმავება, ასევე ქვებით მოკირწყლული, რომელშიც აღმოჩნდა კერამიკა და ბრინჯაოს სამწახნაგა მასრიანი ისრისპირი (ტაბ. VII<sub>4</sub>), ქვაფენილზე აღმოჩნდა მეორე ასეთივე ისრისპირი (ტაბ. VII<sub>5</sub>). ქვაფენილთან დაკავშირებული ფენა ფრაგმენტულად იყო გადარჩენილი 42, 67, 92, 115 კვებში ნაცროვანი შრეების სახით და გაუთხრელ ფართობში შედიოდა (ტაბ. III). მასვე მიეკუთვნება სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების ოცზე მეტი ორმო (ტაბ. III). ორმოების ნაწილი, მაგალითად №№ 1, 7, სტრატეგრაფიულად უფრო მაღლიდან იყო ჩაშვებული, ვიდრე ქვაფენილის დონე.

აღნიშნული ფენის მასალა აღმოჩნდა კვ. 142, 143-ში, სადაც ელინისტური ხანის გალავნის კედელს ჩაჭრილი აქვს აქემენიდური ხანის ფენა (ტაბ. II).

2000 წ. ტაძრის დიდი ეზოს შესწავლის დროს, როდესაც გამოვლინდა ტაძრის დროინდელი ეზოს 3 დონე, თავისი სადრენაჟო სისტემით (კვ. 147-148), გაითხარა აქემენიდური ფენის სათავსოს ნაწილი (ტაბ. II). იგი 30 სმ-ით დაბლაა ტაძრის ეზოს დონეზე და ეზოს ქვაფენილი ნაწილობრივ გადადის მასზე. დაფიქსირდა სათავსოს აღმოსავლეთი კედელი 4 მ სიგრძეზე (სიგანე 90 სმ), დანარჩენი გაუთხრელ ფართობში შედის. სათავსოს იატაკზე *in situ* დაფიქსირდა კერამიკის დიდი გროვა (ტაბ. IV<sub>52-69</sub>).

#### IV ფენაში მოპოვებული მასალის ანალიზი

IV ფენის კერამიკა ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად ორი ჯგუფითაა წარმოდგენილი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის ჭურჭელი, რომლებიც დამზადებულია განლექილი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, ჩარხზე ან ხელითაა ნაძერწი, რუხი, (ტაბ. IV<sub>10,21,22,24,27,41,67,68</sub>; V<sub>52</sub>; VI<sub>7</sub>), ლეგა-მოშავო, (ტაბ. IV<sub>11</sub>; V<sub>5,36,56</sub>; VII<sub>3</sub>) მონაცრისფრო (ტაბ. IV<sub>42,63</sub>; V<sub>28,39,50</sub>) ან მუქი ყავისფერი (ტაბ. IV<sub>16</sub>) კეცი აქვთ. ამ ჯგუფის ჭურჭლის დიდი ნაწილი სქელკედლიანია, არათანაბრად გამომწვარი, შემკულია გაპრიალებული ხაზებით (ტაბ. IV<sub>60</sub>; VI<sub>18</sub>), ნაკაწრი ორნამენტით (ტაბ. IV<sub>8</sub>; V<sub>5,27</sub>; VI<sub>7</sub>; VII<sub>3</sub>) და რელიეფური სარტყლებით (ტაბ. IV<sub>63</sub>; V<sub>36,39,50</sub>). მეორე ჯგუფის ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოწითალოდ (ტაბ. IV<sub>8,25,26,31,34</sub>; V<sub>3</sub>), ღია ჩალისფრად (ტაბ. IV<sub>28,51</sub>; V<sub>59</sub>; VI<sub>9</sub>) ან მოყავისფროდ. ყველა მათგანი კარგად, თანაბრადაა გამომწვარი, ჩარხზეა დამზადებული, თხელკედლიანია. გამონაკლისის გარეშე, ყველას ზედაპირი კარგადაა დამუშავებული. უმეტეს შემთხვევაში გაპრიალებულია და შეღებილი წითელი საღებავის სქელი ფენით

(ტაბ. IV<sub>58</sub>; V<sub>35,49</sub>; VI<sub>16</sub>).<sup>26</sup> ქართლის კერამიკისათვის ეს ახალი ტექნოლოგიური ხერხია.<sup>27</sup>

ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ჭურჭელი ახალი, არატრადიციული ფორმებითაც გამოირჩევა. ესენია პროფილირებული და პირმოყრილი ჯამები, ნისკარტიანი დოქები, „ჩაიდნები“, მაღალრელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრები, ფსევდოსიგარისებური ჭურჭლები და სხვ.

IV ფენის მასალა თითქმის ერთგვაროვანია, ყველა დონე შეიცავს ორივე ჯგუფის კერამიკას, რაც მათ ქრონოლოგიურ სიანლოვეს მიუთითებს.

ციხიაგორის IV ფენაში გვხვდება სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის ჭურჭელი და სარიტუალო დანიშნულების კერამიკა.

**სამეურნეო ჭურჭელი** წარმოდგენილია ქვევრებით, დერგებით და ქილებით.

I. **ქვევრი** ორი ტიპის გვხვდება [ტიპოლოგიისათვის იხ. 34, გვ. 12-14]. I ტიპის ქვევრები ქობამომრგვალებული, დაბალყელიანია, დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი თიხისაგან. სქელკედლიანია. ასეთი ჭურჭელი ერთი ცალია აღმოჩენილი. მას მართალია წითელი კეცი აქვს, მაგრამ ეს მეორადი გამოწვის შედეგი უნდა იყოს (ტაბ. V).

II ტიპის ქვევრები მაღალყელიანია, მათ სწორი ან ოდნავ მომრგვალებული ქობა აქვთ, ყველა მათგანი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და ღია ფერის კეცი აქვთ. ამ ტიპის ჭურჭლისათვის ყელის ქვემოთ დატანილი მაღალი რელიეფური სარტყელია დამახასიათებელი (ტაბ. IV<sub>29,32,52,53,55</sub>; V<sub>26</sub>; VI<sub>11,35</sub>). ერთ მათგანს (ტაბ. IV<sub>53</sub>) ტანი გაპრიალებული ხაზებით აქვს შემკული, მეორის ქობაზე დატანილია Λ-ს მაგვარი ნიშანი (ტაბ. IV<sub>55</sub>). ასეთივე ნიშანია დატანილი ამ ქვევრთან ერთად აღმოჩენილი დოქის ყურზეც (ტაბ. IV<sub>69</sub>).

ციხიაგორის ორივე ტიპის ქვევრებს ახლო პარალელები ხოვლეს ნამოსახლარის III [13, ტაბ. LIV, 523<sub>s</sub>, 555<sub>s</sub>, 565<sub>s</sub>, 565<sub>1-5</sub>,] და II [13, ტაბ. LVII, 587<sub>s</sub>, 1079<sub>s</sub>, 1079<sub>a-s</sub>, 1080<sub>s</sub>, 1085<sub>s</sub>, 840<sub>s</sub>, 2185<sub>s</sub>] პორიზონტებშია აღმოჩენილი.

II ტიპის ქვევრები აღმოჩენილია ნახიდრების ჭალის ნამოსახლარზე [6, გვ. 70-71, ტაბ. XXXVIII<sub>5-7</sub>] და არუხლო I გორანამოსახლარზე [6, გვ. 82, ტაბ. XXXVIII<sub>1-3</sub>]. უნდა აღინიშნოს, რომ ნახიდრების ჭალის ქვევრების ქობა განსხვავდება ციხიაგორის, ხოვლეს და არუხლო I ქვევრებისაგან. ისინი ელინისტური

<sup>26</sup> მითითებულია მხოლოდ ის ნატეხები, რომელთა მიხედვით ჭურჭლის ფორმის დადგენა ვერ მოხერხდა.

<sup>27</sup> ამ ფენაში წითელი საღებავით მოხატული ორი ნატეხი აღმოჩნდა (ტაბ. IV<sub>8,57</sub>), ერთი (ტაბ. IV<sub>57</sub>) კვ. 147-148 გათხრილი ოთახის შევსებაში, იატაკიდან 0,2 მ სიმაღლეზე აღმოჩნდა. იგი ელინისტური ხანის ფენას უნდა ეკუთვნოდეს.



ხანის ქვევრების პირის გაფორმების მსგავსია და შესაბამისად მოგვიანოცაა.

ტიპოლოგიურად მსგავსი ქვევრები აღმოჩენილია ნარეკვავის ნამოსახლარის III [4, გვ. 56, ტაბ. XLII<sub>1-4</sub>], II [4, გვ. 46, ტაბ. XXXIV<sub>3-6</sub>] და I [4, გვ. 34, ტაბ. XXVII<sub>3</sub>] სამშენებლო ჰორიზონტებში.

**II. დერგი.** ორი ტიპითაა წარმოდგენილი. I ტიპის დერგებს (ტაბ. V<sub>48</sub>) მომრგვალებული ქობა, სქელი პირი, დაბალი ყელი, მოშავო-მონაცრისფრო სქელი კეცი აქვთ. II ტიპის დერგებისათვის დამახასიათებელია თხელი, გარეთ გადმოშლილი პირი, შედარებით მაღალი ყელი. მათ თხელი, ღია ფერის კეცი აქვთ (ტაბ. IV<sub>1</sub>; V<sub>2,12,18</sub>; VI<sub>19,24</sub>).

**III. ქილა.** (ფსევდოსიგარიანური) დიდი ზომის, წაგრძელებული ფორმის ჭურჭელია (ტაბ. VI<sub>8,12-14</sub>). ერთი მათგანი მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, რუხი ფერის (ტაბ. VI<sub>13</sub>), დანარჩენები კარგად განლექილი თიხისაა, ღია ფერის თხელი კეცით, ზედაპირი გაპრიალებულია. ერთ მათგანს (ტაბ. VI<sub>14</sub>) ძირი ამობურცული აქვს, რის გამოც მისი ფეხზე დაყენება ძნელი იქნებოდა.

ციხიაგორაზე აღმოჩენილი ქილების მსგავსია ხოვლე III [13, გვ. 45, ტაბ. LIV, 858=860<sub>s</sub>, 859<sub>s</sub>] და ხოვლე II [13, გვ. 53, ტაბ. LV-990<sub>s</sub>, 1017<sub>s</sub>, 1033<sub>s</sub>, 1083<sub>s</sub>, 1098<sub>s</sub>, 1239<sub>s</sub>, 1388, 1734, 1736] აღმოჩენილი ჭურჭლები.

**IV. ჭრაქი** (ტაბ. VII<sub>ა</sub>). ასეთი ტიპის ჭრაქები ჩვენთვის უცნობია ქართლის აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანის ძეგლებიდან [ტიპოლოგიისათვის იხ. 34, გვ. 20-23].

სამზარეულო კერამიკა ძირითადად ქოთნებითა და კოჭებითაა წარმოდგენილი [ამ ჯგუფების ტიპოლოგიისათვის იხ. 34, გვ. 23-25].

**V. ქოთანი** (ტაბ. IV<sub>10,22,24,33,42,44-46,60</sub>; V<sub>9,14,16,25,34,43,46,51,58</sub>; VI<sub>1,2,4,18,23,29</sub>). ამ ტიპის ჭურჭლის აბსოლუტური უმეტესობა მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, გამომწვარია რუხად, მოყავისფრო-მონაცრისფროდ. ისინი ძირითადად უყურო ან ცალყურაა. გვხვდება თხელკეციანი ან სქელკეციანი (ტაბ. IV<sub>33</sub>). ძირითადად უორნამენტოა, გვხვდება გაპრიალებული ხაზებით შედგენილი (ტაბ. IV<sub>22,41,60</sub>; V<sub>58</sub>; VI<sub>1</sub>) ან ამოდარული (ტაბ. V<sub>16</sub>) ორნამენტით შემკული ცალები.

ქოთნებისა და ქვაბ-ქოთნების გაპრიალებული ხაზებით შემკობა ადრეული ხანიდანვე დამახასიათებელია. ასეთი ჭურჭელი ხოვლეს უძველესი ფენებიდანაა ცნობილი [13, ტაბ. VI, 269-61] და ყველა ჰორიზონტში გვხვდება. ციხიაგორის ცალების უახლესი პარალელები ხოვლე II სამშენებლო ჰორიზონტშიცაა დადასტურებული [13, გვ. 51, ტაბ. LVI, 586<sub>s</sub>].

ნაპრიალები ბადისებური ორნამენტითაა შემკული არუხლო I გორანამოსახლარზე აღმოჩენილი ქოთნები [6, გვ. 79-81, ტაბ. XLI<sub>3,4,13</sub>].

ციხიაგორის ქოთნების ყურებს არა აქვთ უნაგირისებური შვერილები, ასეთი ყურები არც არუხლოს მასალაში გვხვდება [6, ტაბ. XL<sub>1-3</sub>, 5-8,11,12,14]. თითო-ოროლა ცალი ხოვლე III [13, გვ. 42, ტაბ. LI, 852<sub>s</sub>] და II [13, ტაბ. LVI, 1206<sub>s</sub>] ჰორიზონტებშია აღმოჩენილი.

უნაგირისებური ყურების დეგრადირებული ვარიანტები შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება ნარეკვავის ნამოსახლარზე და სამაროვანზე [4, ტაბ. XXV<sub>6</sub>; XXIX<sub>7,8</sub>; XXX<sub>1</sub>; XXXVIII<sub>7</sub>; XXXIX<sub>3,4</sub>; XLIII<sub>1,2,4</sub>; XLIV<sub>4</sub>; LXXIV<sub>2</sub>; LXXV<sub>1,4,5</sub>].

**VI. კოჭობი.** ასეთი ჭურჭელი ციხიაგორის IV ფენაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ეპოქაში კოჭობი ნაკლებადაა ყოფაში. მასალის სიმცირე და ფრაგმენტულობა არ იძლევა ამ ჯგუფის ჭურჭლის გამოყოფის საშუალებას. აქ აღმოჩენილი ჭურჭლის ნაწილი, რომლის ზედაპირი ცალმხრივად დამუშავებული, ალბათ, სწორედ კოჭობებს ეკუთვნის (ტაბ. V<sub>7,10,11,39,40</sub>; VI<sub>2,22,25,27</sub>).

მიუხედავად მასალის სიმცირისა, ამ ჯგუფის ჭურჭელში ორი ტიპი უნდა გამოიყოს: პირსწორი (ტაბ. V<sub>39,40</sub>; VI<sub>25</sub>) და პირგაშლილი (ტაბ. V<sub>7,10,11</sub>; VI<sub>27</sub>). პირველი ტიპის ჭურჭლისათვის ბიკონუსური ტანია დამახასიათებელი. ყველა მათგანი მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, ზედაპირი გაპრიალებული და შემკულია ამოდარული (ტაბ. VI<sub>25</sub>) ან ამოკაწრული (ტაბ. V<sub>39</sub>) ორნამენტით. ერთ მათგანს გოფრირებული ტანი აქვს (ტაბ. V<sub>40</sub>). მეორე ტიპის კოჭობები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული. ერთი მათგანი შავადაა გამომწვარი, ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული და ამოდარული სარტყლებითაა შემკული (ტაბ. V<sub>11</sub>). სხვა ჭურჭლების ზედაპირიც კარგადაა გაპრიალებული, მოყავისფრო (ტაბ. V<sub>10</sub>) ან წითელკეციანი (ტაბ. V<sub>7</sub>; VI<sub>27</sub>). ეს უკანასკნელები წითელი საღებავის სქელი ფენითაა დაფარული.

#### სამზარეულო ჭურჭელი.

**VII. დოქი.** ამ ჯგუფის ჭურჭლის უმეტესობა ნატეხებითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV<sub>6,65,66,69</sub>; V<sub>4,13,15,31,42,44,49</sub>; VI<sub>18,33</sub>; VII<sub>1</sub>). მიუხედავად მასალის ფრაგმენტულობისა მაინც შეიძლება ორი ძირითადი ტიპის გამოყოფა [ტიპოლოგიისათვის იხ. 34, გვ. 28-39]: ნისკარტიანი (ტაბ. VI<sub>33</sub>) და პირმრგვალი (ტაბ. IV<sub>66,69</sub>; V<sub>42,44</sub>; VI<sub>18</sub>; VII<sub>1</sub>). ყველა პირგადაშლილია, მხოლოდ ერთი მათგანია პირსწორი (ტაბ. V<sub>44</sub>). ერთი დოქი შავადაა გამომწვარი (ტაბ. VII<sub>1</sub>), ერთს მუქი ყავისფერი კეცი აქვს (ტაბ. VI<sub>33</sub>), ერთსაც – რუხი (ტაბ. VI<sub>18</sub>), ყველა დანარჩენი წითელკეციანია, რომელთა ნაწილი მოხატული (ტაბ. IV<sub>6</sub>) ან შეღებილია (ტაბ. V<sub>4,15,31,42,49</sub>) წითელი საღებავით.

ყველა დოქის ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. მუქკეციანი ჭურჭლები შემკულია გაპრიალებული ხაზებით (ტაბ. IV<sub>18,33</sub>) ან ამოკაწრული ორნამენტით (ტაბ. VII<sub>1</sub>). ამ უკანას-

კნელი ჭურჭლის ანალოგიურია ნარეკვავის ნამოსახლარის III ჰორიზონტში აღმოჩენილი დოქი [4, ტაბ. XXXII]. ცინიაგორის დოქზე დატანილი ორნამენტის ზუსტი ანალოგი ნარეკვავის სამაროვნის ერთ ჭურჭელზეა გამოსახული [4, ტაბ. LXV<sub>3</sub>], რომელიც III სამშენებლო ჰორიზონტის თანადროულ სამარხად ითვლება [4, გვ. 67].

ნისკარტიანი დოქი აღმოჩენილია ნარეკვავის სამაროვნის № 32 სამარხში [4, გვ. 67, ტაბ. LIII<sub>2</sub>], ხოვლე III [13, გვ. 44, ტაბ. LIV, 702<sub>2-5</sub>] და II [13, გვ. 50, ტაბ. LVI, 1390] ჰორიზონტებში.

ხოვლე II ჰორიზონტში ჩნდება ძაბრისებურ-ყელიანი, პირგადაშლილი დოქები [13, გვ. 50]. ისინი ნარეკვავის I-II სამშენებლო ჰორიზონტებიდან და მათი შესაბამისი სამარხებიდანაა ცნობილი [4, ტაბ. XXXV<sub>6</sub>; XLIX<sub>3</sub>; LXI<sub>9</sub> და სხვ.].

**VIII. ჯამი.** ამ ჯგუფის ჭურჭელი სამი ძირითადი ტიპითაა წარმოდგენილი: პირსწორი, პირმოყრილი და პროფილირებული [ტიპოლოგიისათვის იხ. 34, გვ. 41-46].

პირველი ტიპის ჭურჭელი სამი ცალი აღმოჩნდა (ტაბ. IV<sub>21</sub>; VI<sub>30,31</sub>). სამივე მათგანი მინარეკებიანი თიხისაგანაა დამზადებული და მუქი კეცი აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს მუქკეციანი ბადია (ტაბ. IV<sub>64</sub>), რომელსაც ასეთივე პირი აქვს.

პირმოყრილი ჯამების (ტაბ. IV<sub>4,5,13,15,18,19,61</sub>; V<sub>6,23,45</sub>; VI<sub>17,20</sub>) უმეტესი ნაწილი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და ღია ფერის (წითელი, მოჩალისფრო, ღია ყავისფერი) კეცი აქვთ, ზედაპირი ორმხრივ გაპრიალებულია. მათი ნაწილი (ტაბ. IV<sub>13</sub>; V<sub>23</sub>) წითელი საღებავითაა შეღებილი. ამ ტიპის ჭურჭლების ნაწილი მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი (ტაბ. V<sub>45</sub>; VI<sub>17</sub>), ერთი მათგანი ამოღარული ხაზებითაა შემკული (ტაბ. V<sub>45</sub>). ერთ პირმოყრილ ჯამს გადმოსაღვრელი ტუჩი აქვს (ტაბ. IV<sub>7</sub>), რითაც იგი გვიანდელ ცალებს მოგვაგონებს და ამ ფენაში შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი.

პროფილირებული ჯამები სამ ძირითად ქვეტიპად შეიძლება დაიყოს: ქიმშენეჩილი, რომელთა პირის დიამეტრი ნაკლებია, ვიდრე ტანის (ტაბ. IV<sub>49</sub>; V<sub>29</sub>); ჯამები, რომელთა პირისა და ტანის დიამეტრები თითქმის თანაბარია (ტაბ. IV<sub>50</sub>; V<sub>24,46</sub>; VI<sub>28,32</sub>) და ფართოდ პირგადაშლილი ჯამები (ტაბ. IV<sub>9,12,20,23,35,38,39,40,47,48</sub>; V<sub>17,21,30,37</sub>; VI<sub>5,6,26</sub>; VII<sub>6,7</sub>).

I და II ქვეტიპის ჯამები მინარეკებიანი თიხისაა და მუქკეციანებია. III ქვეტიპის ჯამების უმრავლესობა წითელკეციანია, ზედაპირგაპრიალებული, გვხვდება ორმხრივ შეღებილი ცალები (ტაბ. IV<sub>20,47,48</sub>; V<sub>37</sub>; VI<sub>5,6,26</sub>; VII<sub>6,7</sub>). ამ ქვეტიპის ერთი ჯამი (ტაბ. V<sub>18</sub>) მხოლოდ გარედანაა შეღებილი. წითელკეციანი ჯამები თხელი კეცი-თაც გამოირჩევა. სამივე ქვეტიპის ჯამები

გვხვდება ხოვლე III და II ჰორიზონტებში [13, ტაბ. LIII, LVI-LVIII], სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა III ქვეტიპის ჯამები.

I-II ქვეტიპის ჯამები ნარეკვავის ნამოსახლარის სამივე ფენაში და სამაროვანზე გვხვდება [4, ტაბ. XXVI<sub>10</sub>; XXXI<sub>3,6,7,8</sub>; XXXII<sub>3,6,9</sub>; XLI<sub>1,4</sub>; LVIII<sub>2</sub>; LXIV<sub>2</sub>].

**IX. ფიალა.** ამ ჯგუფის ორი ჭურჭელი აღმოჩნდა (ტაბ. V<sub>22</sub>; VI<sub>21</sub>), ორივე მათგანი კარგად განლექილი თიხისაა, წითელკეციანია და შეღებილი წითელი საღებავით [ამ ჯგუფის ჭურჭლებისათვის იხ. 34, გვ. 57-58].

**X. სარიატუალო ჭურჭელი.** ამ ჯგუფში ვაერთიანებთ კერა-საკურთხევლებს და მილიან ხელალებს.

კერა-საკურთხევლები (ტაბ. V<sub>32,41</sub>; VI<sub>10,34,36</sub>) მსხვილმარცვლოვანი თიხისაგანაა დამზადებული, კეცის თავდაპირველი ფერის გარკვევა ძნელია, რამდენადაც მათზე ცეცხლის ზემოქმედება აშკარაა. ზოგიერთი მათგანის ზედაპირი მოსწორებული და გაპრიალებულია. მათი ფუძე მიუთითებს, რომ ისინი უსწორმასწორო ნიადაგზე ყოფილან დაძერწილი. კერამიკული ნაწარმის ეს ჯგუფი დღემდე არ იყო ცნობილი ქართლის აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანის ძეგლებიდან.

მილიანი ხელადა („ჩაიდან“) – ასეთი ჭურჭელი ორი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV<sub>37</sub>; V<sub>33</sub>). ორივე კარგად განლექილი თიხისაა და წითელი საღებავით შეღებილი [ამ ტიპის ჭურჭლების შესახებ იხ. 34, გვ. 57-58].

**XI. ისრისპირი** სამი ცალი აღმოჩნდა. ერთი ძვლისაა (ტაბ. V<sub>54</sub>), პირამიდული, ოთხკუთხა, ქვემოთ დაშვებული წვერებით და დაფარული მასრით. ანალოგიური ისრისპირები ცნობილია ალაზნის ველიდან [9, გვ. 106, ტაბ. XXX<sub>4</sub>, XXXI<sub>a,6,7</sub>], ნარეკვავიდან [4, გვ. 72, ტაბ. LIV<sub>28</sub>] და კამარახევიდან [28, სურ. 1009, 1186, 1187].

ბრინჯაოს ორი ისრისპირი სამწახნაგაა და მოკლემასრიანი (ტაბ. VII<sub>4,5</sub>). სამწახნაგა ისრისპირები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ხოვლე III [13, გვ. 48, ტაბ. LXII] და ხოვლე II [13, გვ. 55, ტაბ. LXII] სამშენებლო ჰორიზონტებში, ნარეკვავის სამაროვანზე [4, გვ. 72, ტაბ. LIV<sub>2-27</sub>].

**XII. რკინის დანა** (ტაბ. V<sub>53</sub>) ცალპირლესული, ნაკლული.

## ცინიაგორის IV ფენის დათარიღებისათვის

ცინიაგორის IV ფენაში აღმოჩენილი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ფენის მასალა ახლო პარალელებს პოულობს ხოვლეს ნამოსახლარის III-II, ნარეკვავის I-III ჰორიზონტების, ნახიდრების ჭალის და არუხლო I გორანამოსახლარის მასალებთან. ამ ორი უკანას-

კნელი ძეგლის შესაბამისი ფენები ფრაგმენტულია, ამიტომ აქ მოპოვებული მასალების თარიღი ციხიაგორის, ხოვლეს, ნარეკვავის სტრატиграფიამ და მასალამ უნდა განსაზღვროს.

ხოვლე III პერიოდის საწყის თარიღად ძვ.წ. VII-VI სს. მიჯნა [13, გვ. 73], ბოლო ფაზად კი, ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მესამედია მიჩნეული. [13, გვ. 94]. ხოვლე III ჰორიზონტში აღმოჩენილი ბერძნული შავფიგურიანი ჭურჭლის [13, გვ. 48, 77, 94], ბრინჯაოს ისრისპირების [13, გვ. 48-49, 75-77], ნისკარტიანი დოქის [13, ტაბ. LIV, 702<sub>2</sub>], მილიანი ხელადის [13, გვ. 44, ტაბ. LVII, 1004=1005<sub>5</sub>], „მეჭეჭებით“ შემკული დოქის ყურის [13, გვ. 45. ტაბ. LIV-1047<sub>5</sub>] მიხედვით ხოვლე III პერიოდი ძვ.წ. VI ს-ის მიწურულითა და ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება ხოვლე II პერიოდს, მისი ბოლო ფაზა კარგადაა განსაზღვრული ძვ.წ. V-IV სს. მიჯნით [13, გვ. 78-79]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „... ნაგებობების დიდი ნაწილი, აგებული III პერიოდში, განაგრძობს არსებობას II პერიოდის განმავლობაში“ [13, გვ.41], არ შევცდებით თუ ხოვლე III და II პერიოდებს ძვ.წ. VI ს-ის მიწურულით და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით შემოვფარგლავთ.

ნარეკვავის ნამოსახლარზე სამი სამშენებლო ჰორიზონტი დაფიქსირდა. I ჰორიზონტი ძვ.წ. VI ს-ის მიწურულით და V ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული [4, გვ. 95]. II ჰორიზონტის თარიღი ძვ.წ. VI ს-თაა განსაზღვრული [4, გვ. 97], III ჰორიზონტის ქვედა თარიღად ძვ.წ. VIII ს-ის მიწურული – ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისია მიჩნეული [4, გვ. 98].

ნარეკვავის ნამოსახლარის თარიღები სტრატиграფიის, მასალის ანალიზის და C<sup>14</sup>-ის მონაცემების საფუძველზეა მიღებული. მასალის ანალიზის შედეგად აღნიშნულია, რომ „მესამე სამშენებლო ჰორიზონტში დადასტურებული თიხის ნაწარმი, ფაქტიურად იმეორებს II სამშენებლო ჰორიზონტის ჭურჭლის ძირითად ნიშნებს“ [4, გვ. 97]. ასევე აღნიშნულია, რომ I-III ჰორიზონტების ქვევრებს შორის რაიმე ტიპოლოგიური სხვაობა არ შეინიშნება [4, გვ. 46]. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ნარეკვავის ნამოსახლარის I-III სამშენებლო ჰორიზონტები ერთ კულტურულ ფენას წარმოადგენენ, რომელშიც სამი სამშენებლო დონე გამოიყოფა. C<sup>14</sup>-ის მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა – I ჰორიზონტისათვის 2430±40 ე.ი. ძვ.წ. 480 წ. [4, გვ. 95], II ჰორიზონტისათვის 2490±50 ე.ი. ძვ.წ. 540 წ., 2495±60, ე.ი. 545 წ. [4, გვ. 97]; III ჰორიზონტისათვის 2450±50, ე.ი. ძვ.წ. 500 წელი [4, გვ. 98].

თუ ნარეკვავის ნამოსახლარის I-III სამშენებლო დონეების მასალების სიახლოვეს და C<sup>14</sup>-

ის მონაცემებს გავითვალისწინებთ რომლის მიხედვითაც ნარეკვავის ნამოსახლარი 2430±40 და 2495±60 (ე.ი. დაახლ. ძვ.წ. 545-480 წწ.) შორის თავსდება და იმასაც, რომ ნარეკვავის სამაროვანი ძვ.წ. V ს-ში წყვეტს არსებობას, ნარეკვავის ნამოსახლარის (I-III დონეები) ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. VI ს-ითა და ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით უნდა განისაზღვროს და I სამშენებლო დონე ძვ.წ. VI ს-ის მიწურულითა და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ციხიაგორის IV ფენაში სამი (A, B, C) სამშენებლო დონის გამოყოფა შეიძლება. ამის საფუძველს გათხრების პროცესში დადასტურებული სიტუაცია იძლევა. სატაძრო კომპლექსში შემავალი ბელლის წინა ეზოს (V ფენა) ქვეშ IV ფენის სამი სამშენებლო დონე დადასტურდა. ორი დონეა წარმოდგენილი 38-42, 63-67, 88-92, 113-117-ე კვადრატებშიც. ბორცვის ამ მონაკვეთში IV და V ფენებს 0,3-0,5 მ სისქის შავი მიწის შრე ყოფს, რომელიც არქეოლოგიურ მასალას პრაქტიკულად არ შეიცავს. IV ფენაში გათხარა რიყის ქვის დიდი ზომის ქვებით მოკირწლული გზა თუ მოედანი და ნაგებობათა ნაშთები (ტაბ. III), რომელთაც ამ მონაკვეთში გათხრილი ზოგიერთი ორმო (№№ 13, 15-20) აზიანებს, რომლებიც თავის მხრივ V ფენითაა გადაფარული. ამავე ფენითაა დაფარული ზოგიერთი სხვა ორმოც (№№ 2, 9, 10, 12, 14). IV ფენას აზიანებს ელინისტური ხანის ორმოებიც (№№ 49, 50, 51; III ტაბულაზე დატანილი დაუნომრავი ორმოებიც ამ ხანისაა).

**A დონე** გათხრილია (ტაბ. I, კვ. 82-83) ტაძრის ბელლის წინ ეზოს დონიდან 0,2 მ სიღრმეზე (ტაბ. IV<sub>1-10</sub>). ამავე დონეს ეკუთვნის ტაძრის და ბელლის იატაკის ქვეშ გამოვლენილი „დიდი საზოგადოებრივი ნაგებობა“.

**B დონეს** (ტაბ. I) მიეკუთვნება ტაძრის ბელლის წინა ეზოს დონიდან 0,6 მ სიღრმეზე (კვ. 82-83) გამოვლენილი მასალები (ტაბ. IV<sub>11-20</sub>); ტაძრის ეზოში (კვ. 147, 148) გათხრილი ოთახის (ტაბ. IV<sub>52-69</sub>), სათონის იატაკის ქვეშ (კვ. 66) (ტაბ. IV<sub>29-31</sub>) და წისქვილის წინ (კვ. 614, 615) ქვედა დონეზე (ტაბ. IV<sub>32-37</sub>) აღმოჩენილი მასალები.

**B დონეს** მიეკუთვნება ორმოების ნაწილი (№№ 1, 7, 13, 15), რომლებიც ამ დონიდანაა ჩაშვებული.

**C დონე** (ტაბ. I) გამოვლენილია ბელლის ეზოს (კვ. 82-83) დონიდან 1,2 მ სიღრმეზე (ტაბ. IV<sub>21-28</sub>); სატრაპეზოს ქვეშ (ტაბ. IV<sub>38-46</sub>), რიყის ქვით მოკირწლული გზის (მოედნის) დონეზე; კვ. 42 (ტაბ. IV<sub>47-51</sub>), კვ. 67 (ტაბ. V<sub>7-8</sub>), კვ. 92 (ტაბ. V<sub>2-6</sub>), კვ. 115 (ტაბ. (V)<sub>1</sub>) რიყის ქვის მოედნის დონეზე დადასტურებული მასალები; კვ. 90-92, 115, 117 კვადრატებში გათხრილი რიყის ქვით მოკირწლული გზა თუ მოედანი (ტაბ. II; III; VII<sub>1-9</sub>); №№ 2, 5, 6, 14 ორმოები.

**A დონეს** კარგად ათარიღებს მოხატული ხელადის ფრაგმენტი (ტაბ. IV<sub>6</sub>), რომელიც სტილისტურად და ტექნოლოგიურად ქართლის აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანის მოხატული კერამიკის II ტიპის ანალოგიურია და ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებითა და II ნახევრით თარიღდება [34, გვ. 77-79; 20, გვ. 2].

**B დონე** პარალელური მასალის (იხ. ზემოთ) და ციხიაგორის IV ფენის სტრატეგრაფიის მიხედვით ძვ.წ. V ს-ის II ნახევრითა და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ამ თარიღს მხარს უჭერს № 7 ორმოში აღმოჩენილი ძვლის ისრისპირიც (ტაბ. V<sub>54</sub>). ასეთი ისრისპირები გვხვდება წინა აზიაში, სკვითიაში ისინი იშვიათობას წარმოადგენენ [31, გვ. 73]. ისინი ძირითადად სამხრეთ კავკასიიდანაა ცნობილი [4; 9; 28] და ძვ.წ. V-IV უფრო კი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [9, გვ. 113]. ასევე საინტერესოა ამ დონეზე აღმოჩენილი მილიანი ხელადების ფრაგმენტები (ტაბ. IV<sub>37</sub>; V<sub>33</sub>). ასეთი ჭურჭელი პირველად ძვ.წ. V ს-ში ჩნდება და ფართოდ ძვ.წ. IV ს-ში ვრცელდება. ადრეული ცალები დიდი ზომის ღოჭებს, მოგვიანებით კი მომცრო ზომის ხელადებს წარმოადგენენ [34, გვ. 58]. სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება ციხიაგორის ცალები.

**C დონე** პარალელური მასალის (იხ. ზემოთ) და სტრატეგრაფიის მიხედვით ძვ.წ. VI ს-ის მიწურულით და ძვ.წ. V ს-ის I ნახევრით თარიღდება. C დონის დათარიღებისათვის გარკვეული მნიშვნელობა რიყის ქვით მოკირწულ გზაზე (მოედანი) აღმოჩენილ ე.წ. სკვითურ ისრისპირებს (ტაბ. VII<sub>4,5</sub>) აქვს. ეს ისრისპირები სამწახნაგა, მოკლემასრიანი ისრისპირების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც სკვითიაში ძვ.წ. VI ს-ის ბოლოს და ძვ.წ. IV ს-შია გავრცელებული. ამავე პერიოდში გვხვდება წინა აზიაშიც [22; 31, გვ. 72]. ციხიაგორის ანალოგიურ ისრისპირებს ა. მელიუკოვა ძვ.წ. VI-V სს. ათარიღებს [32, ტაბ. 7<sub>1-7</sub>].

ყურადღებას იმსახურებს C დონეში აღმოჩენილი ჭრაქი (ტაბ. VII<sub>8</sub>) და ქოთანის თუ ქვაბ-ქოთანის (ტაბ. VII<sub>9</sub>), რომელთა ძირები ირიბად დაკეცილი ორნამენტითაა შემკული, რაც წინამორბედი ეპოქისთვისაა დამახასიათებელი და ქართლის ძვ.წ. V-IV სს. ძეგლებზე მათი აღმოჩენა იშვიათია.<sup>28</sup> ამ ჭურჭლების აღმოჩენა ციხიაგორის IV ფენაში კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ წითელკეციანი კერამიკის შემოსვლის საწყის ეტაპზე ტრადიციული ფორმები და ორნამენტი კიდევ არის ყოფაში, შემდეგ კი ქრება.

<sup>28</sup> გამოთქმულია მოსაზრებები, რომ ე.წ. რკინის ფართო ათვისების ხანის არქეოლოგიური მასალები ძვ.წ. V ს-ის დასაწყისშიც [34, გვ. 8, 84-85] და ძვ.წ. IV ს-ის ჩათვლით [4, გვ. 153] გვხვდება.

ძირდაკეცილი ჭურჭლების C დონეზე აღმოჩენა იმაზეც მიუთითებს, რომ აქ გამოვლენილი წითელკეციანი კერამიკა ქართლის ამ ჯგუფის კერამიკის უადრეს ნიმუშებს მიეკუთვნება.<sup>29</sup>

წითელკეციანი კერამიკის ქართლში გამოჩენა აქემენიდური ირანიდან ძვ.წ. V ს-დან ივარაუდება [29, გვ. 9; 34; 15; 19]. ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლი, სადაც წითელკეციანი კერამიკა უფრო ადრეულ ფენაშია აღმოჩენილი, ხოვლეს ნამოსახლარის IV პერიოზონტია [13, გვ. 38-39], სადაც ასეთი კერამიკა ხოვლე IV პერიოდის ბოლო ფაზაში ჩნდება [13, გვ. 71]. თუ ხოვლე III პერიოდის თარიღად ძვ.წ. VI ს-ის მიწურულსა და V ს-ის I ნახევარს მივიღებთ, მაშინ ხოვლე IV პერიოდის დასასრული ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარში ან უფრო, უკანასკნელ მესამედში უნდა ვივარაუდოთ და წითელკეციანი კერამიკის გაჩენაც ამ პერიოდიდან ვიგულისხმოთ, რაც აქემენიდური ირანის ჩრდილოეთით ექსპანსიის შედეგი უნდა იყოს ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მესამედში [17; 18]. ნიშანდობლივია, რომ ამავე პერიოდის შემოდის ქართლში ბერძნული იმპორტული კერამიკა (ავლევი, რუსთავი, ხოვლე, აწყური) [8, გვ. 72; 13, გვ. 48, 77, 99; 14, გვ. 193; 7, გვ. 23]. შეიძლება აქემენიდურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგი იყოს, ქართლში ახალი ელემენტების შემოსვლასთან ერთად, ბერძნული იმპორტული კერამიკის გაჩენა, რომელიც ალბათ სახმელეთო გზით, მდ. მტკვრის ხეობაზე გავლით აღწევდა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ რეგიონებში.

ამდენად, ციხიაგორის IV ფენის სტრატეგრაფიული მონაცემები და მასალის ანალიზი აქემენიდური ხანის ფენის დიფერენცირებული დათარიღების საშუალებას იძლევა:

A დონე – ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები და მეორე ნახევარი.

B დონე – ძვ.წ. V ს-ის II ნახევარი და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი.<sup>30</sup>

C დონე – ძვ.წ. VI ს-ის მიწურული – ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი.<sup>31</sup>

<sup>29</sup> ქართლის წითელკეციანი კერამიკისათვის გაპრიალებული, შეღებილი ან მოხატული ზედაპირია დამახასიათებელი. გამონაკლისს წარმოადგენს გუმბათში [39; 40] ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული კერამიკის ნაწილი, რომლის ფორმებში მიდიური ან აქემენიდური გავლენა ჩანს კომბინირებული ადგილობრივ ამოკაწრულ ან გაპრიალებულ ორნამენტთან [40, გვ. 369].

<sup>30</sup> B დონეს შეესაბამება ხოვლე II პერიოდი.

<sup>31</sup> მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აქემენიდური ხანის ფენის უშუალო წინამორბედ ფენას წარმოადგენს ხოვლე IV და ნარეკავის ნამოსახლარის III-II პერიოზონტები, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ს მიეკუთვნებიან. ამ პერიოდის შესაბამისი ფენა ციხიაგორაზე დღეისათვის სუსტადაა გამოვლენილი. ციხიაგორის IV ფენის C დონეს შეესაბამება ხოვლე III პერიოდი

## IV ფენის ხასიათი

ციხიაგორის დახასიათებისას გ. ცქიტიშვილი აღნიშნავდა: „ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ გორაზე კარგახნით წყდება ცხოვრება. მისი ხელახალი ათვისება ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ხდება. აქედან მოყოლებული, ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნამდე, ციხიაგორაზე ცხოვრება არ შეწყვეტილა, ოღონდ იცვლება გორის არსი. დაახლოებით ძვ.წ. VI ს-ში მოსახლეობა აქედან ბარში ჩადის და გორის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დაბად სახლდება. ამიერიდან გორა დაბის სალოცავი ხატი. ძვ.წ. VI-V სს. სამშენებლო ჰორიზონტში შერჩენილია დიდი, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი შენობის საძირკველთა ნაშთები. შენობა განადგურებულია მომდევნო ხანის მოზრდილი კომპლექსის მშენებლობისას“ [24, გვ. 169-171].<sup>32</sup>

ჩვენც ვიზიარებთ გ. ცქიტიშვილის აზრს ციხიაგორის გარკვეულ პერიოდში საკულტო ცენტრად ქცევის თაობაზე. ეს მოვლენა ციხიაგორაზე აქემენიდური ხანის ფენის გაჩენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იმ დროს როდესაც IV ფენის C დონეზე იგება რიყის დიდი ბრტყელი ქვებით შედგენილი გზა თუ მოედანი,<sup>33</sup> რომლის საკულტო ხასიათზე, ალბათ, მასში გამართული ორმოც მიუთითებს, სადაც, როგორც ჩანს, შეწირული ნივთებია მოთავსებული (ტაბ. VII). ასევე საკულტო უნდა იყოს მის გვერდით გამართული ორმოებიც, სადაც თიხის ჭურჭელთან, ნაცართან და ნახშირთან ერთად უნიკალური სტაციონარული კერების თუ საკურთხევლების ნაწილები აღმოჩნდა.<sup>34</sup>

და ნარეკვავის I სამშენებლო ჰორიზონტი. ციხიაგორის, ხოვლეს, ნარეკვავის სტრატეგრაფია და მასალები საშუალებას იძლევა ქართლის ძვ.წ. V-I სს. ძეგლებისათვის შემუშავებული ხუთი ქრონოლოგიური ჯგუფიდან [ 34] I ჯგუფში ორი ეტაპი გამოვყოთ.

<sup>32</sup> IV ფენის შესაბამისი სამაროვანი „ქასრანთ მიწები“ შესწავლილია ციხიაგორიდან დაახლოებით 800 მ-ის დაცილებით [I].

<sup>33</sup> პარალელი ისევ ციხიაგორაზე ეძებნება. ზედა, V-ე ფენის სატაძრო კომპლექსის ეზოს თავდაპირველ დონეზე ასეთივე, საშუალო ზომის რიყის ქვით მოკირწლული წაგრძელებული ფორმის მოედანი გაითხარა, რომელიც მთავარი ტაძრის დასავლეთი შესასვლელისაკენაა მიმართული (ტაბ. II). ბოლომდე არც ამ მოედნის ფუნქციაა გარკვეული, რამდენადაც ეზოს გათხრა ახლა დაიწყო.

<sup>34</sup> ისინი დაქვრივი ყოფილა უსწორმასწორო ნიადაგზე და არა მოტკეპნილ იატაკზე, რაზეც მათი ძირები აშკარად მიუთითებენ. ეს კერა-საკურთხევლები წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა და სამი მხრიდან ბორტითაა შემოზღუდული (ტაბ. VI<sub>34,36</sub>). ისინი აშკარად ცეცხლთან იყო დაკავშირებული. თუ ცეცხლის ზემოქმედების ხარისხით ვიმსჯელებთ, ისინი ხანგრძლივი ხმარებისათვის არ იყო

შეიძლება ციხიაგორის IV ფენას ეკუთვნოდეს ზარისებური ბაზისის ფრაგმენტი, რომელიც ბორცვის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, ქვაფენილიანი გზის თუ მოედნის მიმდებარე ფართობზე [2, გვ. 87]. ბაზისის ეს ნატეხი IV ფენის გამორჩეული ნაგებობის (სასახლე, ტაძარი) კუთვნილება უნდა იყოს. თუ ამ პერიოდში გორის საკულტო ხასიათს გავიზიარებთ, შეიძლება დავუშვათ, რომ აქემენიდურ ხანაში აქ საკულტო ნაგებობა იდგა.

ზარისებური ბაზისის ეს ფრაგმენტი პოსტ-აქემენიდური და ელინისტური ხანით [27, გვ. 44], ძვ.წ. IV ს-ის ბოლოთი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით [3, გვ. 10] არის დათარიღებული და მიჩნეულია, რომ სატაძრო კომპლექსზე უფრო ძველ, სხვა ნაგებობას ეკუთვნის.

ამ ბაზისთან ურთიერთკავშირშია განხილული ციხიაგორის ორმაგპროტომიანი კაპიტელი, რომელიც აღმოჩნდა ტაძარში, № 10 ოთახში. იგი იატაკიდან 1,5 მ-ის სიმაღლეზე, დანგრეული ალიზის კედლების ყრილში დადასტურდა ხპნ, გვ. 61ჯ. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე გ. ცქიტიშვილის მიერ იგი ტაძრის არქიტექტურულ დეტალად იქნა გააზრებული, გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი არ ეკუთვნის ტაძარს და უფრო ადრეული, სხვა ნაგებობის კუთვნილებაა [3, გვ. 10-11].

ბაზისის ანალიზისას აღნიშნულია, რომ „თავისი მოცულობით გაცილებით ახლოსაა პროტოტიპებთან – მის ტანზე ამოკვეთილი ფოთლები სწორედ პერსეპოლისში დაკანონებული ნიმუშების ანალოგიურია“ [27, გვ. 44]. ამასთან ხაზგასმულია ორმაგპროტომიანი კაპიტელის პროტოტიპებთან დაშორება [25, გვ. 11], რის გამოც იგი ელინისტური ხანით (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – III ს.) იქნა დათარიღებული [29, გვ. 65; 30, გვ. 106-107; 3, გვ. 10; 26, გვ. 39]. ამდენად, ბაზისი აქემენიდური პროტოტიპების ანალოგიურია, კაპიტელი კი მათგან საკმაოდ დაცილებული, რაც ალბათ მათ ქრონოლოგიურ სხვაობაზეც უნდა მიუთითებდეს.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ციხიაგორის ორმაგპროტომიანი კაპიტელის დათარიღების საკითხი, მიგვაჩნია, რომ კაპიტელი ელინისტური ხანის ტაძარში უფუნქციოდ არ იქნებოდა. მისი ადგილი ისევ ტაძრის კონსტრუქციაში უნდა მოინახოს. ელინისტურ ხანაში კაპიტელი რომ ხილულ ადგილზე იყო, ამაზე შეიძლება არაპირდაპირ მიუთითებდეს „საყარაულო სერზე“ გათხრილ მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი გიშრის საკიდი, რომელიც ორმაგპროტომიანი

გათვალისწინებული. იქნება შთაბეჭდილება, რომ მათ სახელდახელოდ ღია ცის ქვეშ, პირდაპირ მიწაზე ძერწავდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მათზე ცეცხლთან დაკავშირებულ რიტუალს ასრულებდნენ, შემდეგ კი სარიტუალოდ ამოთხრილ ორმოში ათავსებდნენ.

კაპიტელის მოდელს წარმოადგენს [23 იხ. ამავე კრებულში].

მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია ბაზისის აქემენიდურ, ხოლო კაპიტელის ელინისტურ ფენასთან დაკავშირება.

ყოველივე ზემოთქმული გვაკარაულებინებს, რომ ციხიაგორა საკულტო ხასიათს აქემენიდურ ხანაში იძენს და ეს ტრადიცია ელინისტურ ხანაშიც გრძელდება.

ასეთივე სურათი ჩანს გორაძირზე. ციხიაგორის IV და V ფენების ანალოგიური სტრატეგრაფიული სურათი გორაძირის ბორცვის თხემზეც დადასტურდა [12, გვ. 71-74], რომელიც ასევე საკულტო ძეგლადაა მიჩნეული [12, გვ. 77]. თხემზე ორი ფენა გაითხარა. ზედა ფენაში თიხაზე დატანილი საბეჭდავებით შესრულებული ანაბეჭდები დადასტურდა [12, გვ. 74, სურ. 4]. ისინი ისეთივე ხასიათის ჩანს, როგორც ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის კედლების და ჭერის შელესილობაზე დაფიქსირებული ანაბეჭდები.

ქვედა ფენაში გაითხარა 10×10 მ ფართობის ქვით მოკირწყლული ოთხკუთხა მოედანი, რითაც იგი ციხიაგორის IV ფენაში დადასტურებულ ქვაფენილს ემსგავსება.

მართალია, გამოთხრელები ზედა ფენას ძვ.წ. VI-IV სს-ით [12, გვ. 74], ქვედას კი – ძვ.წ. VII ს-ით [12, გვ. 75] ათარიღებენ, მიგვაჩნია, რომ გორაძირის ზედა ფენა ციხიაგორის ელინისტური, ქვედა კი – აქემენიდური ხანის ფენის თანადროულია. გორაძირის ქვედა ფენის თარიღს მხარს უჭერს აქ აღმოჩენილი რკინის ფიბულა [12, ტაბ. II<sub>12</sub>], ბრინჯაოს სამაჯური [12, ტაბ. II<sub>13</sub>]. ამავე ფენას უნდა ეკუთვნოდეს ბორცვის გარეთ გათხრილი ნაგებობა, სადაც ადრეული იერის ადგილობრივ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული ბერძნული კერამიკის ფრაგმენტები [12, გვ. 75].

ჩვენი აზრით გორაძირი და ციხიაგორა ერთი ხასიათის ძეგლებია, ორივე საკულტო დანიშნულებისა და ერთ კულტურულ-ისტორიულ პროცესს ასახავენ ძვ.წ. V-III სს-ში.

### **ციხიაგორის აქემენიდური ხანის ფენის მნიშვნელობა.**

ქართლის ტერიტორიაზე, გარდა უკვე განხილული ძეგლებისა, აქემენიდური ხანის კიდევ ორ ათეულამდე ნამოსახლარია ცნობილი, რომლებიც დაზვერვების ან მცირე მასშტაბის გათხრების შედეგადაა გამოვლენილი.

ციხიაგორის IV ფენაში გამოვლენილმა მასალებმა პირველად მოგვცა საშუალება გამოვყოთ ამ ეპოქის სამი ეტაპი, რომლებსაც შესაბამისად სამი სამშენებლო დონე შეესაბამება.

ციხიაგორის, ხოვლეს და ნარეკავის არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად ჩანს,

რომ აქემენიდური ხანის ქართლში მთელი რიგი ახალი მოვლენები ფიქსირდება, რაც ამ ეპოქის ქართლის კულტურულ-ისტორიული ვითარების ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

**Z. Makharadze, G. Narimanashvili**

### **TSIKHIAGORA IN THE ACHAEMENID PERIOD**

(Summary)

The multilayered site Tsikhiagora is situated near the village of Kavtiskhevi, 45 km westward of Tbilisi. It is a 12m high hill with an area of 0.5 ha. The thickness of the cultural layer exceeds 6m. The site has been under excavation since 1971. The most comprehensively studied upper layer belonging to the Hellenistic period, revealed a large temple complex (Pl. I).

The work carried out has yielded the following stratigraphic picture:

Layer I - Bronze Age settlement; two levels - A and B constitute 5 building horizons; the second half of the 3<sup>rd</sup> millennium B.C.

Layer II - Middle Bronze Age barrow-burials; the first half of the 2<sup>nd</sup> millennium B.C.

Layer III - Late Bronze Age-Early Iron Age settlement; 2 building horizons; the end of the 2<sup>nd</sup>-beginning of the 1<sup>st</sup> millennium B.C.

Layer IV - Achaemenid period; 3 building horizons; the end of the 6<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent. B.C.

Layer V - Hellenistic Period; 8 building horizons; the 3<sup>rd</sup>-1<sup>st</sup> cent. B.C. (6 lower horizons are linked with the temple complex. 3<sup>rd</sup>-2<sup>nd</sup> cent. B.C.).

The paper deals with the material obtained from the layer IV of Tsikhiagora. The layer belonging to the Achaemenid period is studied only fragmentarily (Pl. I, hatched squares) due to the fact that the investigation of the upper - Hellenistic layer is not finished yet. Layer IV revealed the remains of the structures built of adobe bricks on a stone foundation. Part of it, situated on the south-western slope of the hill, has been studied comparably fully (Pl. II, III). As a result, a 4.5 m wide and 9 m long stone pavement constructed with large flat boulders and more than twenty pits were found (Pl. III).

The stratigraphic data of layer IV and the analysis of the obtained material allow the authors to identify three levels in the layer of the Achaemenid period:

A - middle and end of the 4<sup>th</sup> cent. B.C. (Pl. IV<sub>1-10</sub>).

B - second half of the 5<sup>th</sup> - beginning of the 4<sup>th</sup> cent. B.C. (Pl. IV<sub>11-20,29-37,52-69</sub>; Pl. V<sub>26,43-54</sub>; Pl. VI<sub>35-36</sub>).

C - end of the 6<sup>th</sup> - first half of the 5<sup>th</sup> cent B.C. (Pl. IV<sub>21-28,38-51</sub>; Pl. VI<sub>27-39,37-42</sub>; Pl. VI<sub>27-34</sub>; Pl. VII).

A number of features indicate that already in the Achaemenid period Tsikhiagora assumed the character of a cult centre, preserving this function in the subsequent, Hellenistic period.

The material published enables to distinguish three stages of the Achaemenid period in Eastern Georgia - Kartli. An analysis of the material from Tsikhiagora and other sites attests to a number of innovations indicative of complex cultural-historical processes occurring in Kartli in the cited period.

### ლიტერატურა

1. ბერაძე ე. ანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრანთ მიწების“ სამაროვნიდან. – კამ, I. თბ., 1980, გვ. 14-27.

2. გაგოშიძე ი. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-71 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში. – სსმე, III, 1974, გვ. 79-91.

3. გაგოშიძე ი., ყიფიანი გ. სვეტი კავთისხევის ციხიანგორიდან. – ძმ, № 3 (98), 1997, გვ. 8-11.

4. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბ., 1993.

5. კახელიშვილი თ. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები ციხიანგორაზე. პრეპრინტი. თბ., 1990.

6. კვიციანიძე კ. ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 1975.

7. ლიხელი ვ. შავი ზღვა – ვანი – სამცხე – შავლაკიანი კერამიკის გავრცელების გზა. – II სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“, მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994, გვ. 22-23.

8. ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966.

9. მამაიაშვილი ნ. „სკვითურინვენტარიანი“ სამარხები იორ-ალაზნის აუზიდან. – კაეშ, 1980, გვ. 103-115.

10. მახარაძე ზ. ციხიანგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბ., 1994.

11. მახარაძე ზ. ახალი აღმოჩენები ციხიანგორაზე. – ძიებანი № 4, 1999, გვ. 57-66.

12. მეშველიანი თ., პაპუაშვილი რ., ქორიძე ე., ჯალაბაძე მ. გორამირის არქეოლოგიური გათხრები. – მილსადენის არქეოლოგია, I. თბ., 1999, გვ. 71-81.

13. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.

14. მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ. შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. – სიგკ, I, 1960, გვ. 183-196.

15. ნარიმანიშვილი გ. წითელკეციანი კერამიკის გავრცელების საკითხისათვის. – სმამ, 132, № 2, 1988, გვ. 441-443.

16. ნარიმანიშვილი გ. იბერია და ირანული სამყარო. – I სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“, მოხსენებათა თეზისები. თბ., 1993, გვ. 39-41.

17. ნარიმანიშვილი გ. აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ირანული სამყარო ძვ.წ. V-I საუკუნეებში. – II სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“, მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994, გვ. 19-22.

18. ნარიმანიშვილი გ. დარიოს I-ის ლაშქრობა სკვითიაში და აღმოსავლეთ ამიერკავკასია. მოხსენება წაკითხულია 1995 წელს III სამეცნიერო სესიაზე „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“. ხელნაწერი ინახება ავტორთან.

19. ნარიმანიშვილი გ. ქართლში წითლად გამოძვარი კერამიკის გავრცელების შესახებ. – სსმმ, XLII-B, 1997, გვ. 180-182.

20. ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. ქართლის აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანის მონეტული კერამიკა (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგია). – II საერთაშორისო სიმპოზიუმი: „კავკასიის იბერია და მისი მეზობლები აქემენიდურსა და პოსტაქემენიდურ ხანაში. თბ., 2000 (იბეჭდება).

21. სადრაძე ვ. მცხეთა ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (შიდა ქართლის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

22. ფირცხალავა მ. საქართველოს სკვითურინვენტარიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. (იბეჭდება ჟურნალში „ძიებანი“).

23. ცქიტიშვილი გ. მდიდრული სამარხი ციხიანგორის სამაროვნიდან – ძიებანი, № 7, 2001, გვ. 41-46.

24. ცქიტიშვილი გ. ციხიანგორა. – სიკძა, ტ. V, 1990, გვ. 169-171.

25. ყიფიანი გ. კაპიტელები. თბ., 1987.

26. ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ., 2000.

27. ყიფიანი გ. ქუმბათი და სარი-თეფე. – ნარკვევები, ტ. IV, 1998, გვ. 31-47.

28. ჯღარკავა თ. კამარახევის სამაროვანი. – მცხეთა, არქ. კვლევის შედეგები, ტ. VI. თბ., 1982, გვ. 139-190.

29. Гагошидзе Ю. М. Самадло (археологические раскопки). Тб., 1979.

30. Гагошидзе Ю. М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (храм II-I вв. до н.э. Дедоплис Миндори). – Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье. М., 1981, с. 102-115.

31. Есаян С. А., Погребова М. П. Скифские памятники Закавказья. М., 1985.

32. Мелюкова А. И. Вооружение Скифов, САИ, D1-4, М., 1964.

33. Наридзе Г. Исследование могильника в селе Нацаргора (Хашурский р-он). – ПАИ, 1986 (1991), с. 25-27.

34. Нариманишвили Г. Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб., 1991.

35. Нариманишвили Г. Керамика Картли (Иберии) ахеменидского и постахеменидского времени. – I Международный симпозиум: "Кавказская Иберия и ее соседи в ахеменидскую и постахеменидскую эпоху." Тб., 1997 (იბეჭდება.).

36. Цкитишвили Г. Результаты работ на "Цихиа-гора". – ПАИ, 1974 (1976), с. 60-61.

37. Цкитишвили Г. Результаты работ на "Цихиа-гора". – КСИА, №151, 1977, с. 87-93.

38. Цкитишвили Г. Г., Махарадзе З.Э., Квиташвили Р. Ш. Итоги работы экспедиции Каспского района. – ПАИ, 1988 (1997), с. 87-89.

39. Furtwängler A., Knaus F., Egold A. Gumbati, Archäologische expedition in Kachetien 1994. – EA, Band 1, 1995, S. 177-211.

40. Furtwängler A., Knaus F. Gumbati, Archäologische expedition in Kachetien 1995. – EA, Band 2, 1996, S. 363-381.

41. Zkitischwili G. Der frühhellenistische Feuertempel von Kawtiskhewi. – AA, 1995, S. 83-98.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ციხიაგორა. ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსი. გამუქებული კვადრატებით აღნიშნულია აქემენიდური ხანის ნამოსახლარის ნაშთები.

ტაბ. II – სატაძრო კომპლექსის ეზო და ტერასა. ელინისტური და აქემენიდური ხანის ფენების გეგმა და ჭრილი.

ტაბ. III – აქემენიდური ხანის ფენა. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. IV – 1-10. ბელლის წინა ეზოს A დონე; 11-20. ბელლის წინა ეზოს B დონე; 21-28. ბელ-

ლის წინა ეზოს C დონე; 29-31. კვადრატი 66 – B დონე; 32-37. კვადრატი 614, 615 – B დონე; 38-46. კვადრატი 91 – C დონე; 47-51. კვადრატი 42 – C დონე; 52-69. კვადრატი 147-148 – B დონე.

V – 1. კვადრატი 115 – C დონე; 2-6. კვადრატი 92; 7-8: კვადრატი 67; 9-25. კვადრატი – 142-143; 26. ორმო № 1 – B დონე; 27-29. ორმო № 2 – C დონე; 30-31. ორმო № 3; 32-36: ორმო № 4; 37-39. ორმო № 5 – C დონე; 40-42. ორმო № 6 – C დონე; 43-54. ორმო № 7 – B დონე; 55-59. ორმო № 8.

VI – 1-11: ორმო № 9; 12-18. ორმო № 10; 19-23: ორმო № 11; 24-25. ორმო №12; 26. ორმო № 13 – B დონე; 27-34. ორმო № 14 – C დონე; 35-36. ორმო № 15 – B დონე.

VII – რიყის ქვით მოკირწყლული მოედანი (კვ. 90-92, 115-116) – C დონე.

### Description of the plates

Pl. I - Tsikhiagora. Temple complex of the Hellenistic period. darkened squares indicate remains of the site dated to the Achaemenid period.

Pl. II - Courtyard and terrace of the temple complex. Layout and trench profile of the layers dated to the Hellenistic and Achaemenid periods.

Pl. III - Layer dated to the Achaemenid period. Layout and ditch profile.


Pl. IV - 1-10. Level A of a barnyard; 11-20. level B of a barnyard; 21-28. level C of a barnyard; 29-31. square 66 - level B; 32-37. square 614, 615 - level B; 38-46. square 91 - level C; 47-51. square 42 - level C; 52-69. square 147-148 - level B.

Pl. V - 1. square 115 - level C; 2-6 square 92; 7-8. square 67; 9-25. square 142-143; 26. pit № 1 - level B; 27-29. pit № 2 - level C; 30-31. pit № 3; 32-36. pit № 4; 37-39. pit № 5 - level C; 40-42. pit № 6 - level C; 43-54. pit № 7 - level B; 55-59. pit № 8.


Pl. VI - 1-11. pit № 9; 12-18. pit № 10; 19-23. pit № 11; 24-25. pit № 12; 26. pit № 13 - level B; 27-34. pit № 14 - level C; 35-36. pit № 15 - level B.


Pl. VII - square paved with cobble-stone (sq. 90-92, 115-116) - level C.











ტაბ. II







ტაბ. IV





ტაბ. VI





ტაბ. VII

## ქეთევან ჯავახიშვილი

### გლიპტიკურ კომპლექსზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები. I. გეგმა უფლისციხიდან

უძველნი ბატონ დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილის ნათელ ხსოვნას.

1969 წ. ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ უფლისციხეში – კლდეში ნაკვეთი ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებულ სამუშაოს დროს,<sup>35</sup> შიდა ქალაქის მთავარ შესასვლელში, ანტიკური ხანის კედლის სამხრეთით აღმოჩნდა ბაცი მწვანე, გამჭვირვალე მინის დიდი ზომის გემა-ინტალიო<sup>36</sup> (სურ. 1).



სურ. 1

ინტალიო ოვალურია, პირი ამობურცული აქვს, ზურგი ბრტყელი. პირზე გამოსახულია ათენა, რომელიც ხმას აძლევს ორესტეს. ღვთაება წარმოდგენილია მთელი თავისი აღჭურვილობით: თავზე კორინთული მუზარადი ასურავს, ძალიან მაღალი, გრძელი ბოლოთი; მარცხნივ ფეხით უდგას გრძელი შუბი და დიდი ზომის რელიეფურზედაპირიანი ფარი, რომელზედაც შუაში გორგონას თავია გამოსახული; შემოსილია მოკლე ეგვიდით, რომლის კიდე მკერდს ქვემოთ გადის და მკლავებზეც გრძელდება; ეგი-

<sup>35</sup> ექსპედიციას ხელმძღვანელობდა დ. ხახუტაიშვილი.

<sup>36</sup> ინახება ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № ქ.ხ.მ. შ.ქ. 457, № 7-117. ზომები – 31x24x4 მმ.

მაღლობას მოვასხენებ მუზეუმის თანამშრომელს ქ-ნ ნაზი ხუნდაძეს, რომელმაც მომცა საშუალება მემუშავა გემაზე და მისი თაბაშირის ანაბეჭდი გადმომცა.

დაზე დიდი ზომის გორგონეონია დამაგრებული; ეგიდის ქვეშ შემოსილია გრძელი ქიტონით, რომელიც სწორ, სქელ ნაკვეთად ძირს ეშვება, ისე რომ წელს ქვემოთ ფარავს მხოლოდ ტანის მარჯვენა ნაწილს, მარცხენა – შიშველია; მხრებზე წამოსხმული მანტიის ერთი დახვეული კიდე მარჯვენა ხელთან ძირს ეშვება, მეორე (გამოსახული ორი მკრთალი, დაკლაკნილი ხაზით) – მარცხენა ხელთან,<sup>37</sup> ისე რომ ფარის ზედაპირზე გადადის; ღვთაებას მარცხენა, წელთან მიტანილ ხელზე უზის ბუ – მისი წმინდა ფრინველი, მარჯვენათი – კენჭს აგდებს კვერცხისებურ, ვიწროყელიან ურნაში, რომელიც მაღალ, პრიზმული მოყვანილობის სადგარზე დგას; ურნისაკენ გაწვილ ხელთან გამოსახულია გრძელი, დაკლაკნილი გველი (თითქოს ურნიდან გამოსული), რომელიც მარჯვენა ხელის ზევით ადის და თავი ღვთაებისაკენ აქვს მიმართული; ღვთაების ფეხებს საკანჭურები ამკობს; ნიდაგის ზოლი მოკლე ხაზით არის აღნიშნული; ინტალიო ჩამოსხმულია (საჭრისის კვალი არ ემჩნევა), გამოსახულებას სიმკვეთრე აკლია.

ღვთაების გრძელი, ლამაზი პროპორციები, პატარა მოხდენილი თავი, ძალიან წმინდად, ნატიფად გადმოცემული ხელის თითები, საკანჭურები, მსუბუქი მანტიის ნაოჭები, გორგონეონი მკერდზე და მთლიანად პლასტიკურად, დიდი ოსტატობით შესრულებული გამოსახულება ცხადყოფს, რომ ინტალიო მაღალმხატვრული დედნის პირს წარმოადგენს.

გემაზე წარმოდგენილია ბერძნული, არგოსული თქმულების მითის ერთ-ერთი მომენტი, რომელიც არგოსის მეფე აგამემნონისა და კლიტემნესტრას შვილს ორესტეს ეხება. ტროას ომიდან მშვიდობიანად დაბრუნებული აგამემნონი მოღალატურად იქნა მოკლული თავისი ცოლის კლიტემნესტრას და მასთან დაახლოებულ ეგისტეს მიერ. როდესაც ორესტემ სრულწლოვანებას მიაღწია, გადასწყვიტა შური ეძია მამის მკვლელებზე. დელფოს აპოლონის სამისნოს ბრძანებით მან მოკლა თავისი დედა კლიტემნესტრა და ეგისტე, რის გამოც დედის გვარის მფარველმა, მკვლელების დამსჯელმა, შურისძიების ქალღმერთებმა – ერინიებმა მას დევნა დაუწყეს. ორესტე გაიქცა დელფოზე თავის მფარველ აპოლონთან, რომელმაც ის გაგზავნა

<sup>37</sup> ათენას მანტიის ფორმა და ნაოჭების გადმოცემის ხერხი შეადარე ვენის ისტორიულ მუზეუმში დაცული სარდიონის ინტალიოზე წარმოდგენილ ათენას სამოსს [14, გვ. 81, ტაბ. 31, № 181, ძვ.წ. I ს.].



ათენში ქალღმერთ ათენასთან. ათენამ მოიწვია უხუცესთა სასამართლო (არეოპაგი). ორესტეს დასაცავად გამოცხადდა თვით მისი მფარველი აპოლონიც. კენჭისყრის დროს ხმები ტოლად გაიყო და მხოლოდ იმის წყალობით, რომ ათენამ ხმა მისცა ორესტეს, ის გაამართლეს და ერინიებმა შესწყვიტეს მისი დევნა [3, გვ. 408-415]. უფლისციხის ინტალიოზე გამოსახულია ის გადამწყვეტი მომენტი, როდესაც ათენა კენჭს აგდებს ურნაში.



სურ. 2

არის რამდენიმე გემა, რომელზედაც იგივე სიუჟეტია გამოსახული. ვენის ისტორიულ მუზეუმში დაცულ სარდიონის ინტალიოზე (სურ. 2) [14, გვ. 136, ტაბ. 70, № 418] და პონიატოვსკის კოლექციის სმარაგდის პლაზმის ინტალიოზე, ისევე როგორც უფლისციხის გემაზე, მხოლოდ ურნის წინ მდგომი ათენაა გამოსახული [11, გვ. 226]; ამჟამად დაკარგულ ერთ კამეოზე (სურ. 3) ათენას გარდა, ურნის მარჯვნივ გამოსახულია ერთი ერინია [9, გვ. 264, ტაბ. LVIII<sub>4</sub>], ხოლო სახელმწიფო ერმიტაჟის სარდიონ-ფრცხილის კამეოზე (სურ. 4) უკვე მრავალფიგურიანი კომპოზიცია არის წარმოდგენილი [4, გვ. 96; 1, გვ. 240-241, სურ. 10; 5, გვ. 36, გამ. 36; 7, გვ. 46-47, გამ. 30; 8, გვ. 94-95, გამ. 8; 15, № 335]: ათენას უკან დაძაბულ პოზაში მდგომი ორესტე ცდილობს ხელით შეაჩეროს მის უკან მყოფი ქალი, საფიქრებელია მისი და – ელექტრა; ორესტესა და ელექტრას შემოფოთებული მხერა მიმართულია ათენასაკენ, რომელიც კენჭს აგდებს ურნაში; ელექტრას უკან გამოსახულია პალადიუმი და ხე, რომლის გადახრილი ტოტები ორესტეს თავს ზევით გადადის.

მკვლევართა აზრით გემებზე გამოსახული ათენას კენჭისყრის სიუჟეტი წარმოადგენს კლასიკური ხანის, ამჟამად დაკარგული, ძალიან პოპულარული მონუმენტური ფერწერული ტილოს ცენტრალურ ნაწილს [9, გვ. 331-332; 4, გვ. 96; 1, გვ. 240-241; 8, გვ. 94-95].



სურ. 3



სურ. 4

ცნობილია, რომ ბერძნული ფერწერული ხელოვნების ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. არსებობს მხოლოდ ძველ ბერძენ მწერალთა თხზულებებში დაცული ცნობები გამოჩენილ მხატვართა სახელებისა და მათი ქმნილებების შესახებ [9, გვ. 343; 8, გვ. 88-89]. მაგრამ ეს ძველი შედეგები უკვალოდ არ გამქრალა. ჯერ კიდევ ა. ფურტვენგლერი აღნიშნავდა, რომ ავგუსტუსის დროის დიდი ზომის ინტალიოებისა და კამეოების გამოსახულებათა სიუჟეტებს ბევრი შეხების წერტილი აქვს კლასიკური და ელინისტური ხანის ფერწერულ ტილოებთან და ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებთან [9, გვ. 331, 332, 343-345]. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც ძლევამოსილი გამარჯვებების შედეგად რომში ძველი ბერძნული ხელოვნების ძეგლთა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი [2, გვ. 290; 6, გვ. 44], სამოქალაქო ომისა და ავგუსტუსის ხანის ოსტატებმა თავის მხატვრულ ქმნილებებში დაიწყეს ძველი ბერძნული ფერწერული შედეგების კოპირება [9, გვ. 343; 1, გვ. 232; 8, გვ. 91]. კედლის ფრესკებზე, მარმარილოს რელიეფებზე, ქვის სარკოფაგებზე, ტორევეტიკის ნიმუშებზე და თიხის ჭრაქებზეც კი შემორჩენილია კლასიკური და ელინისტური ხანის ფერწერული ტი-

ლოების არა მხოლოდ სიუჟეტები, არამედ კომპოზიციებიც. გემებს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ო. ნევეროვს მიაჩნია, რომ ძველად გლიპტიკისა და ფერწერის მოყვარულები თავის დაქტილოთეკებში სპეციალურად აგროვებდნენ ცნობილი ფერმწერების სურათების ამსახველ გემებს. ეს გემები ქვაში ასახული ფერწერული ტილოების თავისებურ რეპროდუქციებს წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე სიუჟეტის სავსებით ერთნაირი რეპლიკები შემორჩენილია რამდენიმე გემაზე. არის შემთხვევები ერთი და იგივე სურათის გამოსახვისა გემებზე, რელიეფებზე, თიხის ჭრაქებზე, მონეტებზე და სხვა [8, გვ. 9]. ათენას კენჭისყრის სიუჟეტი გემებს გარდა, წარმოდგენილია მარმარილოს 4 რელიეფზე, ვერცხლის თასზე<sup>38</sup> და მთელ რიგ თიხის ჭრაქებზე, რომელთა საშუალებით გერმანელმა მკვლევარმა გ. ჰაფნერმა შესძლო მთლიანად აღედგინა კომპოზიცია დაკარგული ფერწერული ტილოსი, რომელსაც მხატვარ ტიმანთეს (ძვ.წ. V-IV სს.) ნახელავად მიიჩნევს [12, გვ. 46-47].<sup>39</sup> როცა საქმე ეხებოდა ფიგურულ კომპოზიციებს, ოსტატები ზოგჯერ ზუსტ კოპირებას ახდენდნენ, ზოგჯერ კი თავისუფალ ინტერპრეტაციას არჩევდნენ, ასახავდნენ კომპოზიციის მხოლოდ ნაწილს ან უმატებდნენ ახალ ელემენტებს [9, გვ. 348; 1, გვ. 231]. ო. ნევეროვის აზრით, ერმიტაჟის კამეო ყველაზე ახლოს უნდა იყოს დაკარგულ ფერწერულ ტილოსთან, რადგან მხოლოდ მასზე არის მინიმუმებული მოქმედების ადგილი (მითის მიხედვით ორესტეს სასამართლო მიმდინარეობდა „პალადიუმის ძირში“) – ხე და პალადიუმი მოქმედების რეალურ გარემოს უნდა ასახავდეს [8, გვ. 95]. გემის მჭრელი ოსტატი დამოკიდებული იყო ქვის ზომასა და მოყვანილობაზე. თუ ის ვერტიკალურ მდგომარეობას აირჩევდა, იძულებული იყო დაეთმო ფერწერული ტილოს ნაწილი, ჰორიზონტული მდგომარეობის შემთხვევაში – მეტის გამოსახვა შეეძლო [8, გვ. 93]. ეს ნათლად ჩანს ათენას კენჭისყრის გამოსახულებიან გემების მაგალითზეც.

ა. ფურტვენგლერი საგანგებოდ განიხილავს ავგუსტუსის დროის დიდი ზომის მინის ინტალიოებს, რომელთა კლასიციტური სტილის გამოსახულებები განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა [9, გვ. 311, 347, ტაბ. XXVI, XXXVIII, LXV, №№ 39, 42, 51, 53; 10, გვ. 226-230, ტაბ. 42-43, 44, №№ 6270-6277]. შესანიშნავი ნიმუშები მინის ასეთი გემებისა ინახება ბრიტანეთის მუზეუმში [13, ტაბ.

XXX, №№ 2945, 2947, 2977, 2982, 2962, 2984; ტაბ. XXXI, №№ 3032-3036, 3039, 3043, 3056, 3057, 3171 და სხვა]. ეს ინტალიოები ყოველთვის ერთფერი გამჭვირვალე ბაცი ფერის მინისაა: თეთრი, ცისფერი, ყვითელი, მწვანე და იისფერი. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოსახულებების სილამაზე კლასიკურ ბერძნულ ხელოვნებას უახლოვდება, მაინც ყველგან იგრძნობა კლასიციტის მიმბაძველი ხელი. ისინი ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც ძვ.წ. I ს-ის მინის ჩამონასხამები ჩვენთვის დაკარგული შედეგებისა. თავისი ზომის გამო, საფიქრებელია, რომ ეს ინტალიოები საბეჭდავებად არ იხმარებოდა, არამედ გამოიყენებოდა სხვადასხვა საგნების, ჭურჭლისა და ტანსაცმლის შესამკობლად [9, გვ. 309, 311]. უფლისციხის ინტალიო თავისი მასალით, ფერით, დამზადების ტექნიკით (ჩამოსხმა), სიუჟეტით და რაც მთავარია, გამოსახულების სტილით, ავგუსტუსის დროის კლასიციტური სტილის მინის გემების ერთ-ერთ ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.<sup>40</sup>

#### K. Javakhishvili

### GEMS BEARING REPRESENTATIONS OF SCENES FROM SPECIMENS OF ANCIENT MONUMENTAL ART. I. A GEM FROM UPLISTSIKHE

(Summary)

In 1969 large-sized (31×24×4 mm) intaglio cast of light green transparent glass was found to the south of the ancient wall, by the entrance leading into the inner town of the rock cut city of Uplistsikhe (Gori district, Eastern Georgia) by the archaeological expedition of the State Museum of Georgian Art (Director D. Khakhutaishvili). The scene of the trial of Orestes is represented on the convex surface of the gem. This scene, with slight variations, is repeated on four gems, marble reliefs, silver bowl and clay lamps. It is considered to represent the central part of a specimen of easel art belonging to Thimanphos – a painter of the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent. B.C. and lost by now (G. Hafner, A. Furtwängler, M. Maksimova, M. Vaulina, O. Neverov, G. Richter, E. Zwierlein-Diehl). The size, texture, colour, manufacturing technique (casting) and primarily the style of representation, allow the author to attribute the gem to the group of large

<sup>40</sup> საყურადღებოა, რომ უფლისციხის გემის ზემოთ მოტანილი ანალოგიები – ვენის ისტორიული მუზეუმის გემა და სახელმწიფო ერმიტაჟის კამეო – ძვ.წ. I ს-ით არის დათარიღებული, ამჟამად დაკარგული ა. ფურტვენგლერის მიერ გამოქვეყნებული კამეო – ავგუსტუსის ხანით (იხ. სათანადო მითითებული ლიტერატურა).

<sup>38</sup> საინტერესოა პლინიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ პომპეუსის დროის ჭედურობის ოსტატმა ზოპაროსმა თასის შესამკობლად აირჩია სიუჟეტი ორესტეს სასამართლოსი [1, გვ. 24]; 8, გვ. 95].

<sup>39</sup> ციტირებულია 8, გვ. 95 მიხედვით.

cast glasses constituting the classical trend of the Augustan age.

### ლიტერატურა

1. **Ваулина М. О.** Классические и раннеэллинистические элементы в античных камнях Государственного Эрмитажа. – ТГЭ, т. 7, 1962, с. 232-246.
2. **Ковалев С. И.** История Рима. Ленинград, 1986.
3. **Кун Н. А.** Легенды и мифы Древней Греции. Москва, 1954.
4. **Максимова М. И.** Античные резные камни Эрмитажа. Ленинград, 1926.
5. **Неверов О. Я.** Античные камеи в собрании Эрмитажа. Ленинград, 1971.
6. **Неверов О. Я.** Мастер Гилл и скульптура храма Апполона в Палатине. – СГЭ, XXXVI. Ленинград, 1973, с. 232-246.
7. **Неверов О. Я.** Античные камеи в собрании Эрмитажа. Каталог. Ленинград, 1988.
8. **Неверов О. Я.** Геммы античного мира. Москва, 1983.
9. **Furtwängler A.** Die Antiken Gemmen, Band III. Leipzig, 1900.
10. **Furtwängler A.** Beschreibung der geschlittenen Steine im Antiquarium. Berlin, 1896.
11. **Furtwängler A.** Kleine Schriften, II. München, 1913.
12. **Hafner G.** Judicium Orestis klassisches und klassizistisches. – 113. Winckelmannsprogramm. Berlin, 1958.
13. **Walters H. B.** Catalogue of the Engraved Gems and Cameos Greek, Etruscan and Roman. London, 1926.
14. **Zwierlein-Diehl E.** Die Antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien, Band I. München, 1973.
15. **Richter G. M. A.** The Engraved Gems of the Greeks Etruscans and Romans, II. Engraved Gems of the Romans. London, 1971.

### სურათების აღწერილობა

- სურ. 1. გემა უფლისციხიდან.
- სურ. 2. გემა ვენის ისტორიული მუზეუმიდან.
- სურ. 3. კამეო, ამჟამად დაკარგული [9, ტ. II, გვ. 264].
- სურ. 4. კამეო სახელმწიფო ერმიტაჟიდან.

### Description of the figures

- Figures 1, 2 - Gem from Uplistsikhe.  
Fig. 3 - Gem from the Historical Museum of Vienna.  
Fig. 4 - Cameo, now lost [9, Pl. II, p. 264].  
Fig. 5 - Cameo from the State Hermitage.

## მერაბ ხალვაში

### ვიწროყელიანი ამფორები ბონიო-აფსაროსიდან

აფსაროსში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ კერამიკულ მასალაში წამყვანი ადგილი ამფორებს უკავია. ისინი წარმოადგენენ უძვირფასეს წყაროს კონკრეტულად საკვლევი ძეგლის, ზოგადად კი რეგიონის გარე სამყაროსთან ურთიერთობის ხასიათისა და ადგილობრივი ხელოსნური წარმოების კვლევის თვალსაზრისით. ამავე დროს, ახალმა მონაპოვრებმა საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა კერამიკული ტარის ზოგიერთი სახის საწარმოო ცენტრი, ქრონოლოგია და ა.შ., რაც, ჩვენი აზრით, გარკვეულ წვლილს შეიტანს გვიანანტიკური-ადრეული შუა საუკუნეების ხანის ამფორების კვლევის საქმეში. აფსაროსის მასალიდან დღეისათვის საშუალება გვაქვს გამოვყოთ ამ პერიოდის ამფორების ოცდაათამდე ტიპი. ამჯერად ყურადღებას გაავამახვილებთ მხოლოდ ერთ ტიპზე, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ვიწროყელიანი, პროფილირებულყურიანი ამფორების სახელწოდებითაა ცნობილი. ამგვარი ამფორები ახ.წ. I-VI საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული განსაკუთრებით რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ, ცნობილია სამხრეთ შავიზღვისპირეთიდან – ერეგლიში [37, გვ. 187-198], ამასტრიაში, სინოპში, სამსუნში,<sup>41</sup> აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან – ბიჭვინტაში [2, გვ. 256-259], სოხუმში [31, გვ. 322], ვარდციხეში [4, გვ. 39-41], ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან – პანტიკაპეონში, ქერსონესში, ყუბანში, ფანაგორიაში [17, გვ. 110, 117, 118, 122], ნეაპოლში [19, გვ. 170], ტანაისში [21, გვ. 73; 32, გვ. 65-66; 22, გვ. 47-49; 28, გვ. 143; 7, გვ. 12], მირმეკიონში [11, გვ. 170], ტირიტაკში [12, გვ. 96], ტირაში [29, გვ. 260], ოლბიაში [27, გვ. 25], ნიჟნი-გლინოვსკის [18, გვ. 29-36], კოზირსკის [8, გვ. 74] და ნოვო-ნიკოლაევსკის [26, გვ. 95] ნაქალაქარიდან, კუჩუგური I ნამოსახლარზე [25, გვ. 210] და სხვ.; აღმოსავლეთ ევროპიდან – კრასნოდარის, ბელგოროდის, კურსკის, როსტოვის, უკრაინის მხარეები [23, გვ. 43-75]; დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან [41, გვ. 269; 36, გვ. 198, 206; 42, გვ. 108]. მსგავსი ტიპის მთლიანი ამფორები აღმოჩენილია ასევე ათენის აგორაზე [40, გვ. 51, 56, 93].

ამ ტიპის ამფორების წარმომავლობისა და ქრონოლოგიის საკითხების კვლევის საქმეში

მნიშვნელოვანია რუსი სწავლულების წვლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღირებულია, რომ ვიწროყელიანი ამფორების შესწავლას საფუძველი დაუდო ი. ზეესტმა, რომელმაც პირველმა მოგვცა ამ სახის კერამიკული ტარის ქრონოლოგიური კლასიფიკაცია და მათი წარმომავლობა მცირე აზიას, კერძოდ, სამხრეთ შავიზღვისპირეთს დაუკავშირა [17]. საგანგებო კვლევა ვიწროყელიანი ამფორებისა განახორციელა ი. კამენეცკიმ. მან ნიჟნი-გლინოვსკის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამფორები ტიპობრივი და ქრონოლოგიური განვითარების მიხედვით სამ განსხვავებულ ვარიანტში მოაქცია, არსებობის ხანგძლივობა კი ახ.წ. I-III სს. განსაზღვრა. მკვლევარმა საწარმოო ცენტრებზე მსჯელობისას, ი. ზეესტის მსგავსად, უპირატესობა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს მიანიჭა [18, გვ. 35-36]. ადრეულ გამოკვლევებში ტ. კნიპოვიჩი და ვ. გაიდუკევიჩი კონკრეტულად მიუთითებდნენ, რომ ვიწროყელიანი ამფორების მწარმოებელი სინოპი იყო [20, გვ. 150; 13, გვ. 190].<sup>42</sup>

საფუძვლიანი გამოკვლევა ღიაფერის თიხის, ვიწროყელიანი, პროფილირებულყურიანი ამფორებისა ეკუთვნის დ. დეოპიკსა და ო. კრუგს. მათ, მორფოლოგიური და პეტროგრაფიული თავისებურებათა გათვალისწინებით, შექმნეს ამგვარი ამფორების ევოლუციური განვითარების ერთიანი სქემა ახ.წ. I საუკუნიდან V საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით [15, გვ. 100-115]. ახალ მასალებზე დაყრდნობით, ვიწროყელიანი ამფორების მეტ-ნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაცია შეიმუშავა დ. შელოვმა. მან გამოყო ექვსი გარდამავალი ტიპი (A, B, C, D, E, F), რომლებიც ევოლუციური განვითარებით არსებობდნენ მთელი ზუთი საუკუნის განმავლობაში. ტიპოლოგიური, ქიმიურ-ტექნოლოგიური და პეტროგრაფიული მონაცემების მიხედვით, იგი იზიარებს ი. ზეესტის, დ. დეოპიკის, ო. კრუგის და სხვათა მოსაზრებას ამ ამფორების ყველა ფორმის საერთო წარმომავლობის შესახებ, დამზადების ცენტრების ზუსტი განსაზღვრისაგან კი თავს იკავებს და მიუთითებს, რომ ამ ჰიპოთეზის მტკიცებისათვის საჭიროა დამატებითი კვლევა-ძიება [33, გვ. 16-20].


ჩრდილო-დასავლეთ ყირიმში აღმოჩენილი მასალების მიხედვით, ვიწროყელიანი ამფორების

<sup>41</sup> ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ისინი გვეხილა სინოპის და სამსუნის მუზეუმების საქსპოზიციო მასალებს შორის. ამავე დროს, სინოპშივე დოქტორმა დ. კასაბ-თეზგორმა მოგვაწოდა ცნობა ამასტრიის მუზეუმში მსგავსი ამფორების არსებობის შესახებ.

<sup>42</sup> ტ. კნიპოვიჩმა მოგვიანებით გამოთქვა მოსაზრება, რომ ნაწილი ამ ტიპის ამფორებისა ჩრდილო შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ტანაისშიც მზადდებოდა [21, გვ. 136], მსგავსი ამფორების ოლბიაში დამზადებაზე მიუთითებს ა. ბურაკოვი [8, გვ. 75], ბოსფორულ ნაწარმად მიიჩნევენ მათ ი. კრუკლიკოვა [24, გვ. 148-150] და ი. ზეესტიც [16, გვ. 76].

კლასიფიკაცია რამდენადმე დააზუსტა ს. ვნუკოვმა. დ. შელოვისეული A ტიპის ამფორებიდან გამოყო ორი ვარიანტი: ადრეული CA<sub>1</sub> (ახ.წ. I ს. მეორე-მესამე მეოთხედი) და შედარებით გვიანი CA<sub>2</sub> (ახ.წ. I ს. უკანასკნელი მეოთხედი – II ს. დასაწყისი) [9, გვ. 205]. მკვლევარმა გორგიპიის ვიწროყელიანი ამფორების გვიანი ვარიანტებიდან გამოყო ახალი СИН IV (III-IV სს.) ტიპი. თიხის შედგენილობის მიხედვით როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ ვარიანტებს ს. ვნუკოვი სინოპურ ნაწარმად აღიარებს [10, გვ. 209-211].

ზოგადად სამხრეთ პონტოს ნაწარმადაა მიჩნეული ბიჭვინტასა და ვარდციხეში აღმოჩენილი ამფორებიც [2, გვ. 256-257; 4, გვ. 39-44]. მსგავსი ტიპის ამფორების დამამზადებელი ცენტრების განსაზღვრასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიოსკურიასეხასტოპოლისის მონაპოვრები. მკვლევართა აზრით, აქ აღმოჩენილი წითელი კეცის მაღალყელიანი ამფორები, თეთრკეციანი მცირეაზიული ამფორების მიბაძვით, ადგილობრივ არის დამზადებული [1, გვ. 20]. ვფიქრობ, რომ მოსაზრებას ამ ტიპის ამფორების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დამზადების თაობაზე კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აფსაროსში აღმოჩენილი მსგავსი ამფორების ერთი ჯგუფი, რომელიც თიხის შედგენილობით ემსგავსება ადგილობრივად მიჩნეულ კერამიკას. აღნიშნული გარემოება სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და საბოლოო დასკვნის გაკეთებისათვის, ალბათ, საჭირო იქნება დამატებითი მასალის მოძიება; თუ გავითვალისწინებთ ტ. კნიპოვიჩის, ი. კრუგლიკოვას, ი. ზეესტის, ა. ბურაკოვის და სხვათა მოსაზრებებს ამგვარი ამფორების გარკვეული ნაწილის ჩრდილო შავიზღვისპირეთში დამზადების შესახებ, ამასთანავე დავეყრდნობით დიოსკურიასეხასტოპოლსა და აფსაროსში მოპოვებულ მასალას, მაშინ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომ ვიწროყელიანი ამფორები, სავარაუდოდ მიბაძვით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც მზადდებოდა.




სურ. 1.

გონიო-აფსაროსში ამ ტიპის ამფორების ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა. I ჯგუფში გაერთიანებული ამფორები პირის პროფილის მიხედვით ოთხ განსხვავებულ ვარიანტს იძლევა (სურ. 2):

I. ახასიათებთ ლილვისებური პირი, რომელსაც შიდა ნაპირზე რგოლისებური ქიმი შემოუყვება. მკვეთრად პროფილირებული ყურები

ყელზე მიმერწვის ადგილიდან ჰორიზონტალურადაა განზიდული (სურ. 1; სურ. 2). შეესაბამება დ. დეოპიკისა და ო. კრუგის B, დ. შელოვის B, C, ქ. ბერძენიშვილის და რ. ფუთურიძის B ვარიანტებს [15, გვ. 103-104; 33, გვ. 18; 2, გვ. 257]. ასევე იდენტურია სკვითურ ნეაპოლში [19, გვ. 170, სურ. 42<sub>2</sub>] და სოსუმში [31, გვ. 322, ტაბ. XLV<sub>33</sub>; 6, გვ. 219, ტაბ. VII<sub>3</sub>] მოპოვებული ამფორებისა.



სურ. 2

II. დამახასიათებელია მასიური, ლილვისებური მოყვანილობის პირი და ვიწრო, მხრებისკენ შესამჩნევად გაფართოებული ყელი (სურ. 1<sub>2</sub>; სურ. 2<sub>2</sub>). შეესაბამება დ. შელოვის D, ი. კამენეცკის C ვარიანტებს [33, გვ. 19; 18, გვ. 31-32]. ვიწროყელიანი ამფორები, რომელთაც მხრებისკენ გაფართოებული ყელი აქვთ, დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ასევე ტანაისში [21, გვ. 73, სურ. 28, 29] და ოლბიაში [8, გვ. 75, ტაბ. III<sub>29,30</sub>].

III. აქ გაერთიანებული ჭურჭლების ცალკე ვარიანტად გამოყოფა განაპირობა პირის განსხვავებულმა მოყვანილობამ. ჭურჭელს აქვს ყელისაგან მკვეთრად გამოყოფილი, სწორი ქობით დაბოლოებული პირი (სურ. 1<sub>3</sub>; სურ. 2<sub>3</sub>). ჩვენი აზრით, იგი იდენტურია ს. ვნუკოვის მიერ გამოყოფილ СИН IV-ისა [10, გვ. 209-211, სურ. 5], თუმცა მისი ზუსტი ანალოგი არ არის.<sup>43</sup>


IV. აქვს რთულად პროფილირებული ყელი-საგან მკვეთრად გამოყოფილი პირი (სურ. 1<sub>4</sub>; სურ. 2<sub>4</sub>), ემსგავსება დ. დეოპიკისა და ო. კრუგის E, ქ. ბერძენიშვილისა და რ. ფუთურიძის D ვარიანტებს [15, გვ. 102-104; 2, გვ. 275].

ძირების მიხედვით კი ოთხი ვარიანტი გამოიყოფა (სურ. 3):

I. ესაა ფართოქუსლიანი ძირები. შიდა ზედაპირი მოსწორებულია და შუა ნაწილში 1 სმ სიღრმის ფოსო აქვს გაკეთებული, რომელიც ზედაპირზე, ქუსლის ცენტრალურ არეში, კოპისებურადაა გამოზიდული. ძირი იმდენად ფართოა (8,5 სმ), რომ ამფორა შეიძლება დაედგათ კიდევ (სურ. 3<sub>1</sub>). ფორმით ანალოგიურია ზემოთ დასახელებული ავტორების მიერ გამოყოფილი

<sup>43</sup> მეოთხე ვარიანტის ამფორები აფსაროსში ორიოდენ ნიმუშითაა წარმოდგენილი. ასევე იშვიათობას წარმოადგენს ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც, სადაც ახ.წ. I-IV სს-ითაა დათარიღებული და სინოპურ ნაწარმადაა მიჩნეული.

A ვარიანტისა [18, გვ. 30; 33, გვ. 17-18; 15, გვ. 108]. ჰგავს ასევე ბიჭვინტაში ნაპოვნ ნიმუშებს [2, გვ. 257, სურ. 43<sub>5</sub>]. ასეთივე ძირი აქვს სამსუნის მუზეუმში ექსპონირებულ მთლიანად დაცულ ამფორას და ათენის აგორის ამფორებს.



სურ. 3

II. ერთიანდება პატარა ზომის, გვერდებდაწახნაგებული ძირები (სურ. 3<sub>2</sub>). მსგავსი ძირის მქონე ამფორებს წაწვეტებულიძირიანებსაც უწოდებენ. შეესაბამება ი.კამენეცკის, დ. დეოპიკისა, ო. კრუგის, დ. შელოვის B და ს. ვნუკოვის მიერ გამოყოფილ CA<sub>2</sub> ვარიანტებს [18, გვ. 30-31; 15, გვ. 108; 33, გვ. 18; 9, გვ. 259]. ზუსტი ანალოგები ეძებნება ბიჭვინტასა [2, გვ. 257, სურ. 43<sub>6</sub>] და კოზირსკის ნაქალაქარზე [8, გვ. 74, ტაბ. 13<sub>13</sub>] აღმოჩენილ მასალებს შორის.

III. ამ ვარიანტში მოქცეული ძირები II ვარიანტთან შედარებით ოდნავ გაფართოებულია. შიდა ზედაპირი მოსწორებულია, რომლის ცენტრში მოცემულია ჩაღრმავება (სურ. 3<sub>3</sub>). შეესაბამება C ვარიანტს [18, გვ. 31-32].

IV. პირობითად ვაერთიანებთ იმ ძირებს (სურ. 3<sub>4</sub>), რომლებიც ფორმით ზუსტად არ ესადაგება ვიწროყელიანი ამფორების კლასიფიკაციებში მოცემულ არცერთ ვარიანტს. იგი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება როგორც ჩრდილო, ისე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და გამოირჩევა თავისი ორიგინალური მოყვანილობით. ანალოგიურია სოხუმში, ბიჭვინტასა [2, გვ. 259, ტაბ. 52<sub>10-13</sub>, სურ. 44<sub>1-4</sub>] და ტანაისში [32, გვ. 72, სურ. 13] აღმოჩენილი ნიმუშებისა. მსგავსია ვიქტოროვკასა [30, გვ. 18, სურ. 6<sub>18</sub>] და კოზირსკის ნაქალაქარზე [8, გვ. 74, ტაბ. III<sub>27-28</sub>] აღმოჩენილი, ასევე ა. აბრამოვის მიერ გამოქვეყნებული ძირებისა [5, გვ. 50, სურ. 61]. მათი სადაურობა, გავრცელების არეალი და მთლიანი ფორმა უცნობია [2, გვ. 259], არც დ. შელოვი ასახელებს პარალელებს [32, გვ. 72], ხოლო ა. აბრამოვი, ე. სიმონოვიჩი და ა. ბურაკოვი მათ ვიწროყელიანი ამფორების ძირებად მიიჩნევენ [5, გვ. 49-50; 30, გვ. 18; 8, გვ. 74]. ეს მოსაზრება საყურადღებო ჩანს იმდენად, რამდენადაც ისინი მოყვანილობით ჩამოგავს ვიწროყელიანი ამფორების ძირებს – განსაკუთრებით კი ი. კამენეცკის, დ. შელოვის B და ჩვენს მიერ გამოყოფილ II და III ვარიანტებს, ახასიათებს ცილინდრული ღრუ ძირები, რომელსაც შიგნიდან ცენტრში მკვეთრი კონუსისებური, ზოგჯერ სფეროსებური შვერილი


აქვს გაკეთებული, ხოლო III ვარიანტის მსგავსად ქვემოთკენ გაფართოებულია (სურ. 3<sub>4</sub>). მათი კეცი განსხვავებულია. თიხა წმინდად განლექილი, ქარსმინარევიანი ვარდისფერი ან ღია ყავისფერია. ზოგიერთი ნიმუში კი ანგობირებულია. თიხის ასეთი შედგენილობა რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში დამზადებული ნაწარმისთვისაა დამახასიათებელი. არაა გამორიცხული, მსგავსი ამფორები ეწარმოებინა ხმელთაშუაზღვისპირეთის რომელიმე ბერძნულ ცენტრს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ამგვარი ამფორების ათენის აგორაზე აღმოჩენის ფაქტი. აქვე უნდა მოვიტანოთ ე. შტაერმანის მოსაზრება, რომელიც ტირაში მოპოვებულ ვიწროყელიანი ამფორებს (დამღების მიხედვით) კუნძულ კოსის ნაწარმად მიიჩნევდა [34, გვ. 43].

საერთოდ ვიწროყელიანი ამფორების არსებობა დიდი ხანგრძლივობით განისაზღვრება. ისინი ჩნდებიან ახ.წ. I საუკუნიდან და როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფორმათა ევოლუციური განვითარებით არსებობას განაგრძობენ ახ.წ. V-VI სს. ჩათვლით. I ჯგუფში გაერთიანებული ვიწროყელიანი ამფორების ყველა ვარიანტი აფსაროსში ახ. წ. II ს. დასაწყისისა და ახ.წ. III ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენებში გვხვდება.

II ქრონოლოგიური ჯგუფი მხოლოდ ერთი ტიპითაა წარმოდგენილი. ესაა საშუალო ზომის ამფორები, ლილვისებური უსწორმასწორო პირით და მაღალი ვიწრო ყელით. ოვალურგანივკვეთიანი ყურების ზედაპირი ასიმეტრიული, გრძივი ქედებითაა შემკული. თითქმის კონუსისებური ტანი ბოლოვდება მრგვალი ძირით. ჭურჭლის ზედაპირი მთლიანადაა გოფირებული. მხრისა და ძირის არეში ღარები უფრო თვალსაჩინოა, ხოლო შუა ნაწილში შედარებით ფართო ზოლებითაა გაფორმებული (სურ. 4<sub>1,2</sub>). სინოპის მუზეუმში დაცული მთლიანი ნიმუშების მიხედვით, მათი ზომები (სიმაღლე) 50-55 სმ შორის მერყეობს და მოცულობით 6 ლიტრის ტევადობისაა [38, გვ. 445]. აფსაროსში მოპოვებულ ერთ-ერთ ამფორას ყურის ქვედა ბოლოზე, მხართან მიძერწვის ადგილას, ამჩნევია თითების ანაბეჭდი, ხოლო მხრის არეში, როგორც ჩანს, სახელოსნოს (თუ ხელოსნის) აღმნიშვნელი გრაფიტო (N) აქვს დატანილი (სურ.4<sub>1</sub>).

ასეთი ფორმის ამფორები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სინოპში როგორც შიდა რაიონებში, ისე ზღვისპირა ზოლში. თიხის მიხედვით მათი სინოპური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ამასვე ადასტურებს დოქტორ დ. კასაბ-თეზგორისა და ი. ტატლიკანის მიერ სინოპის სამხრეთით 15 კმ დაშორებით, სოფ. დემირსში გათხრილი ქურები. გადანაყარის მიხედვით დგინდება, რომ ამ ქურებში სწორედ ამგვარი ამფორების გამოწვა ხდებოდა [38; 39, გვ. 423-442; 43, გვ. 335-338].

დ. შელოვის აზრით, ტანის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ამ ტიპის ამფორები ახ.წ. I-IV სს. გავრცელებული ვიწროყელიანი ამფორების (I ჯგუფი) განვითარების ბოლო საფეხურს წარმოადგენს [33, გვ. 19]. ამ მოსაზრებას იზიარებს დ. კასაბ-თეზგორიც. იგი დემირსში დამზადებულ მსგავსი ტიპის ამფორებს გენეტიკურად უკავშირებს ღია ფერის ვიწროყელიან ამფორებს. ცალკეული მორფოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით მიუთითებს, რომ არ ჩანს გაწყვეტილი კავშირი ახ.წ. I-IV სს. გავრცელებულ ვიწროყელიან და დემირსში წარმოებულ ამფორებს შორის [38, გვ. 447]. გენეტიკური კავშირი განსაკუთრებით კარგად ჩანს ყელის, ყურებისა და ტანის თითქმის ერთნაირ გაფორმებაში. მხოლოდ მრგვალი ძირი არის ის ძირითადი კონსტრუქციული დეტალი, რაც განსაკუთრებულ მათ ვიწროყელიანი ამფორებისაგან, ეს კი, თავის მხრივ, ამ ეპოქაში ჩამოყალიბებული ხელოსნური წარმოების წესის თავისებურებას წარმოადგენს. გარდა ამისა, შეინიშნება პირის დაპატარავებისა და გასადავების ტენდენცია.



სურ. 4

საქართველოში ასეთი ამფორები, გარდა აფსაროსისა, აღმოჩენილია ქ. ფოთის მიდამოებში [3, გვ. 111, სურ. 10], ნოქალაქეში.<sup>44</sup> ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან კი ისინი ცნობილია ქერსონესიდან [35, გვ. 327, სურ. 2<sub>8</sub>], ტანაისიდან, ბასოკის ნაქალაქარიდან [33, გვ. 19] და ა.შ. დ. შელოვი თვლის, რომ ვიწროყელიანი ამფორების ეს სახე ახ.წ. IV ს. ბოლოსა და ახ.წ. V ს. დასაწყისში იყო გავრცელებული [33]. თვით სინოპეში ისინი ზოგადად ახ.წ. V-VI სს. თარიღდება. ხშირ შემთხვევაში კი იუსტინიანე I მონეტებთან ერთადაა ნაპოვნი [39, გვ. 433].

<sup>44</sup> დატულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის ფონდებში - 12,574; 3041,12, 974; 2933.

აფსაროსშიც ასეთი ამფორების ორი ზედა ნაწილი, და შედარებით დიდი რაოდენობით ტანისა და ძირის ფრაგმენტები, აღმოჩენილი იყო აბანოებთან გამოვლენილ ამფორების ყრილში ახ.წ. V-VI სს. გავრცელებულ ამფორებთან ერთად. რამდენიმე ნატეხი მოპოვებულია ციხის დასავლეთი კედლის II კოშკში, სადაც იუსტინიანე I-ის სახელით მოჭრილი მონეტებია ნანახი. ჩანს, რომ ვიწროყელიანი ამფორების ეს ფორმა (დ. შელოვის კლასიფიკაციის მიხედვით ტიპი E) ჩნდება ახ.წ. IV ს. ბოლოს და, როგორც ამას სინოპისა და აფსაროსის მონაპოვრებიც ადასტურებს, არსებობს ახ.წ. VI ს. ბოლომდე.

ბოლოს გვინდა შევეხეთ გენეზისთან დაკავშირებულ საკითხებს (არ განვიხილავთ II ქრონოლოგიური ჯგუფის ამფორებს, რადგან მათი წარმომავლობა გარკვეულია). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მკვლევართა უმრავლესობა I ჯგუფის ამფორების ყველა ტიპის წარმომავლობას ზოგადად მცირე აზიას უკავშირებს. ამ ვრცელი ტერიტორიიდან კი გამოყოფენ სამხრეთ შავიზღვისპირეთს, სადაც (ეყრდნობიან რა ვიწროყელიანი ამფორების თიხის შედგენილობას) უპირატესობას სინოპს ანიჭებენ. ცნობილია, რომ საწარმოო ცენტრების განსაზღვრისას არსებითი მნიშვნელობა კეცის ხასიათსა და სტრუქტურას ენიჭება. გამომდინარე აქედან, I ჯგუფის ვიწროყელიანი ამფორების საწარმოო ცენტრად მხოლოდ სინოპის აღიარება გადაჭარბებულად გვეჩვენება, რადგან ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (მათ შორის აფსაროსში) აღმოჩენილ მასალებში მრავლად გვხვდება სინოპურისაგან განსხვავებული შეფერილობის თიხის მქონე ვიწროყელიანი ამფორები. საერთოდ ამ ჯგუფის ამფორების თიხა, შეფერილობის მიხედვით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ სტრუქტურით იდენტური არიან; გარდა ამისა, ამ ტიპის ამფორების ყველა ვარიანტი ფორმით ერთმანეთისადმი დიდ მსგავსებას იჩენს, უფრო მეტიც, შეინიშნება ევოლუციური განვითარების ერთიანი ხაზი. ამასვე ადასტურებს ი. კამენეცკის, დ. დეოპიკის, ო. კრუგისა თუ დ. შელოვის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციები. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ კერამიკული ტარის ამ სახეს ჰქონდა წარმოების ლოკალური ხასიათი. მათი თიხის შედგენილობა კი ადასტურებს, რომ ეს რეგიონი სამხრეთ შავიზღვისპირეთია, სადაც, როგორც ჩანს, ერთდროულად მოქმედებდა ვიწროყელიანი ამფორების დამამზადებელი რამდენიმე სახელოსნო ცენტრი. ერთ-ერთი უკვე გამოვლენილია. მხედველობაში გვაქვს ჰერაკლიის (თანამედროვე ერეგლი) სამხრეთით, მისგან 12 კმ-ს დაშორებით ქალაქ ალაპლაში აღმოჩენილი ვიწროყელიანი ამფორების დამამზადებელი ქურა-სახელოსნო [37, გვ. 187-198], რასაც, ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ამფორების გენეზისის კვლევის საქმეში.

აღნიშნულმა აღმოჩენამ ფაქტობრივად დაასაბუთა მეცნიერთა მოსაზრებები ვიწრო, მაღალყელიანი ამფორების სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადების შესახებ. შესაბამისად, გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს მათი წარმომავლობის საკითხიც. მსგავსად სხვა ძეგლებისა, აფსაროსში მოპოვებული ამ ტიპის ამფორების ერთი ჯგუფის თიხის სტრუქტურა მყარ საფუძველს ქმნის იმ მკვლევართა მოსაზრებების სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც კერამიკული ტარის ეს სახე სინოპშიც მზადდებოდა.<sup>45</sup> ჩრდილო და აღმოსავლეთ პონტოსპირეთის მონაპოვრებზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ მსგავსი ამფორები მზადდებოდა შავიზღვისპირეთის ამ რეგიონების სახელოსნო ცენტრებშიც.

**M. Khalvashi**

**NARROW-NECKED AMPHORAE FROM GONIO-APSAROS**

(Summary)

Amphorae occupy a distinguished place in the variety of pottery finds from Gonio-Apsaros. About thirty types of clayware of the Late Classical and Early Medieval periods can be identified. The present paper deals with narrow-necked amphorae that are classified into two chronological groups: group I is dated to the beginning of the 2<sup>nd</sup> and the first half of the 3<sup>rd</sup> cent. A.D. The amphorae of the cited group are subdivided according to the rim shape into four variations. Another four variations can be distinguished, taking into account the foot shapes (fig. 3-4). While studying the origin of group I amphorae, particular attention should be paid to a kiln, found at Alapla site, in the vicinity of Eregly (ancient Heraclea), constructed for firing these amphorae. The fact confirms once more the hypothesis that narrow-necked amphorae were manufactured on the southern coast of the Black Sea. On the grounds of recent finds from Tanais, Olbia, Dioscurias-Sebastopolis and Apsaros, it can be suggested that similar amphorae were produced in the workshops of the northern and eastern regions of the Black Sea.

The amphorae attributed to the group II are dated to the second half of the 6<sup>th</sup> cent. A.D. They represent the last stage of development of the group I amphorae type (fig. 4). A kiln for producing of these amphorae was found in the village of Demirci near Sinope.

**ლიტერატურა:**

1. აფაქიძე ა. ლორთქიფანიძე თ. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. – სმამ, ისტორიის სერია, 1965, 3, გვ. 118-122.
2. ბერძენიშვილი ქ. ფუთურიძე რ. ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები. კატალოგი. – დიდი პიტიუნტი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. I. თბ., 1975, გვ. 252-277.
3. გამყრელიძე გ. წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. – სმამ, ისტორიის სერია, 1987, 1, გვ. 97-117.
4. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი (ეგრისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვის). თბ., 1989.
5. Абрамов А. П. Античные амфоры. Периодизация и хронология. – Боспорский сборник, 3, Москва, 1993.
6. Апакидзе А. М., Лордкипанидзе О. Д. Новые материалы к археологии Диоскурии-Себастополиса. – ТАИЯЛИ, 33-34, 1963, с. 209-223.
7. Арсеньева Т. М., Шелов Д. Б. Раскопки центральной части Танаиса (1955-1957 гг.). – Древности Нижнего Дона. Москва, 1965, с. 7-18.
8. Бураков А. Б. Козырское городище рубежа и первых столетий нашей эры. Киев, 1976.
9. Внуков С. Ю. Широкогорлые светлоглиняные амфоры Северо-Западного Крыма. – СА, 3, 1988, с. 198-206.
10. Внуков С. Ю. Новые типы поздне-синопской амфорной тары. – РА, 3, 1993, с. 204-212.
11. Гайдукевич В. Ф. Раскопки Тиритаки и Мирмекия в 1946-1952 гг. Боспорские города, I. – МИА, 85, 1958, с. 149-218.
12. Гайдукевич В. Ф. Раскопки Тиритаки 1935-40 гг. Боспорские города, I. – МИА, 25, 1952, с. 15-135.
13. Гайдукевич В. Ф. Рецензия на статью К. Маевского "Importy rzymskie na ziemiach slowianskich". – ВДИ, 1951, 2, с. 187-194.
14. Гущина И. И., Журавлев Д. В. Погребения с бронзовой посудой из могильника Бельбек IV в Юго-Западном Крыму. – РА, 2, 1992.
15. Деоник Д. В., Круг О. Ю. Эволюция узкогорлых светлоглиняных амфор с профилированными ручками. – СА, 3, 1972, с. 100-115.
16. Зеест И. Б. К вопросу о торговле Неаполя и о ее значении для Боспора. – МИА, 33, 1954, с. 71-77.

<sup>45</sup> ეს შეხედულება პირად საუბარში თითქმის არ გაიზიარა დ.კასაბ-თეზგორმა.



17. Зеест И. Б. Керамическая тара Боспора. – МИА, 83, 1960.

18. Каменецкий И. С. Светлоглиняные амфоры с Нижне-Гниловского городища. – КСИА, 94, 1963, с. 29–36.

19. Карасев Л. Н. Раскопки Неаполя Скифского. – КСИИМК, XXXVII, 1951, с. 161–172.

20. Книпович Т. Н. Керамика местного производства из раскопок Ольвии. Киев, 1940.

21. Книпович Т. Н. Танаис. Москва–Ленинград, 1949.

22. Коровина А. К., Шелов Д. Б. Раскопки юго-западного участка Танаиса (1956–1957). – Древности Нижнего Дона. Москва, 1965, с. 18–55.

23. Кропоткин В. В. Римские импортные изделия в Восточной Европе (II в. до н.э.–V в. н.э.). – САИ, Д1–27, 1970, с. 43–75.

24. Кругликова И. Т. Боспор в позднеантичное время. Москва, 1966.

25. Кубланов М. М. К истории Азиатского Боспора (Новые археологические материалы с полуострова Фонтан). – СА, XXIX–XXX, 1959, с. 203–226.

26. Масленников А. А., Чевелев О. Д. Охранные раскопки на Ново-Николаевском городище. – КСИА, 174, 1983, с. 91–95.

27. Мелентьев Г. М. Ольвийский керамический комплекс первых веков н.э. – КСИА, 116, 1969, с. 23–28.

28. Наливкина М. А. Раскопки Юго-Восточного участка Танаиса (1960–1961 гг.) – Древности Нижнего Дона. Москва, 1965, с. 130–167.

29. Самойлова Т. Л. Основные типы амфор I–IV вв. н.э. из Тиры. – Археологические исследования Северо-Западного Причерноморья. Киев, 1978, с. 254–266.

30. Сымонович Э. А. Яровой А. З. Поселение Викторовка II в устье Сосицко-Березанского лимана. – СА, 2, 1968, с. 169–183.

31. Трапш М. М. Древний Сухуми. – Труды., т. II, Сухуми, 1969.

32. Шелов Д. Б. Раскопки северо-восточного участка Танаиса (1955–1957). – Древности Нижнего Дона. Москва, 1965, с. 56–129.

33. Шелов Д. Б. Узкогорлые светлоглиняные амфоры первых веков нашей эры. Классификация и хронология. – КСИА, 156, 1978, с. 16–21.

34. Штаерман Е. М. Керамические клейма из Тиры (в связи с вопросом о клеймах неизвестных центров). – КСИИМК, XXXVI, 1951, с. 31–49.

35. Якобсон А. Л. Средневековые амфоры Северного Причерноморья. – СА, XV, 1951, с. 325–344.

36. Alexandrescu P. Necropola Tumulara. Sapaturi 1955-1961. - Histria, II. Bucuresti, 1966, p.134-294.

37. Arseneva I., Kassab-Tezgor D. et Naumenko S. Un dépôt d'ateliers d'amphores à pâte claire: Commerce entre Héraclée du Pont et Tanaïs à l'époque Romaine.- Anatolia Antiqua, V, Istanbul, 1997, p. 187-198.

38. Kassab-Tezgör D. Prospection sous-marine près de la côte Sinopeenne: transport d'amphores depuis l'atelier et navigation en mer Noire.- Anatolia Antiqua, VI, Istanbul, 1998, p. 443-449.

39. Kassab-Tezgör D., Tatlican I. Fouilles des ateliers d'amphores à Demirci près de Sinop en 1996 et 1997. - Anatolia Antiqua VI, Istanbul, 1998, p. 423-442.

40. Robinson H. S. Pottery of the Roman period. – The Athenian Agora, volume V, Princeton, 1959.

41. Scorpan C. Contribution à la connaissance de certains types céramiques Romano-Byzantins (IV<sup>e</sup>-VII<sup>e</sup> siècles) dans l'espace Istro-Pontique. – Dacia, XXI, 1977, p. 269-297.

42. Susaveanu A. Les thermes romains.- Histria, VI. Paris, 1982.

43. Tatlican I., Kassab-Tezgör D., Ozdas H. Sinop ta sualti calismalari. – IX. Muze kurtarma kazilari seminari. Ankara, 1999, p. 335-342.

### სურათების აღწერილობა

1. I ჯგუფის ვიწროყელიანი ამფორები.
2. I ჯგუფის ვიწროყელიანი ამფორების პირის პროფილები.
3. I ჯგუფის ვიწროყელიანი ამფორების ძირები.
4. II ჯგუფის ვიწროყელიანი ამფორები.

### Description of figures:

1. Narrow-necked amphorae. Group I.
2. Narrow-necked amphorae rim variations. Group I.
3. Narrow-necked amphorae foot variations. Group I.
4. Narrow-necked amphorae. Group II.

## წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტი) კვილ საქართველოში

წინწილა წარმოადგენს ნახევარსფეროსებრი ფორმის ბრინჯაოს ორ თეფშს, რომელსაც ნაპირზე შემოუყვება პუნსონით გამოყვანილი წიწვოვანი ორნამენტი. განიკვეთში ბრტყელი სახელურები ნახევარსფეროსებურად ამოზნექილ გარე ზედაპირზე აქვს მიმაგრებული. ზომები წინწილისა: დმ. – 11-19 სმ, სიძ. – 8-10 სმ, სახელურის სიგრძე – 2 სმ (სურ. 3).

ამ ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტი – წინწილა, ჟინვალის სამაროვანზე (არაგვის ხეობა) სამი ცალი დადასტურდა III-IV სს. დათარიღებულ სამ სამარხში (№ 246, 348, 423).

არქეოლოგიურ მონაპოვარში ცნობილია მუსიკალური ინსტრუმენტები: ყაზბეგის განძშია დადასტურებული ბრინჯაოს ქანდაკება მუსიკოს-დამკვრელისა, რომელსაც ხელში უჭირავს ხუთძალიანი (ხუთსიმიანი) საკრავი, შესაძლოა ქნარი [11, გვ.40]. ქნარიანი მუსიკოსის გამოსახულება, ტერაკოტა, გამოვლენილია უფლისციხის ბაზების ნამოსახლარზე ძვ.წ. III-II სს. დათარიღებულ ფენაში [12, გვ. 54-55. სურ. 25]. სვანეთში, ხაიშში აღმოჩენილია ოქროს საკიდი, რომელიც ჩარდახიანი კოშკის მინიატურულ გამოსახულებას წარმოადგენს. ჩარდახის ქვეშ სალამურზე და ჭიანურზე დამკვრელის ორი ფიგურაა [15, გვ. 147-157]. მცხეთის სადგურის აკლდამაშია აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება, ორლულიან სალამურზე დამკვრელი ჭაბუკისა – პანისა [4, გვ. 641-648]. განსაკუთრებით საინტერესოა ძალისის მოზაიკური პანო მრავალლულიან სალამურზე (ლარტყემ-სოინარ-სასტეინოზე) დამკვრელი პანის (ოროპინტრეს, ბოჩის), ფიგურა საგანგებოდ არის წარმოჩენილი მეჩანგე მუსიკოსთან შეპირისპირებით [2, გვ. 74-75. ტაბ. LXVII, სურ. 7].

ადამიანი უხსოვარი დროიდანვე თავის მუსიკალურ მოთხოვნილებას სხვადასხვა საგნების ხმის გამოყენებით ცდილობდა და ახერხებდა.

უძველესი დროიდან ცნობილია შემდეგი სახის საკრავები: დასარტყმელი (საჩხარუნებელი და ჟღარუნები), ჩასაბერი და ძალებიანი (სიმებიანი). ყველა მათგანი ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ყოფილა ცნობილი და გავრცელებული. უძველესი ებრაული წყაროებით ქართველ ტომთა ეპონიმები ჩასაბერი საკრავების მამად და გამომგონებლად მოიხსენებიან [17, გვ. 73].

ივ. ჯავახიშვილი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“ ასე წერს: „ზოგი მათგანი (საკრავი – ვ.ჩ.) უძველესი დროითგანვე ყოფილა, ზოგის სახელები ადგილობრივია, ბევრი მათგანი კი ჩვენში თანდათანობით შემდეგში გაჩენილა და მეზობელთაგან ყოფილა შეთვისებული. უძველესი მათგანი გაქრა და უკვე

მერმინდელ თაობებსაც კი მათი სახელების ნამდვილი მნიშვნელობა აღარ სცოდნიათ. თანამედროვე ქართველმა ხომ მათი სახელები მხოლოდ ძველი და ახალი თხზულებების წყალობით იცის, მათი რაობისა კი არაფერი გაეგება. ამიტომ თითოეული მათგანის ზედმიწევნითი მნიშვნელობა, არსებობის ხანა და საკრავის სადაურობა უნდა ძეგლებისა და მიხედვით იქნეს გამორკვეული [16, გვ. 90].

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „წინწილი“, უძველესი ქართული სამუსიკო საკრავი. დღესდღეობით გვხვდება მხოლოდ წერილობით ძეგლებში [9, გვ. 330]. ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა აღწერილი: „წინწილა საკრავი-ლითონის თეფში, რომელსაც მეორე ამნაირივე თეფშის დაკვრით ახმაურებენ. წინწილა – იგივეა რაც წინწილი“ [8, გვ. 564]. დ. ჩუბინიშვილის ქართულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: „წინწილი – ორი თეფში მეტალისა, ერთი მეორის შემოკრვით საჟღერებელი“ [10, გვ. 452]. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, წინწილი ტკბილი საკრავია, რასაც „აწყობდნენ და მაგალობლები მას კარგად უზანებდნენ [6, გვ. 412]. ივ. ჯავახიშვილი წინწილას საჩხარუნელთა რიგში აერთიანებდა, „წინწილი დაბადების თარგმანში გვხვდება და უდრის ებრაულს წელწკლიმ-ს, ბერძნულ „გო კაამბლონ“-ს ანდა კაამლა-ს, ლათინურ Cymbalum-ს, და Cymbala-ს და სომხურ წინწლას. წინწილი ლითონის თეფში იყო, რომელსაც მეორე ამნაირსავე თეფშის დაკვრით აახმაურებდნენ ხოლმე. ჩვეულებრივს წინწილს გარდა ყოფილა აგრეთვე წინწილი რვალისანი“ [16, გვ. 194].

ა. აფაქიძის რედაქტორობით გამოქვეყნებულ რუსულ-ქართულ არქეოლოგიურ ლექსიკონში ასეა განმარტებული – Цимбалы, წინწილი, ძველებური სიმებიანი საკრავიერი ინსტრუმენტი [1, გვ. 846].<sup>46</sup>

БСЭ-ში ასეა განმარტებული Цымбалы, პოლონური – Kymbaly, ბერძნული – Kymbalon – Кимвал (კიმვალ) – სიმებიანი დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი. იგი შედგება ბრტყელი ხის კორპუსისაგან, რომელსაც ტრაპეციისებრი ფორმა აქვს. იგი გადაჭიმულია ზედა თავფიცარნაგზე (დაფაზე). ხმას გამოსცემს ორი ხის ჯოხის დარტყმით 2-5 სიმიანი მეტალის სიმებზე. წინწილა (ციმბალი) ძველი ინსტრუმენტია (გამოსახულებები გვხვდება ძველ ასურულ ძეგლებზე). დასავლეთ ევროპაში

<sup>46</sup> რაც სწორი არ არის. "Ὀείαβῆν" დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტია და არა სიმებიანი.

გვხვდება მე-18 ს-ში. ყველაზე უფრო გავრცელებულია უნგრეთში, სლოვაკეთში. ენათესავება წინწილა მოლდავურ – Цимбал-ს, სომხურ – Сандურ-ს, ქართულ Сандური-ს (ფანდური?-ვ.ჩ.) და უზბეკურ Чанг-ს. მე-17 ს. რუსეთში წინწილას უწოდებდნენ კლავესინს [19, გვ. 566].

წინწილა მოხსენებულია დაბადების ომკის ხელნაწერში, სადაც ვკითხულობთ: „დავით და ყოველი იგი ერი იმდერდეს... ნესტვთა, ქნართა, ბობღნითა და ლინითა და წინწილაითა“. ებრაელთა ფსალმუნში: „ადიდეთ იგი ბუკის ცემით, ადიდეთ იგი ჩანგით და ქნართ, ადიდეთ იგი ლაფით და როკვით, ადიდეთ იგი ებნით და სტვირით, ადიდეთ იგი ტკბილხმოვანი წინწილებით, ადიდეთ იგი მალახმოვანი წინწილებით.“ ისტორიულ თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარვანდეთანი“ ვკითხულობთ: „ესე ვითარსა შესხმასა და გალობასა შინა... ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილათა“ (სპერმური საცემელი საკრავია, ბუკი – ჩასაბერი, ქოსი – სპილენძის დოლია).

წინწილი ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება. მაგალითად, შავთელის „აბდულმესიაში“ ვკითხულობთ: „ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და წინწილისა“. შოთა რუსთაველს „გვფხვისტყაოსანში თითქმის ყველა ჯგუფის მუსიკალური საკრავები აქვს მოხსენიებული: დასარტყამი და საჩხარუნებელი, სიმებიანი და ჩასაბერი [7, გვ. 19-22]. წინწილა ნახმარია თინათინის მეფედ დალოცვის დროს: „ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა“. ქალაქ გულანშაროშიც ნაგროზობის დღესასწაულის დროსაც „ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა-ო“. როგორც ჩანს, წინწილას ხმარობდნენ სხვა საკრავებთან ერთად: ჯერ ბუკთან, მერე ებანთან ერთად და მათ ხმას „დაატკობდა“. წინწილს სულხან-საბა ორბელიანი „ტკბილ საკრავად“ ასახელებს და ეს განმარტება რუსთაველის სიტყვებსაც ეთანხმება.

წინწილა საქართველოში XVII ს-შიც ფუნქციონირებდა, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტი. ფეშანგის ისტორიულ პოემაში ნახსენებია, შაჰნავაზს რომ საცოლუ მოგვარეს, ზეიმის დროს სხვა საკრავებს შორის „წინწილის ხმასა შეემკო სახლი, შუკა და ებანი“.

საინტერესოა მე-13 ს ქართული ფსალმუნის ხელნაწერის მინიატურა (სურ. 1): ქართველ მხატვრს აუსახავს სოლომონის მეფედ კურთხევა და სახიობა ძალებიანი, ჩასაბერი, საცემელი, საჟღარუნებელი საკრავებით, მგალობლების ტაშისცემით და როკვით (მარცხნიდან პირველს წინწილა უჭირავს – ვ.ჩ.) [18, გვ. 16].

მუსიკოსს მუსიკალური ინსტრუმენტებითაც, რომლებიც არ წარმოსთქვამენ სიტყვებს, შეუძლია შეაღწიოს მსმენელის სულში და გამოიწვიოს სათანადო გრძნობები. აგრეთვე, ამაღ-

ლებული, ძალზე მელოდიური და გრძნობიერი მუსიკის მოსმენა დადებითად მოქმედებს ზნეობრიობაზე, ამაღლებს სიმხნევეს, შეუპოვრობას, სიფაქიზეს და კეთილშობილებას [14, გვ. 40-41].



სურ. 1

მუსიკას ფართოდ იყენებენ სამხედრო საქმეში. ამას ნათლად ადასტურებენ უძველესი ხანის სახვით ხელოვნებაში ასახული მეომრები, რომელთაც წინ მიუძღოდათ ჩასაბერი და დასარტყმელ საკრავებზე დამკვრელი მუსიკოსები [13, გვ. 77].

ლაშქრული, მხედრული, საიერიშო და სხვა სახის სამხედრო მუსიკა საქართველოშიც იყო გავრცელებული. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, „სამხედრო საკრავების დანიშნულებას სხვათაშორის ისიც შეადგენდა, რომ რიცხვმრავალი ჯარისათვის სწრაფად გაეგებინებინა, რაც გასაკეთებელი იყო“ [16, გვ. 215].

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვა მრავალრიცხოვან მასალებთან ერთად გამოვლენილია მუსიკალური ინსტრუმენტები – წინწილებიც.


ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული წინწილები III-IV სს. დათარიღებულ სამარხებში იქნა აღმოჩენილი.

№ 246 სამარხეული კომპლექსი (სურ. 2, ტაბ. I) იქ აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით (მაღალი, მსხლისებრტანიანი, ყელწიბოიანი ხელადა, ვერცხლის ბეჭედი თევზის გამოსახულებიანი სარდიონის გემა-ინტალიოთი) III ს. ბოლოთი ან IV ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

№ 348 სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი (თიხის ყელწიბოიანი ხელადა და საყურეები) შეიძლება III ს. დათარიღდეს, ხოლო № 423-ე სამარხი დაზიანებული იყო. ამიტომ მისი თარიღი ზოგადად I-III სს. შეიძლება განისაზღვროს.


სამივე სამარხი აღმოჩნდა სამაროვნის იმ მონაკვეთში, სადაც მეომართა სამარხებია განლაგებული (შესწავლილია 38 იარაღის შემცველი სამარხი), რომლებშიც გამოვლინდა რკინის საბრძოლო იარაღი: მახვილები, შუბისპი-

რები, სატევრები, ისრისპირები, დანები და სა-  
ლესი ქვები.



სურ. 2

ანალოგიური წინწილა აღმოჩენილია სოფ. წიფნარისძირში, მძივიანამაძულების სამაროვანზე, III-IV სს. დათარიღებული იარაღის (შუბისპირი) შემცველ სამარხში. ბრინჯაოს სამი წინწილა დადასტურდა ნეძიხის სამაროვანზე (ტაბ. II, III). ერთი სამარხი მოზარდს ეკუთვნოდა – წინწილაც მომცრო ზომისა იყო. დანარჩენ ორ სამარხში იარაღი (მახვილი და შუბისპირი) იქნა დადასტურებული. ამ სამარხებს თანმხლები ინვენტარით IV ს-ის დასაწყისით ათარიღებს გამთხრელი არქეოლოგი ცრობაქიძე.



სურ. 3

დასავლეთ საქართველოში მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე წინწილები აღმოჩნდა № 3 და № 9 სამარხებში, რომლებიც IV ს. თარიღდება [5, გვ. 45-50]. № 3 სამარხი მოზარდს ეკუთვნოდა. წინწილაც პატარა ზომისა იყო. წინწილის ერთი თეფში ქორეთის სკოლის მუზეუმში ინახება. ორი წინწილა 1995-1996 წწ. არქეოლოგიური კამპანიის დროს საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს საირხის გვიანანტიკური ხანის სა-

მაროვანზე (სურ. 3). სამარხები დაწინაურებულ მეომართა ფენას ეკუთვნოდა. თანმხლები ინვენტარით სამარხები III-IV სს. დათარიღდა. ერთი ბრინჯაოს წინწილა ინახება ზონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იგი აღმოჩნდა სოფელ დიდღვანაში, ციხის – უქიმერიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილ მეფის ნაბარგში, შემთხვევით გათხრილ სამარხულ კომპლექსში, რომელიც III-IV სს. მასალებს შეიცავს.

1996 წელს მცხეთაში, არმაზციხეზე, გვიანანტიკური ხანის სატაძრო კომპლექსში იატაკის დონეზე II-III სს. დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა ერთი ცალი თეფში წინწილისა, დაჭყლეტილი. 1986 წელს დედოფლის გორაზე, სასახლის გათხრის დროს, ოთახ № 1-ში ახ.წ. I ს. დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს წინწილა (დმ – 19 სმ). მსგავსი წინწილა აღმოჩენილია სოფელ სხვიტორში, რომელზედაც 1875 წელს გახეთ „დროება“-ში დ. წერეთელი წერდა: ოქროს ნივთებთან ერთად სხვიტორში იპოვეს ბრინჯაოს ნივთები, სწორედ ისეთი, როგორც როტის სასულე ორკესტრის „ტარელკები“ [3, № 37, 38].

საქართველოში სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, სულ აღმოჩნდა 15 წინწილა. ისინი ფორმით და დამზადების ტექნიკით ყველა ერთნაირია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვთა სამარხებში აღმოჩენილი წინწილები, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, არაგვის ხეობაში – ნეძიხში, ისე დასავლეთ საქართველოში – მოდინახეზე – მოცულობით პატარაა.

წინწილების შემცველი სამარხები მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით შეიძლება მეომრებს ეკუთვნოდეთ, ხოლო ბავშვთა სამარხებში აღმოჩენილი წინწილები მოზარდებს.

უინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხთა შორის შეიძლება გამოიყოს მეომართა ფენა, რომელსაც სტრაბონი „მიწისმოქმედთან“ ერთად აერთიანებს და მესამე გენოსს მიაკუთვნებს [20, გვ. 475]. მეომართა შორის კი შეიძლება გამოვყოს ერთი ჯგუფი – „მემუსიკანი“, რომელთა სამარხები სხვა ინვენტართან ერთად შეიცავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს – წინწილებს. წინწილის დამკვერი მუსიკოს-მხედარი, ალბათ, წინ ედგა და უძღვოდა საბრძოლო რაზმსა თუ ჯარს. თვით სახელწოდება ინსტრუმენტისა წინ-წილ-ა შესაძლოა აქედან მომდინარეობდეს.

მცხეთაში, სამეფო რეზიდენციაში – არმაზციხის სატაძრე კომპლექსში და დედოფლის გორაზე – სასახლის კომპლექსში დადასტურებული წინწილები მიუთითებს იმას, რომ წინწილა მხოლოდ მეომართა მუსიკალური ინსტრუმენტი არ ყოფილა. იგი, როგორც ქართველ მწერალთა და პოეტთა თხზულებაშია აღწერილი, საქართველოში მეფის სასახლეშიც ხმინანდებოდა.

როგორც ვხედავთ, წინწილა – როგორც მუსიკალური საკრავი, საქართველოში გავრცელებული ჩანს უძველესი დროიდან ვიდრე XVII საუკუნის ჩათვლით. იგი ძველი ქართული დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი ყოფილა.

V. Chikhladze

### THE CYMBALS (MUSICAL INSTRUMENTS) IN ANCIENT GEORGIA (Summary)

Cymbals are two thin bronze plates, with fish-bone pattern punched on the edges. Two handles - flat in section - are soldered to the convex semi-spherical surface (the cymbal dimensions are: 11-19 cm in diameter, height - 8-10 cm, width of the handle - 2cm).

Only 15 specimens of cymbals are discovered at the archeological sites of Georgia. Their shapes and manufacturing technology are homogeneous. The cymbals are found both at settlements and burials.

These musical instruments, discovered at the burials of Aragvi (Zhinvali, Nedzikhi, Tsipnarisdziri) and Qvirila (Modinakhe, Saikhe) gorges are dated to the 3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> cent. A.D. Their majority is found in the burial complexes of warriors, while the cymbals of temple complexes of Dedoplistsqaro and Armaztsikhe are attributed to the 1<sup>st</sup>-2<sup>nd</sup> cent. A.D.

The fact that cymbals, as percussion musical instruments, were spread throughout Georgia from ancient times up to the end of the 17<sup>th</sup> cent., is attested both by archaeological finds as well as written sources and poetry.

### ლიტერატურა

1. რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი. ა. ავაქიძის რედაქციით. თბ., 1980.
2. ბონჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში. თბ., 1981.
3. დროება, № 37-38, 1875.
4. ლომთათიძე გ., ციციშვილი ი. ახალ-აღმოჩენილი აკლამა მცხეთაში. – სმამ, ტ. 12, № 10, 1951, გვ. 641-648.
5. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
6. ორბელიანი სულხან საბა. თხზულებანი, ტ. IV-2, თბ., 1966.
7. პაპიაშვილი ც. მუსიკალური საკრავები ვეფხისტყაოსანში. – სს, № 6, 1966, გვ. 19-22.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას რედაქტორობით. თბ., 1986.
9. ჩხიკვაძე მ. წინწილი. – ქსე, ტ. 11, 1987.

10. ჩუბინიშვილი ნ. ქართული ლექსიკონი. თბ., 1961.

11. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.

12. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1989.

13. ხუჭუა პ. მუსიკის სამყარო. თბ., 1987.

14. ხუხუა გ. მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს პედაგოგიური მემკვიდრეობა. თბ., 1996.

15. ჯავახიშვილი ა. ხაიშის განძი. – მნათობი, № 3, 1958, გვ. 147-157.

16. ჯავახიშვილი ივ. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

17. ჯანაშია ს. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 1-80

18. ჯანელიძე დ. სახიობა შუა საუკუნეების ქართულ რომანში. – ენო, № 33, 1989, გვ. 16.

19. БСЭ, т. 28. М., 1978, с. 80–82.

20. Страбон, география в 17 книгах, перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского. Л., 1964.

### სურათებისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – ქართული ფსალმუნის დასურათებიდან (XIII-XIV სს.), მარცხნიდან პირველს წინწილა უჭირავს.

სურ. 2 – ჟინვალის სამაროვნის № 246 სამარხში აღმოჩენილი წინწილა.

სურ. 3 – მოდინახეს № 9 სამარხში აღმოჩენილი წინწილა.

ტაბ. I – ჟინვალის სამაროვნის № 246 სამარხის კომპლექსი.

ტაბ. II – ნეძიხის სამაროვნის № 46 სამარხის კომპლექსი.

ტაბ. III – ნეძიხის სამაროვნის № 28 სამარხის კომპლექსი.

### Description of the plates and figures

Fig. 1 - Pictorial decoration of a Georgian Psalter (13<sup>th</sup>-14<sup>th</sup> cent.). The left figure holds a cymbal.

Fig. 2 - Cymbal found in burial = 246 of Zhinvali necropolis.


Fig. 3 - Cymbal found in burial № 9 of Modinakhe.



Pl. I - Burial complex № 246 of Zhinvali necropolis.

Pl. II - Burial complex № 46 of Nedzikhi necropolis.


Pl. III - Burial complex № 28 of Nedzikhi necropolis.

ტაბ. I





ტაბ. III





გველეშის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. II

დარიალის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებიდან დიდ ინტერესს იწვევს გველეშის ციხის მახლობლად, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე შესწავლილი ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი, რომელიც გამოირჩევა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარით.<sup>47</sup> სამაროვნის არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია [8, გვ. 16-22; 9, გვ. 34-43; 11, გვ. 78-86]. ამჯერად შევეხებით სამარხებში გამოვლენილ ისეთ მასალებს, როგორცაა ბეჭდები, თავსამკაული, მიწები, ლითონის ჭურჭელი, კერამიკა და სხვ.

**ბეჭდები.** 1. ბრინჯაოს ოვალურფარაკიანი ბეჭედი (ტაბ. I<sub>22</sub>, სამ. № 15). მსგავსი ბეჭდები მრავლადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების სამარხებიდან და ძირითადად VI ს. მიწურულით ან VII ს. თარიღდება [3, ტაბ. XXII<sub>20</sub>, XXIV<sub>4</sub>, XXXI<sub>40</sub>; 4, ტაბ. VII<sub>19</sub>, IX<sub>30</sub>, X<sub>38</sub>; 12, ტაბ. XVI<sub>22</sub>]. დაახლოებით იმავე ხანებით, უფრო კი VII ს. პირველი ნახევრით შეიძლება განისაზღვროს გველეშის ფარაკიანი ბეჭდის თარიღიც.

2. ბრინჯაოს ბეჭედი დამზადებულია ერთმანეთზე თავგადადებული მავთულისაგან (ტაბ. I<sub>53</sub>, სამ. № 12). ანალოგიური ბეჭდები ცნობილია ვაშლიჯვარის სამაროვნიდან [12, გვ. 74], ჩრდილოეთ კავკასიის სამარხეული კომპლექსებიდან [34, ტაბ. LIV<sub>6</sub>, LV<sub>7</sub>]. ჩრდილოკავკასიური ამგვარი ბეჭდების თარიღი VII ს. პირველი ნახევრით ან შუა ხანებით განისაზღვრება [35, გვ. 63]. გველეშის ბეჭედი VII ს. მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. სამარხი № 12, სადაც აღმოჩნდა ბეჭედი, ზემოდან ეფარა № 15 სამარხს, რომლის ინვენტარი VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს. ამდენად, უფრო რეალურია ბეჭდის თარიღად VII ს. მეორე ნახევარი ან მიწურული მივიჩნიოთ.

3. ბრინჯაოს წრიულთვალბუდიანი ბეჭედი, ბრტყელგანივკვეთიანი რკალით (ტაბ. I<sub>65</sub>, სამ. № 13). ბეჭედს VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით ათარიღებს თანმხლები სამარხეული ინვენტარი, კერძოდ სწორკუთხაჩარჩოიანი აბზინდა [11, ტაბ. III<sub>70</sub>].

4. ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭედი შემკულია შავი ფერის მინის თვლით (ტაბ. I<sub>50</sub>, სამ. № 11). მსგავსი ბეჭედი ცნობილია კაჭრეთის VI-VIII სს. სამარხიდან [15, გვ. 116]. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ამგვარი ბეჭდები ძირითადად თარიღდება VII ს. მეორე ნახევრით [3, გვ. 127, 128]. გველეშის ბეჭედიც ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს.

5. ვერცხლის რომბისებურთვალბუდიანი ბეჭედი შემკულია შავი ფერის მინის თვლით (ტაბ. I<sub>16</sub>, სამ. № 4). ანალოგიური ბეჭდები გვხვდება ვაშლიჯვარის VI-VII სს. სამარხებში [12, გვ. 74], სამთავროს სამაროვნის VII ს. მეორე ნახევრის სამარხეულ კომპლექსებში [3, ტაბ. XX<sub>6,8</sub>, XXII, XXIV<sub>22</sub>, XL<sub>23</sub>, XLII<sub>29</sub>, XLIII<sub>38</sub>]. VII ს. უნდა დათარიღდეს გველეშის რომბისებურთვალბუდიანი ბეჭედიც. მათი სიმრავლე მცხეთაში გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა აღნიშნული ბეჭედი დარიალის ხეობაში სულაც მცხეთიდან იყოს მოხვედრილი.

6. ვერცხლის ბეჭდის ოვალური თვალბუდე შემკულია შავი ფერის მინის თვლით (ტაბ. I<sub>15</sub>, სამ. № 4). ანალოგიური ბეჭდები ცნობილია ერწო-თიანეთიდან [22, სურ. 9<sub>207</sub>]. VI-VII სს. თარიღდება ვაშლიჯვარის სამაროვნიდან მომდინარე მსგავსი ბეჭდები [12, გვ. 73]. ბეჭედი გამოვლინდა № 4 სამარხში რომბისებურთვალბუდიან ბეჭედთან (ტაბ. I<sub>16</sub>). ამდენად, მისი თარიღიც VII ს. უნდა განისაზღვროს.

7. ვერცხლის ბეჭდის წრიული თვალბუდე შემკულია შავი ფერის მინის თვლით (ტაბ. I<sub>2</sub>, სამ. № 1). ანალოგიური ბეჭდები არაერთია ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების სამარხებიდან. ისინი ძირითადად VII, უფრო კი VII ს. მეორე ნახევრით თარიღდება [3, გვ. 126-128].

8. ვერცხლის ბეჭდის მალალ, ოვალურ თვალბუდეს ამკობს შავი ფერის მინის თვალი (ტაბ. I<sub>36</sub>, სამ. № 9). მსგავსი ბეჭდები აღმოჩენილია კართანას (ფშავის არაგვის ხეობა) სამაროვანზე და VI-VIII სს. თარიღდება [14, გვ. 31]. აღმოსავლეთ საქართველოს VI ს. სამარხეულ კომპლექსებში ამგვარი ბეჭდები არ გვხვდება. საფიქრებელია, რომ ისინი რამდენადმე გვიან, უფრო VII ს. მეორე ნახევრისათვის ჩნდებიან. გველეშის ბეჭედი გამოვლინდა ყველაზე გვიანდელ, № 9 სამარხში, რომელიც სამარხეული ინვენტარისა და სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით VII ს. მიწურულითა და VIII ს. დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს [9, გვ. 37, 38].

9. შავი მინის ბეჭედი ოდნავ დაბრტყელებული „ფარაკით“ (ტაბ. I<sub>37</sub>, სამ. 9). ბეჭდის ანალოგები ცნობილია: სამთავროდან, ურბნისიდან, კასპიდან, რუსთავიდან, ჟინვალისა და კვემო ალექვიდან [3, გვ. 97; 4, გვ. 108], კართანას სამაროვნიდან [14, ტაბ. III<sub>5,7,8,16,17,21,36</sub>]. ამ ფორმის მინის ბეჭდები თარიღდება VII ს. მეორე ნახევრითა და VIII ს. დასაწყისით [4, გვ. 108]. გველეშის ბეჭედი აღმოჩნდა სტრატეგრაფიულად ყველაზე გვიანდელ, VII ს. მიწურულისა და

<sup>47</sup> სტატიის პირველი ნაწილი იხ. ძიებანი, №6, 2000.

VIII ს. დასაწყისის სამარხში. არაგვის ხეობაში, კერძოდ, ჟინვალში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მინის ბეჭდები ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული [17, გვ. 6]. სავსებით დასაშვებია, რომ გველეთის მინის ბეჭედი, რომელიც ფორმით ახლო დგას არაგვის ხეობის ბეჭდებთან, ხევში ჟინვალიდან იყოს შეტანილი.

10. ბრინჯაოს ბეჭდის ბრტყელგანიკვეთიან რკალში ჩასმულია გამჭვირვალე მინის თვალი. მასზე გამოყვანილია S-ის მაგვარი ნიშანი. გამოსახულება შეიძლება მონოგრამა იყოს (ტაბ. I<sub>12</sub>, სამ. № 3). სამთავროდან და ქვემო ალევინიდან ცნობილი მსგავსი ფორმის ბეჭდები VII ს. თარიღდება [3, ტაბ. XXIV<sub>20</sub>; 4, გვ. 104].

11. ვერცხლის ბეჭდის თვალბუდეში ჩასმულია ძოწის გემა. თვალბუდეს რკალთან მირჩილვის ადგილას, ორივე მხრიდან ამკობს კოპები. ქვაზე გამოყვანილია ლარნაკიდან ამოზიდული მცენარე (ტაბ. I<sub>72</sub>, სამ. 13). ბეჭდები, რომელთა თვალბუდე ბურთულებითაა შემკული, ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების განათხარ ძეგლებზე და ისინი VI ს. მიწურულით – VII ს. დასაწყისით ან VII ს-ით თარიღდება [3, ტაბ. XXVII<sub>51</sub>, XXXI<sub>2</sub>; 4, ტაბ. XXXV<sub>11,12</sub>]. ბეჭედი აღმოჩნდა ბრინჯაოს სწორკუთხაჩარჩოიან აბზინდასთან, რომელიც VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით თარიღდება [11, ტაბ. III<sub>70</sub>].

12. ბრინჯაოს ბეჭდის წრიულ თვალბუდეში ჩასმულ შავი ფერის მინის გემაზე, ე.წ. „შტრიხული მანერით“ შესრულებულია გაურკვეველი გამოსახულება (ტაბ. I<sub>23</sub>, სამ. № 15). გემები, რომელთა გამოსახულება შესრულებულია „შტრიხული მანერით“, VI-VII სს. ირანიდან მასიურად ვრცელდებოდა მეზობელ ქვეყნებში [24, გვ. 30]. რაც შეეხება საკუთრივ ბეჭედს, მსგავსი ფორმის ბეჭდები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების სამარხებიდან [4, გვ. 106].

13. ვერცხლის ბეჭდის ოვალურ თვალბუდეში ჩასმულ სარდერის გემაზე „შტრიხული მანერით“ ამოკვეთილია მარცხნივ მიმართული ლომი, თავით პროფილში. ცხოველის გამოსახულებას შემოუყვება ფალაური წარწერა „r'styhy“ – „სამართლიანობა“ (ტაბ. I<sub>24</sub>, სამ. № 15). მსგავსი შინაარსის წარწერები მრავლად გვხვდება სასანურ გემებზე. აღნიშნული წარწერა იკვეთებოდა ისეთ ბეჭდებზე, რომლებიც ძირითადად სასამართლო საქმეებში გამოიყენებოდა [24, გვ. 11]. მსგავსი წარწერის მქონე გემა ჩვენში დღემდე უცნობი იყო [19, გვ. 67].

იმავე სამარხში აღმოჩენილია მოთეთრო ფერის მინისებური პასტის გემა, რომელზეც ამოკვეთილია მარცხნივ მიმართული ხარ-ირემი (ტაბ. I<sub>20</sub>). ხარ-ირემის გამოსახულებას მრავალი პარალელი მოემდებნება სასანურ გლიპტიკაში, მაგრამ კვეთის განსხვავებული მანერის მი-

ხედვით გამორიცხული არაა, რომ გემა ადგილობრივი ნაწარმი იყოს. № 15 სამარხის გემიანი ბეჭდები (ტაბ. I<sub>23,124</sub>) და ხარ-ირემის გამოსახულებით შემკული გემა თანმხლები სამარხული ინვენტარის მიხედვით VII ს., უფრო კი ამ საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [8, გვ. 19].

14. ვერცხლის ბეჭდის თვალბუდეში ჩასმულია სარდონის გემა, რომელზეც „შტრიხული მანერით“ შესრულებულია მარცხნივ მიმართული მწოლიარე ჩლიქოსანი ცხოველის გამოსახულება (ტაბ. I<sub>36</sub>). ბეჭედი აღმოჩნდა № 16 სამარხში, რომელიც № 15 სამარხის თანადროულია. ამდენად, № 16 სამარხის გემიანი ბეჭედიც VII ს. პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს [8, გვ. 19-20].

ბეჭდებიდან მხოლოდ ერთია ფარაკიანი. მეორე დამზადებულია ერთმანეთზე თავგადადებული მავთულისაგან. დანარჩენები თვალბუდიანია (თვალბუდიანი იყო № 15 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედი, რომლის თვალბუდე პრეპარაციის დროს დაიშალა – ტაბ. I<sub>21</sub>). მათგან 5 ბეჭედს გემა ამკობდა. ერთი გემა გამოვლინდა ბეჭდის გარეშე. გემები სასანურია.<sup>48</sup> გემებზე წარმოდგენილი სიუჟეტები კარგადაა ცნობილი სასანურ გლიპტიკაში. ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში მრავლადაა აღმოჩენილი მონოგრამიანი გემები. მცენარეული მოტივიც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სასანური ხელოვნებისა. სასანურ გემებზე ხშირად ვხვდებით ლომის გამოსახულებებსაც. არაერთია ცნობილი ჩლიქოსანი ცხოველის გამოსახულებით შემკული სასანური გემებიც. ყველა ეს გამოსახულება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული [13, გვ. 35, 36; 24, გვ. 34].

**თავსამკაული.** ამ ჯგუფის ნივთებს მიეკუთვნება ბრინჯაოს ნუშისებური და დისკოსებური მოყვანილობის ფირფიტებისაგან შედგენილი „ღიაღემები“ (ტაბ. II<sub>96,97</sub>, სამ. № 15; ტაბ. II<sub>126,127</sub>, სამ. 16). № 15 სამარხში ფირფიტები ერთმანეთის მონაცვლეობით ასხმული იყო ტყავის თასმაზე და მიცვალებულს შუბლზე ჰქონდა შემოკრული. გველეთურის მსგავსი ღიაღემები აღმოჩენილია ნეძიხის სამაროვანზე. ძეგლის გამთხრელის ც. რობაქიძის ცნობით, იქ ისინი უკვე IV-V სს. სამარხებში ჩანან და შემდგომშიც განაგრძობენ არსებობას. არაგვი-თერგის ხეობებში ამგვარი ნივთების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ მათი წარმოების ცენტრი აღნიშნულ რეგიონშია საძიებელი.

თავსამკაულს წარმოადგენს № 15 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ორი თვალბუდიანი ფირფიტა, შემკული ქვემოდან ამოხეჩილი რელიეფური ორნამენტით და ვერცხლის ფირფიტა ფრინველის გამოსახულებით (ტაბ. II<sub>98,99</sub>). დისკოსებური თვალბუდიანი ფირფიტები გვხვდება

<sup>48</sup> გემები განსაზღვრა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ქ. რამიშვილმა.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე [3, ტაბ. XXIII<sup>7</sup>, XXXVII<sup>9</sup>; 34, ტაბ. CI<sup>5</sup>; 36, სურ. 7]. ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებზე ხშირად ჩნდება გველეთურის მსგავსი ფრინველის გამოსახულებიანი ფირფიტები, რომლებიც VI ს. შუა ხანებითა და VII ს. თარიღდება [29, სურ. 64]. გველეთის ფირფიტა ფრინველის გამოსახულებით ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისაა.

ზოგიერთ სამარხში მიცვალებულის თავის ქალასთან გამოვლინდა ვერცხლის მცირე ზომის ნახევარსფეროები (ტაბ. I<sup>79</sup>, სამ. № 14; ტაბ. I<sup>90</sup>, სამ. № 15; ტაბ. I<sup>134</sup>, სამ. № 16). უეჭველია, ისინი თავსაბურავის შესამკობი ნივთებია, მაგრამ მათზე ნახვრეტების ან მანჭვალების უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, როგორ იყო ისინი დაკავშირებული თავსაბურავთან. ვერცხლის ნახევარსფეროები აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების სხვა სამაროვნებზეცაა აღმოჩენილი [4, ტაბ. XXXIX<sup>30,34</sup>].

**გულსაკიდი.** № 15 სამარხში აღმოჩნდა წითელი მინის თვლით ინკრუსტირებული ბრინჯაოს საკიდი (ტაბ. II<sup>94</sup>). მსგავსი საკიდები ცნობილია როგორც ჩვენში [3, ტაბ. V<sup>12</sup>], ისე ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათი თარიღი VI ს. შუა ხანებითა და VII ს-ით განისაზღვრება [29, სურ. 64<sup>7,20</sup>; 34, ტაბ. CXXIII<sup>20</sup>; 40, სურ. 4<sup>38</sup>]. გველეთის გულსაკიდი VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს.

**ცხენისა და მხედრის გამოსახულება.** № 15 სამარხში მიცვალებულის ქამარზე ტყავის თასმით მიბმული იყო ბრინჯაოს დარახტული ცხენი. გამოსახულება ქვემოდან ამოხეჩილია (ტაბ. I<sup>117</sup>). ცხენი თავის დროზე წარმოადგენდა ფიბულას. თუმცა, ქვედა მხრიდან ნემსის მიმაგრების კვალი აღარ შეინიშნება. პირდაპირი ფუნქციის დაკარგვის შემდეგ იგი ამულეტად გამოუყენებიათ. მას პარალელი ეძებნება ნემსის ორმოსამარხებში აღმოჩენილი III-IV სს. დათარიღებულ ცხენის გამოსახულებიანი ფიბულების სახით [38, გვ. 92], მაგრამ ნემსურ ეგზემპლარებთან შედარებით გველეთის ცხენი უფრო „უხეშია“ და მაინცდამაინც დახვეწილი ნიმუშის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. გველეთის ცხენი ნემსური ცხენის გამოსახულებიანი ფიბულების გვიანდელი რეპლიკაა. ცხენის გამოსახულება თანმხლები სამარხეული ინვენტარის მიხედვით VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით თარიღდება.

№ 13 სამარხის ბრინჯაოს მხედარი საკიდი. იგი ერთობ სტილიზებულია, ქვემოდან შეზნექილი და შუაში გახვრეტილი (ტაბ. I<sup>64</sup>). ცხენოსნის მხატვრული სახე საკმაოდ ადრე ჩნდება კავკასიის სახვით ხელოვნებაში. ამ კომპოზიციამ განვითარების გრძელი გზა განვლო და ასახვა ჰპოვა ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე [5, გვ. 108]. ჩრდილოეთ კავკასიის VIII-IX სს. მხედრის გამოსახულები-

ბიანი ამულეტები მიჩნეულია ალანური კულტურის დამახასიათებელ ნივთებად [28, გვ. 119, 120]. მათთან გარკვეული მსგავსების მიუხედავად, გველეთის საკიდს ალანურ საკიდებს ვერ დავუკავშირებთ იმის გამო, რომ ჩრდილოკავკასიური საკიდები რამდენადმე გვიანდლებია, გველეთის საკიდი კი თანმხლები მასალების მიხედვით კარგად თარიღდება VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით. გველეთის ბრინჯაოს მხედარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რომელიმე პუნქტში უნდა იყოს დამზადებული (ადრეული შუა საუკუნეების ბარის ძეგლებისათვის ამგვარი ნივთები ნაკლებადაა დამახასიათებელი). საფიქრებელია, რომ ალანური კულტურის მატარებელმა ტომებმა ასეთი საკიდების ფორმა სულაც ქართული სამყაროდან შეითვისეს.

**სხვადასხვა ნივთები.** ამ კატეგორიის ნივთებს მიეკუთვნება ბრინჯაოს ორნამენტირებული სარკე (ტაბ. II<sup>118</sup>, სამ. № 15). იგი ტყავის თასმით მიმაგრებული იყო ბრინჯაოს ქამარზე. ბრინჯაოს სარკეები ჩვენში იშვიათად გვხვდება [2, გვ. 17; 20, გვ. 81]. ერთობ დამახასიათებელია ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებისათვის და მკვლევარები მათ ალანური კულტურის სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნევენ [30, გვ. 161].

იმავე ქამარზე ტყავის თასმით იყო მიბმული ბრინჯაოს ბიკონუსური მოყვანილობის ფუყე ნივთი (ტაბ. II<sup>116</sup>). მსგავსი ფორმის ნივთები საკმაოდ იშვიათად გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში [27, სურ. 15; 39, ტაბ. VII<sup>24</sup>], ჩვენში კი დღემდე უცნობი იყო. ნივთის ფუნქცია გაურკვეველია. ქამრის სხვადასხვა საკიდ-ამულეტებით ამგვარად შემკობის ფაქტი ჩრდილოეთ კავკასიაში, ხასიაურტის ერთ-ერთი VIII-IX სს. დათარიღებული კატაკომბიდანაცაა ცნობილი [33, გვ. 187].

**ეუფნები და ზარაკები.** ისინი მხოლოდ № 13 სამარხშია აღმოჩენილი (ტაბ. II<sup>66-68</sup>). ეუფნები და ზარაკები ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ კავკასიის სამარხეული ინვენტარის დამახასიათებელი ნივთებია. ფიქრობენ, რომ ჩვენში ისინი VII ს. მეორე ნახევრიდან ჩნდებიან და VIII ს. შუა ხანებამდე არსებობენ [3, გვ. 78]. გველეთის № 13 სამარხის მასალები ეუფნების გავრცელებას აღმოსავლეთ საქართველოში ცოტა უფრო ადრე, კერძოდ VII ს. პირველი ნახევრიდან მაინც გვაპარაულებინებს.

**ლითონის ჭურჭელი.** № 13 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს პირმოყრილი ოვალურძირიანი ფიალა (ტაბ. III<sup>77</sup>). მას ზუსტი ანალოგი ეძებნება ნემსის დანერეული ქვისსამარხიდან მომდინარე ბრინჯაოს ფიალის სახით, რომელიც ც. რობაქიძის ცნობით VI ს. უნდა მიეკუთვნოს. ლითონის ფიალა პირ-კალთის მოყვანილობით წააგავს ადრეულ შუა საუკუნეებში ჩვენში ფართოდ გავრცელებულ თიხის ჯამებს. ჩანს, ლითონის ფიალები თიხის ჯამების მიბაძვით

მზადდებოდა. თანმხლები სამარხეული ნივთებით ფიალა VI ს. მიწურულითა და VII ს. დასაწყისით თარიღდება.

**მძივები.** სამარხებში გამოვლინდა 800-ზე მეტი მძივი: მინის 489 (მათ შორის მრავლადაა ინკრუსტირებული), სარდიონის 196, ქარვის 97, მთის ბროლის 12, ნიჟარა „კაური“ 5 (ნიჟარები პრეპარაციისას დაიშალა), გიშრის 4, ქალცედონის 1 ერთეული. მძივები აღმოჩნდა №№ 3, 4, 6, 8-10, 12-16 სამარხებში. ფორმების მიხედვით ისინი დიდ მრავალფეროვნებას ქმნიან (ტაბ. IV). ფიქრობენ, რომ ადრეული შუა საუკუნეების თერგის ხეობაში სავარაუდოა მომწვანო, გამჭვირვალე მინის მძივების ადგილობრივი წარმოება [26, გვ. 146]. გველეთის სამარხებშიც ამგვარი მძივები მრავლად გვხვდება. ამდენად, აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოდ არ გამოიყურება. ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი სარდიონის მძივების ერთი ნაწილი ინდურ-ირანულ იმპორტადაა მიჩნეული [26, გვ. 135]. თუმცა, მიაჩნიათ, რომ იქ VI-VII სს. სარდიონის მძივების ადგილობრივი წარმოებაც უნდა არსებობდეს [26, გვ. 146].

სარდიონის მძივების დასამზადებელი მასალა კვარც-აქატ-ქალცედონის მინერალების სახით უწყვეტადაა გავრცელებული მთელ საქართველოში და ამ მინერალების გამოყენება სასამკაულო მასალად საკმაოდ ადრე იწყება [6, გვ. 100]. თერგის ხეობაში კვარციტული მინერალები დიდი რაოდენობით გვხვდება [37, გვ. 250].

ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიული ხევის აღწერისას წერდა: „ჰყრია ბროლი მრავალი, მგზავსი გათლილისა და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად, და გასტეხო – არს შიგ წითელი ბროლი“ [16, გვ. 356]. წყაროში ნახსენებ „წითელ ბროლში“ ხომ არ არის საგულისხმებელი კვარც-აქატ-ქალცედონის მინერალები? თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ მოსაზრებას თერგის ხეობაში სარდიონის მძივების ადგილობრივი წარმოების შესახებ უფრო მყარი საყრდენი ექმნება.

ადგილობრივი ნაწარმის ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ბროლის მძივები. საამისო ნედლეული იქ უხვად მოიპოვება. რაც შეეხება ქარვის მძივებს, ისინი კავკასიაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ვრცელდება [25, გვ. 49]. ნიჟარა „კაურები“ კი უფრო ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპირო ქვეყნებიდანაა შემოტანილი კავკასიაში [40, გვ. 150].

**კერამიკა.** კეცის მიხედვით მათში გამოიყოფა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში ერთიანდება მოჩაღისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ხელალები, რომლებიც იყოფა სამ ტიპად.

I ტიპს მიეკუთვნება მოჩაღისფროდ გამომწვარი მრგვალპირიანი ხელადა, რომელიც გამოვლინდა № 13 სამარხის სახურავზე (ტაბ. III<sub>57</sub>). იგი სამარხეული ინვენტარის თანადროულია (VI ს. მიწურული – VII ს. დასაწყისი).

მრგვალპირიანი ხელალები აღმოჩენილია: მცხეთაში [3, ტაბ. XXII<sub>25</sub>], უფლისციხეში [7, გვ. 40], ერწო-თიანეთში [22, გვ. 41] და სხვ.

II ტიპში ერთიანდება მოჩაღისფროდ გამომწვარი სამტუჩა ხელალები. ერთი ფრაგმენტის სახითაა აღმოჩენილი დაზიანებულ № 1 სამარხში (ტაბ. III<sub>6</sub>). მეორე გამოვლინდა № 13 სამარხში (ტაბ. III<sub>76</sub>). სამტუჩა ხელალები ცნობილია: მცხეთიდან, ბერბუკიდან, ურბნისიდან [1, გვ. 157; 3, ტაბ. XXIX<sub>5</sub>; 20, გვ. 113]. თანმხლები სამარხეული ინვენტარის მიხედვით № 13 სამარხის ხელადა VI ს. მიწურულით – VII ს. დასაწყისით, № 1 სამარხის ხელადა კი VII ს. უნდა დათარიღდეს.

III ტიპად გამოიყოფა სამტუჩა, ყელგოფრი-რებული ხელალები. ისინი გამომწვარია წითლად. ტანი შემკულია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით (ტაბ. III<sub>23</sub>). ერთი ხელადა აღმოჩნდა VII ს. დათარიღებულ № 4 სამარხში. მეორე ხელადა (ტაბ. III<sub>138</sub>) მომდინარეობს დანგრეული ქვის სამარხიდან. ორი ამგვარი ხელადის ნატეხი გამოვლინდა დარიალის ციხეზეც (საინვ. №№ 62, 232).

მეორე ჯგუფში ერთიანდება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი კერამიკა. ორი ჭურჭელი ნატეხების სახითაა აღმოჩენილი №№ 2, 3 დაზიანებულ სამარხებში (ტაბ. III<sub>8,14</sub>). საინტერესოა № 13 სამარხის შავად გამომწვარი ზოლმორფულყურიანი სასმისი (ტაბ. III<sub>75</sub>). მსგავსი სასმისები მრავლადაა ცნობილი ჩრდილოეთ კავკასიიდან და მიჩნეულია IV-VII სს. ალანური კერამიკის ერთ-ერთ ადრეულ და მეტად დამახასიათებელ ფორმად [31, სურ. 3ა<sub>1,2</sub>, 24ა<sub>6,7</sub>]. უნდა აღინიშნოს, რომ ჭურჭლის ეს ფორმა გენეზისით უკავშირდება გვიანყობანურ კულტურას და მხოლოდ შემდგომში იგი შეთვისებული ჩრდილოეთ კავკასიაში მოსული ალანების მიერ [32, გვ. 67].

თიხნარი ნიდაგებით ღარიბ ხევში კერამიკის ადგილობრივი წარმოება არ არსებობდა [18, გვ. 99]. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მოხვევებს კერამიკული ნაწარმი ქართლიდან ან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჰქონდათ [21, გვ. 210]. ასეთივე სურათი ჩანს ადრეული შუა საუკუნეებისთვისაც. სამაროვანზე აღმოჩენილი მოჩაღისფრო-მოწითალოდ გამომწვარი კერამიკა ტიპიური ქართული ნაწარმია და ხევში ქართლის მთისწინა ან ბარის რაიონებიდანაა მოხვედრილი. შავად და ნაცრისფრად გამომწვარი კერამიკა კი დარიალის ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდანაა შემოტანილი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად.

გველეთის სამაროვნის ნივთიერი მასალა ძირითადად VI ს. მიწურულითა და VII ს. თარიღდება. რამდენადმე მოგვიანოა № 9 სამარხის ინვენტარი, რომელიც VII ს. მიწურულსა და VIII ს. დასაწყისს მიეკუთვნება.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი მაგისტრალი საშუალებას აძლევდა ხევის მოსახლეობას (წანარებს) მჭიდრო კავშირები ჰქონოდათ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიასთან და სასანურ ირანთან. ამის დასტურია სამაროვანზე აღმოჩენილი (ქართულ) მასალასთან ერთად გამოვლენილი ჩრდილოკავკასიური და სასანური წარმომავლობის ნივთები.

ჯერჯერობით გაურკვეველია რა ბედი ეწია მოსახლეობას VIII ს. დასაწყისის შემდეგ. შესაძლოა სამოსახლო შეეწირა VIII ს. დაწყებულ არაბ-ხაზართა სასტიკ ბრძოლებს. საომარი ოპერაციების დროს ორივე მხარე ხშირად იყენებდა დარიალის გასასვლელს და ადვილი წარმოსადგენია, რა პირობები შეექმნებოდა ამ მიდამოებში მცხოვრებთ.

გველეთის სამაროვანი მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. ცალკეული მცირეინვენტარიანი სამარხების გარდა ხევის ტერიტორიიდან დღემდე უცნობი იყო VI ს. მიწურულით – VIII ს. დასაწყისით დათარიღებული სამაროვანი თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარით. სამაროვნის მასალები საინტერესოა ხევეში ქრისტიანობის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით. მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ნივთიერი კულტურის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრობლემასთან მიმართებაში. მით უმეტეს, რომ სამაროვანზე ზოგიერთ შემთხვევაში სტრატეგრაფიული სურათიც კარგადაა გამოკვეთილი [10, სურ. 10]. სამაროვნის მასალები საინტერესოა წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხის გასარკვევად. სამარხეული ინვენტარი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადრეული შუა საუკუნეების ხევის კავშირების შესახებ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებთან, ისე გარე სამყაროსთან და სხვ.

#### D. Mindorashvili

### ARCHAEOLOGICAL MATERIAL FROM DARIALI PASS (NECROPOLIS OF GVELETI)

(Summary)

The paper deals with the archaeological material obtained from the Early Mediaeval necropolis of Gveleti (Qazbegi district). Finds of finger-rings, pendants, beads, metallic and clay ware bear profound analogies with archaeological data from Eastern Georgia dated to the Early Middle Ages. Several objects are of North Caucasian and Iranian origin, testifying to the existence of economic relations between North Caucasia, Iran and Eastern Georgia. The archaeological material from Gveleti necropolis is dated to the end of the 6<sup>th</sup> cent. and beginning of the 8<sup>th</sup> cent.

#### ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ., სინარულიძე ა., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი ვ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., ირემაშვილი შ. მცხეთა – 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, V. თბ., 1981, გვ. 153-169.
2. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ბიბილური თ., გიუნაშვილი ვ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ნეცურიანი ლ. დიდი მცხეთა, 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, IX. თბ., 1989, გვ. 40-69.
3. აფხაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.
4. აფხაზავა ნ. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.
5. დოლაბერიძე რ. მხედრის მცირე ქანდაკება თუშეთიდან. – სსმ, XXXVIII-B, 1986, გვ. 106-115.
6. მგელიაშვილი თ. საქართველოს გეოარქეოლოგია. თბ., 1991.
7. მინდორაშვილი დ. უფლისციხე ფეოდალურ ხანაში. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1990.
8. მინდორაშვილი დ. სასანური გემები გველეთის სამაროვნიდან. – მმ, № 4, 1997, გვ. 16-22.
9. მინდორაშვილი დ. გველეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნის ნივთიერი მასალა. – მმ, № 3 (102), 1998, გვ. 34-43.
10. მინდორაშვილი დ. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი გველეთის სამაროვანზე. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 87-95.
11. მინდორაშვილი დ. გველეთის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა. I. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 78-86.
12. ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლიჯვარის სამაროვანი. – სას, ტ. II, 1978, გვ. 63-76.
13. რამიშვილი ქ. სასანური გემები საქართველოში. თბ., 1979.
14. რჩეულიშვილი ვ. ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1990.
15. უგრელიძე ნ. კაჭრეთში აღმოჩენილი სამარხი. – მსკა, ტ. I, 1955, გვ. 115-117.
16. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბ., 1973.
17. ჩიხლაძე ვ. ჟინვალის კატაკომბები. პრეპრინტი. თბ., 1990.
18. წითლანაძე ლ. ხევეში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები. – მაცნე, № 1, 1977, გვ. 93-108.
19. წიწქელია მ., მინდორაშვილი დ. ფალაურწარწერიანი გემა გველეთის სამაროვნიდან. – ძიებანი, № 4, 1999, გვ. 67-69.

20. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.

21. ჯალაბაძე ვ. მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. – სსმ, XXII-B, 1961, გვ. 201-237.

22. ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბ., 1982.

23. Абрамова М. П. Раннесредневековый могильник с. Чми в Северной Осетии. – Новые материалы по археологии Центрального Кавказа. Орджоникидзе, 1986, с. 60–70.

24. Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы. Ленинград, 1963.

25. Деоник В. Б. Классификация бус Северного Кавказа IV-V вв. – СА, № 3, 1959, с. 48–65.

26. Деоник В. Б. Классификация и хронология аланских украшений VI-IX вв. – МИА, 114, 1963.

27. Дмитриев А. В. Раннесредневековые фибулы могильника р. Дюрсо. – Древности эпохи великого переселения народов. М., 1982, с. 69–107.

28. Ковалевская В. Б. Изображения коня и всадника на средневековых амулетах Северного Кавказа. – Вопросы древней и средневековой археологии Восточной Европы. М., 1978, с. 111–120.

29. Ковалевская В. Б. Северокавказские древности. – Степи Евразии в эпоху средневековья. М., 1984.

30. Ковалевская В. Б. Кавказ и аланы. М., 1984.

31. Кузнецов В. А. Аланские племена Северного Кавказа. – МИА, 106, 1962.

32. Кузнецов В. А. Аланская культура Центрального Кавказа и ее локальные варианты в V-XIII веках. – СА, № 2, 1973, с. 60–73.

33. Кузнецов В. А. Очерки истории алан. Орджоникидзе, 1984.

34. МАК, т. VIII. СПб., 1900.

35. Мамаев Х. М. Хронология катакомбных могильников Чечено-Ингушетии конца IV-первой половины VIII в. – Проблемы хронологии погребальных памятников Чечено-Ингушетии. Грозный, 1986, с. 46–65.

36. Минаева Т. М. Могильник Байтал-Чапкан в Черкесии. – СА, т. XXVI, 1956, с. 236–261.

37. Природные ресурсы Грузинской ССР, т. II. М., 1959.

38. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глonti М. Г. и др. Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. – ПАИ, 1986 (1991), с. 89–95.

39. Рунич А. П. Аланские катакомбные могильники V-VIII вв. в городе Кисловодске и его окрестностях. – МАДИСО, т. II, 1969, с. 97–111.

40. Рунич А. П. Аланский могильник в "Мокрой балке" у города Кисловодска. – МАДИСО, т. III, 1975, с. 146–151.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ბეჭდები: 2. სამ. № 1; 12. სამ. № 3; 15, 16. სამ. № 4; 36, 37. სამ. № 9; 50. სამ. № 11; 53. სამ. № 12; 65, 72; სამ. № 13; 121-124. სამ. № 15; 136. სამ. № 16; გემა: 122. სამ. № 15; საკიდი მხედრის გამოსახულებით: 64. სამ. № 13; ცხენის გამოსახულება: 117. სამ. № 15; ვერცხლის ნახევარსფეროები: 79. სამ. № 14; 90. სამ. № 15; 134. სამ. № 16.

ტაბ. II – ბრინჯაოს ფირფიტებისაგან შედგენილი „დაიდემები“: 96, 97. სამ. № 15; 126, 127. სამ. № 16; გულსაკიდი: 94. სამ. № 15; ვერცხლის ფირფიტა ფრინველის გამოსახულებით: 98. სამ. № 15; დისკოსებური ფირფიტები: 99. სამ. № 15; გაურკვეველი დანიშნულების ბრინჯაოს ნივთები: 116. სამ. № 15; 128. სამ. № 16; ბრინჯაოს სარკე: 118. სამ. № 15; ეფენები და ზარაკები: 66, 67, 68. სამ. № 13; ბრინჯაოს ქამრის დეტალები: 112, 113, 115. სამ. № 15; 129. სამ. № 16.

ტაბ. III. კერამიკული ნაწარმი: 6. სამ. № 1; 8. სამ. № 2; 14. სამ. № 3; 23. სამ. № 4; 57, 75, 76. სამ. № 13; დანგრეული ქვის სამარხიდან მომდინარე ხელადა: 138; ბრინჯაოს ფიალა: 77. სამ. № 13.

ტაბ. IV. მძივები: 13, სამ. № 3; 27. სამ. № 6; 35. სამ. № 8; 41. სამ. № 9; 44. სამ. № 10; 55. სამ. № 12; 74. სამ. № 13; 82. სამ. № 14; 125. სამ. № 15; 137. სამ. № 16.


## Description of the plates


Pl. I – finger-rings; 2. burial № 1; 12. burial № 3; 15, 16. burial № 4; 36, 37. burial № 9; 50. burial № 11; 53. burial № 12; 65, 72. burial № 13; 121-124. burial № 15; 136. burial № 16; a gem: 122. burial № 15; pendant bearing representation of a rider: 64. burial № 13; representation of a horse: 117. burial № 15; silver semispheroids: 79. burial № 14; 90. burial № 15; 134. burial № 16.

Pl. II – “Diadems” made of bronze plaques: 96, 97. burial № 15; 126, 127. burial № 16; necklace: 94. burial № 15; silver plaque bearing the representation of a bird: 98. burial № 15; diskoid plaques: 99. burial № 15; bronze articles of ambiguous design: 116. burial № 15; 128. burial № 16; bronze mirror: 118. burial № 15; rattles and bells: 66, 67, 68. burial № 13; details of a bronze belt: 112, 113, 115. burial № 15; 129. burial № 16.



Pl. III – Pottery: 6. burial № 1; 8. burial № 2; 14. burial № 3; 23. burial № 4; 57, 75, 76. burial № 13; jug extracted from destroyed stone burial: 138; bronze phiale: 77. burial № 13.


Pl. IV – Beads: 13. burial № 3; 27. burial № 6; 35. burial № 8; 41. burial № 9; 44. burial № 10; 55. burial № 12; 74. burial № 13; 82. burial № 14; 125. burial № 15; 137. burial № 16.











## სულხან ხარაბაძე

### მასალები „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუკისათვის

ტერმინი „ვანის ქვეყანა“ პირობითია, ვინაიდან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მისი საზღვრები და ხასიათი ცვლილებას განიცდიდა. სადღეისოდ ამ რეგიონის არქეოლოგიური ძეგლების ნუსხაში ჩვენ ვაერთიანებთ დღევანდელი ვანისა და სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე, რიონის მარცხენა სანაპიროზე დაფიქსირებულ ძეგლებს. ესენია:


**ამაღლება.** სოფ. ამაღლება მდებარეობს ქ. ვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 10 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 1).

ნამოსახლარი ელინისტური ხანისა, გამოვლენილია არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად, გ. ლორთქიფანიძის მიერ ადგილ ხუმლარში [33, გვ. 84].

**ბაგინეთი.** სოფ. ბაგინეთი მდებარეობს რიონის შენაკად მდ. ფერეთის სათავეებში, ქ. ვანიდან 25 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 2).

შემთხვევითი აღმოჩენა. ბრტყელი ცული, რომელიც კოლხური ცულების I სახეობას ეკუთვნის და დ. ქორიძის მიერ დათარიღებულია ძ.ვ. XII-XI სს-ით [15, გვ. 136].

ქვის სვეტები. 1952 წელს სოფელი ბაგინეთი და მისი მიდამოები არქეოლოგიური დაზვერვების მიზნით მოინახულა ნინო ხოშტარიამ და მიაკვლია ქვის სვეტს. 1977 წელს იგი გადატანილ იქნა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ტერიტორიაზე. 1978 წელს ბაგინეთის მიდამოებში (ჭვანეთში) მიკვლეულ იქნა კიდევ ერთი ქვის სვეტი. გ. ყიფიანის აზრით ისინი, გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება [17].



სურ. 1. ვანის რაიონის არქეოლოგიური რუკა

ეკლესია. დგას მდ. კვინისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ეს ძეგლი დაზვერა და შეისწავლა 1973 წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა, თ. ბერაძის ხელმძღვანელობით. იგი წარმოადგენს სამაფსიდიან ნაგებობას, რომელსაც გუმბათოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა. ამჟამად გუმბათი ჩამონგრეულია და მხოლოდ აფსიდებსა შემორჩენია თაღოვანი გადახურვა. თ. ბერაძის აზრით, ეკლესია XVII ს-ის დასაწყისში უნდა იყოს აგებული, XVIII ს-ში ეკლესია ბარის ერისთავთა სამკლეს წარმოადგენდა [4, გვ. 29].

**ბზვანი.** სოფ. ბზვანი მდებარეობს ქ. ვანის აღმოსავლეთით, მისგან 5-6 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 3).

განძი. სოფლის აღმოსავლეთით, ციხე ფანდილორის მიდამოებში ნაპოვნია კოლხური თეთრის განძი, რომელიც თიხის ჭურჭელში ყოფილა მოთავსებული; აქვეა შემთხვევით ნაპოვნი „ჩამომსხმელის განძი“, რომელიც ასევე თიხის ჭურჭელში ყოფილა მოთავსებული. განძი დაკარგულია და შედგებოდა ორი ათეული იარაღისაგან, მას ნ. ხოშტარია ძვ. წ. VI-V სს-ით ათარიღებს; 1984 წელს სოფ. ბზვანის მიდამოების

დაზვერვის დროს, გამოვლენილ იქნა წინარეანტიკური, ადრეანტიკური, ელინისტური და შუა საუკუნეებით დათარიღებული მასალა [15, გვ. 44; 41, გვ. 55; 43, გვ. 150].

**ციხესიმაგრე.** სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფ. ინაშაურის საზღვართან, მდებარეობს ციხე „ფანდილორის“ ნანგრევები, შუა საუკუნეების ხანის [4, გვ. 38; 43, გვ. 150].

**გადიდი.** სოფ. გადიდი მდებარეობს მდ. სულორის შენაკად ლელისყურის შუა მონაკვეთზე, ქ. ვანიდან 9 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 4).

**ეკლესია.** შემორჩენილია საძირკველი და წარწერიანი ქვა; აღწერილი აქვს თ. ბერაძეს, რომელმაც ეს ეკლესია XI ს-ით დაათარიღა. წარწერიანი ქვა ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში [4, გვ. 37].

**გაილოური.** სოფ. გაილოური მდებარეობს მდ. ყუმურის ხეობაში, ვანიდან 19 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 5).

**ნამოსახლარი.** მდებარეობს სოფლიდან 2 კმ-ის დაშორებით, გორაზე, რომელსაც „მსხალთას“ გორას უწოდებენ. მისი საერთო ფართობი 30 ჰექტარს აღემატება. მსხალთას გორა და მისი სამხრეთი ფერდობი კერამიკის ფრაგმენტებითაა მოფენილი. საკუთრივ გორა ზემოთ მცირე ფართობის წვერით ბოლოვდება, რომლის ზედაპირი ბათქაშებითაა მოფენილი. მიკვლეული მასალა ადრეანტიკურ, ელინისტურ და ადრე შუა საუკუნეებს ეკუთვნის [4, გვ. 34; 5, გვ. 33].

**გორა.** სოფ. გორა მდებარეობს მდ. კვინისწყლისა და ფერეთის ხეობებში, ქ. ვანიდან 19-20 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 6).

**განძი.** ბრინჯაოს სამიწათმოქმედო იარაღების, 1929 წელს მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი, ინახება ქუთაისის მუზეუმში. განძი შეიცავს: I ტიპის კოლხურ ცულს, ხუთ თოხს, თერთმეტ სეგმენტისებრ იარაღს და ბრინჯაოს ზოდების ნატეხებს, რომელსაც დ. ქორიძე ძვ.წ. XVI-XIV სს-ით ათარიღებს [15, გვ. 15; 19, გვ. 55; 21, გვ. 50].

**ეკლესია.** წმინდა გიორგის, სოფ. ქვედა გორაში, გვიან შუა საუკუნეებისა.

**ეკლესია.** მაცხოვრის, სოფ. ზედა გორაში, გვიან შუა საუკუნეებისა.

**ციხე.** სოფ. ზედა გორაში მგალობლიშვილების გორაზე. ციხეს 0,5 ჰექტარამდე ფართობი უკავია, შემორჩენილია ნანგრევები, აღწერილი აქვს თ. ბერაძეს და განვითარებულ შუა საუკუნეებს აკუთვნებს [4, გვ. 29].

**ციხე.** სოფ. ქვედა გორაში, სოფ. ინაშაურის საზღვარზე, ტაბაყურის ლელის მარცხენა ნაპირზე, მაღალ გორაკზე. შემორჩენილია ნანგრევები. აღწერა თ. ბერაძემ და ადრეული შუა საუკუნეებით დაათარიღა [4, გვ. 29-30].

**დაბლაგომი.** სოფ. დაბლაგომი მდებარეობს ქ. ვანის დასავლეთით, მისგან 12 კმ-ის დაშორებით (სამტრედიის რაიონი, იხ. რუკაზე, № 7).

დაბლაგომში დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები 1929 წელს ჩაატარა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა [32]. 1936 წელს ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით აქ განხორციელდა არქეოლოგიური ძიებანი [42, გვ. 264-268]. 1970 წლიდან ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ვანის ნაქალაქარის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის მიზნით, აქ ჩაატარა ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები, გათხრებს ხელმძღვანელობდა ვ. თოლორდავა [10, გვ. 48-67; 11, გვ. 71-80; 12, გვ. 129-135; 34, გვ. 35-41; 35, გვ. 41-46].

**ნამოსახლარი.** ნაციხვარის გორის აღმოსავლეთ ფერდობზე 1936 წელს გამოვლენილი იქნა კულტურული ფენა. მას ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ და ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებენ. დაბლაგომის ნასახლარზე წარმოდგენილია ორი ტიპის მასალა: მტკვარ-არაქსული და კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარებისა [14, გვ. 53-59; 20, გვ. 25-28; 32, გვ. 131-147; 43, გვ. 149].

შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს წალდი [19, გვ. 186].

ნასოფლარი გამოვლენილია სოფლის სამხრეთით, ნაციხვარის, ნასაყდრევისა და ნასაკირევის გორებზე. ანტიკური ხანისაა და ზოგადად ძვ. წ. VI-III სს-ით თარიღდება [10, გვ. 48-67; 11, გვ. 71-80].

**სამაროვანი.** ანტიკური ხანის ნასოფლარის ტერიტორიაზე. აქ დასტურდება მიცვალებულთა ქვევრსამარხებში დაკრძალვის წესი და მიეკუთვნება ძვ. წ. IV-III სს. გარდა ამისა, აღმოჩენილია კრამიტით გადახურული მდიდრული სამარხი ძვ. წ. III-ის დასაწყისის [10, გვ. 48-67].

დაბლაგომში გამოვლენილი მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში, ასევე მის ექსპოზიციამში.

**დაფნარი.** სოფ. დაფნარი მდებარეობს ქ. ვანის დასავლეთით, მისგან 18 კმ-ის დაშორებით (სამტრედიის რაიონი, იხ. რუკაზე, № 8).

არქეოლოგიური გათხრები დაფნარში წარმოებდა 1967-1970 წლებში ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის დაფნარის რაზმის მიერ. რაზმს ხელმძღვანელობდა ნ. კილურაძე. გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა ნამოსახლარი და სამაროვანი. გამოვლენილი მასალა ინახება ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში [1; 27, გვ. 365; 28; 29, გვ. 469; 30, გვ. 45; 31, გვ. 55].

შემთხვევითი მონაპოვარი. ბრინჯაოს ცული, კოლხური ცულების IV ტიპის II ქვეტიპისა; ტრაპეციის ფორმის ბრინჯაოს თოხი.

ნამოსახლარი. სოფლის განაპირას „წყვეტილ გორასა“ და „ჩაის გორაზე“. იგი წარმოადგენს ნასოფლარს და ზოგადად ძვ. წ. VI-III სს-ით თარიღდება.

სამაროვანი. „დაფნის გორაზე“. აქ დასტურდება მიცვალებულთა ქვევრსამარებებში დაკრძალვის წესი და მიეკუთვნება ძვ. წ. IV-II სს-ებს.

**ღიხაშხო.** სოფ. ღიხაშხო მდებარეობს მდ. სულორის ხეობაში, ვანიდან 6 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 9).

ეკლესია. სოფ. ღიხაშხოში, ბორცვზე, შემორჩენილია ერთნავეიანი დარბაზული ტიპის სამების ეკლესია. ე. თაყაიშვილის აზრით, ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს XIX ს-ის პირველ მეოთხედს [9, გვ. 30].

ვანი. ქალაქი ვანი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. სულორის ორივე ნაპირზე (იხ. რუკაზე, № 10).

ნაქალაქარი. მდებარეობს მდ. სულორის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე ქალაქის დასავლეთ გარეუბანში. ნაქალაქარი განლაგებულია „ახვლედიანების გორის“ სამ ტერასაზე, მისი ფართობია 8.5 ჰა.

ძველი ვანის ისტორია ამჟამად 4 ფაზად იყოფა: I – ძვ.წ. VIII-VII სს.; II – ძვ.წ. VII ს-ის დასასრულიდან – დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის შუა ხნებამდე; III – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი-ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი; IV – ძვ.წ. III ს-ის შუა ხნებიდან ძვ.წ. I ს-ის შუა ხნებამდე (ამასთანავე გამოიყოფა ცალკეული ეტაპებიც).

ეკლესია. „ახვლედიანების გორაზე“, შეიმჩნევა პატარა ეკლესიის ნანგრევები შუა საუკუნეებისა. 1889 წ. აქ ფრანგმა იაკობმა და ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა ა. ი. სტოიანოვმა გათხრები ჩატარეს და ეკლესიის იატაკს ქვემოთ აკლდამა გამოავლინეს. 1896 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა გათხარა ეკლესიის ერთი ნაწილი.

სამარხი. 1957 წელს „ახვლედიანების გორის“ ზედა ტერასის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილ იქნა „მეომრის“ სამარხი, იგი ნ. ხოშტარიამ ჩვ. წ. X საუკუნეს მიაკუთვნა.

შემთხვევითი მონაპოვარი. 1957 წელს ნაქალაქარზე მიწის თხრის დროს იპოვნეს ბიზანტიური, მიხეილ IV პაფლაგონიელის (1034-1041 წწ.) სპილენძის მონეტა [1, გვ. 98, 131].

როგორც ჩანს, ბორცვზე ცხოვრება გრძელდება გვიანბანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში, თუმც არა ისე ინტენსიურად, როგორც ძვ.წ. I ათასწლეულში [3; 9, გვ. 3, 6; 41, გვ. 115-135].

ნამოსახლარი (საყანჩია). „ვანის ნაქალაქარის“ ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 1-1,5 კმ-ის დაშორებით, რიონსა და მის შენაკად მდ. სულორს შორის არსებულ საყანჩიას ველზე. მისი ფართობია 20-25 ჰა. პირველი შემთხვევითი მონაპოვარი საყანჩიას ველიდან ცნობილი გახდა 1972 წელს. 1974 წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა საკონტროლო სამუშაოები ჩატარა საყანჩიას ველზე, რასაც მოჰყვა საყანჩიას ველის გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები, რაზმის ხელმძღვანელი ვ. ლიჩელი. ძეგლი ზოგადად ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება, მის აღმოსავლეთით გამოვლენილია ძვ. წ. II ს-ის ერთი ორმოსამარხი. ნამოსახლარი ძველი ვანის სამეურნეო უბანს წარმოადგენს. აქ აღმოჩენილია სახელოსნო, რომელიც ბრინჯაოს მეორად წარმოებასთან არის დაკავშირებული [12; 38, გვ. 146-155; 39, გვ. 111-119; 40, გვ. 80-86].

ციხესიმაგრე. ქ. ვანის აღმოსავლეთ ნაწილში ე. წ. „მშვიდობის გორაზე“ შემორჩენილია ციხესიმაგრის ნაშთები. თ. ბერაძის აზრით, ეს უნდა იყოს საჩინოს ციხე, გვიანი შუა საუკუნეებისა [4, გვ. 31].

ციხე-დარბაზი. ქ. ვანში, სარაიონო საავადმყოფოს ახლოს, ბორცვზე. ციხე-დარბაზი ძალზე დანგრეულია და დღეისთვის ცალკეული კედლის ფრაგმენტებიღა შემორჩა. თ. ბერაძის აზრით, ეს არის სებეკას ციხე-დარბაზი და გვიან შუა საუკუნეებშია აშენებული [4, გვ. 31].

ეკლესია. ქ. ვანში სებეკას ციხესთან, შეიმჩნევა მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები. თ. ბერაძის აზრით, ეს უნდა იყოს 1804 წ. ნიკოლოზ ჩიჯავაძის მიერ აგებული ღვთისმშობლის კარის ეკლესია [4, გვ. 31].

**ზედა ვანი.** სოფ. ზედა ვანი მდებარეობს სულორის შენაკად მდ. ჭიშურას ორივე ნაპირზე, ქ. ვანიდან 2,5 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 11).

ეკლესია. მთავარანგელოზის, ძალზე დაზიანებული, სახურავი აღარ აქვს, ფრესკები ჩამორეცხილია. აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. ეკლესიას კედელში ჩატანებული ჰქონია მარმარილოს ქანდაკება, რომელსაც აქვს XII-XIII სს-ის წარწერა. იგი ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება. გვიან შუა საუკუნეებში ეკლესია ჩიჯავაძეთა საგვა-

რეულოს საძვლეს წარმოადგენდა. ე. თაყაიშვილი მას XI ს. ათარილებს [4, გვ. 32; 9, გვ. 7].

ზედაპირული მასალა. ზედა ვანის ეკლესიიდან დასავლეთით 0,5 კმ-ის მანძილზე, ჭიშურის მარცხენა ნაპირზე, ადგილ „ღარისწყაროსთან“ ნაპოვნია ბრინჯაოს ცული და მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები კერამიკისა, რომელსაც ნ. ხოშტარია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარილებს [43, გვ. 151]; სოსელიების ეკლესიის ახლოს, ფერდობზე აკრეფილია ადრეანტიკური ხანის კოლხური პითოსის რამდენიმე ფრაგმენტი [4, გვ. 33]; „ჟვანიას გორაზე“ ნაპოვნია ქვევრის პირის ფრაგმენტები, რომელიც რ. ფუთურიძემ ადრეანტიკური ხანით დაათარილა [4, გვ. 33].

ნაციხვარი. ზედა ვანის ეკლესიიდან 2 კმ-ის მანძილზე, ადგილ „ნაციხვარზე“, ყველაზე მაღალ ადგილზე შემორჩენილია ციხის ნაშთი, რომელიც აგებული ყოფილა კირქვით [4, გვ. 33].

ეკლესია. ზედა ვანის „ნაციხვარის“ ჩრდილოეთით, 0,5 კმ-ის დაშორებით, შემორჩენილია ეკლესიის ბალაურის ქვები, რომელთაც „აკელენჯვარს“ ან კიდევ სოსელიების ეკლესიას უწოდებენ. აქვეა გალავნის ნაშთი [4, გვ. 33].

გალავნის ნაშთი. ზედა ვანის ეკლესიიდან 0,5 კმ-ის მანძილზე, „ჟვანიას გორის“ აღმოსავლეთ ფერდობზე.

**ზედა ციხესულორი.** სოფ. ზედა ციხესულორი მდებარეობს ვანიდან 2,5 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 12).

ციხესიმაგრე. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა რაზმმა (რაზმის ხელმძღვანელი მ. მიწიშვილი), აქ 1968 (ივნის-ივლისში) და 1970 წლებში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი), ჩაატარა გათხრები. ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებულ მასალაში გამოიყო ანტიკური, ადრე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მასალა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ციხეზე ანტიკური ხანიდან ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე ცხოვრება უწყვეტლევ მიმდინარეობდა [13, გვ. 32].

**ზეინდარი.** სოფ. ზეინდარი მდებარეობს მდ. ფერეთის ხეობაში, ვანიდან 15 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 13).

ციხე-დარბაზი. მდ. ფერეთის მარცხენა ნაპირზე, სერზე, შემორჩენილია უსახო ნანგრევები. თ. ბერაძის აზრით, ეს უნდა იყოს ბარის ერისთავთა XVIII ს-ის ციხე-დარბაზის კვალი [4, გვ. 29].

**ინაშაური.** სოფ. ინაშაური მდებარეობს მდ. კვინისწყლის მარცხენა ნაპირზე, ვანიდან 14 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 14).

ნაციხვარი. სოფ. ინაშაურში გრიგოლაშვილის გორაზე, არის ნანგრევები, რომელსაც მოსახლეობა „ნაციხვარს“ უწოდებს [4, გვ. 30].

ეკლესია. სოფ. ინაშაურში, თ. ბერაძის აზრით, გასულ საუკუნეში უნდა იყოს აგებული [4, გვ. 30].

შემთხვევითი მონაპოვარი. სეგმენტური იარაღი. დ. ქორიძე მას ძვ. წ. XIII-XII სს-ით ათარილებს. იგი ინახება ქუთაისის მუზეუმში (ინვ. № 1652) [14, გვ. 89].

**ისრითი.** სოფ. ისრითი მდებარეობს მდ. სულორის ხეობაში, ვანიდან 5 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 15).

ეკლესია. მდ. სულორის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირის პატარა კლდოვან შემალღებაზე, მდებარეობს წმინდა გიორგის, ვახნარის ერთნავიანი ეკლესია. 1896 წელს იგი მოინახულა და აღწერა ე. თაყაიშვილმა, რომელმაც ის XII-XIII სს-ით დაათარილა. ეს ძეგლი შეისწავლა და აღწერა გ. ყიფიანმა, რომლის აზრით, ძეგლის აგების თარიღი, ზოგადად შეიძლება XIV საუკუნის ბოლოთი და XV ს-ის დასაწყისით შემოისახვდეს [9, გვ. 19; 17, გვ. 158].

ციხე-დარბაზი. სოფ. ისრითის განაპირას, ჩრდილოეთის სერზე, შემორჩენილია ნანგრევები. თ. ბერაძის აზრით, ეს არის ჩიჯავაძეთა საგვარეულოს სასახლე და XVI-XVII სს-ის მიჯნაზეა აშენებული [4, გვ. 33].

**მაისოური.** სოფ. მაისოური მდებარეობს მდ. ყუმურის ხეობაში, ვანიდან 16 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 16).

ციხესიმაგრე. სოფ. მაისოურში, მდ. ყუმურის მარცხენა ნაპირას, 1,5 კმ-ის დაშორებით, განმარტოებულ კონცხზე, რომელსაც ციხის გორას ან მზვარეს უწოდებენ, შემორჩენილია ნანგრევები ე. წ. საპაიჭაოს ციხისა. თ. ბერაძის აზრით, ციხე გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისიდან მოქმედი [4, გვ. 34].

ეკლესია. სოფ. მაისოურში საპაიჭაოს ციხესთან ახლოს, წმინდა გიორგის, დარბაზული ტიპის. თ. ბერაძის აზრით, იგი გვიან შუა საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს [4, გვ. 34; 5, გვ. 33].

**მთისძირი.** სოფ. მთისძირი მდებარეობს მდ. ყუმურის ხეობაში, ქ. ვანის დასავლეთით, მისგან 8 კმ-ის დაშორებით (თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მასზე გადის ვანისა და სამტრედიის რაიონების საზღვარი, იხ. რუკაზე, № 17).

ნამოსახლარი. გამოვლენილია „ადეიშვილების“, „ნაქცევი“, „ნაბამბევი“, „მთისძირის“ გორებსა და მათ შორის მდებარე

ტერიტორიაზე. მთისძირის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო შემთხვევითი აღმოჩენით 1952 წელს [43, გვ. 154]. 1958 წელს ისევ შემთხვევით, სადრენაჟო სამუშაოების დროს წააწყდნენ დაზიანებულ ქვევრსამარხებს ე. წ. ნიკურაძეების უბანთან. 1971 წელს ეს ადგილები დაათვალიერეს ა. რამიშვილმა და ო. ლანჩავამ, ხოლო 1972 წელს სოფ. მთისძირიდან თ. ბერაძემ მოიტანა ანაკრეფი მასალა. ამიტომ გადაწყდა ამ ძეგლის გეგმა-ზომიერი შესწავლის დაწყება. სოფ. მთისძირის არქეოლოგიურმა რაზმმა ველზე დაჰყო ხუთი საველე სეზონი 1973 წლიდან 1978 წლამდე, რაზმის უფროსი გ. გამყრელიძე. არქეოლოგიური რაზმის მონაპოვარი ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. მთისძირში აღმოჩენილი ძეგლები ზოგადად თარიღდება ძვ. წ. VII ს-ით და ახ. წ. VIII ს-ით.

ძველი მთისძირის ისტორია იყოფა ოთხ ფაზად: I – ძვ. წ. VII-V სს-ის ნასახლარი ვრცელდებოდა „ადეიშვილების“ გორაზე. აქ გამოვლენილია კერამიკული და ლითონგადასამუშავებელი სახელოსნოები და თანმხლები მასალა; II – ძვ. წ. V-IV (პირველი ნახევარი) სს. ამ პერიოდის მასალა გამოვლენილია „ადეიშვილების გორაზე“, „გეფერიძეების ნამოსახლარზე“, „ნაბამბევი გორის“ აღმოსავლეთ ფერდობზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოვლენილი იქნა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი კოლხური ადრეანტიკური ხანის კერამიკის ნიმუშები და იმპორტი. ამავე პერიოდს მიეკუთვნება „ნაბამბევის გორის“ ტერასაზე შემხვევით აღმოჩენილი სამარხი, გადარჩენილი ინვენტარით; III – ძვ. წ. IV (მეორე ნახევარი) - I სს. გამოვლენილია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მასალა. ძვ. წ. III-I სს-ით თარიღდება „ნიკურაძეების უბანში“ (თითქმის სულ განადგურებული) და „გეფერიძეების ნამოსახლარზე“ (ორი სამარხი) აღმოჩენილი სამარხები; IV – ახ. წ. I-VIII სს. ამ ხანის მასალა გამოვლენილია „ადეიშვილების გორასა“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ეტყობა ამ დროს აქ იყო პატარა ციხე-ქალაქი [4; 21, გვ. 49-100].

**მიქელეფონი.** სოფ. მიქელეფონი მდებარეობს ქ. ვანის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 6 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 18).

განძი. 1951 წელს, მოსე ბელთაძის ნაკვეთში, მიწის სამუშაოების დროს, პატარა ზომის ჭურჭელში აღმოჩნდა განძი. განძი შეიცავდა: ვერცხლის სამაჯურის ფრაგმენტს, გრავირებული ბრინჯაოს ფირფიტის 3 ფრაგმენტს, 10 კოლხურ თეთრს (ტრიობოლები). განძი ნ. ზოშტარიამ ძვ. წ. VI-V სს. დაათარიღა [43, გვ. 153].

ნაციხვარი. სოფ. მიქელეფონში, ადგილ „ნაციხვარზე“, შემორჩენილა ციხის უსახო ნანგრევები [4, გვ. 35; 5, გვ. 34].

ეკლესია. დარბაზული ტიპის სამების ეკლესია, რომელიც, თ. ბერაძის აზრით, გვიან შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული [4, გვ. 35].

**სალომინაო.** სოფ. სალომინაო მდებარეობს ვანიდან 21 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 19).

ეკლესია. სოფ. სალომინაოში მებურიშვილების უბანში, შემორჩენილია ნანგრევები. იგი ნაგები ყოფილა ქვიშაქვის ლოდებით, საკურთხეველში შემორჩენილა შეისრული ნიში, რომელზედაც მოხატულობის კვალი შეიმჩნევა. თ. ბერაძის აზრით, ეკლესია გვიან შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული [4, გვ. 28].

**სულორი.** სოფ. სულორი მდებარეობს ქ. ვანის სამხრეთით, მისგან 12 კმ-ის დაშორებით, სულორის ხეობაში (იხ. რუკაზე, № 20).

შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაოს კოლხური ცული III ტიპისა, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. IX-VIII სს-ით და ადგილობრივი კერამიკის ორნამენტური ფრაგმენტები, აღმოჩენილია „საკაკილეს“ გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ცული ინახება ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციაში [41, გვ. 54].

ნამოსახლარი. მდ. სულორის მარცხენა ნაპირზე, სულორსა და მის მარცხენა შენაკადს შორის მდებარე „საკაკილეს“ გორაზე. 1984 წელს აქ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის სულორის რაზმის მიერ. ძლიერი ეროზიის გამო *in situ* ფენები ვერ გამოვლინდა, გამოვლენილ იქნა წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მასალა [24, გვ. 276].

განძი. სოფ. სულორში, 1990 წლის შემოდგომაზე, შემთხვევით ნაპოვნი იქნა მონეტების განძი, რომელიც მოთავსებული იყო თიხის ორ ჭურჭელში, ნაწილი დაიკარგა. მონეტები ჭურჭელში სამ გროვად იყო: 13, 122, 562, სულ 697 ცალი, 13-დან 3 მონეტა უცხოური იყო, დანარჩენი კოლხური ტრიობოლები [44].

კოშკი. სოფ. სულორში, რომელსაც მოსახლეობა „გორმადლის ციხეს“ უწოდებს, თარიღდება შუა საუკუნეებით.

**ტობანიერი.** სოფ. ტობანიერი მდებარეობს მდ. ყუმურის ხეობაში, ვანიდან 8 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე, № 21).

განძი. სოფ. ტობანიერში 1927 წელს აღმოაჩინეს ვერცხლის მონეტების განძი,

უმეტესობა (186 ცალი) ტრაპეზუნტის ასპრე-  
ბია, რომლებიც მოჭრილია იმპერატორების  
იოანე I-ის (1235-38 წწ., 4 ცალი), მანუელ  
I-ის (1238-63 წწ., 56 ცალი), იოანე II-ის  
(1280-97 წწ., 125 ცალი), იოანე II-ისა და  
ალექსი II-ის (1297 წლამდე, 1 ცალი) მიერ.  
განძის 27 მონეტა განეკუთვნება ე. წ.  
კირმანეულის კატეგორიას, რომლების ემი-  
სია დას. საქართველოში წარმოებდა. 1 მონ-  
ეტა სელჯუკურია (1232-33 წწ.), 1 – ჰულა-  
გუიანთა (1281-82). განძი ჩაფლული უნდა  
იყოს XIII-XIV სს-ის მიჯნაზე. დაცულია  
ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში [23].

ეკლესია. სოფ. ტობანიერში სამნავიანი  
ბაზილიკა, 1896 წელს მოინახულა და აღ-  
წერა ე. თაყაიშვილმა [9, გვ. 23]. თ. ბერა-  
ძის აზრით, ის შეიძლება დათარიღდეს გვი-  
ანი შუა საუკუნეებით [4, გვ. 35].

**ფერეთა.** სოფ. ფერეთა მდებარეობს მდ.  
ფერეთას ნაპირზე, ვანიდან 19 კმ-ის  
დაშორებით (იხ. რუკაზე, № 22).

სამარხი. 1955 წლის მაისში, სოფ. ფერე-  
თაში, ჩიკვაიძის ეზოში მიკვლეულ იქნა  
სამარხი, სადაც გამოვლინდა ბრინჯაოს  
სამაჯურის ნატეხები, მძივები, ვერცხლის  
ჭურჭლის ფრაგმენტი, საკინძე და ოროდ I-  
ის (ძვ. წ. 57-37 წწ.) ორი პართული დრაქმა  
[2, გვ. 101].

**ქვედა ციხესულორი.** სოფ. ქვედა ციხე-  
სულორი მდებარეობს ვანიდან 2,5 კმ-ის  
დაშორებით (იხ. რუკაზე, № 23).

ზედაპირული მასალა. ქვედა ციხესულორ-  
ში, ადგილ კეჭინარაზე, არქეოლოგიური  
დაზვერვების დროს ნაპოვნია: მასიური ქვარ-  
გვალისაგან დამზადებული ქვის თოხი, თეთ-  
რი კაჟისაგან დამზადებული ისრისპირი, ყა-  
ვისფერი კაჟისაგან დამზადებული დაკბილუ-  
ლი იარაღი და კარგად გაფორმებული ანატ-  
კეცები; ნაწილობრივ „კეჭინარაზე“ და ქვედა  
ციხესულორის დანარჩენ ტერიტორიაზე, ნა-  
პოვნია რკინის ზოდები, ბრინჯაოს იარა-  
ღების განძი, ბრინჯაოს ცალკეული იარა-  
ღები და ნივთები, ბრინჯაოსა და ადრეული  
რკინის ხანისათვის დამახასიათებელი მასა-  
ლა (კერამიკა ზომორფული ყურებით, თევ-  
ზიფხური ორნამენტით და სხვ.); ანტიკური  
ხანის კერამიკა როგორც ადგილობრივი, ისე  
იმპორტული (სინოპური წარმოების ამფორა  
– ძვ. წ. III-II სს.); კეჭინარას ტერიტორიაზე  
დამოწმებულია ვერტიკალურად დამხრო-  
ბილი ქვევრ-სამარხების არსებობა [23, გვ.  
21-23; 43, გვ. 149-150].

განძი. სოფ. ქვედა ციხესულორში, ადგილ  
ზედა კეჭინარაზე 1966 წელს აღმოაჩინეს  
გიორგი II-ის (1072-1089) ვერცხლის შვიდი

მონეტა, 1969 წელს იმავე ადგილზე აღმო-  
ჩენილი იქნა კიდევ შვიდი, 1972 წელს კი  
ოთხი, სულ 18 მონეტა. დ. კაპანაძის აზრით,  
მონეტები წარმოადგენენ ერთ განძს და  
ჩაფლულია გიორგი II-ის მეფობის ბოლო  
წლებში [26].

**შუამთა.** სოფ. შუამთა მდებარეობს მდ.  
ყუმურის ნაპირზე, ვანიდან 6 კმ-ის დაშო-  
რებით (იხ. რუკაზე, № 24).

ციხესიმაგრე. სოფ. შუამთაში, ადგილ „ნა-  
ციხვარზე“ მცირე გორაკის წვერზე, შემორ-  
ჩენილია კედლის ნაშთები, რომელიც დაახ-  
ლოებით 300 კვ. მ ფართობს შემოსაზ-  
ღვრავს. გორაკის ძირში გალავნის კვალიც  
შეიმჩნევა. გორაკის ფერდობზე აღმოჩნდა  
ადრე და განვითარებული შუა საუკუნეებით  
დათარიღებული კერამიკის ფრაგმენტები [4,  
გვ. 35; 5, 34].

ეკლესია. შუამთაში, სოფ. მუქეთის საზ-  
ღვარზე, დგას ქედის წმინდა გიორგის სახე-  
ლობის ეკლესია. 1896 წელს იგი აღწერა ე.  
თაყაიშვილმა [7, გვ. 21]. თ. ბერაძის აზრით,  
ის გვიანი შუა საუკუნეებისაა [4, გვ. 35].

ზედაპირული მასალა. შუამთაში, ადგილ  
„ნაციხვარის“ ჩრდილოეთით რამდენიმე ასე-  
ული მეტრის მანძილზე, ოდნავ შემადლებულ  
ბორცვზე, ადგილ „ნატახტზე“, მიწის სამუ-  
შაოების დროს უპოვნიათ დიდი ზომის ქვევ-  
რი, ამ ქვევრის ახლოს არის „ნატრაპეზა-  
ლი“, რომელიც წარმოადგენს რიყის ქვებით  
აგებული ერთი კედლის ფრაგმენტს. ნატახ-  
ტის ძირში წვიმის დროს წყალს გამოაქვს  
სხვადასხვა ხანის, მათ შორის ადრეანტი-  
კური ხანის კერამიკის ფრაგმენტები. ნატახ-  
ტის ახლოს, მოსახლეობა ხშირად პოულობს  
დიდი ზომის კრამიტის ნატეხებს, ხოლო  
ერთი კრამიტი მთლიანი სახით ჰქონია ერთ-  
ერთ მოსახლეს; „ქალის“ და „მელაშვილის“  
გორებზე გამოვლენილია დიდი რაოდენობით  
ანტიკური ხანის კერამიკა; შუამთაში ჩატა-  
რებული სასინჯი არქეოლოგიური გათხრე-  
ბის შედეგად გამოვლენილია ძვ. წ. VIII-VII  
სს-ის მასალა; შუამთის მიდამოებშია ნა-  
პოვნია იოანე II-ის (1280-97 წწ.) ასპრი [4,  
გვ. 36; 5, 35; 23, გვ. 170; 24, გვ. 280].

შუამთის „დანგრეული ციხე“ და „მეფის ბა-  
ნაკი“ მოხსენიებული აქვს გიულდენშტეტს. თ.  
ბერაძის აზრით, ეს ციხე ზემოთ აღწერილი  
ციხის ნანგრევები უნდა იყოს, ხოლო მეფის  
ბანაკი, ნატახტზე იყო განლაგებული,  
უძველეს სამოსახლო გორაკზე [4, გვ. 35; 6  
გვ. 159].

**ძულუხი.** სოფ. ძულუხი მდებარეობს მდ.  
ძულუხის (სულორის მარჯვენა შენაკადი)  
მარცხენა ნაპირზე, ვანიდან 15 კმ-ის  
დაშორებით (იხ. რუკაზე, № 25).



შემთხვევითი აღმოჩენა. ორი ბრინჯაოს თოხი. დ. ქორიძე მას ძვ. წ. XIII ს-ით ათარიღებს, ისინი დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში [15, გვ. 76].

ციხესიმაგრე. მდ. ძულუხის ზემო წელში, სოფ. რომანეთის საზღვარზე, სამხრეთით, გორაკზე, შემორჩენილია ციხის ნანგრევები. მასთან ახლო მდებარე ნასოფლარი მელოურის გამო, მას მელოურის ციხეს უწოდებენ. უშუალოდ ციხეში, აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილია მცირე ზომის ეკლესია. თ. ბერაძე ძეგლს ადრე შუა საუკუნეებით ათარიღებს [4, გვ. 30].

## S. Kharabadze

### ARCHAEOLOGICAL MAP OF VANI REGION

(Summary)

The paper aims at presenting comprehensive list of sites bearing remains of material culture in the vicinity of ancient Vani – the territory of present-day Vani and Samtredia districts. A map of these sites is appended.

### ლიტერატურა

1. აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ., 1965.

2. აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი. თბ., 1974.

3. ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: 1850-1995. – ვანი IX. თბ., 1996, გვ. 47-48.

4. ბერაძე თ. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. – ვანი III. თბ., 1977, გვ. 28-40.

5. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.

6. გელაშვილი ვ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. თბ., 1962, გვ. 159.

7. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. თბ., 1907.

8. თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. – ვანი, II. თბ., 1976, გვ. 48-67.

9. თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973-1974 წლებში. – ვანი, III. თბ., 1977, გვ. 71-80.

10. თოლორდავა ვ. დაბლაგომი. – ვანი, VII. თბ., 1983, გვ. 129-135.

11. კილურიძე ნ. არქეოლოგიური გათხრები სოფ. დაფნარში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ., 1971, გვ. 68-72.

12. ლიხელი ვ. ძველი ვანი, სამეურნეო უბანი. თბ., 1991.

13. მიწიშვილი მ. ციხესულორის ნაციხარზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. – ვანი, II. თბ., 1976, გვ. 32-47.

14. ფხაკაძე გ. დასავლეთი ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბ., 1993.

15. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965.

16. დამბაშიძე ვ. არქეოლოგიური დაზვერვები კეჭინარში. – სტუდენტთა XXV სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 1963, გვ. 21.

17. ყიფიანი ვ. ქვის სვეტები ვანის რაიონის ნასოფლარებიდან. – ძმ, № 51, 1979, გვ. 32-35.

18. ყიფიანი ვ. სოფ. ისრითის წმინდა გიორგის ეკლესია. – არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიის მასალები). თბ., 1989, გვ. 158-162.

19. ჯაფარიძე თ. კოლხური ცული. თბ., 1950.

20. ჯაფარიძე თ. ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბ., 1955.

21. ჯაფარიძე თ. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში. თბ., 1955.

22. Гамкрелидзе Г. А. К археологии долины Фасиса (Риони). Тб., 1992.

23. Голенко К. В. Клад византийских монет из села Тобаниери. – Византийский временник, т. 16, 1959, с. 127-172.

24. Инаури Г. А. Археологические разведки в с. Сулори. – Причерноморье в VII-V вв. до н.э. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья (Вани – 1987). Тб., 1990, с. 276-279.

25. Квирквелия Г. Т. Ванский регион в VIII-V вв. до н.э. – Причерноморье в VII-V вв. до н.э. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья (Вани – 1987). Тб., 1990, с. 280-283

26. Кебуладзе Р. В. Клад из села Цихесулори. – Нумизматический сборник, Тб., 1977, с. 98.

27. Кигурадзе Н. Ш., Лордкипанидзе Г. А. Археологические исследования в Дапнари. – АО, 1969 (1970), с. 365.

28. Кигурадзе Н. Ш. Дапнарское селище и могильник. – 25 лет Ванской археологической экспедиции. Тб., 1973, с. 45–46.

29. Кигурадзе Н. Ш. Лордкипанидзе Г. А. Дапнарское селище и могильник. – КСИА, 151, 1977, с. 55–64.

30. Кигурадзе Н. Ш. Лордкипанидзе Г. А. Итоги исследования Дапнарского селища. – АО, 1971 (1972), с. 469.

31. Кигурадзе Н. Ш. Лордкипанидзе Г. А. Раскопки на Дапнарском селище. – АО, 1970 (1971), с. 380–381.

32. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1950.

33. Лордкипанидзе Г. А. К истории древней Колхиды. Тб., 1970.

34. Лордкипанидзе О., Качарава Д., Путуридзе Р., Чкониа А., Толордава В., Матиашвили Н., Личели В., Гамкрелидзе Г., Кипиани Г. Работы Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 146–155.

35. Лордкипанидзе О., Матиашвили Н., Путуридзе Р., Чкониа А., Пирцхалава М., Толордава В., Качарава Д., Кипиани Г., Личели В. Ванская археологическая экспедиция. – ПАИ, 1978 (1981), с. 111–119.

36. Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Лежава Г. И., Матиашвили Н. Н., Чкониа А. М., Качарава Д. Д., Мицишвили М. Н., Толордава В. А., Лордкипанидзе Г. А., Кигурадзе Н. Ш., Гиголашвили Е. Г. Итоги работ Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1973 (1974), с. 35–41.

37. Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Лежава Г., Матиашвили Н., Качарава Д., Гиголашвили Е., Пирцхалава М., Толордава В. А., Мицишвили М., Кипиани Г., Личели В., Гамкрелидзе Г., Итоги работ Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1974 (1976), с. 41–46.

38. Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Лежава Г. И., Матиашвили Н. Н., Чкониа А. М., Толордава В. А., Качарава Д. Д., Мицишвили М. Н., Личели В. Т., Гамкрелидзе Г. А., Кипиани Г. Г., Пирцхалава М. С., Квирквелия Г. Т., Гиголашвили Е. Г. Итоги работ Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1975 (1979), с. 64–74.

39. Лордкипанидзе О., Путуридзе Р., Лежава Г., Качарава Д., Квирквелия Г., Чкониа А., Гиголашвили Е., Толордава В., Матиашвили Н. Н., Личели В., Гамкрелидзе Г., Мицишвили М., Пирцхалава М., Кипиани Г., Итоги работ Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1976 (1979), с. 137–149.

40. Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Чкониа А. М., Толордава В. А., Пирцхалава М. С., Матиашвили Н. Н. Итоги работ Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1979 (1982), с. 80–86.

41. Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Качарава Д. Д., Толордава В. А., Пирцхалава М. С., Чкониа А. М., Матиашвили Н. Н., Ахвледиани Д. В., Наридзе Г. Ш., Инаури Г. А. Работы Ванской экспедиции. – ПАИ, 1984–1985 (1987), с. 51–55.

42. Макалатиа С. И. Археологические находки в селе Даблагоми и Агаяни. – СА, V, 1940, с. 264–271.

43. Хоштариа Н. В. Археологические исследования в Вани и Ванском районе. – vcrb^ n. ++^ s., 1959^ ud. 149-162.

44. Lébanidzé L. Le trésor monétaire de Sulori. – La Mer Noire zone se contacts. Actes du VII<sup>e</sup> Symposium de Vani (Colchide) - 26-30 IX 1994, Paris, 1999, გვ. 155-158.

#### სურათის აღწერილობა

სურ. 1. ვანის რაიონის არქეოლოგიური რუკა

#### Description of Figure

Fig. 1. Archaeological map of Vani Region

**არქეოლოგიის ისტორია**  
**HISTORY OF ARCHAEOLOGY**

მარიამ მუმლაძე

**ბიბლიოგრაფია საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე**  
**(„ღროებისა“ და „ივერიის“ ჟურნალების მიხედვით)**

არქეოლოგიის განვითარებას მე-19 საუკუნეში დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართული პერიოდული პრესა. ჟურნალ-გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ მასალებს არქეოლოგიის შესახებ. განსაკუთრებით უხვად იბეჭდებოდა წერილები შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. იყო მოკლე ცნობებიც, რომლებიც გაერთიანებული იყო რუბრიკებში: „ახალი ამბები“, „ჩვენებური ამბები“, „საქართველო“, „არხეოლოგთა საყურადღებოდ“ და სხვა.

ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ და საინტერესო სტატიებს აქვეყნებდნენ ჟურნალ-გაზეთებში ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს სიძველეთა დაცვით: დავით წერეთელი, ილია ალხაზიშვილი, იონა მეუნარგია, ალექსანდრე ნანეიშვილი, რომანოზ მრევლიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე ანთაძე, მათე იანქოშვილი და სხვები. ისინი მოწოდებით მიმართავდნენ ქართულ მოწინავე საზოგადოებრიობას, ყურადღება მიექციათ არქეოლოგიური ძეგლებისათვის და დაღუპვისაგან გადაერჩინათ ისინი. პრესაში ქვეყნდებოდა არქეოლოგიური გათხრების ანგარიშებიც, აგრეთვე წერილები საქართველოს სიძველეებზე.

XIX საუკუნის პრესაში ფართო ასახვა ჰპოვა არქეოლოგიური საზოგადოებების მუშაობამ. პერიოდულად იბეჭდებოდა ცნობები ამ საზოგადოებების მიერ ჩატარებული სხდომების შესახებ, სადაც განხილული იყო საინტერესო მოხსენებები კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიაზე.

ბევრი წერილი მიეძღვნა თბილისში 1881 წელს ჩატარებულ V არქეოლოგიურ ყრილობას.

გაზეთებში იბეჭდებოდა აგრეთვე კანონები და განკარგულებები, რომლებიც მიმართული იყო არქეოლოგიურ ძეგლთა დასაცავად. ხშირი იყო სხვა გაზეთებიდან გადმობეჭდილი წერილებიც, რომლებიც შეეხებოდა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

იმ პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც XIX საუკუნეში გამოდიოდა, აღსანიშნავია გაზეთები „ღროება“ და „ივერია“.

ქვემოთ წარმოდგენილია ნუსხა გაზეთ „ღროებისა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებისა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისა და მათი კვლევა-ძიების შესახებ.

**„ღროება“**

**ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი (1866-1885 წწ.).**

1866-74 წლებში გამოდიოდა კვირაში ერთხელ.

1875-77 წლებში – კვირაში სამჯერ.

1877-85 წლებში – ყოველდღიურად.

1. კავკასიის არქეოლოგია  
ინფორმაცია: პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების პირველ სხდომაზე წარმოთქმული ბერჟეს მოხსენების შესახებ.  
1871 წ., 24/X, № 50, გვ. 2.

2. სერგეი მესხი – მცხეთის აკლდამები.  
ინფორმაცია: ბაიერნის მიერ წარმოებულ გათხრებზე მცხეთაში.  
1872 წ., 4/II, № 5, გვ. 3-4.

3. სიღნაღის აკლდამები („ღროების“ კორესპონდენცია). უნებლიეთი გამოკვლევა.  
ინფორმაცია: ლ. ხირსელის მიერ ნანახი აკლდამების შესახებ.  
1872 წ., 3/III, № 9, გვ. 3-4.

4. საქართველო.  
ინფორმაცია: გაზეთ „კავკაზიდან“ გადმობეჭდილი ცნობის შესახებ, რომელიც შეეხება ბაიერნის მიერ კახეთში აღმოჩენილ აკლდამებს.  
1872 წ., 2/VI, № 21, გვ. 2.

5. საქართველო.  
ინფორმაცია: მცხეთაში აღმოჩენილ აკლდამებზე.  
1872 წ., 6/X, № 39, გვ. 2.

6. მცხეთის აკლდამები. (ახალი გამოკვლევა ფ. ბაიერნისა).  
1872 წ., 6/X, № 39, გვ. 4.

7. წერეთელი დავით (სხვიტორელი) – „ღროების“ კორესპონდენცია.  
ინფორმაცია: თოღაძის ციხის მახლობლად გლენ ზაბახიდის მიერ არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შესახებ.  
1875 წ., № 37, № 38, გვ. 2.

8. დღიური.  
ინფორმაცია: კორბოულში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების შესახებ.  
1875 წ., 14/V, № 54, გვ. 2.

9. სხვიტორელი – „ღროების“ კორესპონდენცია.  
ინფორმაცია: თოღაძის ციხის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების შესახებ.

- 1875 წ., 5/IX, № 126, გვ. 2.
10. საქართველო.  
ინფორმაცია: სოფელ საჩინოში ახვლე-  
დიანების გორაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური  
ნივთების შესახებ.  
1876 წ., 28/V, № 52, გვ. 1.
11. საქართველო. არქეოლოგიური საზოგადო-  
ება.  
ინფორმაცია: თბილისში არქეოლოგიური  
საზოგადოების დაარსების შესახებ.  
1876 წ., 1/II, № 12, გვ. 1.
12. ნარევი  
თავისუფალ სვანეთში ძველი ფულების  
პოვნა.  
1876 წ., 25/VII, № 77, გვ. 4.
13. წერეთელი გ. – ოზურგეთი ...  
ინფორმაცია: ძველი საფლავების შესა-  
ხებ.  
1878 წ., 15/II, № 33, გვ. 2.
14. დღიური.  
ინფორმაცია: თბილისში „ქართული მუზე-  
უმის“ შექმნის შესახებ. ცნობა გადმობეჭდილია  
გაზეთ „ობზორიდან.“  
1878 წ., 22/IX, № 191, გვ. 1-2.
15. საქართველო. დღიური. ჩვენ გვწერენ.  
ინფორმაცია: სვანეთში აღმოჩენილი ძვე-  
ლი ნივთების შესახებ.  
1879 წ., 19/VIII, № 172, გვ. 1.
16. ილია ალხაზიშვილი.  
ფელეტონი ძველად ნაშთენი ნაქალაქევი  
და ნასოფლარები ოცხეს (აბასთუმნის) ხეობაში.  
(თამარ მეფის აკვანი, სარკე და კილობანი).  
ინფორმაცია: აბასთუმნის ხეობის სიძ-  
ველქებზე.  
1879 წ., 16/IX, № 191; 18/IX, № 192.
17. სერგეი მესხი – ხალხის სახსოვრის  
დაცვა.  
1879 წ., 29/IX, № 201, გვ. 1-2.
18. თავისუფალი სვანი – დროების კორექს-  
პონდენცია.  
ინფორმაცია: სვანეთში აღმოჩენილ სიძვე-  
ლეებზე.  
1879 წ., 4/X, № 204, გვ. 2-4.
19. საქართველო. დღიური.  
ინფორმაცია: გრაფ უვაროვის გამოსვ-  
ლის შესახებ მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგა-  
დოების სხდომაზე. ამ გამოსვლაში უვაროვი  
ლაპარაკობს მცხეთის არქეოლოგიურ აღმოჩე-  
ნებზე.  
1879 წ., 14/XI, № 259, გვ. 1-2.
20. მომავალი არქეოლოგიური კრება თბი-  
ლისში.  
1880 წ., 19/VIII, № 174, გვ. 1-2.
21. მეუნარგია იონა.  
ჩვენებური ქართული ფული.  
1880 წ., 23/VIII, № 178, გვ. 1-3.
22. არხეოლოგიური კრება.  
1880 წ., 13/XII, № 263, გვ. 1-2.
23. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: V არქეოლოგიური ყრილო-  
ბის შესახებ.  
1881 წ., 8/I, № 4, გვ. 2-3.
24. გვარამაძე ივანე - არქეოლოგიური ყრი-  
ლობისათვის გამოფენის მოწყობის საკითხი.  
1881 წ., 21/II, № 39, გვ. 3-4.
25. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: V არქეოლოგიური ყრილო-  
ბისათვის გამოფენის მოწყობის შესახებ.  
1881 წ., 14/VII, № 146, გვ. 1.
26. მეუნარგია იონა.  
არა არს დაფარული, რომელი არა ...  
ინფორმაცია: მცხეთის გალავანთან აღ-  
მოჩენილ აკლდამაზე.  
1881 წ., 5/VIII, № 163, გვ. 1-2.
27. ნანეიშვილი ა. – ბათუმი, 19 აგვისტოს ...  
ინფორმაცია: ქობულეთში, მდ. კინტ-  
რიშის პირას აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივ-  
თების შესახებ.  
1881 წ., 26/VIII, № 177, გვ. 2.
28. მრეკლიშვილი რომანოზ – ბატონო რე-  
დაქტორი!  
ინფორმაცია: მცხეთაში აღმოჩენილ აკლ-  
დამაზე. პასუხია „დროების“ № 163-ში გამო-  
ქვეყნებული ი. მეუნარგიას წერილისა.  
1881 წ., 1/IX, № 181, გვ. 3.
29. ახალი ამბები.  
V არქეოლოგიური ყრილობისათვის მზა-  
ლება.  
1881 წ., 5/IX, № 185, გვ. 1-2.
30. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: V არქეოლოგიური ყრილო-  
ბისადმი სამზადისის შესახებ.  
1881 წ., 6/IX, № 186, გვ. 2.
31. მეუნარგია იონა, არხეოლოგიური კრება.  
1881 წ., 8/IX, № 187, გვ. 2.
32. არხეოლოგიურს კრებაზედ.  
1881 წ., 10/IX, № 188, გვ. 1-2.
33. მეუნარგია იონა, არხეოლოგიური კრება.  
1881 წ., 10/IX, № 188, გვ. 2.
34. მეუნარგია იონა – არხეოლოგიური კრე-  
ბა.  
1881 წ., 11/IX, № 189, გვ. 3.
35. ახალი ამბები.  
ინფორმაცია: ივანე გვარამაძის მიერ  
ხიზაბავრაში სკოლის გახსნისა და ძველი ნივ-  
თებისა და ფულების თბილისში ჩამოტანის შე-  
სახებ.  
1881 წ., 11/IX, № 189, გვ. 2-3.
36. მეუნარგია იონა – არხეოლოგიური კრე-  
ბა.  
1881 წ., 12/IX, № 190.
37. მეუნარგია იონა – არხეოლოგიური კრე-  
ბა.  
1881 წ., 13/IX, № 191, გვ. 1-2.
38. მეუნარგია იონა – არხეოლოგიური კრე-  
ბა.  
1881 წ., 18/IX, № 194, გვ. 2.

39. მეუნარგია იონა – არხეოლოგიური კრება.  
1881 წ., 20/IX, № 196, გვ. 3.
40. არხეოლოგიური კრების გათავება.  
1881 წ., 23/IX, № 198, გვ. 1.
41. მეუნარგია იონა – არხეოლოგიური კრება.  
1881 წ., 23/IX, № 198, გვ. 2.
42. მიქელაძე ვლადიმერ – წერილი რედაქტორთან.  
1881 წ., 25/IX, № 200, გვ. 3.
43. გვარამაძე ივანე – ჯავახეთის ამბები.  
ინფორმაცია: ჯავახეთში არქეოლოგიური წრის შექმნის სურვილის შესახებ.  
1881 წ., 30/IX, № 203, გვ. 1-2.
44. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: სოფელ ალში აღმოჩენილი სიძველეების შესახებ.  
1881 წ., 27/XI, № 248, გვ. 2.
45. წესდება კავკასიის ისტორიის და არხეოლოგიის საზოგადოებისა.  
1882 წ., 17/II, № 34, გვ. 3-4  
18/II, № 35, გვ. 3.
46. დავითაშვილი ზაქარია.  
ქართლიდან 26 მარტს... ძველი არხი და წყლის მილები.  
1882 წ., 16/IV, № 77, გვ. 2-3.
47. გვარამაძე ივანე.  
ხიზაბავრა... კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი საფლავები.  
1882 წ., 17/X, № 217, გვ. 2-3,  
21/X, № 219, გვ. 2-3.
48. ჯანაშვილი მ. – მცირე ისტორიული შენიშვნა.  
შენიშვნაში ჯანაშვილი იძლევა თავის მოსაზრებას ქართველთა ტომების წარმოშობის შესახებ.  
1883 წ., 5/I, № 2, გვ. 3-4.
49. დღიური.  
ინფორმაცია: გორის მაზრის ერთ სოფელში აღმოჩენილ ძველ ნივთებზე.  
1883 წ., 22/II, № 39, გვ. 2.
50. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: პავლოვსკის მოგზაურობის შესახებ კავკასიაში.  
1883 წ., 14/IX, № 181, გვ. 2.
51. სურბელი – დროების კორექსონდენცია.  
ინფორმაცია: სოფ. სურბებში აღმოჩენილი ძველი ნივთების შესახებ.  
1884 წ., 26/IV, № 90, გვ. 3.
52. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: შეეხება მოსკოვში ჩატარებულ არქეოლოგიურ კრებას, რომელზედაც სიტყვით გამოსულა ანუჩინი კავკასიის არქეოლოგიის შესახებ.  
1884 წ., 11/II, № 32, გვ. 2.
53. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: შეეხება ინგლისელი ბორენის მიერ ქართული სიძველეების შესყიდვას.  
1884 წ., 2/VI, № 117, გვ. 1.
54. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: ქართველი ახალგაზრდების მიერ ქართული საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოების დაარსების მცდელობის შესახებ.  
1884 წ., 4/VII, № 143, გვ. 1.
55. შინაური ქრონიკა.  
ძველი ნივთები სოფელ ბრეთში.  
1884 წ., 21/VIII, № 181, გვ. 2.
56. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკასთან პატარა მუზეუმის დაარსების განზრახვის შესახებ.  
1884 წ., 26/VIII, № 186, გვ. 1.
57. ყიფშიძე გრიგოლ.  
ახალი განკარგულება არქეოლოგიურ ძეგლათა წარმოების შესახებ.  
1884 წ., 5/IX, № 192, გვ. 1.
58. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: ქართული ისტორიული და არქეოლოგიური საზოგადოების დაარსების მცდელობის შესახებ.  
1884 წ., 16/IX, № 200, გვ. 2.
59. თელავიდან გვწერენ... თამარ მეფის დროინდელი ფულების პოვნა.  
1885 წ., 8/II, № 29, გვ. 2.
60. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: როინაშვილის მიერ დალესტნის ქალაქ თემირხან-შურაში გახსნილი მუზეუმის შესახებ.  
1885 წ., 12/III, № 54, გვ. 2.
61. შინაური ქრონიკა.  
ინფორმაცია: გორის მაზრის სოფელ ტირძისში ნაპოვნი ძველი ნივთების შესახებ.  
1885 წ., 1/V, № 92, გვ. 2.
62. ვარძიის მონასტრის წინამძღვარი.  
ინფორმაცია: ორი კუბოს აღმოჩენის შესახებ.  
1885 წ., 27/VIII, № 176, გვ. 1.

### „იპერია“

ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა (1877-1906 წწ.).

1877-79 წწ. – გამოდიოდა ყოველკვირეულ გაზეთად.  
1879-85 წწ. – გამოდიოდა ყურნალის სახით.  
1886-1906 წწ. – გამოდიოდა ყოველდღიურ გაზეთად.

1. ბაქრაძე დ.  
ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა.  
ინფორმაცია: თბილისში მუზეუმის შექმნის აუცილებლობის შესახებ.  
1877 წ., 21/IV, № 8.

2. ორბელიანი გ.  
საქართველოს მატთანე (რუბრიკა).  
ინფორმაცია: აბასთუმანთან აღმოჩენილ აკლდამაზე, რომელიც გზის სამუშაოების დროს აუფეთქებიათ მუშებს.  
1978 წ., 23/VIII, № 33, გვ. 1.
3. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: სიღნაღის მაზრაში აღმოჩენილი ძველი მონეტების შესახებ.  
1886 წ., 5/I, № 3, გვ. 2.
4. დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი).  
ინფორმაცია: სოხუმის მაზრობლად წებელდაში აღმოჩენილ სიძველეებზე.  
1886 წ., 5/II, № 28, გვ. 2.
5. დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი).  
ინფორმაცია: რაჭაში აღმოჩენილი სიძველეების შესახებ.  
1886 წ., 1/II, № 47, გვ. 2-3.
6. დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი).  
ინფორმაცია: ქსნის ხეობაში აღმოჩენილ სიძველეებზე.  
1886 წ., 29/III, № 70, გვ. 2-3.
7. ახალი ამბავი  
ინფორმაცია: არტანუჯში აღმოჩენილ სიძველეთა შესახებ.  
1886 წ., 17/IV, № 82, გვ. 2.
8. ახალი ამბავი  
ინფორმაცია: დარიალის ხეობაში აღმოჩენილი წარწერიანი ქვის შესახებ.  
1886 წ., 25/IV, № 89, გვ. 1.
9. ახალი ამბავი  
ინფორმაცია: საჩხერეში აღმოჩენილ ძველი ნივთების შესახებ.  
1886 წ., 27/IV, № 91, გვ. 2.
10. მაჭავარიანი კ.  
დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი).  
ინფორმაცია: წებელდაში აღმოჩენილ სიძველეებზე.  
1886 წ., 24/V.
11. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: იმის შესახებ, რომ პეტერბურგის არქეოლოგიურმა კომისიამ დ. პ. ფურცელაძე მიავლინა კახეთში ძველი სასაფლაოებისა და გორახანების შესასწავლად.  
1886 წ., 27/V, № 112, გვ. 2.
12. ახალი ამბავი  
ინფორმაცია: რაჭის სიძველეების შესახებ  
1886 წ., 25/IX, № 207, გვ. 1-2.
13. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: თბილისში წყლის გასაყვანი მიწებისათვის არხების გათხრის დროს აღმოჩენილ სიძველეებზე.  
1887 წ., 6/V, № 90, გვ. 1-2.
14. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: თბილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკასთან პატარა საარქეოლოგიო მუზეუმის შექმნის შესახებ.  
1887 წ., 23/V, № 101, გვ. 2.
15. კაკასიის არხეოლოგიური და ისტორიული მუზეი ა. როინაშვილისა ასტრახანში.  
1887 წ., 24/IX, № 198, გვ. 2-3.
16. ჯანაშვილი მ.  
მცირე შენიშვნა.  
ინფორმაცია: გრაფინია უვაროვას წერილზე დიმიტრი ბაქრაძისადმი. წერილში გრაფინია ატყობინებს ბაქრაძეს არქეოლოგიური მოგზაურობის გეგმას აჭარაში.  
1887 წ., 21/XI, № 244, გვ. 2.
17. კობონაშვილი ვ.  
დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი).  
ინფორმაცია: ჯავახეთის სიძველეებზე, კერძოდ, სოფელ კოთელიასთან მდებარე სოფელ მურჯზე, სადაც უწინ ქართველებს უცხოვრიათ.  
1888 წ., 4/VIII, № 163, გვ. 2.
18. ყიფიანი კ.  
წერილი რედაქციის მიმართ. ბატონო რედაქტორო!  
ინფორმაცია: ქვიშხეთში აღმოჩენილ ძველ მონეტებსა და ნივთებზე.  
1887 წ., 1/X, № 180, გვ. 2.
19. ჭავჭავაძე ი.  
ინფორმაცია: საეკლესიო საარხეოლოგიო საბჭოს თავმჯდომარედ დ. ბაქრაძის დანიშვნა. საბჭოს წევრების დასახელება.  
1889 წ., 21/II, № 38, გვ. 1-2.
20. ახალი ამბავი.  
ინფორმაცია: მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მიმართვაზე იმის შესახებ, რომ VIII არქეოლოგიური კრების გამოფენისათვის გაიგზავნოს ყოველი მხრიდან არქეოლოგიური ნივთები.  
1889 წ., 6 აპრილი, № 74, გვ. 2.
21. თან-ნარელი.  
ხმა როინის მარცხენა მხრიდან.  
ინფორმაცია: ვანის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე.  
1889 წ., 28/VII, № 158, გვ. 3.
22. ახალი ამბავი.  
სოფ. ვანი (ქუთაისის მაზრა).  
1889 წ., 14/IX, № 186, გვ. 1.
23. ჭავჭავაძე ი.  
აი ისტორია.  
წარმოადგენს წერილების ციკლს საქართველოს ისტორიის შესახებ. აქედან მეთექვსთერთმეტე და მეთორმეტე წერილებში ი. ჭავჭავაძე უარყოფს ქართველთა კანიბალიზმს.  
1889 წ., № 71, 77, 78, 83, 89, 90, 106, 116, 117, 118, 130, 139.
24. ხახანაშვილი ა.  
მცირე შენიშვნა.  
ინფორმაცია: ხახანაშვილისა, სადაც იგი გმობს ბაიერნის კონცეფციას ქართველთა ტომების კანიბალიზმის შესახებ.  
1889 წ., 29/IX, № 205, გვ. 3.
25. ხახანაშვილი ა.  
ჩვენი არხეოლოგია.  
ინფორმაცია: ხახანაშვილისა სადაც იგი მკითხველებს აცნობს მოსკოვის არქეოლო-

გიური საზოგადოების პროგრამას, შედგენილს კავკასიაში ნივთიერ ნაშთთა გამოსაკვლევად.

1890 წ., 20/V, № 104, გვ. 3.

26. მრეკლიშვილი გ.

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი).

ინფორმაცია: მცხეთაში აღმოჩენილ სიძველეებზე.

1891 წ., 19/VI, № 127, გვ. 2.

27. ისტორია და არხეოლოგია. არხეოლოგთა საყურადღებოდ!

ინფორმაცია: ღუშეთის მაზრაში აღმოჩენილ სიძველეებზე.

1894 წ., 15/XII, № 265, გვ. 4.

28. ჭიჭინაძე ი.

არხეოლოგთა საყურადღებოდ!

ინფორმაცია: სადგურ ხაშურთან აღმოჩენილ აკლდამაზე.

1895 წ., 4/I, № 2, გვ. 2.

29. ველისციხელი ნ.

კორესპონდენცია

ინფორმაცია: მუკუხანთან აღმოჩენილ სიძველეებზე.

1895 წ., 10/III, № 53, გვ. 2-3.

30. კანდელაკი რ.

კორესპონდენცია

ინფორმაცია: სოფ. ნიგორზღვაში აღმოჩენილ ძველ ნივთებზე.

1895 წ., 5/XII, № 263, გვ. 2-3.

31. ახალი ამბავი

ინფორმაცია: ბ-ნი ვართანოვის მიერ პეტერბურგში საარქეოლოგიო საგნების მდიდარი კოლექციის ჩატანის შესახებ.

1898 წ., № 122, გვ. 2.

32. გამრეკელი სეით

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

ინფორმაცია: ბარონ დე-ბაისა და ჰუგო კრაფტის ურბნისში მოგზაურობის შესახებ.

1898 წ., 23/X, № 226, გვ. 3.

33. ჟურნალ-გაზეთებიდან (ამოკრეფილი ამბები).

ინფორმაცია: სოხუმის მახლობლად ზღვაში არსებული შენობების ნანგრევების აღმოჩენა.

1899 წ., 22/V, № 106, გვ. 3.

34. ახალი ამბავი

ინფორმაცია: ბ-ნი ნატროშვილის მიერ შირაქში, კიკოციხის მთის მახლობლად აღმოჩენილი კერამიკის წარდგენა საეკლესიო მუზეუმისათვის.

1899 წ., 4/IX, № 190, გვ. 2.

35. მესამე ლოსაბერიძე

წერილი საკურწედგან.

ინფორმაცია: საკურწეში აღმოჩენილი სიძველეების შესახებ.

1899 წ., 8/IX, № 193, გვ. 2-3.

36. ახალი ამბავი

ინფორმაცია: საფრანგეთის საარქეოლოგიო მისიის წევრის ბ-ნი ჟეკიეს სტუმრობა კავკასიაში და გომთან არსებული გამოქვაბულის დათვალიერება.

1899 წ., 22/IX, № 203, გვ. 2.

37. ახალი ამბავი

ინფორმაცია: კავკასიის მუზეუმის კონსერვატორის ბ-ნი კენიგის მოგზაურობა სილნადის მაზრაში, მამონტის ძელების დასათვალიერებლად.

1899 წ., 23/IX, № 204, გვ. 2.

38. იანქოშვილი მ.

ინფორმაცია: პატარძელის ტყეში აღმოჩენილ თიხის ძეგლებზე.

1900 წ., 3/VIII, № 189, გვ. 2-3.

39. ახალი ამბავი.

ინფორმაცია: თბილისის საჯარო წიგნთსაცავში გრაფინია უვაროვას თავმჯდომარეობით ჩატარებული არქეოლოგიური კრების შესახებ.

1901 წ., 20/III, № 66, გვ.

40. ახალი ამბავი.

ინფორმაცია: სოფელ ბორში (შორაპნის მაზრა) აღმოჩენილი სიძველეების შესახებ.

1902 წ., 13/I, № 11, გვ. 2.

41. ჭიჭინაძე ვ. (წერილი რაჭიდან).

მიწაში ნაპოვნი ძველი ნივთები.

1902 წ., 16/I, № 12, გვ. 3.

42. ახალი ამბავი

ინფორმაცია: მცხეთაში აღმოჩენილ აკლდამებზე.

1902 წ., 2/III, № 47, გვ. 2.

43. ჩვენებური ამბები.

ინფორმაცია: ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წარმოდგენილ არქეოლოგიურ გათხრებზე მცხეთაში.

1902 წ., 14/VII, № 148, გვ. 2.

44. არხეოლოგიური საზოგადოების კრება.

1902 წ., 10/XII, № 264, გვ. 2.

45. ტფილისი.

ინფორმაცია: არქეოლოგიური კრების შესახებ.

1903 წ., 18/II, № 38, გვ. 1.

46. ტფილისი.

ინფორმაცია: არქეოლოგიური კრების შესახებ.

1903 წ., 4/VI, № 118, გვ. 1.

47. ინფორმაცია: სვირში აღმოჩენილი ძველი ნივთების შესახებ.

1903 წ., 14/VI, № 127, გვ. 3.

48. ტფილისი

ინფორმაცია: გრენის მიერ წარმოებულ გათხრებზე წინწყაროსა და გუნია-კალაში.

1903 წ., 14/VI, № 127, გვ. 3.

49. ტფილისი

ინფორმაცია: საარხეოლოგიო კრების ჩატარების შესახებ.

1903 წ., 24/XI, № 204, გვ. 1.

50. კოტე გრძელი (ანთაძე კონსტანტინე).

ინფორმაცია: სოფელ დეისში აღმოჩენილ სიძველეებზე.

1904 წ., 1/III, № 64, გვ. 2.

ისტორიულ სიკვლეთა დაცვა და ქართველი მეცნიატები

მოწინავე ქართული საზოგადოების წარმომადგენლები – ვისაც, როგორც ილია იტყოდა, მამულის სიყვარული გულში უღვიოდა, ყოველთვის ზრუნავდნენ ჩვენი ისტორიული ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის. ისინი თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდნენ ეროვნულ სიძველეთა – ისტორიული თუ არქეოლოგიური მონაპოვრის გადარჩენასა და შთამომავლობისთვის მის შენარჩუნებას.

ისტორიული ძეგლებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ძველი ნივთების შეგროვებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მათი შესწავლის ცდა გაცილებით გვიან მოხდა [დაწვრილებით იხ.1, გვ. 3-19; 8, გვ. 12-31]. არქეოლოგიური კვლევისა და ისტორიულ სიძველეთა მეცნიერული შესწავლის საქმე მჭიდროდა დაკავშირებული დიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცესის“ ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან [4, გვ. 100-117]. 1887 წელს, პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილს, მისივე სიტყვებით, „თითქმის სულ მიმკვდარი“ დახვდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება [3, გვ. 368]. უდიდესი პასუხისმგებლობითა და ეროვნული თვითშეგნებით მოეკიდა ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს წარსულის ნივთიერი კულტურის ძეგლების მოძიებას, მათ მეცნიერულ დამუშავებას. ხოლო 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ღრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში [5, გვ. 72-81].

საზოგადოების დაფუძნება განპირობებული იყო, ძირითადად, ისტორიული ძეგლების შესწავლისა და დაცვის გადაუდებელი საჭიროებით. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო-კულტურული საქმიანობა, წესდების თანახმად, ითვალისწინებდა ექსპედიციების მოწყობას, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას, გამოფენების გამართვას, საგამომცემლო მუშაობას და ა.შ. [6, გვ. 59-63; 7, გვ. 12-17]. საზოგადოებას უნდა მოეზიდა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი მეცნიერული ძალები და გეგმაზომიერად ეწარმოებინა მეცნიერული კვლევა. ბატონმა ექვთიმემ საზოგადოებაში შემოიკრიბა ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, რომელთა შორის არიან ისტორიის მკვლევარებიც და ცალკეული შეძლებული წრის წარმომადგენლები – ქართველი მრეწველი კაპიტალისტები, სასულიერო თუ სამხედრო პირები, ერთი სიტყვით, ვისაც თავისი საქმიანობით, ნივთიერი შემწვობითა და საერთო მხარდაჭერით შეეძლო თანადგომა გაეწია მისთვის. იგი ცდილობდა

საქართველოს მიწის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არც ერთი ნივთი არ გამოპარვოდა მხედველობიდან, რათა ისინი საზოგადოების მზრუნველ წევრებს<sup>49</sup> საზოგადოების ან კავკასიის მუზეუმებისთვის შეეძინათ. ამ საქმიანობაში ჩააბა რა ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ექვთიმე თაყაიშვილს, იმედი ჰქონდა, რომ ისინი ამ დიდ პატრიოტულ წამოწყებას მატერიალურ შემწვობას არ მოაკლებდნენ. მაგრამ ქართველ კაპიტალისტთა წრე, როგორც ცნობილია, მეტად ვიწრო იყო და მხოლოდ რამდენიმეს აღმოაჩნდა ეროვნული საქმისადმი დახმარების საშუალება. ესენი იყვნენ დავით სარაჯიშვილი, აკაკი ზოშტარია, მიტროფანე ლალიძე, ნიკოლოზ ჯაყელი, რაჟდენ დათეშიძე [6, გვ. 69; 7, გვ. 21; 9, გვ. 111].



დავით სარაჯიშვილი

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდეს ეკატერინე და დავით სარაჯიშვილებმა. დავით სარაჯიშვილს რომ არ გაეწია გულუხვი დახმარება სიძველეთა დაცვისა და მათი რესტავრაციის საქმისათვის, ალბათ ბევრი ძეგლი განადგურდებოდა და უძველესი ისტორიული ფასეულობანი დღეს დაკარგული აღმოჩნდებოდა. ამის საილუსტრაციოდ კმარა ისიც, რომ გასული

<sup>49</sup> საზოგადოებას ჰყავდა საპატიო, ნამდვილი, მზრუნველი და დამხმარე წევრები, აგრეთვე, კორესპონდენტები. წესდების თანახმად (მუხლი 7), „მზრუნავი იხლის წელიწადში 600 მ. ან ერთდროულად 6000 მ.“ [6, გვ. 63; 7, გვ. 13].



საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა მცხეთის სვეტიცხოვლის სარესტავრაციო კომიტეტი, რომელიც ასევე მსჯელობდა დიდუბის, მთაწმინდის, ლურჯი მონასტრის, ქაშვეთისა და სხვა ძეგლების შესახებაც, და მას ფულად დახმარებასა და მორალურ თანადგომას უწევდა დავით სარაჯიშვილი.

აი, რას წერდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილი 1911 წელს კრებულ „ძველ საქართველოში“: „დავითს სიცოცხლეშივე სწავდა აეგო ქართულ სიძველეთა მუზეუმის შენობა – მძიმედ ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი მუდამ მაგაზე ლაპარაკობდა და გეგმებს არჩევდა, გრძნობდა, რომ სიკვდილი არ დააცლიდა მისი გულისნადების ასრულებასა და თავის ანდერძში უხვად წილი დაუდო.“

მისი ანდერძის თანახმად, უნდა გაყიდულიყო მისი ექვსი მამული და ნახევარი თანხა უნდა მოხმარებოდა მუზეუმის აშენებას, ასევე ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იგი უტოვებდა 25000 მანეთს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ანდერძი არ შესრულდა.

აღნიშნულმა საზოგადოებამ 1917 წლის 16 დეკემბერს თავის მზრუნველ წევრად აირჩია ასევე ცნობილი მრეწველი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ხოშტარია. ექვთიმე თაყაიშვილსა და აკაკი ხოშტარიას ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა. შეიტყო რა ბაქოში მყოფმა აკაკი ხოშტარიამ, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა ასეთ დიდ ეროვნულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, უმაღლვე აღმოუჩინა მას ფინანსური დახმარება: მან ბაქოდან საზოგადოებას გამოუგზავნა საწევრო 6000 მანეთი და 2000 მანეთი შემოწირულობა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უდიდეს ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა სახის ექსპედიციების მოწყობას და თვლიდა, რომ საქართველოს მდიდარი წარსულის შესწავლა მხოლოდ კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა. საზოგადოებამ დაარსებისთანავე მის წევრებს მისცა საშუალება მოეწყოთ ექსპედიციები არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების მოპოვების მიზნით და ამ საქმიანობას, უპირველეს ყოვლისა, ექვთიმე თაყაიშვილი ედგა სათავეში.

სწორედ, არქეოლოგიური გათხრების წარმოებას ეხება ექვთიმე თაყაიშვილის კერძო წერილი, სადაც დასტურდება ახლადფუნდამულ ეროვნულ არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით აკაკი ხოშტარიას ჩვეული ქველმოქმედება. ექვთიმე თაყაიშვილი წერს თავის ძმას:

„ძმავ ნიკო!

უნდა დავიბარო ნაქალაქევის მეპატრონეებთან (იგულისხმებიან დადიანები - ლ.მ.)... მოგვიხერხონ მათგან ნებართვა ნაქალაქევის გათხრისა, რომლისათვის შენს გადასაცემად ა/კ-ის ბანკში აკაკი ხოშტარიამ უკვე შეიტანა ხუთი ათასი მანეთი.“ ექვთიმე თაყაიშვილი – 1917. 10.29. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექ. თაყაიშვილის პირადი არქივი, ფონდი № 27, საქმე № 1934).

სამწუხაროდ, იმ დროს გათხრები არ განხორციელებულა, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოვლინდა ბატონი ექვთიმეს ძალისხმევა გათხრების საწარმოებლად და დიდი ქველმოქმედის – ბატონი აკაკი ხოშტარიას უღალატო თანადგომა და დახმარება, რაც მხოლოდ გამორჩეულ, ღირსეულ პიროვნებებს ახასიათებთ.



აკაკი ხოშტარია

ექვთიმე თაყაიშვილისა და აკაკი ხოშტარიას, ამ ორი დიდი მამულიშვილის ჭეშმარიტი მეგობრობა შორეულ საფრანგეთში, ემიგრაციის პერიოდშიც გაგრძელდა. აკაკი ხოშტარია სიცოცხლის ბოლომდე (გარდაიცვალა 1930 წელს) ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილ ეროვნულ საგანძურს; მრავალგზის საკუთარი სახსრებიც არ დაუშურებია მისი უსაფრთხოებისა და გადარჩენისათვის (ბ-ნ მამია ბერიშვილის – ლევილის ქართული სათვისტომოს თავკაცის პირადი მოგონება). საერთოდ, ფართო იყო აკაკი ხოშტარიას ქველმოქმედების სფერო. მაგალითად, მან საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ და პრესტიჟულ გალერეაში შეიძინა ჩვენი სასიქაღულო მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს [2, გვ. 22].

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მზრუნველ წევრებად აგრეთვე ითვლებოდ-

ნენ: მიტროფანე ლალიძე – ქართული უალკოჰოლო წყლების დამაარსებელი საქართველოში და ქუთაისელი ხე-ტყის მრეწველი რაჟდენ დათეშიძე, ასევე, ბაქოში მცხოვრები ნიკოლოზ ჯაყელი, რომელიც სისტემატურ ფულად დახმარებას უწევდა საზოგადოებას.

ამგვარად, ქართველი ერის ღირსეულ წინაპართა შორის დაუვიწყარი სახელი დაიმკვიდრეს ქართველმა მრეწველმა-მეცენატებმა; მათ თავისი ქველმოქმედებით გამოხატეს უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ეროვნული ფასეულობებისადმი და გარკვეული როლი შეასრულეს ქვეყნის წარსულის შესწავლისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში.

ილია ჭავჭავაძე წერს, რომ ყოველ ერს უნდა ახსოვდეს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს“ [10, გვ. 208; 11, გვ. 10]. ჭეშმარიტად!

ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება თანდათან უბრუნდება განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ გზას. საქართველოს მომავალი ნიჭიერმა, პატრიოტმა, საქმის მაღალმა პროფესიონალებმა უნდა გამოსჭედონ და მათთვის, ალბათ, მისაბაძი გახდება მაგალითები საქართველოს ისტორიიდან – ქართველ მრეწველ-ქველმოქმედთა მაღალი ზნეობა, მათი სიყვარული და დიდი პასუხისმგებლობა თავის ქვეყნისა და მისი წარსულის წინაშე.

## ლიტერატურა

1. **გამყრელიძე გ.** ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბ., 1996.
2. **გუდიაშვილი ლ.** მოგონების წიგნი, თბ., 1979.
3. **თაყაიშვილი ექ.** რჩეული ნაშრომები. ტ. I, თბ., 1968.
4. **ლომთათიძე გ.** ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი. – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 100-117.
5. **ლომთათიძე გ.** ქართული კულტურის მემკვიდრეობა - ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1990.
6. **მეგრელიძე ი.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1989.
7. **მეტრეველი რ.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ., 1982.
8. **საქართველოს არქეოლოგია**, ტ. I, თბ., 1991.
9. **სურგულაძე ა.** ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1977.

10. **ჭავჭავაძე ი.** დავით აღმაშენებელი. – ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად. ტ. V, ერი და ისტორია. ტფილისი, 1927.

11. **ჯავახიშვილი ივ.** ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბ., 1938.

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა**

ცენტრის თანამშრომლების სამეცნიერო კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით: საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ცნობარი, ინტერდისციპლინარული კვლევები, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია და ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაცია.

**გრანტით შესრულებული სამუშაო**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით დასრულდა მუშაობა ორ თემაზე: კოლხეთი და გარე სამყარო გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანაში (კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის ისტორიის პრობლემები (ლ. სახაროვა - ხელმძღვ., შ. ჩართოლანი, მ. ბარამიძე, ნ. სულავა, ბ. ჯორბენაძე); საქართველო და სკვითური სამყარო (მ. ფირცხალავა - ხელმძღვ., ბ. მაისურაძე, გ. ნარიმანიშვილი, რ. პაპუაშვილი, გ. ინანიშვილი, ი. სულთანიშვილი, მ. ჩარკვიანი). დაწყებულია მუშაობა 9 თემაზე: ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ლექსიკონი (ოთ. ლორთქიფანიძე - ხელმძღვ., დ. კაჭარავა, გ. კვიციანი, მ. წულუკიძე, თ. სახვაძე, არ. ჭანტურია); აბრეშუმის გზის საკომუნიკაციო სტრუქტურები (ვ. ლიჩელი - ხელმძღვ., რ. რამიშვილი, ალ. რამიშვილი, ვ. თოლორაძე, თ. ჩიქოვანი, დ. ახვლედიანი, ც. ჩიკოძე, ვ. ჩიხლაძე, მ. ჩხატარაშვილი, გ. გამყრელიძე); Tabula Imperii Byzantini: საქართველო. საერთაშორისო გამოცემის ქართული სუბლემენტი (ვ. ჯაფარიძე - ხელმძღვ., ი. ცუხიშვილი, ა. ჭყონია, რ. ფუთურიძე, ელ. გიგოლაშვილი, ლ. საგინაშვილი, ლ. ცერაძე); საქართველოს სამონეტო განძები (ძვ.წ. VI-ახ.წ. XIX სს.) (გ. დუნდუა - ხელმძღვ., ირ. ჯალაღანია); კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი: საქართველო (დ. კაჭარავა - ხელმძღვ., ნ. ლორთქიფანიძე); მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ნამოსახლარი (გამოკვლევა-კატალოგი) (ლ. ნებიერიძე - ხელმძღვ., თ. ბუგინიშვილი); მტკვარ-არაქსის კულტურა კავკასიასა და წინა აზიაში (ნამოსახლარები, სამაროვნები) (ოთ. ჯაფარიძე - ხელმძღვ., გ. მირცხულავა, გ. ფხაკაძე, ალ. ორჯონიკიძე, ზ. მახარაძე, რ. რუსიშვილი, მ. ფუთურიძე, ლ. ჭელიძე, ზ. შატბერაშვილი, ი. ესვანჯია); ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში აღმოჩენილი ქართული დამწერლობის ძეგლების კორპუსი (გ. ღამბაშიძე); კოლხური კერამიკის ასონიშნების კორპუსი (ნ. მათიაშვილი).

**სამეცნიერო სესია-სიმპოზიუმები**

2000 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩაატარა ერთი საერთაშორისო სიმპოზი-

უმი, ერთი საერთაშორისო კონფერენცია, შვიდი სამეცნიერო სესია და კონფერენცია, აქედან ოთხი - მემორიალური. ინფორმაცია მათ შესახებ წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

17-18 აპრილი. სამეცნიერო სესია „კოლხური კულტურის ისტორიის პრობლემები“, რომელიც მიემდგვნა გამოჩენილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის პროფესორ თეიმურაზ (გული) მიქელაძის დაბადებიდან 75 წლისთავს. სესია გახსნა ცენტრის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ოთ. ლორთქიფანიძემ; წაკითხული იყო მოხსენებები: მ. ჭირაქაძე - პროფ. თეიმურაზ მიქელაძე - გზა ცხოვრებისა, რ. პაპუაშვილი - ახალი აღმოჩენები ერგეტას სამაროვანზე, ალ. რამიშვილი - კოლხურცულეებიანი სამარხი ნაცარგორის სამაროვნიდან, ვ. თოლორაძე - ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური კერამიკის შესახებ, ლ. სახაროვა - შრომის იარაღები კოლხურსა და ყობანურ კულტურებში, ნ. სულავა - ფიბულა კოლხურსა და ყობანურ კულტურებში: არეალური დისტრიბუცია და ქრონოლოგია, ნ. ჩუბინიშვილი - ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები კოლხეთიდან, ნ. კალანდაძე - კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის, ნ. დოლიძე - კოლხური კულტურა ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში (ლითონის სამკაული).

24-28 აპრილი. სამეცნიერო სესია „საქართველოში 1999 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.“ სესია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლორთქიფანიძემ; წარმოდგენილი იყო მოხსენებები: მ. გაბუნია - სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია, ზ. მახარაძე - კასპის რაიონის ექსპედიცია ციხიაგორაზე, ოთ. ლორთქიფანიძე - ვანის ნაქალაქარის გათხრები, გ. დუნდუა - ვანში აღმოჩენილი ერთი მონეტის ატრიბუციისათვის, შ. ჩართოლანი - სვანეთის ექსპედიცია, ო. ლანჩავა - ქუთაისის ექსპედიცია, ც. ჩიკოძე, გ. მინდაშვილი - კუხეთის ექსპედიცია მილსადენზე, ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი - მცხეთის ინსტიტუტის გათხრები ნარეკვავში, ნ. მირიანაშვილი - ნასტაკის ექსპედიცია მშენებლობებზე, რ. პაპუაშვილი - კოლხეთის ექსპედიცია, კ. კახიანი - მაშავერის (აბულ-ბუგ-საყდრისის) ექსპედიცია, ჯ. კოპალიანი - დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი. სესიის ერთი დღე დაეთმო ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გათხრების ანგარიშებს: ა. კახიძე, შ. მამულაძე - გონიო-ავსაროსის სამხრეთ კარიბჭესთან განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, ნ. ინანიშვილი, მ. ხალვაში - გონიოს ციხის ცენტრალურ ნაწილში წარმოებულ გათხრების შედეგები, გ. თავაძეშვილი - არქეოლოგიური გათხრები გონიოს ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; გ.

ლორთქიფანიძე, ა. ნონეშვილი - გონიოს ციხის დასავლეთი კედლის II კოშკის კვლევა-ძიების შედეგები, ა. კახიძე, მ. ვიკერსი (ოქსფორდი), ნ. ვაშაკიძე, გ. თავაძაშვილი, ი. ჩავლეიშვილი, მ. ხალვაში - საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები. სესიის პლენარულ სხდომაზე მოსმენილი იყო: ოთ. ლორთქიფანიძე - არქეოლოგიური კვლევის ცენტრი საანგარიშო წელს, = ბ. ჯორბენაძე - არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი „ძიებანი“ №4, № 5; ლ. გაბუნია, ა. ვეკუა, მ. თვალჭრელიძე, ა. იუსტუსი (მაინცი), დ. ლორთქიფანიძე, გ. მაისურაძე, ა. მუსხელიშვილი, მ. ნიორაძე - დმანისი 1999 - ახალი მონაპოვრები, გ. ნარიშკინიშვილი - ახალი სტრუქტურები თრიალეთის ყორღანებთან; კ. ფიცხელაური, ა. ფურტვენგლერი (ჰალე) - „უსახელო გორის“ გათხრები შირაქის ველზე; კ. ფიცხელაური, მ. კორფმანი (ტიუბინგენი), ვ. ვარაზაშვილი - არქეოლოგიური სამუშაოები ალაზნის ველის „დიდ გორაზე.“ სესიის ფარგლებში ჩატარდა კოლოკვიუმი თემაზე - „პროგრამა ფაზისი.“ წაკითხული იყო მოხსენებები: ოთ. ლორთქიფანიძე - პროგრამა ფაზისის ძირითადი მიმართულებანი, მ. თვალჭრელიძე - ფაზისის ლოკალიზაციის გეოლოგიური და გეომორფოლოგიური ასპექტები; გ. გამყრელიძე, ვ. ლიხელი, დ. დევისი, ჰ. ფონ ზაქსენ-ალტენბურგი (დალასი) - ქართულ-ამერიკული ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია, გ. გრიგოლია - კიდევ ერთხელ ნაქალაქარ ფასისის ლოკალიზაციისათვის. სესიისთვის მოეწყო გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო ახალი აღმოჩენები, აგრეთვე, 1998 წელს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი და ქ. მაინცში, რომაულ-გერმანულ ცენტრალურ მუზეუმში რესტავრირებული რკინის ქანდაკებები; ცენტრის თანამშრომლების მიერ 1999 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები.

17 მაისი. სამეცნიერო კონფერენცია „დიმიტრი ბაქრაძის არქეოლოგიური მემკვიდრეობა.“ კონფერენცია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლორთქიფანიძემ; მოსმენილი იყო მოხსენებები: თ. ჩიქოვანი - დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ვ. საღრაძე - დიმიტრი ბაქრაძე - გურიის მხარის მკვლევარი, ხ. ჯორბენაძე - დიმიტრი ბაქრაძის არქეოლოგიური მემკვიდრეობა, ვ. ჯაფარიძე - დიმიტრი ბაქრაძე აფხაზეთში, მ. მუმლაძე - დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი საკლესიო მუზეუმის დაარსების საქმეში.

7-9 ივნისი. ქრისტიანული არქეოლოგიის IV საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი იესო ქრისტეს 2000 წლისთავისადმი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქ. მარბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ქრისტიანული არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა პროფ. გ. კოხის ხელმძღვანელობით. წარმოდგენილი იყო მოხსენებები: რ. რამიშვილი - ქრის-

ტიანული არქეოლოგიის მუდმივი სემინარის საქმიანობა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, გ. ბოლქვაძე - ადრექრისტიანული საეკლესიო აღმშენებლობა საქართველოში - წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები, გ. ნარსიძე - წებელდის წმ. ხატი, მ. წოწელია - სასანიანი მეფის ატრიბუცია წებელდის ხატზე, მ. სინაურიძე - ბალიჭის სარკოფაგი, ნ. პაჭიკაშვილი - რუსთავის სარკოფაგები, ვ. ლიხელი - ანდრია პირველწოდებული სამცხე-ჯავახეთში, მეუფე ანანია (ჯაფარიძე) მთავარეპისკოპოსი - ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, თ. მგალობლიშვილი - საქართველო და წმინდა მიწა, გ. კოხი - ახალი გამოკვლევები ადრექრისტიანული სარკოფაგების შესახებ, კ.-რ. ალტჰაუზი - მადაბას რუკა და პალესტინის ადრექრისტიანული ტოპოგრაფია, გ. ერემიას-ბიუტენერი - რომის ტაგურუცი (ხის მომცრო ყუთი) სანკტა-სანკტორიუმის განძიდან მომდინარე წმინდა მიწის რელიქვიებით, ჰ.-გ. თიუმელი - კონსტანტინე დიდის კოლოსალური ქანდაკება რომში, გ. ლამბაშიძე - ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საკითხისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში, მ. ძნელაძე - თბილისის ორმოცმწამეთა ეკლესია, ვ. ჩიხლაძე - საკინძები ქრისტიანული სიმბოლოებით ჟინვალიდან, ბ. დიასამიძე - ქრისტეს პირველმოციქულები დასავლეთ საქართველოში; ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე - ახალი ქრონოლოგიური მონაცემების შესახებ დავათის ქვაჯვარზე, რ. პატარიძე - ბოლნისის ტაძრის წარწერები, ზ. კიკნაძე - მეფე-მონადირე ქვეყნის გაქრისტიანების პროცესში, ლ. პატარიძე - ქართლის გაქრისტიანების დროისა და ისტორიული ვითარების შესახებ, რ. დოლაბერიძე - ქრისტიანული სალოცავი ფშავში, რ. რამიშვილი - ერთხელ კიდევ ივრის სიონის კათედრალური ეკლესიის თარიღის შესახებ, ვ. ჯაფარიძე - ევრისის (ლაზიკის) საეკლესიო ცენტრები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ი. ბერძენიშვილი - აფხაზეთის ადრექრისტიანული ძეგლი (გაგრა) და კულტურული კონტაქტების საკითხი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები დაიბეჭდა (იხ. ქვემოთ. ძიებანი. დამატებანი. III).

21-23 ივნისი. VII სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით),“ მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი. წარმოდგენილი იყო მოხსენებები: გ. მინდიაშვილი - ადრეული სახელმწიფოს არქეოლოგიური ატრიბუტიკა, გ. ნარიშკინიშვილი - წალკა-თრიალეთის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და საქართველოში სახელმწიფოს გენეზისის პრობლემები, მ. ფირცხალავა - სკვითთა საკითხისათვის საქართველოში, ლ. ჭელიძე - მიწათმოქმედების ეკონომიკური ასპექტი, ქ. ესაკია - ადრესამიწათმოქმედო ეკონომიკის ეფექტიანობა (ექსპერიმენტალურ-ტრასოლოგიური მეთოდის გამოყენებით); გ. ინანიშვილი, ბ. მაისურაძე - ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრის სამთომე-

ტალურგიული წარმოების ეკონომიკური ანალიზი; ი. გაგოშიძე, ე. ყვავაძე, ნ. რუსიშვილი - სოფლის მეურნეობის ზოგიერთი საკითხი პირველი საუკუნის ქართლის სამეფოში არქეოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემების მიხედვით; თ. შანშიაშვილი, ი. მაისაია - კულტურული მარცვლოვნები ძველ საქართველოში, თ. ჩიქოვანი - პურეულის მიწისქვეშა საცავი, ნ. ბრეგაძე - ინტერდისციპლინარული კვლევის ზოგიერთი შედეგი, გ. რჩელიშვილი - მევენახეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეკონომიკური პოტენციალი), ივ. წიკლაური - მიწის ფონდი, მისი მფლობელობისა და სარგებლობის წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

20 სექტემბერი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსის ლევან მუსხელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს. სესია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლორთქიფანიძემ, არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან მოხსენებები გააკეთეს რ. რამიშვილმა - ლევან მუსხელიშვილი და ქართული არქეოლოგია, ჯ. კობალიანმა - ლევან მუსხელიშვილი და დმანისი.

24-29 სექტემბერი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ჰალეს უნივერსიტეტის კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი II საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის იბერია (ქართლის სამეფო) და მისი მეზობლები აქემენიდურსა და პოსტაქემენიდურ ხანაში.“ სიმპოზიუმი გახსნეს პროფესორებმა ოთ. ლორთქიფანიძემ და ა. ფურტვენგლერმა (ჰალე). წაკითხული იყო მოხსენებები: პ. ბრიანი (პარიზი) - აქემენიდური კვლევის საერთაშორისო პროგრამა; ბ. მაისურაძე, მ. ფირცხალავა - სკვითური კულტურის კვალი საქართველოში, ა. ივანჩიკი (ბორდო/მოსკოვი) - „წინააზიური“ მუზარადები კავკასიიდან და კიმერიული პრობლემა, ე. ნეტცერი (იერუსალიმი) - ისრაელის ქვეყანა აქემენიდურ და პოსტაქემენიდურ ხანაში, ფ. ტერმარტიროსოვი (ერევანი) - ერებუნი აქემენიდურ ხანაში, ნ. ლუდვიგი (ჰალე) - ძვ.წ. I ათასწლეულის კახეთის კერამიკის შედარებითი ქრონოლოგიისათვის, ფ. კნაუსი (მიუნსტერი) - რკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს საცხოვრებელი სახლების არქიტექტურის შესახებ, ჟ. მორინი (ანკარა) - ხანგრძლივი კულტურათაშორისი ურთიერთობანი და სახელმწიფოს ფორმირება კავკასიის იბერიაში, ი. გაგოშიძე - საქართველო და „ბერძნულ-სპარსული“ გემები, გ. ყიფიანი - აქემენიდური ტრადიციები ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ლ. ზუმერერი (მიუნხენი) - ახალი არქეოლოგიური ძიებანი სამხრეთ შავი ზღვისპირეთში, ვ. ჯაფარიძე - აღმოსავლეთ კოლხეთი აქემენიდურ და პოსტაქემენიდურ ხანაში (არქეოლოგიური მონაცემები); გ.

